ირაკლი ციციშვილი

# ქართული ხელოვნების ისტორია

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გამომცემლობა
თბილისი 1995 წ.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში წაკითხული სალექციო კურსის შემოკლებულ გადმოცემას. სამწუხაროდ შექმნილი მიზეზების გამო წიგნის სათანადო დონეზე გამოცემა ვერ მოხერხდა. ამჟამად მოგვიხდა როგორც ტექსტის, ასევე საილუსტრაციო მასალის (მთლიანად ამოვარდა ფერადი ილუსტრაციები) შემცირება. მიუხედავად ამისა წარმოდგენილი სახითაც იგი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს და ყველას ვისაც აინტერესებს ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა.

ავტორი უღრმეს მადლობას უხდის საერთაშორისო კომპანია „ესებს“, რომლის თანხობით შესაძლებელი გახდა წიგნის გამოცემა. აგრეთვე მადლობას მოვახსენებთ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორს ბატონ ირაკლი ანჯაფარიძეს გაგებისა და გულისხმიერებისათვის.

# შესავალი

რესპუბლიკა საქართველო მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთის კალთებზე. იგი ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთს (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ყაბარდო-ბალკარეთი, ჩრდილო-ოსეთი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი). სამხრეთ-აღმოსავლეთით იმყოფება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სამხრეთით სომხეთის რესპუბლიკა და თურქეთი, ხოლო დასავლეთიდან მას აკრავს შავი ზღვა. დიდი კავკასიონის ფრიალო განშტოებები თანდათანობით დაბლდება და გადადის მთისწინეთის ბორცვებში და მთიანეთში, რომლებიც ორი მხრიდან ევლებიან ველებსა და დაბლობებს შავი ზღვიდან ვიდრე ალაზნის ველამდე.

საქართველოსათვის დამახასიათებელია თბილი, ზომიერი ჰავა, მაგრამ ქვეყნის რთული რელიეფი და სიმაღლეთა დიდი გრადაცია ქმნიან კლიმატური პირობების არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებას. საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე შეიმჩნევა კლიმატისა და ლანდშაფტის მკვეთრი კონტრასტები. შავიზღვისპირეთის ტენიანი სუბტროპიკებიდან მთიანეთის ალპურ მდელოებამდე და მარადი თოვლით დაფარულ მთებამდე. ბუნებრივი პირობების მხრივ ძალიან განსხვავდებიან მაღალმთიანი სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი, თუშეთი, ზღვის პირას მდებარე აფხაზეთი, აჭარა, გურია, ქართლისა და კახეთის მშრალი უბნები. მესხეთ-ჯავახეთი თავისი კონტინენტური ჰავით.

ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებამ განსაზღვრა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაც. საქართველო ძველთაგანვე მიწათმოქმედების ქვეყანაა, ველებზე ხორბლისა და სიმინდის ნათესებით, ხილის ბაღებით და ვენახებით.

მდიდარია საქართველო სამშენებლო მასალებითაც. ტყეებში გვაქვს ხის ისეთი ჯიშები, როგორიცაა მუხა, კაკალი, წაბლი, რცხილა, წიფელი, ფიჭვი. არის კერამიკულ ნაკეთობათა, აგურისა და კრამიტის დასამზადებლად ვარგისი თიხა. მოიპოვება განსხვავებული ფერის, ნახატის და მექანიკური თვისებების ქვები: გრანიტი, ბაზალტი, მარმარილო, ტუფები, ქვიშაქვები და კირქვები. ამან გარკვეულწილად განსაზღვრა ქართული ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნება და სიმდიდრე.

ვინაიდან საქართველო მდებარეობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროთა გზაჯვარედინზე, მას ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან, შემდეგ ელინიზმთან და რომთან, მოგვიანებით ირანთან და თურქეთთან, ბოლოს ევროპასა და რუსეთთან. ბუნებრივია იქმნებოდა განსხვავებულ კულტურათა სინთეზის პირობები, მაგრამ უცხოურ ფორმებსა და მხატვრულ გემოვნებას ქართული კულტურა და პირველყოვლისა არქიტექტურა, განურჩევლად კი არ ითვისებდა, არამედ აღიქვამდა მხოლოდ იმ მცირეოდენს

რაც პასუხობდა მის საკუთარ განწყობას და მხატვრულ ამოცანებს, ან სულაც არ ითვისებდა არაფერს (მაგალითად არაბებისა და მონღოლეთის დაპყრობათა პერიოდში).

საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილ ტომობრივ გაერთიანებათა არსებობამ განსაზღვრა რიგ ქართველურ ხალხების შექმნა და შემდეგ მათი გაერთიანება ერთიან საქართველოს სამეფოდ. მართალია შემორჩა ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფები, რომელთაც შემოინახეს წეს-ჩვეულებანი, ადგილობრივი ენა ან დიალექტები, მაგრამ შეგნებაში ჩამოყალიბდა საერთო ქართული კულტურა, ხოლო ქართული ენა ხდება კომუნიკაციების, ღვთისმსახურობის, ლიტერატურისა და ხელოვნების ენად სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ამაში მდგომარეობს ქართული ხელოვნების თავისებურება, მრავალფეროვნება და სიმდიდრეც - ადგილობრივი სკოლები და თავისებურებანი განვითარების საერთო ხაზის გათვალისწინებით.

ღირსშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები, ეკლესიების ბრწყინვალე ფრესკები, შთაგონებული პოეზია, მრავალხმიანი ხალხური სიმღერები და მოხდენილი ცეკვები მეტყველებენ იმაზე, რომ ქართველ ხალხს მუდამ ახასიათებდა ბუნების, რელიეფის, ლანდშაფტის დახვეწილი გრძნობა, მოხდენილობა, სისადავე და მეტყველება. ამიტომაც ყოველთვის ქართული ხელოვნებისთვისაც ჩვეული იყო ეს სისადავე, ხალისიანობა და ზეიმურობა.

# პირველყოფილი საზოგადოების ხელოვნება

## ქვის ხანა

არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად დადგენილია საქართველოს ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანის დასახლება უკვე უძველეს პერიოდებიდან. ბევრგან - სოფელ იაშთხვასთან, სოფელ რუხთან, კაცხში ალმოჩენილია ადამიანის სადგომები ძველი ქვის ხანის - პალეოლითის (ძვ.წ. 800 ათასი წელი) პრიმიტიული იარაღებით. მაგრამ უკანასკნელი დროის აღმოჩენებმა (დმანისის გათხრები) გვიჩვენეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრება 1 მილიონ 700 ათასი წლის წინათ დაწყებულა.

თანდათანობით, იარაღის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო შეგროვებითი მეურნეობის, ნადირობის და თევზჭერის განვითარებას. ამასთანავე, დაწყებულმა გამყინვარებამ აიძულა ადამიანი, თავი შეეფარებინა მღვიმეებისათვის, ტყეში მოწყობილ ფარდულებისათვის და სხვ. უამრავი ქვის ხანის იარაღია აღმოჩენილი დევის ხვრელში, საკაჟიაში, საგვარჯილეს და სხვა გამოქვაბულებში. მღვიმეებში აღრიცხულია უძველესი გამოსახულებანი კლდეზე, ხოლო მდინარე ჯრუჭულას ხეობაში მდებარე ერთ გამოქვაბულში აღმოჩენილი ძვლები დაფარულია გარკვეულ რიტმს დაქვემდებარებული ნაჭდევებით. დაბა წალკის მახლობლად, მდინარე პატარა ხრამის ხეობაში მდებარე მღვიმეში აღმოჩენილია პეტროგლიფები - ცხოველთა და მონადირეთა გამოსახულებანი - სულ ასამდე ნახატი როგორც ჩანს, ამ პერიოდში იწყება ადამიანის მაგიურ აზროვნებასთან დაკავშირებული ხელოვნების ჩასახვაც. ამგვარად ადამიანი უკვე ხატავს და ძერწავს. მართალია, ამას იგი მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ აკმაყოფილებს სილამაზის მოთხოვნილებასაც. დადგენილია ქვის ხანის მომდევნო სტადიების (ზედა პალეოლითი, მეზოლითი) კულტურის ადგილობრივი საფუძვლები და განვითარების უწყვეტი პროცესი. ამასთანავე კავკასიის პალეოლითის ძეგლები გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ მახლობელი აღმოსავლეთის - სირია, პალესტინა, ერაყი გვიანპალეოლითურ ძეგლებთან.

ცხადია, რომ არქიტექტურის აღმოცენებას ვერ დავუკავშირებთ პირველყოფილი ადამიანის მიერ მღვიმეების და სხვა ბუნებრივ თავშესაფართა გამოყენებას, არამედ მხოლოდ მის შეგნებულ მოღვაწეობას და პირველ ნაგებობებს, შექმნილს შრომის იარაღების შემწეობით. მხოლოდ ხელოვნურ ნაგებობებში ხდება ადამიანის მიერ მასალების თვისებების გაგება და შენობის ცალკეული ნაწილების კონსტრუქციული არსი.

ნეოლითის ხანაში (ძვ.წ. X-VI ათასწლეულები) მოხდა ქვის იარაღების ტექნიკის შემდგომი განვითარება. ადამიანმა ისწავლა ქვის გაპრიალება, ხეხვა და გახვრეტა. მან დაიწყო საკვები მცენარეების გაშენება, ცხოველთა მოშინაურება, ე.ი. საფუძველი ჩაუყარა მარტივ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. ადამიანმა დაიწყო მეთუნეობა, რთვა, ქსოვა. იწყება ბინადარი ცხოვრება. საქართველოში ასეთი ნეოლითური სადგომები აღრიცხულია ანასეულში, კისტრიკში, ხუცუბანში, ზემო ალვანში, ოდიშში და სხვაგან. ამ საზოგადოების სოციალური სტრუქ-

ტურა ხასიათდება პატრიარქატზე გადასვლით და ცალკეულ ოჯახთა ეკონომიკური განვითარებით. ნეოლითური ნამოსახლარები ხასიათდება თიხით შელესილი, წნული ნაგებობებით, რომელთა შიგნით ცხოვრობდა საერთო კერის მქონე გვაროვნული ჯგუფი. ასევე დამოწმებულია, ოთხკუთხა და მრგვალი გეგმის ნაგებობათა გადახურვათა საყრდენი ბოძების კვალი (ხორში, ანასეული, დარკვეთი).

როგორც ჩანს, ამ პერიოდში ყალიბდება ძირითადი არქიტექტურული სქემები, ნაგებობათა ნაწილების ფუნქციათა მკვეთრი გრადაციით. მიუხედავად საცხოვრებლის პრიმიტიული ფორმისა ნეოლითის ეპოქაში ხდება მნიშვნელოვანი მოვლენა - საცხოვრებლის მოწყვეტა გამოქვაბული-დან და დამოუკიდებელი ნაგებობის შექმნა გადახურვით, რომელიც განსაზღვრავდა საცხოვრებლის ფორმასა და ზომებს.

ვლინდება ურთიერთკავშირი წინა აზიის სამიწათმოქმედო კულტურებთან ე.ი. საქართველოს ტერიტორია აქტიურად მონაწილეობდა უძველესი სამყაროს განვითარების პროცესში.

## ბრინჯაოს ხანა

განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ტომების კულტურა ბრინჯაოს ხანაში, რომელიც თავის მხრივ ყალიბდება ენეოლითურ კულტურაზე. ქვემო ქართლში მდინარე ხრამის ნაპირებზე გამოვლინდა ძვ.წ. V-IV ათასწლეულების ათეული ნასოფლარი: საცხოვრებელი ბორცვები არუხლო, შულავერი, იმირის-გორა, დასახლებანი ტერასებზე - სადახლო, კონცხზე მდინარეთა შესართავთან - წოფი, მთის კალთებზე - ამირანის გორა. ნასოფლარი არუხლო წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს ზომით 100 მ X 150 მ, სიმაღლით 6 მ. გათხრებმა გამოავლინეს წრიული ფორმის ალიზის შენობათა ნაშთები. შენობათა დიამეტრია 3-3,2 მეტრი, კედლების სისქე 30-35 სმ. ერთი შენობის კედელში შემორჩენილია სასინათლო ხვრელი. მთელ სოფელს შემოვლებული ჰქონია ორი თავდაცვითი თხრილი, სადაც წყალი მოედინებოდა.

ნასოფლარები შულავერი და იმირის-გორა მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირას, წარმოადგენენ ხელოვნურ ბორცვებს, რომლებიც შექმნილია ბინადარი ცხოვრების ხანგრძლივობის შედეგად: პირველ ნასოფლარში 252 კვ.მ. ფართობზე აღმოჩნდა 20 ალიზის შენობა. ყველა შენობა წრიული გეგმისაა და გუმბათური გადახურვის. შენობათა ზომები იცვლება მათი დანიშნულების შესაბამისად. მოზრდილი შენობები ფართობით 12,5 - 16,6 კვ.მ. საცხოვრებელია, ხოლო მცირე შენობები დიამეტრით 2-3 მ. სამეურნეო დანიშნულებისაა. შენობათა კედლებში დასტურდება სარკმლების ღიობების არსებობა, ხოლო გუმბათოვან სახურავში სასინათლო ხვრელი - ერდო. კედლები აქაც აგებულია ლეკალური ალიზის აგურისაგან და შებათქაშებული თიხის ხსნარით. მეორე ნასოფლარში გათხრილ 40 ნაგებობათა შორის 20 საცხოვრებელია და ამდენივე დამხმარე - სამეურნეო დანიშნულებისაა. ამგვარად, საცხოვრებელი კომპლექსი შეიცავდა საცხოვრებელ ოთახს, ასევე წრიული ფორმის სამეურნეო ნაგებობას - საკვების მარაგის შესანახად და თიხატკეპნილ ორმოებს - უმთავრესად წყლის მარაგი-



შულავერის გორა. ნამოსახლარი ძვ. წ. V-IV ათასწლ. შენობათა ნაშთი



იმირის გორა. ძვ.წ. V-IV ათ სწლ. ნამოსახლარი, საცხოვრებელი კომპლექსი

სათვის. სახლს ჰქონდა პატარა კარი. კედლის ძირში, თიხატკეპნილ იატაკში ჩასმული იყო თიხის კერა. ყველა შენობა ჩაღრმავებულია მიწაში 50 სმ. ალიზის აგურის ჰორიზონტული რიგები ქმნიან კედელს, რომლის დახრილობა თითქმის საფუძვლიდან იწყება. კედლის დახრილობის შედეგად იქმნება გუმბათი. ალიზის ყოველი შემდგომი რიგი გადმოშვერილია 2-3 სმ. რაც ქმნის კამარას, რომლის საფეხურები გასწორებულია თიხის ბათქაშით.

იმირის - გორაზე შულავერის გორისაგან განსხვავებით საცხოვრებელი კომპლექსების დაგეგმარება უფრო მკვეთრია - ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან გარკვეული პრინციპით, როდესაც სხვაგან შენობები შექუჩულია და მათი ურთიერთობა არ შეიმჩნევა. საფიქრებელია, რომ აქ ასახულია გვაროვნული წყობილების განვითარების სხვადასხვა საფეხურები. ასეთ ნასოფლარებში, ანგარიშით უნდა ეცხოვრა 300-500 ადამიანს.

ადრეული ბრინჯაოს ხანის ნასოფლარებში მიკვლეულ სახლებს ბევრი საერთო მოეძებნება ამავე პერიოდის ნასოფლარებთან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (შომუ-ტეპე, კიულ-ტეპე), სომხეთში (შინგავითი, გარნისი), აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის, წინა აზიის, ჩრდილო მესოპოტამიის ნასოფლარებთან, სადაც ასევე გვხვდება წრიული და ოვალური ფორმის გუმბათოვანი შენობები. როგორც ვხედავთ, სამხრეთ საქართველო ენეოლითისა და მომდევნო პერიოდში შედიოდა წინა აზიის კულტურის არეალში.

ქვემო ქართლის ენეოლითურ დასახლებათა გათხრის დროს, განსაკუთრებით დიდი გორის ნამოსახლარზე, თიხის ჭურჭლის გვერდით აღმოჩენილია თიხის მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკებები. ისინი გამოსახავენ ქალს, მკვეთრად ხაზგასმული მდედრობითი ნიშნებით. ყველა ფიგურა მჯდომარე პოზაშია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი ფეხმოხრილი და მუხლაწეულია, მეორე ნაწილიკი ფეხგაჭიმული. ქანდაკებები რეალისტურია, თუმცა თავი შედარებით პატარაა და ტანთან ოდნავ გამოყოფილი. ანთროპომორფული ქალის ქანდაკებები გავრცელებულია მთელ ძველ სამყაროში. მათი დანიშნულების შესახებ არის აზრი, რომ ისინი უკავშირდებიან ნაყოფიერების კულტს და განასახიერებენ ბუნების მფარველ ძალას - "დიდ დედას". ქანდაკებების თარიღად მიჩნე-




იმერის გორა. ნამოსახლარის გენგეგმა, ძვ.წ. V-IV ათასწლ.

ლია ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე ნახევარი.
ადრეული ბრინჯაოს ხანის ძვ.წ. III თასწლეულის ნასოფლარები მრავლადაა კვლეული შიდა ქართლის ტერიტორიაზე. კეთ არის შესწავლილი ნასოფლარები ქვაცხ-ლები და ხიზანაანთ გორა. ორივე მდე-რეობს მტკვრის მაღალ მარცხენა ნაპირას, რველი სოფელ ურბნისში, ხოლო მეორე - სგან აღმოსავლეთით ორი კილომეტრის აშორებით. ნასოფლარები კომპაქტურადაა შენებული, სახლები ერთმანეს ემჯრობა ირე გასასვლელებით მათ შორის. სახლები ებულია თიხისა და ალიზისაგან, წნულის-ან შედგენილი კარკასით. შენობები გეგმა-თითქმის კვადრატულია მომრგვალებული თხეებით. ფასადის მთელ სიგრძეზე ოთახს ეკვრის დერეფანი შესასვლელით შენობის ცენტრში. ოთახის ფართობი მერყეობს 24-დან 42 კვ.მეტრამდე. იატაკი თიხატკეპნილია, ცენტრში მრგვალი კერაა შიგა შვერილებით. კერის უკან მდგარა საყრდენი ბოძი. უკანა კედლის გასწვრივ მოწყობილია 80-100 სმ. სიგანის ამაღლებული ბაქანი წეს-ჩვეულება-თა შესასრულებლად ან სულაც უტილიტა-რული მიზნებისათვის. როგორც ჩანს, შენო-ბის ღერძზე - საყრდენ სვეტზე ეწყობოდა 15 სმ. კვეთის შეწყვილებული კოჭები. მათზე პერპენდიკულარულად დაწყობილი იყო უფრო მცირე კვეთის კოჭები შუაში ერდოს ხვრელის დატოვებით. შემდეგ კი ეწყობოდა ღეროებისა და წნულის ფენები. ამგვარად, ამ პერიოდის სახლებს ჰქონდათ თავისუფლად

მდგარ სვეტზე და თავხეზე დაყრდნობილი ბრტყელი გადახურვა. საფიქრებელია, რომ სწორედ ასეთი შენობები წარმოადგენენ პროტოტიპს საქართველოში შემდგომ პერიოდებში ფართოდ გავრცელებული "დარბაზის" ტიპის სახლებისა.

ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, შუა ბრინჯაოს ხანაში, იქმნება ახალი - "თრიალეთის კულტურა". როგორც ჩანს, ძველი ნასახლარები მიტოვებულია და დაიწყო მთების ტერასების ათვისება. ამ პერიოდში ვრცელდება დიდი სამარხი ყორღანები დამარხვის რთული რიტუალითა და მდიდარი ინვენტარით. ბედენისა და სამგორის ყორღანებში ქვის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ხის ძელურა შენობები, სადაც ჯარგვალის კუთხეებში მორებს ჭდეები ჰქონდათ და ერთმანეთზე ნახევარი ხით იყვნენ გადაბმულნი. ყორღანების საკანში ჩადიოდნენ დახრილი დერეფნით - დრომოსით. ყორღანების სამარხი ინვენტარი მიგვითითებს კულტურის საერთო დონის აღზევებაზე, ამასთანავე ვლინდება საზოგადოების დანაწევრების პროცესი და თემობრივი არისტოკრატიის გაჩენა (ტომების ბელადების სამარხები).

გარკვეულ ყურადღებას იმსახურებენ კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარები. არხებით შემოსაზღვრული ბორცვები - ნაოხვამუ, დიხა-გუძუბა და სხვები ხასიათდებიან წრიული და მრავალწახნაგა გეგმის მქონე ხის სახლებით.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდს (ძვ.წ. XIV და შემდგომი საუკუნეები) მიეკუთვნება ნასოფლარი ხოვლეგორა, სადაც გამოვლენილია ოთხკუთხა ფორმის კარიბჭიანი საცხოვრებელი სახლები. სახლები სიღრმეშია განვითარებული, ვინაიდან სიგანე გადახურვით არის რეგლამენტირებული და



თიხის ქანდაკება დიდი გორის ნამოსახლარიდან ძვ.წ.V ათასწლ.

ოთხ მეტრს აღწევს. შენობები აგებულია ჰორიზონტალურად დაწყობილი ხის ლატანებითა და თიხით. გადახურვა ეყრდნობოდა კედლის სვეტებსა და თავისუფლად მდგომ ბოძებს.

გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას მიეკუთვნება დილომში (თბილისის ჩრდილო-დასავლეთის გარეუბანში) გაშლილი ნასოფლარი. ქედის კალთებში ნაწილობრივ შეჭრილი ერთოთახიანი სახლები აგებულია რიყისა და ფლეთილი ქვისაგან, აქვთ ბრტყელი სახურავები დიყრდნობილი კედლების გასწვრივ მდებარ საყრდენებზე. იატაკები თიხატკეპნილია. სახლს ახლავს პურის საცხობი და ბაქნები სამსხვერპლოებითა და კერებით.

ნასოფლარებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მეგალითურ ნ აგე-

ბობათა თითქმის ყველა სახეობანი. თეთრი წყაროს, წალკის და სხვა რაიონებშიც შემორჩენილია შვეულად დაყენებული მონოლითები-მენჰირები, ხოლო აფხაზეთის მხარეში, სოფლებში: ეშერი, აზაანთა, ოთხარა, აჰანდარა - დოლმენები. დოლმენების უმრავლესობა შედგება ოთხი მთლიანი გვერდითი ქვისაგან, მეხუთე ქვა სახურავისაა. ქვის ფილების შიგა ზედაპირები და ფასადი გულდასმითაა დამუშავებული. გრძივ კედლებზე გამოკვეთილია ნარიმანდები ფილების უკეთ მორგების მიზნით. დოლმენის წინა კედელში დატანებულია მრგვალი ხვრელი (40 სმ, დიამეტრისა), რომელსაც გარედან ქვისავე საცობი უკეთდებოდა. დოლმენები სამარხი ნაგებობებია, სადაც იმარხებოდა გვარის ერთი ან რამდენიმე წევრი. დოლმენების ქვის ფილების ზომები (ეშერის დოლმენის ზედა ფილის სიგანეა 4,85 სიგრძე 3,7მ, ხოლო სისქე 0,5 მ. რაც შეადგენს 9,342 კბმ. და იწონის 22,5 ტონას), ეს გვაფიქრებინებს, რომ ფილების გადასაზიდათ და დასაყენებლად იხმარებოდა ბერკეტები, საფეხურებისებრი ქანობები და მიწაყრილები. ასეთი აკლდამის ასაგებად



ქვაცხელები. ნამოსახლარის გეგმა. ძვ.წ. III ათასწლ.



ეშერი. დოლმენი

აუცილებელი იქნებოდა მაგარი გვაროვნული კოლექტივის დიდი შრომა. სამარხი ინვენტარის მიხედვით დოლმენების მშენებლობა ხორციელდებოდა ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციკლოპურ ციხეებს, რომლებიც საქართველოში მრავლადაა შემორჩენილი. ციკლოპური ციხეების სამშენებლო მასალა და ტექნიკაც განსაკუთრებით კონსერვატიულია და ვრცელდება, ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალურ ეპოქამდე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ციკლოპური ციხეები გვიჩვენებენ მხოლოდ მათი ცხოვრების ბოლო პერიოდს და მათი განხილვა ისტორიული პროცესის გათვალისინების გარეშე შეუძლებელია. ამ ძეგლების განხილვისას უნდა გავითვალისწინთ ისეთი საკითხები, როგორიცაა: ციხისათვის ადგილის შერჩევა, ციხისა და ნასოფლარის ურთიერთობა და მდებარეობა, სამაროვნები, ციხის კედლების სისტემა, სამშენებლო ტექნიკა. არქეოლოგიური მონაცემები, საცხოვრებელი სახლების ტიპები და სხვა. ციკლოპური ციხეები უნდა შექმნილიყო საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად. როგორც ვიცით, ბრინჯაოს ხანაში უპირატეს მნიშვნელობას ეკონომიკაში იძენს მეცხოველეობა, ამასთანავე, ხდება ქონებრივი დანაწევრება, ცალკეულ ტომებს შორის იწყება შეტაკებანი და თავდასხმები საქონლისა და საძოვრებისათვის. ცხადია, ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება სოფლების მძლავრი კედლებით დაცვა. ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო ძვ.წ. II ათასწლეულში.

ციკლოპური ციხეები ამჟამადაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მძლავრი, მაღალი კედლების ქვედა ნაწილი აგებულია ბაზალტის ან სხვა ვულკანური ქანების დაუმუშავებელი ლოდებით. კედლის ასაგებად იწყობოდა გარე და შიგა რიგების მიმმართვე-



ავრანლო. ციკლოპური ციხის გალავანი, ძვ.წ.II ათასწლ.

ლი ლოდები, ხოლო სივრცე მათ შორის ივსებოდა უფრო წვრილი ქვებითა და ნატეხებით. ქვის კედლები ამოყვანილია 3-4 მეტრის სიმაღლეზე, შემდეგ კი იწყება ალიზის კედელი.

ყველაზე ადრეული ციხეები აგებულია ძნელად მისადგომ მაღლობებზე. მათი კედლების გარეთ კი თავსდებოდა სოფელი. ასეთ ციხეებს მიეკუთვნებიან: ბეშთაშენი, ავრანლო, ოზნი და ნაწილობრივ გოხნარი.

ციხეების შემდეგი ჯგუფისათვის დამახასიათებელია მათი მდებარეობა მთის კალთეზე. ისინი უფრო დიდი ზომისაა და მოსახლეობაც ციხის კედლებს შიგნით თავსდებოდა. ამ ციხეებში ცალკე კედლით გამოყოფილია შიდა ციხე - ციტადელი რაც ნიშნავს გაბატონებული ჯგუფის - ტომის ბელადისა და მისი საგვარეულოს გაჩენას და გვაროვნული წყობილების დაშლის დაწყებას. ასეთი ციხეების რიგს მიეკუვთნება: აშკალა, ბეშთაშენი და სხვა.

შემდეგ ჯგუფს შეადგენენ ციხეები გოფრირებული, ტალღისებური კედლებით და მრგვალი კოშკებით - კონტრფორსებით. საკედლე ქვა უკვე ოდნავ დამუშავებულია. ასეთი ციხეები, როგორიცაა, ნორდევანი, გუმბათი, სანთა აგებულია ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს.

მიუხედავად მასალის სიმცირისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველყოფილი საზოგადოების ეპოქაში ჩაისახა წრიული და სწორკუთხოვანი გეგმის სივრცითი კონცეფციები. უკვე მენჰირებში ჩანს ადამიანის სურვილი შექმნას რაღაც მხატვრული სახე - ვერტიკალურად დაყენებული ქვასვეტი თავისი მეტყველი ფორმით შეადგენს არქიტექტურის ერთ-ერთ საფუძველს და ადამიანის მდგომარეობასაც. დოლმენებში პირველად

იფარგლება შიგა სივრცე და მკვეთრად ვლინდება ნაგებობის გარე მოცულობა. საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ ტომების მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე გამომუშავებული ძირითადი არქიტექტურის ტიპები, კონსტრუქციული ხერხები და სამშენებლო ტექნიკა, ფართოდ იყო ათვისებული შემდგომი პერიოდების ქართული ხუროთმოძღვრების მიერ.

თრიალეთის ყორღანების დარბაზთა კედლების გასწვრივ აღმოჩნდა თიხის მრავალი ჭურჭელი. იგი სამი სხვადასხვა ფერისაა - შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი, ნაცრისფერი და წითლად შეღებილი. პირველი ორი ჯგუფისათვის დამახასიათებელია – ამოკაწრვით და ჩხვლეტით დატანებული ორნამენტი, ხოლო წითელ ქილებსა და დერგ-



თრიალეთი.ოქროს თასი, ძვ.წ. 2000-1500 წწ.




ნორდევანი. ციკლოპური ციხის გეგმა, ძვ.წ. I ათასწლ.



კოლხური ცული. გვიანბრინჯაოს ხანა
ძვ.წ.II ათასწლ. ბოლო.

ბზე წითელ ანგობზე შავი საღებავით გამოსახულია ტალღისებური ორნამენტი. მეორე, ღია ფერის ანგობიან ქილაზე ორ სარტყელს შორის აღბეჭდილია დაკლაკნილი მდინარე ტალღისებური ხშირი ხაზებით. ჭურჭლის მკაცრი ფორმები, მსუბუქი ორნამენტის სიზუსტე და ადგილის მარჯვე შერჩევა, მოხატულობის კომპონენტების წონასწორობა და ქოთნის ფორმასთან ორგანული კავშირი - ყოველივე ეს ადასტურებს ამ პერიოდის მეთუნეთა მაღალ ოსტატობას და დახვეწილ გემოვნებას.

ამავე სამარხებში აღმოჩენილია ტორევტიკის მშვენიერი ნიმუშები. მათ შორის უცილობლად აღსანიშნავია ვერცხლის თასი, ვერცხლის პატარა სარწყული და ოქროს ფიალა. მასიური თასი დგას მრგვალ ფეხზე, რომლისზემოთ გამოსახულია ლოტოსის ყვავილი. თასის ტანი ორი სარტყელისაგან შედგება. ქვედაზე გამოსახულია ერთმანეთის უკან მიმავალი ცხრა ფურირემი და ხარირემი. ზედა ზოლში გამოსახულია 23 ანთროპომორფულ არსებათა პროცესია. როგორც ჩანს, ისინი მიემართებიან ტახტზე მჯდომარე ღვთაებისაკენ, რომელსაც ხელში სასმისი უკავია. პროცესიის მონაწილეთაც ხელში სასმისები უპყრიათ. მათ ჩაცმულობაში შეიმჩნევა მგლის, ძაღლის, მელიის ატრიბუტები. ალბათ, აქ ასახულია ნადირობასთან და ცხოველურ ტოტემთან დაკავშირებული რელიგიური წესჩვეულებანი. თასზე გამოსახულია სიცოცხლისა და უკვდავების სასმელის დამზადებისა და განაწილების ცერემონია, დაკავშირებული ნაყოფიერების ღმერთის კულტთან. როგორც თემა, ასევე ფრიზზე ნაკვთების წყობის სისტემა ახლო დგას ხეთო-მიტანურ წრესთან, საერთოდ, წინა აზიის ხელოვნების ტრადიციებთან.

ვერცხლის სარწყული ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ მთელი ზედაპირი ეთმობოდა ტყეს და მის ბინადარ ცხოველებს. აქ ვხვდებით ირმებს, არჩვებს, თხებს. ზოგ მათგანს მკერდში ისარი აქვს გარჭობილი. გამოსახულია ნადირობის სცენა. აღსანიშნავია, რომ აქ მეტყველად არის გამოსახული თითოეული ცხოველის დამახასიათებელი ნიშნები.

ოქროს ფიალა წარმოადგენს ძირისკენ ოდნავ შევიწროვებულ და ქუსლზე შემდგარ ორკედლიან სასმისს. იგი მდიდრულად და ეფექტურად არის შემკული გრეხილებითა და გავარსით მოოჭვილი ვარდისფერი სარდიონისა და ფირუზის ქვებით. საერთოდ, თრიალეთის ეს თასი შემკულობის მოხდენილობითა და დამზადების მაღალი ტექნიკით, მსოფლიო მნიშვნელობის ტორევტიკის ძეგლია.

ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება



სამთავროს სამაროვანი.
შავპრიალა თიხის
ჭურჭელი. ძვ.წ.X-VI სს.

აგრეთვე კახეთში, ალაზნის ველზე გათხრილ გორა-სამარხში აღმოჩენილი ოქროსაგან დამზადებული ლომის მინიატურული ქანდაკება, სტილიზებული ორნამენტით დამუშავებული ფაფრით.

გარდა საყოფაცხოვრებო საგნებისა და სამკაულებისა მორთულობის ელემენტები ვრცელდება ამ პერიოდის იარაღზეც. გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურაში საყოველთაოდ გავრცელებულ იარაღს წარმოადგენდა ბრინჯაოს ცული და სატევარი. კოლხური ცული მეტად მოხდენილი და, ამასთან მოსახმარად მარჯვე იარაღია. კოლხურ ცულებს ახლავს გეომეტრიული და ცხოველური მოტივებისაგან შემდგარი ორნამენტი. განსაკუთრებით ხშირია აგრეთვე ხვიები, ვითარცა გველის სიმბოლური გამოსახულებანი. ცხოველურ მოტივთა შორის გავრცელებულია ზოომორფული გამოსახულება, რომლის საფუძველი ძაღლია. მისთვის დამახასიათებელია დაღებული ხახა, აცქვეტილი ყურები, წვრილი და მაღალი ფეხები და სპირალური ხვიით და ისრის წვერისებურად დაბოლოებული კუდი.

ამავე პერიოდის სამარხებში, გარდა იარაღისა, გვხვდება საკიდებად ან დასადგმელად განკუთვნილი, ცხოველების მცირე ზომის ქანდაკებები. უმთავრესად აქანდაკებენ დათვს, მგელს, ირემს, ძაღლს, ცხენს, გვხვდება ადამიანის ქანდაკებაც. გამოსახულებანი სავსებით რეალისტურია და არ გადადიან ნატურალიზმში. ამის კარგი მაგალითებია: ვერძი,მხედარი, ძაღლი, დათვის ბელები ბრილიდან და გუდაუთიდან. ამასთან ერთად, ქანდაკებაში შეინიშნება სტილიზაციის ნიშნებიც.

გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოს იარაღი მეტად მრავალფეროვანია. ძირითადია მაინც სატევრები და მახვილები, რომელთა ვადები შემკულია სპირალური, დაკბილული და თავზიფხური სახეებით. წვერკვეთილი მახვილების პირზე ხშირად ვხვდებით პირისპირ მდგომ ცხოველთა (ირმები, ძაღლები) ამოკაწრულ გამოსახულებებს.

რაც შეეხება ჭურჭელს, იგი ყველაზე უკეთ წარმოდგენილია მცხეთა-სამთავროს სამარხებში. აქ ყველაზე გავრცელებული ჭურჭელია



სამთავროს სამაროვანი; ბრინჯაოს სარტყელი, ძვ.წ. IX-VII სს.

შავპრიალა და რუხ-მქრად ზედაპირიანი და თანაც, უხვად შემკული რელიეფური, ნაჭდევი, ამოკაწრული და ნატვიფრი სახეებით. უნდა აღინიშნოს კერამიკული ჭურჭლის დახვეწილი ფორმები, მათი გაპრიალებული ზედაპირი, საგანგებოდ ინსტრუმენტებით გამოყვანილი გეომეტრიული სახეები. უფრო იშვიათად გვხვდება რელიეფური ნაძერწი სახეები - ცხოველთა ტანის ან თავის გამოსახულებებით.

ძვ.წ. IX-VII საუკუნეები ამიერკავკასიაში რკინის ფართო ათვისების ხანაა. რკინის იარაღი გაბატონებულია მეურნეობის ყველა დარგში, ხოლო ბრინჯაო გამოიყენება ძირითადად სამკაულებისა და საკულტო დანიშნულების დასამზადებლად. ამ პერიოდში ჩნდება ბრინჯაოსაგან დამზადებული ისეთი საყურადღებო ნიმუშები, როგორიცაა გრავირებული სარტყლები. სარტყელი კეთდებოდა 1,5-2 მმ სისქის ბრინჯაოს ფურცლისაგან, სიგრძით 80-85 სმ, ხოლო სიგანით 16-22 სმ. სარტყლის ბოლოები მომრგვალებულია, ნაპირებზე კი მას პატარა ნახვრეტები ჰქონდა, შიგნითა პირზე ტყავის ან ქსოვილის ამოსაკერებლად. სარტყლის ზედაპირი მთლიანად დაფარულია სხვადასხვა გამოსახულებებით. გვხვდება გეომეტრიული სხეულები, სპირალები, ცხოველთა გამოსახულებანი, ნადირობის სცენები, ღვთაების თაყვანისცემის რიტუალური სცენები და სხვა. ამიტომაც ითვლება, რომ სარტყელს ჰქონდა არა მარტო ჯავშნის ფუნქცია, არამედ საკულტო მნიშვნელობაც. სარტყლების გამოსახულებანი მიეკუთვნება ე.წ. „ცხოველურ სტილს“.

კომპოზიცია აქ დეკორატიულია, ფიგურები კი ძლიერ სტილიზებული. ფორმის მოდელირება სარტყელზე პირობითია, ხაზოვანი და გრაფიკული, თვით ნახატი კი ძალიან პლასტიური. ნაკვთების კონტურების შიგნით გრავირებით დასმულია წერტილები ან ხაზები. ამ ხერხის წყალობით სილუეტი უფრო მკვეთრად გამოიყოფა გლუვ ფონზე და ნაკვთებს მეტყველებასა და ხატოვნებას მატებს. ბრინჯაოს სარტყლები ენათესავებიან ხეთურსუბარულ სამყაროში ცნობილ სათანადო გამოსახულებებს. თრიალეთის არქეოლოგიური მონაპოვარიც ეხმაურება წინა აზიის და კრეტა-მიკენი დაწინაურებულ ცივილიზაციათა კერებს. ამასთანავე, თრიალეთის კულტურა წარმოადგენს სავსებით თავისთავად მოვლენას, განვითარებულს ადგილობრივი ენეოლითური და ადრებრინჯაოს კულტურების ნიადაგზე.

ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგს საწარმოო ძალების განვითარების შედეგად, ქართველი ტომების მიერ რკინის ათვისების ეპოქაში, შეიქმნა გვაროვნული თემის დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების ჩასახვის წინამძღვრები. ენობრივი და კულტურული მსგავსების საფუძველზე ქართველი ტომების ჯერ კონსოლიდაციისა და შემდეგ გაერთიანების შედეგად ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება ორი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, აღმოსავლეთისა - იბერია და დასავლეთისა - კოლხეთი.

ძვ.წ. VI საუკუნეში მიდიელებმა დაამხეს ურარტუს სამეფო, განადგურდა ქართველ ტომთა გაერთიანებები (დიაუხი), რის შედეგად დაიწყო მცირე აზიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ამ ტომების მოძრაობა. ასე, მცირე აზიურ-ხეთური ტრადიციების მატარებელი მესხური ტომების ნაკადმა გადმოინაცვლა ჩრდილოეთით. მათი სახელი შემოინახა ათვისებულმა ტერიტორიებმა - მესხეთი, სამცხე და თვით იბერიის სახელმწიფოს ცენტრმა მცხეთამ.

ძვ.წ. VI-V სს. შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპირო იონელი ბერძნების ყურადღების ცენტრში ექცევა. ბერძნული ახალშენები: ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე), პიტიუნტი (ბიჭვინთა) დაარსდნენ ყველაზე მარჯვე ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა. ბერძნებს, ბუნებრივია, ამოძრავებდა სავაჭრო ინტერესები. მათ საქართველოდან გაჰქონდათ ადგილობრივი მასალები, სამაგიეროდ შემოჰქონდათ თავისი ხელოსნობისა და ხელოვნების ნაწარმოებები.

ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს საქართველოს სამხრეთის რაიონები დაიმორჩილეს აქემენიდებმა - ამ პერიოდში აღზევებულმა ირანის ძლიერმა სახელმწიფომ. ჩრდილო ოლქები კი, სადაც ძირითადად გადაინაცვლეს ქართული ტომების გაერთიანებებმა, არ ცნობდნენ აქემენიდების ხელისუფლებას.

ძვ.წ. II საუკუნიდან იწყება რომის იმპერიის ექსპანსია აღმოსავლეთით. ხანგრძლივი ომების შედეგად რომის მხედართმთავარმა პომპეუსმა დაამარცხა პონტოს მეფე მითრიდატე, შემდეგ გაილაშქრა სომხეთსა და ალბანეთზე. მათზე გამარჯვების შემდეგ ძვ.წ. 65 წელს იგი არმაზის ციხესაც მიადგა. მეფე არტაგი შეურიგდა დამარცხებას და დაზავებაზე დათანხმდა. იბერიის შემდეგ რომაელებმა დალაშქრეს კოლხეთი და მმართველად იქ თავიანთი მოხელე, არისტარქე დააყენეს. რომაელებისათვის რთული იყო შორეულ იბერიაში გამაგრება, მაგრამ პართიასთან ბრძოლაში მათ ესაჭიროებოდათ მოკავშირე. ამიტომ ახ.წ. I-II საუკუნეებში ქართლის მეფეს რომაელთა მოკავშირეობა დაევალა. ამას მოწმობს ახ.წ. 75 წელს იმპერატორ ვესპასიანეს მიერ იბერიის დედაქალაქის ზღუდეების გამაგრება, საჩუქრები რომლებსაც უგზავნიდნენ რომაელები იბერიის

მეფეებს, და ბოლოს, მეფე ფარსმან II მიწვევა რომში და მარსის მოედანზე მისი ცხენზე ამხედრებული ქანდაკების დადგმა.

მთელი ის პერიოდი ასახულია წერილობით წყაროებში. ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, პლინიუსი, დიონ კასიუსი) ლაკონიურ ცნობებში იბერიაზე ნათქვამია, რომ იგი არის განვითარებული მეტალურგიისა და მაღალი სამშენებლო ხელოვნების მქონე ქვეყანა. ეს ცნობები შეივსო არქეოლოგიური გათხრების უტყუარი მასალით, რომლის მიხედვით საქართველოში უკვე ელინისტურ ხანაში არსებობდნენ მნიშვნელოვანი ქალაქები: მცხეთა (არმაზი), ვანი, გორი, კასპი, სარკინეთი, უფლისციხე და სხვა. საქართველოს საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეს ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოსა და ახ.წ. დასაწყისში, გვიხატავენ ვანის, არმაზისხევის, ბორის, კლდეეთის, სამთავროს გათხრების ყოფის საგნები და სამკაულები. სამარხთა ინვენტარის მიხედვით მოსახლეობის მაღალი და საშუალო ფენებიც ფლობდნენ ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელს, შესანიშნავი ხელოვნებით შესრულებულ ოქროს სამკაულებს. ოქროს ბეჭდები პორტრეტული გემებით მარგალიტებით შემკული საყურეები, აჟურული ყელსაბამები და დიადემები, გულსაკიდები და აბზინდები, სამაჯურები და ქამრის ბალთები მოოჭვილი პატიოსანი ქვებით, დამუშავებული გავარსით, გრეხილითა და წნულით, ბრინჯაოსი და რკინის იარაღი, მოხდენილი მინის ჭურჭელი და სხვა, გვისურათებენ მეტალურგიის როგორც ხელოვნების (ტორევტიკა, ჭედურობა) და მინის წარმოების განსაკუთრებულ აყვავებას. იბერიის მოსახლეობის კულტურული დონის მაჩვენებელია აგრეთვე მრავალრიცხოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები. რომლებიც ახ.წ. პირველ საუკუნეებს ეკუთვნის. ეს წარწერები გვაოცებენ თავისი მაღალი სტილით და გრძნობათა უფაქიზესი გადმოცემით (სერაფიტეს საფლავის წარწერა, ზევახისა და კარპაკის გემმა). ეს გარემოება უცილობლად მოწმობს იმ დროის ადამიანთა მაღალ კულტურულ დონეს, რომელთაც ძალუძთ თავისი აზრების ხატოვანი გადმოცემა. ეპიგრაფიკული ძეგლების მეშვეობით ვეცნობით იბერიის სახელმწიფო წყობილებას, მისი რთული მართვის აპარატით, რომელსაც სათავეში ედგა მეფე.

საქალაქო ცხოვრების განვითარება ხელს უწყობდა არქიტექტურის აყვავებას. საზოგადოების სოციალური დაყოფის შედეგად იქმნება საცხოვრებელი სახლების განსხვავებული ტიპები. საქალაქო ცხოვრება მოითხოვდა ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ შენობათა შექმნას, ხოლო გაცხოველებული ვაჭრობა – შესატყვის სასაწყობო და სხვა ნაგებობებს.

ჩნდება საზოგადოებრივ ნაგებობათა ისეთი სახეობანი, როგორიცაა აბანოები (არმაზისხევი, ბაგინეთი, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, ძალისა) თანაც, როგორც ჩანს, აბანოები სავალდებულო ხდება ყველა ქალაქისათვის.

ქალაქში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საკულტო ნაგებობებს. ტაძრები შენდებოდა მაღლობზე, გამოჩენილ ადგილას. გათხრების მასალების მიხედვით, ისინი გულდასმით და მდიდრულად იყო ნაგები (ვანი).

ცხადია, ყველა ქალაქში უდიდესი ყურადღება ეთმობოდა თავდაცვით ნაგებობებს. ქალაქები გამაგრებული იყო მძლავრი თავდაცვითი კედლებით და კოშკებით, საფორტიფიკაციო ხელოვნების წესების დაცვით (არმაზის ციხე, ურბნისი).

საქალაქო ცხოვრების განვითარებამ

მოითხოვა მათი კეთილმოწყობა, პირველყოვ-ლისა, წყალსადენისა და კანალიზაციის მოწ-ყობის მხრივ. წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების სიმრავლისა და სირთულის მხრივ საყურადღებო სურათს გვაწვდის ნაქალაქარი ძალისა.

სოციალური და ქონებრივი დიფერენციაცია აისახა სამარხ ნაგებობებშიაც. მოსახლეო-ის ფართო ფენების მარტივი - კრამიტის, ურის და ქვის საფლავების გვერდით ჩნდე-პიტიახშების (ერისთავების) და მეფის გვარეულოს მდიდრული სარკოფაგები და კლდამებიც.

ამ პერიოდის სამშენებლო ტექნიკა ეყრდ-ობა ძველ ტრადიციებს, მაგრამ ამასთანავე ვითარებს თავის საკუთარ სამშენებლო ბაზას. ამშენებლო მასალის შერჩევა ძირითადად ანისაზღვრება მისი ადგილზე არსებობით, ანაიდან მასალის ტრანსპორტი მშენებლობა-ე ყველაზე შრომატევადი საქმე იყო. ამიტომ ირითადად ხმარობდნენ მახლობელ კარი-ებიდან მოზიდულ ქვას. ძვ.წ. VI-IV საუკუ-ეებში ჯერ კიდევ გამოიყენებოდა ციკლო-ური წყობა, რომლის განვითარებას წარ-ადგენს პოლიგონალური წყობა ქვის მარ-ვი მოსწორებითა და გათლით. ამ ხერხით ერთმანეთთან მორგებული ქვების მშრალი ობა ქმნიდა უფრო მტკიცე კონსტრუქ-ას. ძვ.წ. IV საუკუნის შემდეგ ვრცელდებო-კვადრული წყობა, როგორც საფუძველი იზის კედლების ქვეშ, ასევე დამოუკიდე-ად. თლილი ქვები ეწყობა მშრალად, სნაროდ და მაგრდება ერთმანეთთან "მერ-ლის კუდის" სახის ხის ან ლითონის სამაგ-ბით. ხშირად სამაგრების, გამირების ბუდეები ება ტყვიით. ამავე დროს, გვხვდება რუსტ-ანი წყობა - სადაც კვადრებზე გათლილია პირების ზოლი, ხოლო შუა ნაწილი დაუ-მუშავებელია (ვანი, გორი). კვადრული წყო-ბა ყოველთვის ჰორიზონტულია, ყოველ რიგ-ში ეწყობა ერთნაირი სიმაღლის ქვები. კირის დუღაბის გაჩენის შემდეგ (ძვ.წ. უკანასკნელ საუკუნეებში, თუმცა მატიანეს ცნობით იბე-რიაში კირის დუღაბის გამოყენება დაიწყეს ძვ.წ. III საუკუნიდან) წყობაში გამოიყენება უკვე უხეშად გათლილი ან ნაგლეჯიქვები. ასეთი ქვების პარალელური რიგები ქმნიან კედლის პერანგს, ხოლო შიგნით კედელი ივსება ქვის ნატეხებით კირის დუღაბზე.

განსაკუთრებით გავრცელებულია ალიზის აგურისაგან ქვის საფუძველზე ამოყვანილი კედლები, რომელთა სისქე 2,4-3,6 მეტრს აღწევს. წყობაში გამოიყენება როგორც მთე-ლი აგურები, ისე ნახევრებიც. წყობის სიმტკი-ცის გასაძლიერებლად და კედლის მნგრეველი იარაღის მოქმედების შესამცირებლად, კედ-ლებში დატანებულია ხის მორები ან კოჭები. გადახურვა ძირითადად ბრტყელია ძელქ-ერის სახით. მაგრამ სწრაფად ვრცელდება ორქანობიანი სახურავიც კრამიტის ფენილ-ით. კრამიტი დიდი ზომისაა და ორი სახეობი-სა ბრტყელი და ღარიანი ან ღარისებრი.

ქალაქების აღმოცენებას ჩვეულებრივად უკავშირებენ სახელმწიფოს დაცვას და სავაჭრო გზებს, ხოლო ქალაქთმშენებლობის კულტურა დაკავშირებულია არა იმდენად სამხედრო-ადმინისტრაციულ პუნქტებთან, რამდენადაც სავაჭრო-ხელოსნურ ცენტრებთ-ან. განსაკუთრებით ვითარდება ვაჭრობა ელინისტურ პერიოდში, როდესაც საქართ-ველოს ტერიტორიაზე გადიოდა საერთა-შორისო ვაჭრობის ტრანზიტული გზა აღმო-სავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ცხადია, საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწ-ყობდა ქალაქების აღმოცენება-განვითარებას. გზებისა და მდინარეების გასწვრივ.

ქალაქების მშენებლობისას უპირატესობა ეძლეოდა მთის კალთებს ან პლატოს ბორცვზე. ასეთი მდებარეობა უზრუნველყოფდა წვიმის წყლის ბუნებრივ ჩადენას, მთიდან იშლებოდა საინტერესო ხედები და ქალაქის ინსოლაცია და აერაცია უმჯობესდებოდა. ადგილის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წყლით მომარაგებას, ამიტომ ქალაქი შენდებოდა მდინარის ნაპირას, ანდა ბორცვზე, სადაც არსებობდა მთის წყაროები.



არმაზციხე. სვეტებიანი დარბაზის გეგმა.

ყველა ქალაქი გაშენებულია გაბატონებულ მაღლობებზე, რომელთაც ჰქონდათ ბუნებრივი ზღუდეები ხევების ან მდინარეების სახით, ზოგიერთ შემთხვევაში ქალაქს გარშემორტყმული ჰქონდა ხელოვნური არხები (უფლის ციხე, ურბნისი).

ქალაქს სოფლიდან განასხვავებდა მის კედლებით შემოზღუდვა. ამას გარდა, ქალაქ




არმაზციხე. გალავნის გეგმა და ფასადი;



არმაზციხე. გალავნის კოშკის საფუძველი.

ში უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობები, ქალაქური სახლები და სავაჭრო ადგილები - ქულბაქები. ქალაქის გალავანს, ბუნებრივია, ჰქონდა კარებიც (მცხეთა, ვანი, ბიჭვინთა, სამშვილდე, დმანისი). ქუჩების სიგანე მცირეა და საშუალოდ სამ მეტრს აღწევს. ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს ჩვეულებრივი ხდება ქუჩების მოკირწყვლა (ვანი, ძალისა). მთის ფერდობებზე გაშლაგებული ქალაქები ტერასული სტრუქტურის იყო. შენობები შეჭრილია მთის ფერდობში და იქმნება სხვადასხვა დონეზე მდებარე გრძივი ქუჩები, მათ აკავშირებს მოკლე ქუჩები (ასე იქმნებოდა უბანი). ტერიტორიის რელიეფი მაქსიმალურად იყო გამოყენებული. ამასთანავე, მშენებლებისათვის, ალბათ, არ იყო უცნობი ელინისტური სამყაროს ქალაქთმშენებლობის ხერხები. ცნობილია სტრაბონის ცნობა იბერიის ქალაქების მშენებლობაზე - "არქიტექტურული ხელოვნების წესების შესაბამისად". ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი საფლავის ქვის ეპიტაფია - "ავრელი აქოლისი, არქიზოგრაფი და არქიტექტონი", რომელიც IV საუკუნეს მიეკუთვნება. ამ წარწერის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ - ანტიკურ მცხეთაში უკვე არსებობდა თანამდებობრივი პირი, რომელიც განაგებდა ქალაქის მშენებლობასა და ხუროთმოძღვრებას, მის კეთილმოწყობასა და მხატვრულ სრულყოფას.

ქალაქების ტერიტორია არ უნდა ყოფილიყო დიდი, თუ მხედველობაში მივიღებთ კედლებით შემოზღუდულ ტერიტორიას და არა მის გარეუბნებს კედლებს გარეთ. მსხვილი ქალაქების ფართობი აღწევდა 30 ჰექტარს, მაგრამ უმეტესად მათი ფართობი 4-10 ჰექტარით განისაზღვრებოდა. ქალაქის აუცი-

ლებელი შემადგენელი ნაწილი იყო შიდა-ციხე (აკროპოლისი). ჩვეულებრივად, შიდა-ციხის ერთი ან ორი მხარე ემხრობოდა კლდოვან ფლატეს, ხოლო დანარჩენი მიმართული იყო ქალაქისაკენ (არმაზციხე, ნოქალაქევი, შორაპანი, დმანისი).

იბერიის სამეფოს დედაქალაქი - მცხეთა მდებარეობს მდინარე მტკვრისა და არაგვის შესართავთან. გალავნით შემოზღუდულ ქალაქის გარდა არსებობდა "დიდი მცხეთა", რომელშიაც შედიოდნენ არმაზციხე, არმაზის ხევი, სარკინეთი, წიწამური და ნაქულბაქევი.

არმაზციხე (ბაგინეთი) იბერიის მეფეთა ძველი რეზიდენცია იყო. იგი მდებარეობდა მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდ.მტკვრის გადაღმა, მაღალ ბორცვზე. აქ გამოიყოფა კედლებით შემოზღუდული ნაქალაქარი და შიდა-ციხე მთის ფერდობზე. არმაზციხის ნაგებობანი იქმნებოდა ძვ.წ. V-III საუკუნეებიდან - ადრე შუასაუკუნეებამდე. უძველესი კედლები აგებულია ალიზისაგან კლდეში ჩასმული ქვების საფუძველზე. ქვის მიმმართველები გამაგრებულია კონტრფორსებით და ზღუდარებით, დაახლოებით ყოველ 50 მ. კედლებს ახლავს ოთხკუთხა კოშკები. მომდევ პერიოდის გალავანი კვლავ ალიზისაა ქვის საფუძველზე, მაგრამ კვადრები აქ გულდასმითაა დამუშავებული და ერთმანეთთან დაკავშირებულია "მერცხლის კუდის" ტიპის ხის სამაგრებით. ამ ზღუდესაც, რომელიც ძვ.წ. I საუკუნით თარიღდება, ახლავს მოზრდილი ოთხკუთხა კოშკები. მომდევნო ხანის კედლები ამოყვანილია ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე და თარიღდება ახ.წ. პირველი საუკუნეებით.

არმაზციხის ქვედა ტერასაზე გაშლილია შენობათა კომპლექსი, რომლის ცენტრში იმყოფება დიდი ზომის ოთხკუთხა დარბაზი ანტებიანი შვერილებით აღმოსავლეთის ფასადზე. დარბაზის გრძივ ღერძზე განლაგებული იყო ექვსი სვეტი ხის ღეროთი და ქვის ბაზის-კაპიტელებით. ფასადის ცენტრში მოთავსებულია განიერი შესასვლელი. სქელი კედლები 1,7 მ. სიმაღლემდე აგებულია ქვის კვადრებით, ხოლო ზემოთ ალიზის წყობაა. სვეტებიანი დარბაზის გვერდზე ყოფილა



უჯლისციხე. საერთო ხედი.



უფლისციხე. დიდი დარბაზის ინტერიერი.

ამავე დროის სხვა ნაგებობები, რომელთა ნანგრევებზე ამოყვანილია ახ.წ. I საუკუნისათვის დამახასიათებელი წყობა ე.წ. "რეტიკულატუმი". ამავე ტერასაზე ნაპოვნია კორინთული სვეტისთავი, სვეტების ბაზისები, კესონური პლაფონის ფრაგმენტები, რაც მოწმობს აქ სასახლეების და ტაძრების არსებობას. აქვე ახლოს აღმოჩენილია მცირე ზომის აბანო და ორი აკლდამა. ერთი მათგანი წარმოადგენს მონუმენტურ სამეფო აკლდამის ნანგრევს, ხოლო მეორე დიდებულისა ან მეფის ასულის სამაარხ-სარკოფაგს მდიდარი სამარხი ინვენტარებით.

არმაზციხის თავდაცვითი ზღუდეების ანალოგიური კედლები გამოვლენილია გორში, სარკინეთში და წიწამურში.

ქალაქ გორის დასავლეთით მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას მდებარეობს ნაქალაქარი ურბნისი. იგი როგორც ქალაქი შეიქმნა ძვ.წ. IV-III სს. ქალაქი იყო გამაგრებული რიყის ქვის საფუძველზე ამოყვანილი ალიზის გალავნით. შემორჩენილი საცხოვრებელი სახლებიც ამავე ტექნიკითაა აგებული. მტკვრის ნაპირას ბორცვზე მდებარეობდა შიდა-ციხე. ახ.წ. I საუკუნეში ქალაქის ფართობი გაიზარდა 25 ჰექტარამდე, ამასთანავე მშენებლებმა შეცვალეს ზღუდეთა კონფიგურაცია 4-5 მეტრის სისქის კედლებით და გაამაგრეს იგი მძლავრი კოშკებით.

ძველი საქართველოს არქიტექტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კლდეში ნაკვეთ ქალაქს უფლისციხეს. იგი მდებარეობს ქალაქ გორის აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის მარცხენა მაღალ ნაპირას და მოიცავს 9.5 ჰექტარამდე ტერიტორიას. ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში. ბუნებრივი ქვაბულების საცხოვრებლად გამოყენება დაიწყო ძვ.წ. I ათასწლეულში, ხოლო გეგმარების სტრუქტურა და ძირითადი ნაგებობები მიეკუთვნება ძვ.წ. IV-III სს. ამ დროისათვის უფლისციხე ნამდვილი ქალაქია. სამხრეთიდან და დასავლეთიდან ქალაქი დაცულია ფლატე კლდით, აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან მას კლდეში გამოკვეთილი თხრილი იცავდა. ქალაქს სამი შესასვლელი ჰქონია - დასავლე-



უფლისციხე. ჭერის დამუშავება კოჭებით.

თის გზა კლდეშია გაკაფული, აღმოსავლეთის გზა მიჰყვება ქედს, ხოლო ჩრდილოეთის მხარეს გაჭრილია 60 მეტრის სიგრძის კლდეკარი, ამას გარდა, ქალაქს ჰქონდა საიდუმლო გვირაბი, რომელიც მტკვრის ნაპირამდე ჩადიოდა.

სამხრეთის კლდეკარიდან იწყება ქალაქის მთავარი ქუჩა. იგი ჩრდილოეთისაკენ მიემართება და ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს. ამ ქუჩიდან გვერდებზე გადის მრავალი ვიწრო ქუჩა, სადაც განლაგებულია დარბაზები და სხვა ნაგებობები. დარბაზების უმეტესობას ახასიათებს დაგეგმარების მკაფიო სისტემა - წინ მცირე ზომის ეზოა, რომლის ერთ ან სამ მხარეს განლაგებულია ქვაბულები. ეზოში გამოდის კამაროვანი ან ბრტყელი გადახურვის მქონე კარიბჭე, რომელიც აერთიანებს მასზე დაქვემდებარებულ ქვაბულებს.

სამხრეთის შესასვლელიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, მთავარი კოშკის ზემოთ წარმართული ხანის ტაძრის ანსამბლია - დიდი და მცირე გვერდიგვერდ გამოკვეთილი ტაძრები. მათ აქვთ საერთო წინა ეზო, საიდანაც ვხვდებით დიდ, ამჟამად ჭერახდილ დარბაზში. მის უკან სამნაწილიანი, ფართო და მაღალი კამარით გახსნილი სათავსებია ჯვრული განტოტებით. ამ ქვაბულებს დარბაზი რვა საფეხურიანი კიბით უკავშირდება. შედარებით მარტივია მეორე ტაძარი. იგი გრძივ ღერძზე ასხმულ სათავსოთა რიგს წარმოადგენს. ეს ტაძრები გვიანანტიკური ხანითაა დათარიღებული.

ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარეობს მთავარი ტაძარი. იგი გეგმაში თითქმის კვადრატული ფორმისაა, სამი მხრიდან ეკვრის მცირე ოთახები, ხოლო წინა მხარეს ეზოა. დარბაზის კედლები გულდასმითაა გახეხილი. ჭერზე დატოვებულია ბრტყელი დეკორაციული ელემენტები - ძელური ვადახურვის იმიტაციით. ეს ბრტყელი გადახურვა ეყრდნობოდა ორ რვაწახნაგა ბურჯს. დარბაზის ჭერზე გამოკვეთილია ცილინდრული სარკმელი, რომელიც საჰაეროც და საკვამურიც უნდა ყოფილიყო.

უცილობლად, საყურადღებოა ქალაქის დასავლეთ კიდეზე განლაგებული კომპლექს-



ციხია-გორა. ორმაგპროტომიანი სვეტისთავი

ბი. უკიდურესი ცენტრალური დარბაზი სამხრეთისაკენ ღიაა, გადახურულია ნახევარწრიული კამარით და გარედან შემკულია ფრონტონით. შიგნით კამარა გაფორმებულია რვაწახნაგა კესონებით, რაც ახლო ანალოგიებს პოვებს ანტიკური რომის არქიტექტურულ მორთულობაში. ზოგიერთი მკვლევარი ამ დარბაზს "თეატრონად" თვლის. სამწუხაროდ დარბაზის წინა ეზო სადაც ამფითეატრი უნდა იგულისხმებოდეს, მთლიანად ჩაქცეულია და ამიტომ კომპლექსის დანიშნულების შესახებ ძნელია გადაჭრით ითქვას რაიმე. ამ დარბაზის გვერდით დარბაზების მთელი წყება, რომელთა ჭერი არის გაფორმებული ხის არქიტექტურის მინაბაძი, შეწყვილებული კოჭებით ან ძელებით.

ახ.წ. IV საუკუნიდან ფეოდალიზმის ჩასახვასთან დაკავშირებით, უფლისციხე თანდათანობით კარგავს საქალაქო ცენტრის იერს და მხოლოდ ციხედ და რელიგიურ ცენტრად რჩება. IX ს. დასაწყისში, როდესაც იწყება ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, უფლისციხე ამ ბრძოლაში მონაწილე ძალების ბურჯი ხდება.




ციხია-გორა. ტაძრის გეგმა. ძვ. წ. IV-III სს.

მდინარე მტკვრის ორივე ნაპირას სამადლოს მთაზე და ნასტაგისის ველზე აღმოჩენილია ელინისტური პერიოდის ნაქალაქარი. ადრეანტიკურ პერიოდში სამადლოს ბორცვზე ძველი სამლოცველოს ნანგრევებზე იყო აგებული ცეცხლის კოშკურა ტაძარი. იგი კვადრატული (14X14 მ.) შენობაა, რომლის შიდა კვადრატი 5,5X5,5 მეტრია. მასიური კედლები, კუთხისა და ცენტრალური რეზალიტები, მიანიშნებს ნაგებობის კოშკურ ხასიათზე. ტაძარი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება.

ძვ.წ. III საუკუნიდან ჩამოყალიბდა ქალაქის სტრუქტურა - გამაგრებული შიდა-ციხე სასახლეებითა და ტაძრებით მაღალ ბორცვზე მდინარის მარჯვენა ნაპირას და საკუთრივ ქალაქი ნასტაგისის ველზე. სამადლოსათვის დამახასიათებელია მისი ტერასული დაგეგმარება. ელინისტური დროის მშენებლობა ხორციელდება ხელოვნურ ტერასებზე, საყრდენი კედლებით.

სოფელ კავთისხევის ჩრდილოეთით, მდ.კავთურას ნაპირას ამოზიდულია ბორცვი, რომელზეც აღმოჩნდა ნაგებობათა კომპლექსი — ციხია-გორა. მასში შედის ტაძარი, ბეღელი, სათონე, მარანი და სხვა ნაგებობანი. ისინი შემოზღუდულია ალიზის გალავნით სიგანით 2 მეტრამდე. კომპლექსის ცენტრში დგას საკუთარი გალავნით შემოსაზღვრული ტაძარი. იგი სამსათავსიანია, ნაგებია ნატეხი ქვით და ზემოთ ალიზით. ტაძრის ეზოში დგას ქვით ნაგები სწორკუთხა ფორმის 2 მ. სიმაღლის საკურთხეველი. ტაძრის გალავანში შესასვლელები გაჭრილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს, ხოლო თვით ტაძარში კარი სამხრეთის მხარესაა. ამ ნაგებობას ჩრდილოეთიდან აკრავს ორსართულიანი შენობა, რომლის პირველი სართული ქვითაა ნაგები, ზედა კი ალიზით. ეს სადგომი გამთხრელთა აზრით ქურუმთა სამყოფელს წარმოადგენდა. გათხრისას მიკვლეულ იქნა ორმაგპროტომიანი სვეტისთავი, აშკარად აქემენიდური მხატვრული ტრადიციებისა.

მთავარი ტაძრის დასავლეთით არის მეორე შენობა — მცირე ტაძარი აგებული მარტივი გეგმარებითი სქემით - "კვადრატი კვადრატის კუთხეში". იგი ბანური სახურავით სრულდებოდა. მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით გალავანზე მიდგმულია კიდევ ერთი მრავალოთახიანი შენობა. მისი ცენტრალური სივრცე და გვერდითი ვიწრო სათავსოები მიგვითითებს სამეურნეო დანიშნულებაზე, ხოლო გათხრებისას დანახშირებული ხორბლის აღმოჩენა, აზუსტებს, რომ საქმე გვაქვს ტაძრის ბეღელთან. სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა კიდევ ერთი შენობა, სადაც ხუთი თონე იყო მოთავსებული. ტაძრის კომპლექსში აღმოჩნდა აგრეთვე დიდი მარანი.

ციხია-გორას კომპლექსი თარიღდება ძვ.წ. IV-II სს. არის მოსაზრება, რომ იგი ცეცხლის ტაძარია, რომელიც სამადლოში და დედოფლის მინდორზე აღმოჩენილ ტაძრებთან ერთად დაკავშირებულია აქემენიდურ სამყაროსთან.

ქარელის რაიონში მდინარე ფრონეს აუზში აღმოჩნდა გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი - დედოფლის მინდორი. კომპლექსის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ცენტრალური კვადრატული ეზო, რომლის ოთხივე მხარეს, ცენტრალურ არეებში აგებულია ტაძრები და სამლოცველოები. სამხრეთის მხარეს მოთავსებულია მთავარი ტაძარი, კვადრატული ეზოებით მის ორსავე მხარეს. ტაძრის მთავარი თემაა კვადრატული ოთხსვეტიანი დარბაზი, რომელსაც ახლავს, ასევე ოთხსვეტიანი კარიბჭე. დარბაზს სამი მხრიდან გარს უვლის ვიწრო გარსშემოსავლელი, რომელსაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ორ-ორი გრძელი ოთახი ესაზღვრება. ცენტრალური დარბაზი (ცელა) კარით უკავშირდება გარშემოსავლელს, ხოლო ეს უკანასკნელი ორი ღიობით ცენტრალურ ეზოს. დარბაზში სვეტებს შორის მოწყობილი იყო



დედოფლის მინდორი. სატაძრო ანსამბლის გეგმა, ძვ.წ. I — ახ.წ. I სს.

საკურთხეველი. ცელას და კარიბჭის სვეტები ხის შეწყვილებულ, ხის ბაზისებზე შემდგარ საყრდენებს წარმოადგენენ. ტაძრის გვერდითი მინაშენები კრამიტის სახურავით ყოფილა დახურული, ხოლო დარბაზი და კარიბჭე ბანური სახურავით, რომლის ცენტრში გვირგვინი უნდა ყოფილიყო. ცენტრალური ეზოს სამხრეთის მხარეს — ცენტრში, მთავარ ტაძარს ედგმის მცირე ზომის გახსნილი, ორსვეტიანი სამლოცველო. სვეტები აქაც ხისა ყოფილა, მაგრამ ჰქონია ქვის სვეტისთავები ლოტოსის გაშლილი ყვავილის სახის, ხოლო აბაკა შემკული ვარდულების წნულით.

ცენტრალური ეზოს ჩრდილოეთ მხარეს გამართულია მცირე ტაძარი კარიბჭეთი, რომელიც იმეორებს სამხრეთის სამლოცველოს კარიბჭეს. თვით ტაძარი დაფუძნებულია სქემაზე - კვადრატი კვადრატის კუთხეში. დარბაზის ცენტრში იდგა ერთი სვეტი. ხოლო კარიბჭეში ორი სვეტი. ტაძარი დახურული უნდა ყოფილიყო ორქანობიანი კრამიტის სახურავით. ეზოს დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლების ცენტრში მოთავსებულია ერთნაირი ტაძრები. გარედან ისინი წარმოადგენენ ოთხსვეტიან პრონასოებს, განივად გაჭიმული ცელის ორსავე მხარეს მოთავსებულია ვიწრო ოთახები, ეზოს მხრიდან კი, მოწყობილია ორსვეტიანი კარიბჭეები.

ეზოს ჩრდილოეთ მხარეს განლაგებულია ექვსი ერთნაირი ტაძარი. მათი ცელას ცენტრში თითო სვეტია აღმართული, ხოლო კარიბჭეები ორსვეტიანია. ყოველ ტაძარს ახლავს კვადრატული ეზო.

დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექ-

სი თარიღდება ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეებით. იგი დაფუძნებულია აღმოსავლურ საკულტო არქიტექტურის ტრადიციებზე და დაკავშირებულია ნაყოფიერების იდეასთან, ხოლო არქიტექტურაში გამოკვეთილია "ცეცხლის ტაძრების" ელემენტები.

კოლხეთის ანტიკურ ქალაქებს შორის ძეგლების რაოდენობისა და მრავალფეროვნების მხრივ გამოირჩევა ნაქალაქარი ვანი. იგი მდებარეობს მდ. სულორის ხეობაში მდებარე დაბა ვანის განაპირას ბორცვზე. ძირითადი ნაგებობები განლაგებული ყოფილა სამკუთხა მოყვანილობის ბორცვის სამ ტერასაზე და შემოზღუდულია მძლავრი დამცავი გალავნითა და კოშკებით. კედლები ალიზისაა ქვის საფუძველზე. ჩრდილოეთის მხარეს მოთავსებულია ქალაქის კარიბჭე, აგებული კარგად გათლილი და მორგებული რუსტებიანი კვადრატებით ძვ.წ. III საუკუნეს. შემორჩენილი ვერტიკალური ნარიმანდების მიხედვით, საშიშროების შემთხვევაში კარებზე ეშვებოდა რკინის გისოსი - კატარაქტა. კარიბჭის შიგნით მოწყობილია ეზო, სადაც შემორჩენილია ქალღმერთის ქანდაკების მარმარილოს კვარცხლბეკი. შესასვლელს იცავდა ნახევარწრიული კოშკი, აქვეა ნაგებობათა კვალი, საფიქრებელია, ყაზარმებისა და საცავების. ამას გარდა, შესასვლელთან ახლოს აგებული ყოფილა პატარა ტაძარი - საკურთხეველი.

ქვედა ტერასაზე კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით იდგა დიდი ზომის (800 კვ.მ.) სატაძრო კომპლექსი. აქ გამოიყოფა კვადრატული გეგმის დარბაზი - ცელა, რომელსაც სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ბეღელი. ოდნავ დაშორებით აღმართულია კოშკისებური ნაგებობა. ტაძრის ირგვლივ გამოიკვეთა სარიტუალო ცერემონიების მოედნები, თვით დარბაზში მიკვლეულია ქვის მონოლითური საკურთხევლები და სვეტების ორი ბაზისი.

ცენტრალური ტერასის სამხრეთის ნაწილში ასევე დგას რთული არქიტექტურული კომპლექსი. აქ სახეზეა ტაძარი მოზაიკური იატაკით და ქვის საკურთხევლით, რომლის ირგვლივ აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭელი შემკული არწივებისა და გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს ქანდაკებებით, აგრეთვე დიონისეს წრის პერსონაჟების გორელიეფები (არიადნა, პანი, სატირი, მენადები). როგორც ჩანს, ტაძარი მიძღვნილი ყოფილა მეღვინეობის ღმერთისადმი. ამ ტაძრის დასავლეთით აღმოჩნდა სწორკუთხა ფორმის შენობათა ნანგრევები და მათთან დაკავშირებული ტერაკოტული ნიღბისა და ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები. მოზაიკურ იატაკიანი ტაძრის ჩრდილოეთით მას ემიჯნება მონუმენტური საკურთხეველი საფეხურებით. შემორჩენილია კედლების პარალელური რიგები რუსტებიანი წყობით, კარგად დამუშავებული კვადრებით. აქვე აღმოჩნდა სვეტის ქვის ბაზისი და ორი მშვენიერი სვეტისთავი, რომელთაგან ერთზე გამოსახულია ქალღმერთი, ხოლო მეორეზე აკანთისა და პალმის ფოთლები რელიეფური ვარდულით.

ცენტრალური ტერასის ჩრდილოეთის მხარეს აღმოჩნდა "მრგვალი ტაძარი". ამ ადგილას ადრე ყოფილა სწორკუთხა ფორმის შენობა. ძვ.წ. III ს. ძველი შენობის საძირკველზე ააშენეს მრგვალი შენობა (შიგა დიამეტრი 5.4 მ.). ამავე ტერასის დასავლეთის მხარეს ყოფილა კიდევ ერთი ძვ.წ. II-I სს. საკულტო შენობა. იგი შედგება გალავანზე მიშენებული ორი ნაწილისაგან. სწორკუთხა ბაქანზე აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებულია საფეხურებიანი ნაგებობა - საკურთხეველი, რომელსაც ექვსი სწორკუთხოვანი და ამდენივე წრიული საფეხური ჰქონია.

ცენტრალურ ტერასაზე უნდა ყოფილიყო აგებული მონუმენტური შენობა, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს აქ ნახული ქვაში ნაძერწი ლომების თავები, ამათგან ორი წარმოადგენს სიმებს - სახურავიდან წყლის სადინარებს. ისინი ერთი ზომისაა: სიგრძე - 70 სმ, სიმაღლე - 45 სმ, სიგანე - 35 სმ. ვანის სიმები ლომების გამოსახულებით, წარმოადგენენ ტაძრის ტი-



ვანი. ქალაქის კარიბჭე, ძვ.წ. IV-III სს.

პის შენობის კარნიზის ელემენტს და გვიჩვენებენ ბერძნული არქიტექტურის მოტივების აშკარა გავლენას. ისინი უახლოვდებიან ძვ.წ. III-II სს. ელინისტური ქანდაკების ნიმუშებს. ამავე დროს, მათში ვლინდება აღმოსავლური ხელოვნების, კერძოდ სირო-ხეთური ტრადიციები.

ბორცვის მწვერვალზე ძვ.წ. III-I სს. აგებული ყოფილა დიდი საკურთხეველი - ქვის ბაქანი სიგანით 16 მ., სიგრძით - 9 მ., სადაც მიემართებოდა რვა საფეხურიანი კიბე.

ვანის ნაქალაქარის არქიტექტურულ ნაგებობათა მიხედვით ირკვევა, რომ ადგილობრივი ოსტატები კარგად იცნობდნენ ელინისტურ არქიტექტურას, რომელიც ამ პერიოდში გავრცელებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ელინისტური არქიტექტურის გავლენა თავს იჩენს მხოლოდ სამშენებლო ტექნიკასა და ხერხებში, არქიტექტურულ დეკორში, რაც შეეხება შენობათა გეგმებს და მათ დანიშნულებას, იგი სრულიად განსხვავდება ბერძნული არქიტექტურისაგან.

როგორც ირკვევა, დასახლება ვანში დაიწყო ჯერ კიდევ VIII-VII საუკუნეებში. ძვ.წ. VI საუკუნეში იგი უკვე ქალაქად წარმოგვიდგება და ძვ.წ. VI საუკუნეში ხდება კოლხეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი. ძვ.წ. III საუკუნიდან ვანში აღარა ჩანს საცხოვრებელი შენობები და რჩება მხოლოდ საკულტო ნაგებობები. როგორც ჩანს, ძვ.წ. III-I საუკუნეებში ვანი სატაძრო ქალაქად იქცა. ძვ.წ. I საუკუნეში ქალაქი ყოფილა დანგრეული და შემდგომ აღარ აღდგენილა.

შავი ზღვისპირეთის ქალაქებიდან სადღეისოდ მეტ-ნაკლებად შესწავლილია ბიჭვინთა. რომაელ ისტორიკოსთა ცნობით, ეს ქალაქი - "დიდი პიტიუნტი", არსებობდა ძვ.წ. II საუკუნეში. ქალაქისათვის შერჩეული ყოფი-




არმაზისხევი. აბანოს გეგმა, II-III სს.

ლა ბიჭვინთის წარმტაცი კონცხის მოხერხებული ადგილი. ქალაქი ორი ნაწილისაგან შედგებოდა - დასავლეთის ნაწილი გეგმაში წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთისა - პირველის მიმდებარე, რკალისებური მოხაზულობისაა და ამჟამად სანახევროდ დაჭაობებულია. წერილობითი წყაროების ცნობებით ბიჭვინთაში პირველ საუკუნეებში იდგა რომაელთა გარნიზონი. ამ გარნიზონმა ააშენა ციხე - კასტელიუმი. ზომით 155 მ X 130 მ. და ფართობით 20 000 კვ.მ. იგი მთლიანად შემოზღუდული იყო 3 მ. სისქის გალავნით მძლავრი ოთხკუთხა კოშკებით. დასავლეთის კედლის კუთხურა კოშკები განსხვავებით - სექტორულია და გარედან ხუთწახნაგოვანი. შიდა-ციხის გრძივ ღერძზე გადიოდა მთავარი ქუჩა, რომლის ორსავე მხარეს განლაგებული იყო საცხოვრებელი შენობები, სამეურნეო ნაგებობანი ( მარანი, ყურძნის საწური, აბაზანები, კერამიკული ქურა - სახელოსნო, აბანოები, საკანალიზაციო კოლექტორიდა სხვა). ეს ნაგებობანი მიეკუთვნება ახ.წ. I საუკუნეს, ხოლო ზედა ფენა IV საუკუნეს.

შიდა-ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის გალავნის გარეთ, ნახევარწრიული კოშკებით ფლანკირებული შესასვლელის გვერდით აღმოჩნდა რომაული აბანო, რომელიც III-IV სს. თარიღდება. აბანოში არის ანფილადურად გაწყობილი ხუთი განყოფილება: გასახდელი (აპოდიტორიუმი), ცივი აბანო (ფრიგიდარიუმი), თბილი აბანო (ტეპიდარიუმი) და ცხელი აბანო (კალდარიუმი), განაპირას მოთავსებულია საცეცხლური. გასახდელისა და აბანოების იატაკი მოფენილია კერამიკული ფილებით. აბანოს ქვეშ მოწყობილია კალორიფერები დაბალი სვეტებით. ეს აბანო რომაული აბანოების პრინციპზეა აგებული და განკუთვნილი იყო ფართო საზოგადოებისათვის.

I-III საუკუნეების ძეგლებს შორის აღსანიშნავია არმაზისხევის ქართლის პიტიახშთა - ერისთავთა რეზიდენცია. სამწუხაროდ აქ მიწისზედა ნაწილი ნაგებობებისა თითქმის მთლიანად დანგრეულია. გათხრების შემდეგ გამოჩნდა მოზრდილი, ოთხკუთხა გეგმის დარბაზის ნაშთები. შენობა, რომელიც სასახლეთაა მიჩნეული აგებულია ქვითკირით, ხოლო საპასუხისმგებლო ადგილები თლილი ქვითაა გამოყვანილი. ადგილზე აღმოჩნდა კარის ქვის კარგად გათლილი ზღურბლი, ხოლო ირგვლივ აღმოჩენილი შენობის ფრაგმენტები მეტნაკლებად წარმოდგენას გვიქმნიან სასახლის შესახებ. ასეთებია: კარის თავანი და კარნიზი დამუშავებული პროფილებით და კბილანებით, ჩუქურთმიანი (კორინთული) სვეტისთავი და სვეტის ბაზისი. კრამიტის



"ახალგორის განძი". ოქროს საკიდები ცხენების გამოსახულებით. ძვ.წ. IV ს.



მცხეთა. აკლდამის საერთო ხედი, I ს.



სარკინეტი. სვეტისთავი.

ნატეხების მიხედვით სასახლეს კრამიტის სახურავი ჰქონია. ამგვარად, შენობის გეგმა, სქელი მტკიცე კედლები თლილი ქვის გულდასმით დამუშავებული დეტალები გვანიშნებენ, რომ აქ იყო წარჩინებულთა წრის სასახლე. თუ გავითვალისწინებთ აქვე არმაზისხევში გათხრილი სამარხი - სარკოფაგების ინვენტარს, უცილობლად დავასკვნით, რომ ადამიანები, რომლებიც ხმარობდნენ გემოვნებით შესრულებულ ძვირფას სამკაულებს, მშვენიერ ვერცხლისა და მინის ჭურჭელს, ხატოვნად გამოსახავდნენ თავის აზრებს, ალბათ ცხოვრობდნენ სათანადო სასახლეებში და დარბაზებში.

სასახლიდან ათიოდე მეტრის დაშორებით მდგარა აბანო. მისი სიგრძე 22 მ. უდრის, სიგანე 6 მ. აბანო ერთ ხაზზე განლაგებული ხუთი განყოფილებისაგან შედგებოდა - სათბობი განყოფილება, გასახდელი, ცხელი, თბილი და ცივი აბანოები, რომელთა ქვეშ მოწყობილია გათბობის რთული სისტემა. სათბობი განყოფილება დაკავშირებულია კალორიფერებთან. აქ იატაკის მთელ ფართობზე დგას მრგვალი აგურისაგან აწყობილი I,10 მ. სიმაღლის სვეტები, გადახურული დიდი კერამიკული ფილებით. ჰიპოკაუსტის უთხეებში დამრეცად დატანებულია კერამიკული მილები, რომლის საშუალებით ხორციელდებოდა აბანოს გათბობა. აბანო სასახლის მსგავსად, კრამიტით იყო გადახურული. არმაზისხევის აბანო წარმოადგენდა იბერიის ...ისთავთა რეზიდენციას ახ.წ. II-III სს. შემადგენელ ელემენტს.

ძალისა. მუხრანის ველზე მდ. ნარეკვავის ...ცხენა ნაპირას, სოფელ ძალისას მიდამოებში ...კვლეულ იქნა ნაქალაქარი. აქ აღმოჩნდა ...ლილი ქვებით ნაგები მსხვილ შენობათა ...ები, რიყის ქვით ნაგები საძირკვლები ...ის კედლებისათვის, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელები, ქვის ბაზისები და სვეტისთავები.

უკეთ შემორჩენილია აბანო, რომელიც თითქოს, სასახლის კომპლექსში შედიოდა. რომაული ტიპის აბანო სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: ცივი, თბილი და ცხელი წყლის აბაზანებით და კარგად შემონახული გათბობის ჰიპოკაუსტების სისტემით. თბილი და ცივი აბაზანების, ასევე, უკანასკნელის მომიჯნავე გასახდელის იატაკები დაფარულია მოზაიკით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზაიკური იატაკი "დიონისეს სახლში", რომელიც უშუალოდ უკავშირდება აბანოს გასახდელს. აბანო აგებული უნდა იყოს ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში.

ამ აბანოს მახლობლად აღმოჩნდა მეორე უფრო დიდი (ფართობით 1500 კვ.მ.) უკვე საზოგადოებრივი დანიშნულების აბანო. მასში გარდა ტრადიციული სააბაზანო განყოფილებებისა, შედის ატრიუმი, ღია ეზო და ეგებ სატაძრო ნაწილიც. ყველაზე დიდ ნაგებობას ძალისაში წარმოადგენს სასახლე (მისი ნანგრევის ფართობი 2500 კვ.მ. აღემატება). მასში შედიოდა სამათეულებამდე სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის ოთახი, რომელთა ცენტრში მოთავსებული ყოფილა ეზო-ატრიუმი. ატრიუმის ცენტრში შეიმჩნევა ქვის შადრევნის კვალი. სადგომთა შორის გამოიყოფა დარბაზი, საძინებელი ოთახები და ორგანყოფილებიანი საპირფარეშოც საკუთარი წყალსადენითა და კანალიზაციით. საყურადღებოა, რომ სასახლეს ჰქონია ცენტრალური გათბობის სისტემის ცალკე მდგარი შენობა ჰიპოკაუსტების პრინციპზე.

აბანოს გვერდით აღმოჩნდა საქართველოში პირველი საცურაო აუზი. იგი გეგმაში სწორკუთხედის ფორმისაა და ოთხივე მხარეს, კედლების ცენტრში ახლავს ნახევარწრიული აფსიდები (აუზის ზომებია: სიგრძე 33,4 მ. აფსიდებით 39,6 მ. სიგანე 11,5 მ. შემორჩე-

ნილი კედლების სიმაღლე 2,07 მ.). აუზის კედლები ამოშენებულია რიყის ქვით კირხსნარზე და შიგნიდან მოპირკეთებულია კარგად გათლილი თეთრი ქვის ფილებით. ჩრდილოეთის აფსიდში, რომლითაც აუზი უკავშირდებოდა აბანოს, მოწყობილია ცხრა საფეხურიანი ჩასასვლელი კიბე. სამხრეთ- აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მოწყობილია ქვის მერხები დასასვენებლად. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში მოთავსებული ყოფილა ტრაპი და ჩამკეტი ნაგებობა., რომელიც უკავშირდებოდა კანალიზაციის კოლექტორს. აუზის იატაკი შელესილი იყო ჰიდრავლიკური ხსნარით, ასევე იყო შელესილი აუზის კედლები გარედან.

საცურაო აუზს სამხრეთიდან მიშენებული აქვს კიდევ ერთი დიდი ნაგებობა. მას შვიდი დარბაზი ჰქონია, აქედან სამს შვერილი აფსიდები ახლავს - შუაში სამწახნაგოვანი, გვერდებზე კი ნახევარწრიული. აფსიდიანი ოთახების ჩრდილოეთის კედელში მოწყობილია ვიწრო გამჭოლი თაღები, საფიქრებელია - გათბობისათვის ცხელი ჰაერის გასატარებლად. ამ შენობის დანიშნულება ჯერ არაა დადგენილი, საფიქრებელია რომ აქ რომაული კურიების ტიპის დარბაზები იყო. ვინაიდან ამ შენობას მშენებლობისას დაუზიანებია სასახლის წყალსადენის გაყვანილობა, ამდენად იგი მოგვიანო ხანისაა, ალბათ IV-V ს.

ძალისას კომპლექსი თავისი შენობების მიხედვით წარმოადგენდა დიდი, მაღალი რანგის მოხელის რეზიდენციას. როგორც ირკვევა, ძალისას დასახლება ძვ.წ. მიწურულში გადაქცეულია რეზიდენციად, რომლის განვითარება მოდის ახ.წ. I-III სს., ხოლო შემდეგ საუკუნეებში იგი განადგურდა.

უცილობლად მნიშვნელოვანი ძეგლია სადგურ მცხეთასთან აღმოჩენილი აკლდამა. იგი აგებულია საგანგებოდ ამოჭრილ ოთხკუთხა ქვაბულში, რომლის კედლები ამოყვანილია ნატეხი ქვით. თვით აკლდამა სწორკუთხოვანი ფორმისაა, შესასვლელით აღმოსავლეთის ფასადურ კედელში. კედლები აგებულია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით, ამავე ქვითაა გამოყვანილი აკლდამის ნახევარწრიული კამარაც. იატაკი დაფენილია ქვის ფილებით, ხოლო კედლები დაფარულია ნალესობის თხელი ფენით. ერთადერთი გახსნილი ფასადის კედელი დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე და დასრულებულია მარტივლავგარდიანი ფრონტონით. საყურადღებოა, რომ ლავგარდანის ქვედა კუთხეები, ტიმპანი და კედლების ზედა ნაწილები ერთ კვადრშია გამოკვეთილი, რაც ამაგრებს ფრონტონს. აკლდამა დახურულია მცხეთაში გავრცელებული ტიპის დიდი ზომის კრამიტით.

ცხადია, მცხეთის აკლდამა შედის ანტიკური ძეგლების წრეში, მაგრამ აქ სახეზეა თავისთავადი ნიშნებიც. ფასადის გადაწყვეტა ორიგინალურია, ფრონტონს არა აქვს ჰორიზონტული კარნიზი, რაც იშვიათია ბერძნულ და რომაულ არქიტექტურაში და პირიქით, დამახასიათებელია შუა საუკუნეების ყველა ქართული ძეგლისათვის, წყობაში არა ჩანს კლასიკური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მკაცრი სისტემა და სხვა მრავალი. აკლდამა აგებულია ახ.წ. I საუკუნის ბოლო მეოთხედში.

ანტიკური პერიოდის ქართულ არქიტექტურას ახასიათებს სისადავე და ორგანულობა. მასების განაწილებისა და საერთო ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს სწორკუთხედი, რომელიც ხშირად უახლოვდება კვადრატს. შენობები გამოირჩევა მარტივი პროპორციებით (1:1: 1:2). შენობათა კომპოზიცია ექვემდებარება სიმეტრიის ძირითად ღერძს, რომელიც ავლენს მათ ფრონტალობას ხაზგასმული ფასადით. შესასვლე-

ლი წარმოადგენს ფასადის (უმეტესად სამხრე-
თის) კომპოზიციურ ცენტრს.სვეტები რით-
მელად არის განაწილებული ერთნაირ მან-
ძილზე. შენობათა დეტალურმა გაზომვამ
გამოავლინა ის სიგრძის საზომთა ერთეულე-
ბი, რომლითაც სარგებლობდნენ ხუროთ-
მოძღვრები და მშენებელნი. როგორც ირკვე-
ვა, სიგრძის საზომს წარმოადგენდა წყრთა,
რომლის სიდიდეა 52 სანტიმეტრი. ამ წყრთის
ჯერადია მაგალითად, სვეტებიანი დარბაზის,
არმაზციხის, გორის, სარკინეთის ძირითადი
ელემენტები. ასე არმაზციხის ალიზის აგურის
ზომებია - 52 X 52 X 12 სმ, 52 X 26 X 12 სმ,
სამადლოში - 50 X 50 X 10 სმ, 50 X 22 X
11 სმ. შემდგომ, უფრო გვიანდელ ფენებში
გვხვდება 46-48 სმ. ძველი საქართველოს
სიგრძის საზოთა ერთეულების სიახლოვე წინა
აზიის და მცირე აზიის (ბაბილონი - 53,1 სმ,
პერსეპოლისი - 52,5 სმ, ეგვიპტე - 52,4 სმ.)
სათანადო განზომილებებთან - წყრთასთან,
გვიჩვენებს ძველი საქართველოს მჭიდრო



ვანი. ლომის თავი, ძვ.წ. III-II სს.



ხაიში. ხის
სახლის ოქროს
მოდელი,
ძვ.წ. III ს.

ურთიერთობას ძველი აღმოსავლეთის კულ-
ტურსთან.

ამ პერიოდის ქართული არქიტექტურის
ზოგიერთი ხერხები ავლენენ გარკვეულ
კონტაქტებს წინა აზიის ხალხების კულტურ-
ასთან. ალიზის კედლები ქვის საფუძველზე
გვხვდება ხეთურ ქალაქებში ალალახში და
სამალში, ტელ-ტანაიტის ბორცვზე. ანალო-
გიურია არა მარტო ალიზის აგურის დამზა-
დების ხერხი - ბზანარევი თიხა, არამედ
აგურის ზომები. არმაზციხის ორიგინალურ
სვეტებში, სადაც ხის ღერო შეთავსებულია
ქვის ბაზის - კაპიტელებთან, შეიძლება
დავინახოთ კავშირი სირო-ხეთურ ნაგე-
ბობებთან, კერძოდ, ალალახის კომპლექსში,
ნინევიასა და კალახში. დედოფლის მინდო-
რის ხის შელესილი სვეტები და კაპიტელები,
ციხია გორას სვეტისთავი ამსახველია აღმო-
სავლეთის არქიტექტურის და კერძოდ აქე-
მენიდური. ირანის საკულტო და საერო
ხუროთმოძღვრების ტრადიციებისა. ქართუ-
ლი ხელოვნების კავშირი აღმოსავლეთის
ტრადიციებთან ვლინდება ყოფისა და მორთუ-



არმაზისხევი. ყელსაბამი, II ს.

ის საგნებში, მითოლოგიაში, ენობრივ
— ში, დამწერლობასა და ტოპონიმიკა-

ნსაკუთრებული სიფთრთხილეა საჭირო
ის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხ-
ნაყოფიერების ქალღმერთის კულტი
შეწირულებით, რქებიანი საკურთხევ-
თრიალეთიდან, ურბნისის კერები,
მენტიკის ცალკეული მომენტები - ყოვე-
ეს გვიჩვენებს საქართველოს და ეგეო-
ხმყაროს რელიგიურ წარმოდგენებისა
ულტურის გარკვეულ მსგავსებას, რაც
ზღვრება სამეურნეო-საზოგადოებრი-
ფუძვლით. საგულისხმოა მაგალითად,
ინის ტიპის საცხოვრებლის იდენტური
არება. როგორც ჩანს, აქ სახეზეა კულ-
ლი სამყაროს გარკვეული მსგავსება,
იც ისტორიულად ყალიბდება ჯერ
ძვ.წ. II ათასწლეულიდან.
ართველოს არ ასცდა ელინისტური

კულტურის გავლენაც. ჩვენს წელთაღრიცხ-
ვამდე უკანასკნელ საუკუნეებში შეიმჩნევა
ბერძნული ენისა და დამწერლობის ხმარება,
დასაფლავების წესების შეცვლა, ჩნდება სვეტ-
ები დორიული, იონური და კორინთული
სვეტისთავებით. კოლხეთში ეს გავლენა ჩანს
სატაძრო ნაგებობათა კონსტრუქციულ ელ-
ემენტებში, არქიტექტურულ ფორმებსა და
დეკორში (ვანი), ხოლო იბერიაში, ძირით-
ადად, გამოიხატება კრამიტის გავრცელება-
ში და ნაგებობათა ორკალთიან სახურავებ-
ში. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სა-
ქართველოში არ ჩანს ბერძნული ტიპის ტაძ-
არი, საქმე გვაქვს მხოლოდ ცალკეულ ფორ-
მათა დასესხებასთან.



არმაზისხევი ყელსაკიდი, II ს.

რამდენადმე უნდა ასახულიყო ქართულ კულტურაში იბერიისა და რომის ურთიერთობა ახ.წ. I-III სს. მართლაც ეს ურთიერთობა ვლინდება სამკაულებსა და ყოფის საგნებში (ვერცხლის ჭურჭელი, გემმები ანტიკური მითოლოგიის სიუჟეტებით და სხვა). რომის მხატვრულ გემოვნებას ასახავენ უფლისციხის დარბაზები კესონურად დამუშავებული პლაფონით. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ სტრაბონის ცნობაც იმის შესახებ, რომ იბერიაში, რომაელების აქ გამოჩენამდე ბევრად ადრე, იყო "განვითარებული საქალაქო ცხოვრება და არქიტექტურული ხელოვნების შესატყვისი მშენებლობა".



არმაზისხევი. ზევახ ერისთავის და მისი მეუღლის კარპაკის გამოსახულება ბალთის თვალზე, I-II სს.

ძვ.წ. VI-IV სს. დასავლეთ საქართველოში ხელოვნება ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით. კერამიკული ჭურჭლის ნაწილი შემოტანილი ჩანს - ეს არის შავლაკიანი მოხატული ჭურჭელი: კანფარები, ამფორები, ლეკიფები, სკიფოსები, კრატერები, ჰიდრიები. ჭურჭელი შემკულია გრავირებით ან ტვიფრით შესრულებული ორნამენტით და მოხატულია. მეორე ნაწილი - ქვევრები, ქოთნები და სასმისები აშკარად ადგილობრივი წარმოშობისაა. ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილია ძვ.წ. V ს. თასი, რომელსაც შუაში ომფალოსი აქვს და ნაპირებზე შემოუყვება განშლილრქებიანი ირმის თავების რელიეფური გამოსახულებანი. ომფალოსი შემოფარგლულია ხაზოვანი და წერტილოვანი ორნამენტით, ხოლო თვით ზედაპირზე გამოსახულია დახვეული გველი. საყურადღებოა თასზე დაცული წარწერაც - "ვეკუთვნი აპოლონ წინამძღვარს, რომელიც ფაზისშია". ამგვარი მოყვანილობის თასები ხშირად გვხვდება საქართველოში და მათ ადგილობრივ წარმოშობაზე მიგვითითებს. ასეთია ვანში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალებიც ომფალოსებით და ორნამენტაციით, ახალგორის განძის ფიალები ომფალებით, ფსკერზე ნუშისებრი უბეებით, ასეთივეა თასი ყაზბეგის განძიდან.

სოხუმში ზღვის უბეში აღმოჩენილია მარმარილოს საფლავის ქვასტელა. აქ გამოსახული სამფიგურიანი კომპოზიცია ტრადიციულია და ატიკური სკოლის ძვ.წ. V-IV საუკუნეების ნაწარმოებს წარმოადგენს.

ძვ.წ. VII-VI სს. მიეკუთვნება სტეფანწმინდის განძის მცირე ქანდაკებები. ეს ქანდაკებები დაკავშირებულია მამაკაცის ნაყოფიერების კულტთან. მიუხედავად ფორმების განზოგადოებული გადმოცემისა, ისინი ხასი-



არმაზისხევი. ასპარუგ ერისთავის პორტრეტი ბეჭდის თვალზე.



ბრინჯაოს ბალთა, II-III ს.ს.

ბიან ექსპრესიით, ხოლო დეტალების მენტული სტილიზაცია ანიჭებს მათ რატიულობას.

ნდაკების განვითარების ტენდენციები ნევა განთქმულ ჭვირულ ბრინჯაოს ბალ- ა, რომლებიც გავრცელებულია ძვ.წ. III ენიდან ახ.წ. III საუკუნემდე, ძირით- რაჭა-ლეჩხუმში, მესხეთ-ჯავახეთში და ლეთში. ბალთები სწორკუთხედის მოყ- ობისაა, მათ გარშემო მოუყვება განიერი ული ჩარჩო კუთხეებში დატანებუ- ებით. ჩარჩოს შიგნით არეზე მოთავსე- სხვადასხვა სახის რთული კომპოზიცი- მელთა ცენტრალურ ელემენტს წარ- ენს დიდი ცხოველის (ირემი, ცხენი ან სტიკური ცხოველი) გამოსახულება. ნილ არეს ოსტატურად ავსებს აჟურუ- რნამენტი შიგ ჩაქსოვილი მცირე ცხოველების ნაკვთებით. ბალთებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული დეკორატიულობა, ხაზოვანი დინამიკა - ნატიფი ხაზი დამუშავება. ბალთების სიმბოლიკა ასახავს ბუნების მფარველი დედის ზოომორფულ სახეებს — ირემი, ჯიხვი, ძაღლი, თევზი, გველი და ფრინველები - ცხოველები, რომლებითაც ღვთაება განაგებს თავის საბრძანებელს - დედამიწას, ცასა და წყლის სამყაროს. ბალთები თავისი დახვეწილი ფორმებით, შესრულების მანერით და საერთო სტილით, უკავშირდებიან ადგილობრივი მატერიალური კულტურის ძეგლებს და ამასთანავე წარმოადგენენ ახალ საფეხურს ხელოვნების განვითარებაში.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია შუა ანტიკურ პერიოდში ტორევტიკამ და საიუველირო ხელოვნებამ. ამის მაჩვენებელია ახალ-

გორის განძი, რომელიც ძვ.წ. VI-IV სს. თარიღდება. განძში უამრავი ოქროს ნივთია - თავსამკაულები, საკიდები, ბალთები, ვარდულები შემკული რელიეფური სახეებით, დამუშავებუ-ლი გავარსით და ნატვიფრით. საკიდთა შორის გამოირჩევა ორი, წყვილ-წყვილი ცხენების შესანიშნავი ნაკვთები, შემკული ჩუქურთმებით და უხვად მორთული დამატებითი მოწკარუნე საკიდებით. ეს განძი წარმოდგენას იძლევა ძვ.წ. I. ათასწლეულის შუა ხანების ეკონომიურად დაწინაურებულ საზოგადოებაზე.

იუველირული ხელოვნების უამრავი ძეგლია მოპოვებილ ვანის ნაქალაქარზე . თავსაბურავის ოქროს სამკაულები, საყურეები, სამაჯურები, რომელთა ბოლოები შემკულია ლომის ან ვერძის თავების ქანდაკებებით, ყელსაბამები, დიადემები ცხოველთა ბრძოლების გამოსახულებებით და მრავალი სხვა, ძვ.წ. VI-IV სს. ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ ვანის სამკაულში ჩნდება პოლიქრომია პატიოსანი ქვების და ინკრუსტაციის სახით. ამის ბრწყინვალე ნიმუშებია ოქროს გულსაკიდი (პექტორალი) და დიადემა.

აღსანიშნავია ხაიში (სვანეთი) აღმოჩენილი სახლის ოქროს პატარა მოდელი. ამ სახლს აქვს ორფერდა სახურავი, ჩანს ხის კედლების კონსტრუქცია და დამშვენებულია ადამიანთა და ფრინველთა ნაკვთებით.

ადრინდელ ხანაში ხელოვნების დაწყებული აღმავლობა, ვითარდება გვიანანტიკურ ეპოქაშიც. საფიქრებელია, რომ საქალაქო ცხოვრების განვითარებას უნდა მოჰყოლოდა ქარდაკების განვითარებაც. ქართული წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ ადგილობრივი წარმართული ღმერთების სკულპტურული ნაკვთების შესახებ. ამ პერიოდის ქანდაკების შესახებ უტყუარ საბუთს იძლევა



არმაზციხე. სარკოფაგის სარეცლის ფეხების დამუშავება, II-III სს.

საირხეში (საჩხერის რაიონი) ნაპოვნი ლომის ნატურალური სიდიდის ქვის ქანდაკება და ორი დიდი ზომის სვეტის კაპიტელები მორთული ლოტოსისებრი ფურცლებით. ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება ვანში აღმოჩენილი რკინისაგან გამოჭედილი მამაკაცის ნაკვთი, რომელსაც ოქროს მავთულისაგან გაკეთებული საყურე და ხატისუღელი ეკეთა. უკანასკნელ პერიოდში, იმავე ვანში მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკებათა მრავალი ფრაგ-



ძალისი. "დიონისეს სახლის" მოზაიკური იატაკი, III ს. დასაწყისი.

ენტის შემდეგ, ნაპოვნია ჭაბუკის ბრინჯაოს ესანიშნავი ფიგურა იგი უკვე ნატურალური ომისაა, რაც ჭეშმარიტად მოწმობს ანიკურ საქართველოში ქანდაკების განვითაებას მით უფრო, რომ ვანში ნაპოვნია ნდაკებათა ჩამოსასხმელ სახელოსნოს ნაშებიც.

გვიანანტიკურ პერიოდში ახ.წ. II-IV სს. ოგორც ჩანს, მცხეთის არმაზციხის, არმაზისხის, ბორის, კლდეეთის სამარხი ინვენტარის ხედვით, დეკორატიულმა - გამოყენებითმა ლოვნებამ მიაღწია ძალიან მაღალ დონეს. ის მაჩვენებელია არმაზისხევში ნაპოვნი რტყლის ოქროს ბალთები, საყურეები და მაჯურები შემკული ფერადი თვლებით. განსაკუთრებით საყურადღებოა ოქროს ყელსაბამი შედგენილი ოქროს მავთულების რგოლებისაგან და მთლიანად მოოჭვილი სისხლისფერი ალმანდინის ქვებით. ამ ყელსაბამს ქვედა ნაწილში მიმაგრებული აქვს მრგვალი ყუთი ჭვირული კედლებით და ასევე შემკული წითელი ალმანდინისა და ფირუზის ქვებით. ნამდვილად ბრწყინვალეა მეორე გულსაკიდი, რომელიც რთული აღნაგობისა: ორ მჭიდროდ დაწნულ ძეწკვს შორის დამაგრებულია მრგვალი კოლოფი მორთული ფერადი ქვებით და ცენტრში მოთავსებულია ამეთვისტოს სკულპტურული ვერძისთავი. მის ქვემოთ ოქროს ჯაჭვზე ჩამოკიდებულია ოქროს კულონი მოჭედილი ალმანდინის მცირე კოპ-

ბით. კულონში ინახებოდა ბავშვის სარძევე კბილები, ხოლო ზედა კოლოფში არომატული ნივთიერებანი. ასევე აღსანიშნავია ხანჯლის ოქროს ტარი და სამაჯურები ფერადი ინკრუსტაციით. ზოგიერთ ნივთზე უკვე გვხვდება ტიხრული მინანქრის ელემენტები.

ფართო გავრცელება ჰპოვა გლიპტიკამაც. ამის ნიმუშებია არმაზისხევის ოქროს ბეჭედი, რომელსაც ამშვენებს სარდიონში გამოკვეთილი პორტრეტი გემმა. აქ გამოსახულია მოხუცი კეხიანი ცხვირით, გრძელი თმებითა და წვერ-ულვაშით. სახასიათოა ღრმად ჩამჯდარი თვალები და სახის მკაცრი გამომეტყველება. წარწერა გვამცნობს, რომ აქ გამოსახულია ასპარუგ პიტიახში. აქვე აღმოჩენილ სარტყლის ოქროს ბალთაზე ძოწისა თუ ალმანდინის გემმაზე ამოკვეთილია ქალისა და მამაკაცის შეწყვილებული პორტრეტები, რომლებიც ერთმანეთს შესცქერიან. მამაკაცი მოხდენილი და კეთილი სახისაა, ხოლო ქალს უფრო მკაცრი და ნებისყოფიანი სახე აქვს. როგორც წარწერიდან ირკვევა, ესენი არიან პიტიახში ზევახი და მისი მეუღლე კარპაკი.

მდიდრულ სამარხებში გვხვდება ლითონის მხატვრული დამუშავების ნაწარმი - ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი. ჭურჭლის. ერთი ნაწილი ელინისტურ-რომაული წრისაა. ასეთებია არმაზისხევის პინაკი მარკუს ავრელიუსის გამოსახულებით, პინაკი ანტინოეს მედალიონით, ბურსუმა პიტიახშის პალმეტებით შემკული დიდი ლანგარი, პინაკი არწივის გამოსახულებით.

ჭურჭლის ნაწილი აღმოსავლური, კერძოდ, სასანური წარმოშობისაა, ასეთია ვერცხლის თასი არმაზისხევიდან, რომელზეც რელიეფურად გამოსახულია სასანური დიდებული ყვავილით ხელში. ამავე დროს, არმაზისხევის და ბაგინეთის სარკოფაგების სარეცლების მოხარატებული, ვერცხლით შემოსილი ფეხები, რომელთა დეკორს შეადგენენ ფასკუნჯები, ვერძისთავები და სხვა ცხოველები, ბორის, არმაზისხევის და ზღუდარის პინაკები სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენით დამახასიათებელია ადგილობრივი ხელოვნებისათვის და ალბათ, ადგილობრივი ხელოსნების ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

როგორც აღინიშნა, ძალისში აღმოჩენილი აბანოს გასახდელს ემხრობოდა "დიონისეს სახლი" მოზაიკური იატაკით. აბანოს ცივ განყოფილებაშიც შემორჩენილია მოზაიკის ფრაგმენტები ზღვის ფაუნის თემაზე (ზღვის ნიჟარა და დელფინი), თბილ განყოფილებაშიც მცირე ფრაგმენტებია მცენარეული ორნამენტების, ფარშევანგის გამოსახულება და ორსტრიქონიანი წარწერა. გასახდელის მოზაიკური იატაკიდან შემორჩენილია ამჟამად განადგურებული კომპოზიციის მხოლოდ ფართო არშია, რომელიც შედგებოდა სწორკუთხოვანი მონაკვეთებისაგან სიმეტრიულად განმეორებული გეომეტრიული კომპოზიციებით.

"დიონისეს სახლი" მართკუთხა დარბაზია (ზომით 8,1 X 6 მ.), რომელიც აღმოსავლეთით კარით უკავშირდებოდა აბანოს გასახდელს დასავლეთიდან მას სასახლის სენაკები ემიჯნებოდა, ხოლო სამხრეთით დარბაზის შესასვლელია, რომლის წინ ეზო დაფარული ყოფილა უხეში მოზაიკით.

დარბაზის ცენტრში გამოყოფილია დიდი კვადრატული პანო. რომელსაც სამი მხრიდან მიუყვება განიერი, გეომეტრიული და მცენარეული მოტივების ორნამენტით შემკული ბორდიური. მეოთხე, შესასვლელის მხრიდან კი გამოსახულია ვაზის ლერწებით შედგენილი ვოლუტების ფრიზი, გამობმული მტევნებისა და ბროწეულის ნაყოფით. ვაზის ძირზე

დაყრდნობილია ნიღაბი მეტყველი გამოსახულებით.

ცენტრალურ კვადრატში ჩახაზულია ოთხმკლავი არე, ისე, რომ კვადრატის კუთხეებში ჯვრის მკლავებით შექმნილია მცირე კვადრატები. ცენტრალურ არეში ვაზის ტალავერის ქვეშ მერხზე სხედან დიონისე და მისი მეუღლე არიადნე. მათ ვინაობას გვამცნობს ბერძნული წარწერა. დიონისეს და არიადნესაც ძალაუფლების ნიშანი ტირსი უპყრია. არიადნეს მარჯვენა ხელში უკავია რიტონი, ხოლო დიონისეს მარჯვენა ხელი ძევს მეუღლის მხარზე. დიონისეს მარცხნივ დგას პანი სალამურით ხელში, ხოლო არიადნეს გვერდით ტუნიკით შემოსილი, ისევ საკრავიანი, ძალზე დაზიანებული ფიგურა (სატირი, მენადა?). ძირითადი ჯგუფის მარჯვნივ გამოსახულია მრგვალი სამფეხა მაგიდა, რომელზეც დგას ორი კილიკი, ქვემოთ კი მაღალი ჰურჰელი - ოინოხოი. ჯვრის დასავლეთის მკლავი მთლიანად განადგურებულია, მოჩანს მხოლოდ ქალის კაბის მცირე ნაწილი და ფეხები. ჯვრის ზედა მკლავზე გამოსახულია ორი გრძელსამოსიანი ქალი, მარცხენას ქნარი უჭირავს, მეორეს კი ფლეიტა. საფიქრებელია, რომ აქ მუზებია გამოსახული. მათ შორის მოთავსებულია წარწერა - "მოხსენებულ იქნეს პრისკე, რომელმაც ეს გააკეთა". ასეთი სამშენებლო წარწერები საერთოდ იშვიათია. ცხადია ოსტატის სახელს არ მოიხსენიებდნენ, უფრო სარწმუნოა აქ დავინახოთ დამკვეთი, ქტიტორი პრისკე. დიონისეს და არიადნეს ფიგურების ქვემოთ მოზაიკა განადგურებულია, ჩანს მხოლოდ ცხოველის, ალბათ, ავაზის ნაკვთი, რომლის ქვემოთ იკითხება - აგლაი ქარიტი, გამოსახულებები კი მთლიანად განადგურებულია. საფიქრებელია, რომ ქვემო მკლავში ორი ქალის ფიგურა, ან სამივე გრაცია ყოფილიყო გამოსახული. (აგლაი - ბრწყინვალება, თალია - ფერი და ეფროსინე - მხიარულება). ოთხ ნაპირა კვადრატში გამოსახული ფიგურები წელიწადის დროთა აღმნიშვნელი პერსონიფიკაციებია - ფრთოსანი ჰაბუკი გვირგვინით თავზე და ხილით სავსე კალათით ხელში - შემოდგომაა. ქალი ლანგრით, რომელზეც დევს გირჩი - ზამთრის ალეგორიაა. ყრმა თავთავებიანი თაიგულით ზაფხულს გამოხატავდა, ხოლო მეოთხე, მცენარეული ყლორტებით - გაზაფხული უნდა იყოს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მთელი ეს კომპოზიცია ორიენტირებულია ჩრდილოეთით, შესასვლელი კი სამხრეთის მხარეზეა, იქით არის მიმართული ნიღაბი არშიაზე. ეს ალბათ, აიხსნება იმით, რომ მოზაიკური პანო აღიქმებოდა ჩრდილოეთის კედლის ზონიდან, სადაც იდგა საბანკეტო დარბაზის - ტრიკლინიუმის მაგიდა და ტახტები.

ძალისის მოზაიკა ხასიათდება აგების ტექტონიკით. ნაკვთებში ჯერ კიდევ იგრძნობა ელინისტური ხელოვნების ტრადიციები - მოძრაობა ცოცხალია, ფორმა გამოსახულია შუქ- ჩრდილით, მაგრამ ძირითადი უკვე არა პლასტიკური ძერწვაა, არამედ ხაზოვანი ნახატი. მიუხედავად განზოგადოებული მოდელირებისა, სახეები მეტყველია და თითქოს ინდივიდუალურიც. მოზაიკა გემოვნებითაა შესრულებული და მისი ოსტატის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ძალისის მოზაიკის შედარება ამ პერიოდის მრავალრიცხოვან ძეგლებთან, გვარწმუნებს, რომ იგი მიეკუთვნება რომის იმპერიის აღმოსავლეთის არეალს, კერძოდ ანტიოქიის სკოლას. მოზაიკა შესრულებულია III საუკუნის პირველ მეოთხედში. რაც შეეხება მის ოსტატს, იგი

ეცხოელია, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა, ან ადგილობრივი მხატვარი დაუფლებული ხელობას ანტიოქიის სკოლაში.

ძალისის მოზაიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს დიონისეს კულტის პოპულარობას საქართველოში, სადაც განვითარებულია მევენახეობა და მეღვინეობა. მარტო უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია: პანის ბრინჯაოს ქანდაკება მცხეთის აკლდამაში, დიონისეს და არიადნეს ტერაკოტული ქანდაკებები სარკინეთში, დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება სოფელ კოდისწყაროდან, ვერცხლის სარკე შემკული დიონისეს მიერ არიადნეს გაღვიძების რელიეფით სამთავროდან და სხვა.

ძალისის მოზაიკა კვლავ გვიჩვენებს იბერიის მჭიდრო კონტაქტებს დასავლურ - რომის სამყაროსთან და ელინისტურ კულტურასთან აღმოსავლეთის ქვეყნებში.

## ადრინდელი ფეოდალიზმი

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მეურნეობის დაწინაურებისა და ახალი დარგების განვითარების შედეგად თემური მიწათმფლობელობა კერძო, საოჯახო მიწათმფლობელობით იცვლებოდა. ყოფილ მეთემეთა დიდი ნაწილი, ასევე როგორც მონები ყმა-გლეხობის მდგომარეობაში იქცეოდნენ. ქვეყანაში ფეხს იკიდებს ფეოდალური ურთიერთობა.

ფეოდალური ურთიერთობის დამკვიდრებას ხელი შეუწყო IV საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად აღიარებამ. მეფემ და მიწათმფლობელებმა გამოიყენეს ახალი რელიგიური მოძღვრება თავისი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებისათვის ქურუმებთან ბრძოლაში. ამასთანავე ქრისტიანობა წიგნიერი რელიგია იყო. იგი ხელს უწყობდა ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის განვითარებას. სწორედ ამ დროიდან საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართული დამწერლობა. ამავე დროს ქრისტიანობის ძველ რელიგიასთან ბრძოლის შედეგად განადგურდა წინა პერიოდის ბევრი ძეგლი.

საშინაო სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ქართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდა გარეშე პოლიტიკურ პირობებს, კერძოდ რომისა და სასანიანთა ირანის ბრძოლას ამიერკავკასიაში პირველობისათვის. IV საუკუნის მიწურულს ქართლი გარკვეული დროის მანძილზე ირანის მოხარკე ხდება, ხოლო ირანის მოხელე პიტიახში თბილისში ზის.

დასავლეთ საქართველოში, ქართლის მსგავსად, ქრისტიანობა IV საუკუნეში გავრცელდა. აქ არსებული სამთავროებს შორის ყველაზე მეტად დაწინაურდა ლაზების სამთავრო. IV საუკუნის დასასრულისათვის ჩამოყალიბდა ერთიანი სამეფო ეგრისი ანუ ბიზანტიელების მიხედვით ლაზიკა. ეგრისის მოსახლეობამ ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად დაამარცხა ციხეებში ჩაყენებული ბიზანტიელთა გარნიზონები და გამარჯვებას მიაღწია.

VI საუკუნის დამლევისათვის, როდესაც ქართლი განთავისუფლდა ირანელთა ბატონობისაგან, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფეოდალური წყობილების ბრძოლა სამეფო ხელისუფლების მოსპობით დამთავრდა. სამეფო ხელისუფლება შეცვალა უმაღლესი ფეოდალური წრიდან განჩენილმა ერისმთავრობამ.

საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა შეწყდა VII საუკუნის დამლევისათვის არაბთა შემოსევასთან დაკავშირებით. არაბთა ბატონობამ დაარღვია ქვეყნის მთლიანობა. იწყება ქართლიდან მოსახლეობის ლტოლვა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაბთა რეჟიმის სიმკაცრის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს საქართველოს კულტურული ცხოვრების სერიოზული შეფერხება. ქართული რელიგია და კულტურა იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ მაინც ახერხებდა გარკვეულ განვითარებას.

VIII და IX სს. მიჯნაზე კახეთში, ტაო-

კლარჯეთსა და აფხაზეთში ახალი ფეოდალური სამთავროების აღმოცენებასთან დაკავშირებით იწყება მეურნეობისა და ვაჭრობის აღმავლობა. კვლავ გაშენდა გაუდაბურებული პროვინციები, შეიქმნა მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ნაგებობანი. ტაო-კლარჯეთში დაარსებული მონასტრები (შატბერდი, ხანძთა, ოპიზა, იშხანი) გადაიქცნენ ნამდვილ კულტურულ კერებად, სადაც ვითარდებოდა მწერლობა, ხელოვნება, ფილოსოფიური აზროვნება.

ამგვარად, IX საუკუნის მეორე ნახევრისათვის თითქმის მთელ საქართველოში შეიმჩნევა დიდი აღმავლობა, ნიადაგი მზადდება საქართველოს გაერთიანებისათვის.

**ნაგებობათა ძირითადი სახეები.** წინაფეოდალური პერიოდის განხილვამ გვიჩვენა, რომ საქართველოს უკვე ამ დროისათვის ჰქონია სავსებით ჩამოყალიბებული მიღწევები და ტრადიციები განსაკუთრებით არქიტექტურის დარგში. შემორჩენილი ძეგლებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით, ადრინდელ შუა საუკუნეებში საქართველოში ინტენსიურად შენდება ქალაქები სათანადო ადმინისტრაციული ნაგებობებით, ეკლესიები და მონასტრები, სასახლეები სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით, ქსენონები, ფუნდუკები, აბანოები, ხიდები, თავდაცვითი ნაგებობები და სხვა. სამწუხაროდ, საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები შემორჩენილია გაცილებით მცირე რაოდენობით ვიდრე საკულტო შენობები. ასეთი მდგომარეობა სავსებით გასაგებია თუ გავითვალისწინებთ, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში ქრისტიანული მოძღვრება იდეოლოგიის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. ეკლესია ხელისუფლების დასაყრდენი იყო და ტაძრების მშენებლობა ყოველთვის შემდეგი თაობების ზრუნვისა და განახლების საგანს წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც საერო თუ თავდაცვით ნაგებობები, რომლებსაც პირველყოვლისა ანადგურებდა გარეშე თუ შინაური მტერი, იშვიათად თუ შეკეთდებოდა შემდეგ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არა მარტო საცხოვრებელი სახლები, არამედ ფეოდალთა სასახლეები არ შენდებოდა ისე მტკიცედ და მონდომებით, როგორც ეკლესია-მონასტრები.

**სამშენებლო ტექნიკა.** ადრინდელი შუა საუკუნეების ყველა მონუმენტური შენობა საქართველოში ქვისგანაა აგებული კირის დუღაბზე. ამასთანავე სხვადასხვა კუთხეში იხმარებოდა განსხვავებული წყობა, გამომდინარე არსებული სამშენებლო მასალის ხასიათიდან. ასე კახეთში კედლები იგება შერჩეული და წესიერ რიგებად დაწყობილი, ოდნავ დამუშავებული ყორექვით. პერიოდის ბოლოს (VIII-IX სს.) შენობის ყველა საპასუხისმგებლო ადგილები - კუთხეები, კარსარკმლების წირთხლები, თაღები ამოყვანილია ფოროვანი წყლის ტუფის - შირიმის კვადრებით. შავი ზღვის სანაპირო ზოლში შენობები აგებულია ყორექვით, რიყისქვით, ზოგჯერ კონგლომერატის ბლოკებით. ხშირად წყობაში გარკვეულ სიმაღლეზე, წყობის გასწორების მიზნით დატანებულია მოზრდილი ბრტყელი აგურის შრეები. დანარჩენ რეგიონებში კედლის წყობას ჩვეულებრივ შეადგენს კარგად გათლილი და წესიერი ფორმის ქვის კვადრები. კვადრებით მოპერანგებულია არა მარტო ფასადები, არამედ შენობის შიგა კედლებიც, ისე რომ შემოსვის ფილები შეადგენენ ორმხრივ პერანგს, რომელიც კედლის ამოყვანასთან ერთად თანდათანობით ივსება დუღაბით ან ყორე ბეტონით. შემდგომში შემავსებელი სისქე იზრდება და კვადრები, ა!

უჯარმა
რეკონსტრ.



ტაბ. V ციხის რეკონსტრუქცია.

უფრო სწორედ ფილები, წარმოადგენენ კედლის მხოლოდ სამოსელს. ადრინდელი ძეგლებისათვის აგრეთვე დამახასიათებელია კვადრების წიბოების ირიბად ჩათლა, რაც ხაზს უსვამს ნაკერებს. ზოგიერთი შენობის კვადრებზე დაცულია ქვის მთლელთა (კალატოზთა) ნიშნები - (მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, წრომი, სამშვილდეს სიონი). მონუმენტური შენობები გადახურულია კამარებით, რომლებიც ქარგილების საშუალებით იკვრებოდა. სიხისტის გასაძლიერებლად კამარები დანაწევრებულია გამბჯენი თაღებით. კარებსა და სარკმლებს ძირითადად აქვთ თაღოვანი დამთავრება. ნახევარწრიულ თაღთან ერთად ამ პერიოდში გავრცელებულია ნალისებური - საზეიმო თაღი.

კონსტრუქტიულ ხერხებში განსაკუთრებით აღსანიშნავია კედლების გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გაადასვლის სისტემა ე.წ. ტრომპების საშუალებით, რამდენიმე საფეხურად. ამ პერიოდის მიწურულში ჩნდება აფრები (ვაჩნაძიანი), რომლებმაც განდევნეს ტრომპები. ადრინდელ პერიოდში იშვიათად იხმარება მონოლითური სვეტები. ჩვეულებრივად, ცალკე მდგომ საყრდენებად ტაძრებში იხმარება გეგმაში კვადრატული ან ჯვარისებრი ქვის ბურჯები. ერთმანეთთან ისინი დაკავშირებულია თაღებით და არა არქიტრავული გადახურვის შემწეობით.

როგორც ამ პერიოდის სამშენებლო ტექნიკა მოწმობს, იგი აღომცენებულია წინა ეპოქის სამშენებლო ტრადიციებზე, უდუღაბო ქვის წყობაზე, რითაც აიხსნება ქვის გულდასმით დამუშავებული და ზუსტად მორგებულიკვადრების გამოყენება, წყობაში მათი სწორ რიგებად დაწყობა და ლითონის გამირებთ დაკავშირებაც.

ქალაქთმშენებლობა. ფეოდალიზმის განმტკიცების პერიოდში ვაჭრობისა და ხელოსნობის აღმავლობა ხელს უწყობს საქალაქო ცხოვრების განვითარებას. აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს მნიშვნელოვან ქალაქებს წარმოადგენენ: მცხეთა, უჯარმა, თბილისი, ბოლნისი, მანგლისი, რუსთავი, სამშვილდე, ჸერემი. დასავლეთ საქართველოში - ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი (ნოქალაქევი), შორაპანი, ვარდციხე, ქუთაისი, სკანდა. ყველა ეს ქალაქი აგებულია სტრატეგიულად მარჯვე ადგილას, გაბატონებულ მაღლობზე. ქალაქებს ჰქონდა თავდაცვითი ზღუდეები და გამოყოფილი შიდაციხე. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც უკვე ვერ თავსდებოდა ციხის კედლებს შიგნით, ცხოვრობდა ქალაქის კედლებს გარეთ.

ადრინდელ შუა საუკუნეების ქალაქებს შორის უკეთ არის შემორჩენილი და შესწავლილი უჯარმა. ძველი ქართული მატიანეები მის აშენებას წინქრისტიანულ ხანას მიაწერენ. IV საუკუნეში აქ თითქოს ცხოვრობდა მირიან მეფის ძე რევი. V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალს აქ გადმოუტანია მცხეთიდან თავისი რეზიდენცია.

უჯარმა მდებარეობს მდინარე ივრის შუა წელზე, საკმაოდ მაღალ ბორცვზე. ციხექალაქი შედგება შიდაციხისაგან მთის პლატოზე და ქვედა ციხისაგან, რომელიც მდებარეობს დამრეც ფერდობზე. უჯარმას აქვს წესიერი სწორკუთხედის ფორმა და მთლიანად შემოზღუდულია გალავნით, რომელსაც ახლავს ცხრა ოთხკუთხა კოშკი. გალავნის კედელი ებჯინება ბურჯებს ისე, რომ ამ უკანასკნელთა ნახევარი გამოდის გალავნის ხაზის გარეთ. კოშკები ორ ან სამ სართულიანია და ზემოთ აქვთ კბილანებიანი საბრძოლო ბაქანი. გარე მხრიდან კოშკები ყრუ კედლებითაა დახშული, სამაგიეროდ ქალაქის მხარეს ყოვ-




ნაქალაქევი. გეგმა, I-II ს.ს.

ე კოშკს მაღალი და განიერი ნალისებური სხაზულობის თაღოვანი კარ-სარკმლები და აკიდული აივნები ახლავს. განსაკუთრებით მოირჩევა მდინარის პირას გალავნის ცენრში მდებარე სამსართულიან კოშკი, სადაც ყოფება საგანგებოდ გამაგრებული წყლის რი. ციხეში კიდევ ერთი შესასვლელია სავლეთის მხარეს მდებარე კოშკის ქვედა რთულში.

შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში იმყოფება შედარებით მოზრდილი ორსართულიანი შენობა სარდაფით. საფიქრებელია, რომ ეს იყო მეფის სასახლე, სამყოფელი. შიდაციხის შუა ნაწილში იმყოფება "ჯვარპატიოსნის" ძველი ეკლესია, აქვე ახლოა წყლისა და ხორბლის შესანახი ნაგებობანი და სამეურნეო შენობები.

უჯარმის ნაგებობათა და ზღუდე-კოშკების

მთელი სისტემა ავლენს საშენებლო ხელოვნების მაღალ დონეს. კედლების შესანიშნავი წყობა, ბურჯებისა და შენობების დიადი, მონუმენტური და ხალისიანი ფორმები და უნაკლო შესრულება, საფუძველს იძლევა მივაკუთვნოთ იგი ქართული თავდაცვითი არქიტექტურის საუკეთესო ძეგლთა რიცხვს.
უჯარმის საბრძოლო სისტემა განხორციელებულია V და VI საუკუნეთა მიჯნაზე ერთიანი გეგმითა და შესანიშნავი ოსტატის ჩანაფიქრით, რომელიც იცნობდა ანტიკური ციხე-ქალაქების მშენებლობის ტრადიციებს.

თუ უჯარმა ივრის ხეობაზე კონტროლისათვის შექმნა ვახტანგ გორგასალმა, მანვე ალაზნის ველზე გასვლის მიზნით ააგო ჭერემი.

ქართლის ცხოვრების მიხედვით ჭერემი გორგასალს აუშენებია და შემდეგ უბოძებია დაჩისათვის. ჭერემში გორგასალი აწესებს საეპისკოპოსო კათედრას. დღეს ჭერემი ნაქალაქარია, რომლის გათხრების გარეშე რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი ძნელია. ქალაქს დიდი ტერიტორია ეკავა. ამჟამად ჭერემში დაცულია დიდი ტაძარი, "წვეროდაბალი", სამეკლესიანი ტაძარი, ორი მცირე ეკლესია და ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევი. დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა უკვე გამოავლინეს სასახლის ტიპის დიდი ნაგებობები აგებული უჯარმისათვის დამახასიათებელი წყობით.

ჯერ არაა სათანადოდ შესწავლილი საქართველოს ძველი დედაქალაქის - მცხეთის ეს პერიოდი. ქალაქი გაშენებულია მტკვრისა და არაგვის შესართავთან ძვ.წ. IV-III საუკუნეებში. არმაზციხე, როგორც ჩანს, ვერ იტევს მოსახლეობას და იგი გადადის მცხეთაში. წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ ამ დროს მცხეთაში საქმობდნენ მეხამლეები (მეფეხსაცმლე), მეჯადაგეები (მეტყავე), ოქრომჭედლები. მისი დიდი ტერიტორია შემოზღუდული ყოფილა ქვისა და ალიზის გალავნით. გალავანში ყოფილა რამდენიმე კოშკებით გამაგრებული შესასვლელი. საკუთრივ ქალაქში ამ პერიოდში არსებობდა დიდი ბაზილიკა სვეტიცხოველი, სამთავრო, ანტიოქიის ეკლესია, გეთსიმანია დასავლეთით და ჯვარის ტაძარი მთის წვერზე. ქალაქი იყო მჭიდროდ გაშენებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლებით.

თბილისი, რომლის არსებობა დამოწმებულია უკვე IV საუკუნეში, საუკუნის ბოლოს იქცევს ვახტანგ გორგასლის ყურადღებას. იწყება ციხე-ქალაქის მშენებლობა, რომელიც მთავრდება VI საუკუნეში დაჩის მიერ. პირველყოვლისა აგებული იყო შიდაციხე სა··ლაკის ქედის სტრატეგიულად მარჯვე ადგილას. შიდაციხის მიმდებარე ტერიტორია - კალას, ბუნებრივად იცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან წავკისის წყლის ხეობა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მდ.მტკვარი. ჩრდილო-დასავლეთის დაუცველ მხარეს აგებულ იქნა ზღუდე, რომელიც მტკვრამდე ჩამოდიოდა. ზღუდე აგებული ყოფილა აგრეთვე წავკისის წყლის ხეობის გასწვრივ, რაც დამატებით ამაგრებდა კალას. საფიქრებელია, რომ შიდაციხეში უნდა ყოფილიყო მთავრის რეზიდენცია; გალავნით შემოზღუდულ კალაშ განლაგებული იყო დიდებულთა და მდიდა ვაჭართა სახლები. გალავნის გარეთ ქ იქნებოდა სავაჭრო - სახელოსნო უბანი. ბაზარი მოთავსებული იყო გალავანთან, გალავნის შიგნით ან ქალაქის კარის მახლობლად. ამ დროისათვის უკვე უნდა არსებულიყო მოედანი, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი "ციხის მოედანს" უწოდებ (მოგვიანებით თათრის მოედანი). VI-VI

საუკუნეებში თბილისში უკვე იყო ორი ტაძარი სიონი და ანჩისხატი (თავდაპირველად წმ. მარიამის ტაძარი.) რაც გვიჩვენებს, რომ ეს უბანი უკვე დასახლებული ყოფილა.

როგორც აღინიშნა, ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს დაიწყო რომის ექსპანსია აღმოსავლეთით. რომაელები დაეპატრონენ კოლხეთსაც და ეს გავლენას ახდენდა ქალაქების განვითარებაზე. ახ.წ. III საუკუნისათვის რომის იმპერიის დასუსტებამ საშუალება მისცა ეგრისელებს გააერთიანონ დასავლეთ საქართველო და შექმნან ეგრისის (ლაზიკის) სამეფო. თავის ცენტრად ახალი სამეფო ირჩევს ციხეგოჯს (მისი თანამედროვე სახელი ნოქალაქევი მომდინარეობს არქეოპოლისიდან, როგორც მას ბიზანტიელები უწოდებდნენ).

ამჟამად მიმდინარე არქეოლოგიურმა გათხრებმა ჯერ ვერ მიაკვლიეს ქალაქის უძველეს ნაგებობებს, რომელთა ცალკეული კვადრები გვხვდება გვიანდელ შენობათა წყობაში - მეორადი გამოყენებით.

ქალაქი განლაგებული ყოფილა მაღალი მთის კალთებზე და ეკავა 20 ჰექტარი. იგი სამი ნაწილისაგან შედგებოდა - ქვედა ნაწილი, სადაც განლაგებული იყო ქალაქის ძირითადი ნაგებობები, მთის კალთები განკუთვნილი კარნიზონისათვის და შიდა-ციხე მთის პლატოზე. ქალაქი შემორტყმული იყო თავდაცვითი კედლებით. პირველი კედელი აგებული III და IV საუკუნეთა მიჯნაზე, სისქით აღწევდა 1,6 მეტრს. როგორც ჩანს, ამ კედლებმა ვერ გაუძლეს მტრის შემოსევას და V საუკუნის შუა წლებში სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან მათ დაემატა მეორე 2 მეტრის სისქის კედელი. მესამე, კოშკებიანი კედელი აგებულია ქალაქის ქვედა ნაწილში, ყველაზე შეუვალ ადგილას. ამ კედელმა გაუძლო VIII საუკუნემდე, სანამ იგი არ დაანგრია არაბთა მხედართმთავარმა მურვანმა.

ქალაქის ქვედა ნაწილში გამოვლინდა ფართო თაღოვანი შესასვლელი, რომელიც შემდეგ ამოუქოლავიათ და კარი გაუჭრიათ ჩრდილოეთით. დასავლეთის მხარეს ქალაქს ჰქონია კლდეში ამოკვეთილი გვირაბი სიგრძით 50 მეტრამდე და სიგანით 2,2 მ. ხოლო სიმაღლით 5 მეტრამდე. გვირაბი ქალაქიდან მდინარე ტეხურამდე ჩადიოდა.

ამ ნაწილში აღმოჩნდა ორი სასახლის, ოთხი ეკლესიის, ორი აბანოს და სხვა ნაგებობათა ნაშთები. პირველი ორსართულიანი სასახლე მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. სასახლეს ჰქონია სწორკუთხა დარბაზი აივნებით ორი მხრიდან, დანარჩენ ორ მხარეს განლაგებული ყოფილა სამ-სამი ოთახი. სასახლე თარიღდება IV საუკუნით და დაინგრა V საუკუნეში. მას შემდეგ ქალაქი კვლავ აღადგინეს. ახალი სასახლე უფრო მცირე ზომისა აუგიათ, სამაგიეროდ იგი უკვე სამსართულიანი ყოფილა. ეკლესიებიდან ყველაზე ძველი IV საუკუნით თარიღდება. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ორივე აღმოჩენილი აბანო. პირველი აბანო დიდი ზომისაა და რთული გეგმის. იგი განსხვავდება ამ პერიოდში გავრცელებულ აბანოებისაგან, სადაც შესასვლელი და გამოსასვლელი განცალკევებულია. აბანოში შესული ხვდებოდა ჯვარული გეგმის დიდ დარბაზში, აქედან ცივ აბანოში ორი ცივი აბაზანით, აქედან კარით გადიან თბილ აბანოში, სადაც ნახევარწრიული ფორმის აბაზანაა. მარცხნივ ცხელი საბანაოა, რომელიც ორი სათავსისაგან შედგება, ბოლოში არის საცეცხლე და საქვაბე. ჯვრის მოხაზულობის დარბაზი, ალბათ, დასასვენებელია. მისი იატაკი მოფენილია დიდი ზომის აგურით. კედლები თლილი ქვითაა ნაგები, კამარაც ამოყვანილია თეთრი ქვის

კვადრებით. საფიქრებელია, რომ აბანო სამეფო ყოფილა და აგებულია IV-V სს. მეორე უფრო მცირე აბანო მდებარეობდა ნაქალაქარის სამხრეთ მხარეს. იგი სამოქალაქო დანიშნულებისაა და თარიღდება V-VI საუკუნეებით.

ნოქალაქევის თავდაცვითი კედლები სამი პერიოდისაა. უძველესი კედლის სისქე 180 სმ, მეორისა - 130 სმ, ხოლო მესამისა - 250 სმ. პირველი და მეორე კედელი აგებულია ოდნავ დამუშავებული ყორე ქვით, მესამე კედელი თლილი ქვისაა. პირველი კედელი აგებულია IV საუკუნეში, მეორე - IV-V საუკუნეებში, უკანასკნელი კედელი კი V ს. ბოლოს ან VI საუკუნის დასაწყისში.

VI საუკუნის ბიზანტიური წერილობითი წყაროები დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ბიზანტია ირანის ომებთან დაკავშირებით, ასახელებენ ლაზიკის უმთავრეს ქალაქებსა და ციხეებს - არქეოპოლის - ნოქალაქევთან ერთად ქუთაისს, როდოპოლისს (ვარდციხე), სკანდეს და სარაპანას (შორაპანი).

შორაპანი და სკანდე იბერიის საზღვართან მდებარეობდნენ და გზას კეტავდნენ, ამ ციხეებში ომის დაწყების წინ იმპერატორმა იუსტინიანემ შეცვალა ლაზები რომის გარნიზონით, რომელმაც მალე დატოვა ეს ციხეები და ისინი სპარსელებმა დაიკავეს. 532 წლის დაზავების შემდეგ, ორივე ციხე გადავიდა რომაელების ხელში, მაგრამ ლაზებმა იმის შიშით რომ სპარსელები კვლავ დაეუფლებოდნენ მათ, თვითონ დაანგრიეს ორივე ციხე. ამგვარად ეს ორივე ციხე არსებობდა 532 წლამდე.

შორაპანი ქუთაისთან იხსენიება, როგორც დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ქალაქი. შორაპნის ციხე მდებარეობს კლდოვან ბორცვზე, ფლატე კალთებით. გალავანი სისქით 1,2 მ, გამაგრებული იყო კონტრფორებით. უძველესი კედლები აგებულია შერეული წყობით, სადაც ქვის წყობაში დატანებულია მსხვილი აგურის ფენები, რაც ათარიღებს ამ კედლებს IV-V საუკუნეებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შორაპანში ბევრ ადგილას აღმოჩენილია ქვის კვადრები ანტიკური პერიოდისათვის დამახასიათებელი "მერცხლის კუდის" სახის სამაგრებით. ციხეს ახლავს კამარით დახურული გვირაბი, რომელიც ციხიდან მდინარე ყვირილამდე ჩადიოდა.

სკანდეს ციხეც მდებარეობს კლდოვან ბორცვზე და მასაც გალავანი ჰქონდა შემოვლებული. კედლების ნაწილი აქაც შერეული წყობითაა შესრულებული და IV საუკუნით თარიღდება.

ვარდციხე იყო ლაზიკის მნიშვნელოვანი ქალაქი. მის საფორტიფიკაციო სისტემაში გამოიყოფა ზღუდის სამი პერიოდის კედლები. უძველესია ერთი მეტრის სისქის კედელი, რომელსაც უკავშირდება კოშკები. კედლები პოლიგონური წყობისაა ფლეთილი ქვისაგან. ეს კედლები თარიღდება IV საუკუნით. მეორე, უფრო მძლავრი კედლები აგებულია უფრო მსხვილი კირქვისაგან და ახლავს აგურის შრეები, რაც მათ V-VI საუკუნეთა დასაწყისით ათარიღებს.

არიანეს ცნობით II საუკუნის 30-იან წლებში აფსაროში ხუთი რომაული კოჰორტა მდგარა. აფსარ-გონიოს ციხე მდებარეობს ბათუმის სამხრეთით 7 კილომეტრის მანძილზე. გეგმაში ციხე ზუსტი ოთხკუთხედია, მისი სიგრძე - 245 მეტრი, სიგანე - 195 მეტრი. მას ჰქონდა 18 კოშკი და ოთხი კარი. ამ კარების განლაგება ოთხივე მხარეს, დამახასიათებელია რომაული ციხეებისათვის - კასტელუმებისათვის. ციხეში შეიმჩნევა სამი სამშენებლო ფენა. ამასთანავე ორი უძველესი ფენა ძნელად

გასარჩევია, ვინაიდან წყობა მსგავსია. ძველი კედლების სისქეა 2,3-3,1 მეტრი, სიმაღლეზე შემორჩენილია მხოლოდ ორ მეტრამდე და აგებული ყოფილა კვადრების სწორი რიგებით და თარიღდება III-V სს. დანგრეულ კედლებზე შემდეგ ამოყვანილია ახალი კედლები 1,6 მ. სისქისა, თანაც კედლის სისქის შემცირება მოხდა შიგნიდან, ისე რომ ორივე ფენის კედლები თანხვდენილია. ციხის უძველესი ფენის ნგრევა, ალბათ, უნდა მომხდარიყო იმ დროს, როდესაც ლიკვიდირებული იყო რომაული სამხედრო ბაზა. VI საუკუნეში აფსარის ციხე გადადის ბიზანტიელების ხელში, რომლებმაც აღადგინეს ციხე. ციხის კედლებს ჰქონია ქონგურები, რასაც მოწმობს შემორჩენილი ფრაგმენტები. მესამე ფენა გონიოს კედლებისა შეიმჩნევა არსებული გალავნის წყობის ზედა ნაწილებში, სადაც განსხვავებული, წვრილი ქვებით შედგენილი წყობაა. ეს უკანასკნელი სამშენებლო ფენა ეკუთვნის XVI საუკუნეს, როდესაც ოსმალოებმა დააშენეს მოტაცებული გონიოს კედლები.

**საკულტო ნაგებობანი.** ძვ.წ. I ათასწლეულის დამლევს ცეცხლთაყვანისმცემლობამ შერწყმულმა ადგილობრივ ნაყოფიერების ასტრალურ კულტებთან მიაღწია IV საუკუნის 30-იან წლებამდე, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარეს. ქართული ხუროთმოძღვრების წინაშე დაისახა ახალი თემა – ქრისტიანული ეკლესია შენობა მლოცველების თავშეყრისა და რელიგიურ წესჩვეულებათა შესასრულებლად. ორი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ამ იემის სრულყოფის გადაწყვეტა. ამ დროს მიმდინარეობდა დაწინაურებული სამყაროს წევათა შეგნებული ათვისება და ამასთანროვნული ნიშნების დახვეწის პროცესი. თავს იჩენს ქართულიკულტურის ორიენტაცია ქრისტიანულ დასავლეთზე და ხმელთაშუა ზღვის პირეთზე და ერთდროულად, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან არსებული კავშირები. ასეთ ვითარებაში ქართულმა ხელოვნებამ მოიპოვა თავისი მკვეთრი ეროვნული ხასიათი, რაც განსაზღვრა სამშენებლო საქმის და გამოყენებითი ხელოვნების საუკუნოვანმა ტრადიციებმა.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შექმნაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა საცხოვრებელ სახლებს, რომელთა საწყისები ძვ.წ. V ათასწლეულზე მოდის. ამ სახლების კვადრატული გეგმები შეთავსებული ერდოიან ცრუგუმბათებთან, რომელსაც ჩვენში "დარბაზების" გვირგვინს უწოდებენ, გადამწყვეტია სწორედ თავისი ცენტრალური გეგმისა და მრავალი საუკუნის მანძილზე გუმბათისებური სივრცისადმი დაყინებული მისწრაფების წყალობით.

IV საუკუნის პირველი ქართული ეკლესიები ნაკლებადაა შემორჩენილი. ისინი დანგრეულია ან მრავალჯერ გადაკეთებული. ხშირ შემთხვევაში ეკლესიებს აგებდნენ მლოცველებისათვის ჩვეულ, ფსიქოლოგიურად ათვისებულ, ძველი კულტით ნაკურთხ ადგილებში (მცხეთის ჯვარი, მარტვილი ზედაზენი). ეს ძეგლები მცირე ზომისაა და მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად საყურადღებო. ეკლესიების ქვეშ იმყოფება სამარხები, რაც იმის მაუწყებელია, რომ ისინი წარმოადგენენ მორტირიუმებს, წმინდანის აკლდამაზე აგებულ სამლოცველოებს (სვეტიცხოველი, მანგლისი, შიომღვიმე, წილკანი და სხვა). აქ აღსანიშნავია სვეტიცხოვლის ტაძარში გამოვლენილი IV ს. ხის ეკლესიის ნაშთები, დაკავშირებული წმ. ნინოს მოღვაწეობასთან.



ბოლნისის სიონი. აღმოსავლეთის ფასადი.

IV-VII საუკუნეებში ახალი თემის ფორმირების პირველ ეტაპზე უპირატესობა ენიჭება ბაზილიკას. იგი ეკლესიის მესვეურთა მიერ გარედან შემოტანილ, ქრისტიანული რელიგიის კერებში შექმნილ და თავს მოხვეულ ტიპადაა მიჩნეული. ბოლნისის სიონი, ურბნისის წმ.სტეფანეს ტაძარი, ანჩისხატის, ხირსის, კაწარეთის სამებისა და სხვა გრძივი ბაზილიკები - თავისი ღერძითა და ბურჯების მწკრივით, ქმნიან საკურთხევლისაკენ მოძრაობის საჭირო შთაბეჭდილებას. ამათგან გამოიყოფა ბოლნისის სიონი, რომელიც თანახმად შემორჩენილი წარწერისა აგებულია 478-493 წლებში, იგი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას შვერილი აფსიდით აღმოსავლეთის მხარეს. ჩრდილოეთისა და სამხრეთიდან მას ახლავს გარეთა სადგომები - ჩრდილოეთის მხრიდან ხუთმალიანი ღია სტოა, სამხრეთის სტოაში მოთავსებულია ტაძარში შესასვლელი ორმაგი თაღით და ორაფსიდიანი დამოუკიდებელი სანათლავი. ბაზილიკის შიდა სივრცე დაყოფილია სამ ნავად, გეგმაში ჯვარისებრი ფორმის ბურჯების ხუთი წყვილით. შუა ნავი გადახურულია ცილინდრული კამარით, ხოლო გვერდის ნავები ნახევარცილინდრულით. ნავების გრძივი ღერძის მიმართულებით თაღები ნალისებური ფორმისაა. ტაძარს არა აქვს დამხმარე სადგომები - სამკვეთლო და სადიაკვნო. ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია ადრინდელი ხანის ეკლესიებისათვის. შენობის კედლები აგებულია მომწვანო ფერის კარგად გათლილი კვადრებით. მთლიანად, სიონის გარეგანი მასები მოკლებულია მორთულობას, თუ არ ჩავთვლით წყობაში ჩასმულ ჯვრებს და კბილანიან ლავგარდანს. მონუმენტური, მძიმე გარეგანი მასები არ ეთანხმება ვრცელსა და დიად შიგა სივრცეს. ეს კი აიხსნება იმით, რომ ქრისტიანობის გავრცელების ადრინდელ პერიოდში ძირითადი ყურადღება ენიჭებოდა სამლოცველოს შიგა სივრცეს.



ბოლნისის სიონი. გეგმა, 478-493 წწ.



ბოლნისის სიონი. სვეტისთავები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სიონის ინტერიერის მორთულობა. ბოძებისა და პილასტრების სვეტისთავები და ბაზისები უხვადაა მოჩუქურთმებული. აქ გამოყენებულია მცენარეული მოტივები, გეომეტრიული- ნაკვთები და ცხოველთა გამოსახულებანი. კონქის თაღის იმპოსტებზე გამოსახულია ფრთოსანი ლომები, რომელთა შორის გარბის შველი. მეორე შველი, რომელსაც მისდევს დათვი. სანათლავის სვეტისთავებზე გამოსახულია ჯვარი და ფარშევანგები, გულდასმით შესრულებული ხარის თავი ტოლმკლავიანი ჯვრით რქებს შორის. ქრისტიანობის დრინდელი ხანის ეს სიმბოლოები უცილოლად დაკავშირებულია ქართველი ხალხის არმართული კულტის ტრადიციებთან.

მართალია, აქ გააზრებულია ბაზილიკის ისტიანული იდეა - საკურთხევლისაკენ მართული, ხუთი წყვილი ბურჯით გამოყოფილი ცენტრალური ნავი, მაგრამ ბოლნისის სიონი კვადრატშია ჩაწერილი და მისი კონტური არ გამოხატავს ბაზილიკისებურ სიგრძივობას, დასავლეთის კარის ნაცვლად სამხრეთის კარის ძირითად კარიბჭედ ფორმირება ბაზილიკური სივრცის აღქმის უარყოფაა. ამგვარად, აქ ვლინდება ტრადიციული ცენტრალური კომპოზიციის გავლენები. შემდგომ ბაზილიკებში, კერძოდ ურბნისში (VI ს.) ბოლნისისაგან განსხვავებით, ჩნდება სამკვეთლოსა და სადიაკვნოს დამოუკიდებელი ოთახები საკურთხევლის აფსიდის ორსავე მხარეს. სამაგიეროდ ქრება სანათლავი სტოები. ნეკრესის I საუკუნის პატარა სამლოცველოში სიგანე ჭარბობს სიგრძეს. ნოქალაქევის "40 მოწამის" ეკლესიაში (V საუკუნე) არის სამი ნავი, მაგრამ ყველაფერი ეწინააღმდეგება ბაზილიკის არსს. საფუძველში უდევს ცენტრალური სივრცე.

ყველაფერი ეს მიგვანიშნებს წარმართული "ცეცხლის ტაძრების" (უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა და სხვა) ტრადიციების მნიშვნელოვან როლზე.

VI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბაზილიკების გვერდით ჩნდება სამეკლესიანი ბაზილიკები, რომლებიც იშვიათია სხვა რეგიონებში. ჩვეულებრივ ბაზილიკებისაგან მათ განასხვავებს სივრცის გრძივად დაყოფა არა ბურჯების რიგებით, არამედ კედლებით. მიჩნეულია, რომ აქ გვერდითი ნავები დამოუკიდებელ ეკლესიათა ფუნქციას ასრულებდნენ, რაც აუცილებელი იყო საეკლესიო - სარიტუალო პროცესისადმი გაზრდილი მოთხოვნილებებით. სამეკლესიანი ბაზილიკის ნიმუშს წარმოადგენს სოფ. ქვემო ბოლნისში მდებარე ეკლესია. მას ახასიათებს კვადრატული გეგმა, კედლებით გაყოფილი სამ ნაწილად და შვერილი წრიული ფორმის აფსიდი. შიგნით სამივე ეკლესიას, აქვს ღრმა, ნალისებრი ფორმის აფსიდები. ეკლესია აგებულია ღიაცისფერი გათლილი კვადრებით. ფასადები მარტივია და მთავრდება კბილანიანი ლავგარდნით.

ამავე ტიპს მიეკუთვნება ზეგანის ეკლესია დასავლეთის გამაერთიანებელი დერეფნით.



ურბნისი. ბაზილიკის საერთო ხედი, VI ს.

საყურადღებოა ნასტაგისში აღმოჩენილი ბაზილიკა, რომელიც სამეკლესიანად გარდაიქმნა გარშემოსავლელის მოწყობის შედეგად. განხილულ პერიოდში კიდევ არსებობს ეკლესიის სახეობა - ცალნავიანი, დარბაზული ეკლესია, რომელიც არსებობს შუა საუკუნეების მთელ მანძილზე. მაგრამ წამყვან თემას მაინც წარმოადგენს ცენტრალური გუმბათოვანი ტაძარი.

ზეგანის წმ. მარინეს ეკლესიაში (Vს.) გეგმაში გვაქვს თავისუფალი ჯვარი მიღებული ორი მკლავის გადაკვეთის შედეგად და უგუმბათოდ, მეორე შემთხვევაში, შიგნიდან ჯვარია ერთი აფსიდით და სამი სწორკუთხოვანი მკლავით - შიომღვიმის ეკლესია (VI ს.) და ერელაანთ საყდარი (V-VI სს.), შესანიშნავია ძველი გავაზის ტეტრაკონქი (VI ს.), სადაც ყველა აფსიდის ფორმა, თაღები და შესასვლელები ნალისებრი მოყვანილობისაა.

ცენტრალურ-გუმბათოვანი თემის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს VI საუკუნის შუა წლებში აგებული ნინოწმინდის ტაძარი. იგი ვარსკვლავისებური ფორმისაა, მიღებული ტეტრაკონქის ძირითად აფსიდებს შორის გუმბათქვეშა კვადრატის დიაგონალზე უფრო მცირე ზომის აფსიდების მოთავსების შედეგად. ტაძარს შვიდი შესასვლელი ჰქონია, თითო ყოველ აფსიდში გარდა საკურთხევლისა. ცენტრალური კვადრატი გადახურული ყოფილა შეკრული კამარით. გრანდიოზული შიგა სივრცე დასრულებული და ჰარმონიულია. რაც შეეხება გარეგან სახეს, სადაც მექანიკურად განმეორებულია რვა აფსიდის შიგა განაწილება, ნახევარწრიული ფორმის დიდი და მცირე აფსიდების მონაცვლეობა ნაკლებად მხატვრულია. ნინოწმინდის ტაძარი აგებულია მსხვილი, კარგად გათლილი კვადრების წესიერი წყობით. იგი არა ერთხელ იყო აღდგენილი, ჯერ შირიმის კვადრებით, ბოლოს XVII საუკუნეში აგურით. ამავე დროსაა მიშენებული კარიბჭე დასავლეთის მხრიდან. 1825 წელს ტაძარი



ურბნისი. გეგმა, VI ს.

დაინგრა მიწისძვრის შედეგად. ამ ტაძარში ცენტრალურ-გუმბათოვანმა სისტემამ პირველად მიაღწია მნიშვნელოვან გაბარიტებს, აქ გადაწყვეტილია ამ ტიპის შენობათა შიგა სივრცე.

[VI საუკუნის დასასრულისათვის ქართულმა ხუროთმღვრებამ მიაღწია ტაძრის შიგა სივრცისა და გარეგანი მასების სრულ ჰარმონიას. ასეთ ძეგლად, რომელიც მოასწავებდა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების უმაღლეს საფეხურს, წარმოგვიდგება მცხეთის ჯვარი აგებული - 5 85/86 - 6 04/ 6 05 წლებს შორის. იგი აგებულია მთაზე მდინარე არაგვისა და მტკვრის შესართავთან , ძველი ქალაქის მცხეთის პირდაპირ. მატიანეთა ცნობით IV საუკუნის 30-იან წლებში ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებასთან დაკავშირებით წარმართული სალოცავის ადგილას, ქვის კვარცხლბეკზე ხის დიდი ჯვარი აღმართეს. ეს ჯვარი სულ მალე ქართველთა და მთელ კავკასიის ქრისტიანთა თაყვანისცემის საგნად იქცა.



ძველი გავაზი. ეკლესიის გეგმა VI ს., ნინოწმინდა. ეკლესიის გეგმა, VI ს., მცხეთა. ჯვარის ტაძარი, გეგმა, 586-7-604 წწ.

VI ს. მეორე ნახევარში ერისმთავართა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართლის პირველმა ერისმთავარმა გუარამმა ჯვრის გვერდით ააგო პატარა ეკლესია. იგი წარმოადგენს ჯვრისებრი გეგმის შენობას აფსიდითა და კარიბჭეებით. ეკლესია მოთავსებულია მაღალ ზეძირკველზე სადაც სამარხია მოთავსებული. მას ღია, შვიდსაფეხურიანი კიბეები ჰქონდა. შესასვლელები შემკულია შეწყვილებული სვეტებით, ორიგინალური მოჩუქურთმებული სვეტისთავებით.

VI საუკუნის მიწურულში გუარამის მემკვიდრე ერისმთავარი სტეფანოზ I და მისი ოჯახის წევრები აგებენ დიდ ტაძარს. ჯვარის თავზე ღირსეული შენობის აგების რთული ამოცანები ხუროთმოძღვარმა ბრწყინვალედ გადაჭრა. კლდის გამაგრებით მან უშუალოდ ქარაფის პირზე შეძლო ტაძრის აგება და მაღალი ბაქნის შექმნით გააერთიანა ორივე ნაგებობა.

ტაძრის გეგმის საფუძველს წარმოადგენს ჯვარი, რომლის მკლავები ნახევარწრიული აფსიდებით მთავრდება. ჯვრის მკლავებს შორის, ყოველ კუთხეში მოთავსებულია თითო ოთხკუთხა ოთახი - სადიაკვნე და სამკვეთლო საკურთხევლის აფსიდის გვერდებზე, ხოლო საქალებო და ერისმთავრის ოჯახის წევრთათვის განკუთვნილი ოთახები დასავ-



ბანა. გეგმა, VII-X სს.

ლეთის აფსიდის გვერდებზე. ამ ოთახების ცენტრალურ სივრცესთან დასაკავშირებლად აფსიდებს შორის კვადრატების კუთხეებში მოთავსებულია სამი მეოთხედის მოხაზულობის ნიშები. ცენტრალური სივრცე გადახურულია რვაწახნაგა ყელზე დაყრდნობილი გუმბათით, რომელიც კედლებს ეყრდნობა ტრომპების საშუალებით. ტაძრის შიგა სივრცეს, მის ყველა ნაწილის ზომასა და პროპორციებს განსაზღვრავს გუმბათი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დასრულებულ ორგანიზმთან, სადაც ყველა ნაწილი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და ამავე დროს ექვემდებარება მეორე, უფრო მნიშვნელოვან ნაწილს. განათების სისტემა კარგადაა გააზრებული. აღმოსავლეთის აფსიდში გაჭრილი სამი სარკმლიდან დაფრქვეული უხვი სინათლე ხაზს უსვამს საკურთხევლის მნიშვნელობას, ხოლო თითო სარკმლით განათებული დანარჩენი აფსიდები და სინათლეს მოკლებული, დაჩრდილული ნიშები ავლენენ ცალკეულ ნაწილთა მნიშვნელობას და ტექტონიკას. რაც შეეხება ზემოდან, გუმბათის ყელიდან განათებას, იგი გამოყოფს ცენტრალურ ნაწილს. ტაძარი აგებულია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. ამასთან თლილი ქვისაა როგორც ფასადები, ისე შიგა კედლებიც.



ნინოწმინდა. ტაძრის საერთო ხედი, VI ს.

ჯვრის შიგა სივრცე თავისი სრულყოფილი პროპორციებით, დახვეწილი ფორმებით, შიშველი, დეკორს მოკლებული კედლების მკაცრი წყობით, შემადგენელი ნაწილების ლოგიკური დაქვემდებარებით ქმნის არაჩვეულებრივ მთლიანობას, ჰარმონიასა და სიმშვიდეს.

ტაძრის გარეგანი ფორმები ნათლად ასახავენ მის შიგა სტრუქტურას. კომპოზიციის ცენტრს აქაც დაბალ, რვაწახნაგა ყელზე დაყრდნობილი გუმბათი წარმოადგენს. ყველა ფასადის ცენტრში შიგა აფსიდების შესატყვისი წახნაგოვანი შვერილია, რომელიც ნიშებით უკავშირდება კუთხის ოთახების შესაბამის დაბალსა და ბრტყელ ნაწილებს. ფასადები გადაწყვეტილია მათი განსხვავებული აღქმის გათვალისწინებით. დასავლეთის ფასადი, რომელიც მხოლოდ შორიდან ჩანს, ყველაზე გამარტივებულია და ზოგადიდ დამუშავებული; ჩრდილოეთის ფასადიც მოურთავია, თუმცა საერთო დანაწევრება მაინც აქვს. აღმოსავლეთის ფასადი აღიქმება ახლო მანძილიდან და ამიტომ გულდასმითაა დამუშავებული. მისი სარკმლები მორთულია ვაზის ფოთლის მოტივით დამუშავებული თავსართებით. ამასთან საკურთხევლის სამი სარკმელი გაერთიანებულია, ხოლო გვერდით სარკმლებზე დამოუკიდებლი თავსართებია. საკურთხევლის სარკმლებს ზემოთ მოთავსებულია სამნაკვთიანი რელიეფები - ტაძრის დამფუძნებელთა, ქტიტორთა გამოსახულებებით. ცენტრში ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზია, რომლის გვერდებზე მოთავსებულია მისი ძმები ადარნასე და დემეტრე, მფარველი ანგელოზებით. ადარნასესთან გამოსახულია მისი შვილი - პატარა ქობული.



მცხეთა. ჯვარი, ინტერიერი.

ყველა რელიეფის ფონზე ამოტვიფრულია ასომთავრული ქართული წარწერები.

სამხრეთის ფასადი, სადაც ორი შესასვლელია, შემკული იყო რელიეფებით. მთავარი შესასვლელის თავზე, ტიმპანში, ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლების შესანიშნავი კომპოზიციაა. საქალებოს შესასვლელის თავზე ქრისტეს ამაღლებაა გამოსახული. აფსიდის სარკმლის თავზე ქობულ-სტეფანოზია გამოსახული, ხოლო გუმბათის ყელზე მუხლმოდრეკილი კაცის რელიეფია, შესაძლოა ჯვრის ხუროთმოძღვარიცაა.

მცხეთის ჯვარში საოცარია მისი არაჩვეულებრივი ტექტონიკა, ყველა ნაწილების ჰარმონიული შეთანხმება და წონასწორობა, მკაცრი და დახვეწილი პროპორციები. არქიტექტურულ ფორმებთან დეკორაციული მორთულობის შეთანხმება. ძეგლი აგებულია ფრიალო კლდეზე. იგი თითქოს შეზრდილია მთას, ჩართულია ლანდშაფტში ისე, რომ

მცხეთის პეიზაჟი წარმოუდგენელია ამ ტაძრის გარეშე. იგი ავსებს, ულერადობა შეაქვს მთელ მიდამოში.

მცხეთის ჯვარი წინა პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი ძიების შედეგია. ამავე დროს, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული არქიტექტურის შემდგომ განვითარებაში. უკვე VII საუკუნეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩნდა ჯვრის ტიპის ძეგლები. შუამთის (კახეთი) ეკლესიებში, ატენის სიონში (ქართლი), ხარტვილში (სამეგრელო) შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები, რომლებიც აისახა შენობის მხატვრულ სახეზე. დრანდის ტაძარში (აფხაზეთი) გაცილებით მეტი დამოუკიდებლობაა, ხოლო შუამთაში სახეზე ტიპის გამარტივებაა.

გუმბათიანი ტაძრების განვითარების შემდგომი ეტაპია ტაძარი სოფელ წრომში, აგებული 626 და 634 წლებს შორის. მისი დამახასიათებელი თვისებაა შიგა სივრცის გადაწყვეტის ახალი კონსტრუქციული სისტემა. ჯვარისაგან განსხვავებით გუმბათი აქ ეყრდნობა კედლებს კი არა, არამედ თავისუფლად მდგომ ოთხ ბურჯს. ამის შედეგად შიგა სივრცე მნიშვნელოვნად იზრდება. წრომი ჯვრულ-გუმბათოვანი ტაძარია, სადაც აღმოსავლეთის მკლავი მთავრდება მძლავრი აფსიდით, დასავლეთისა კი ეკვდერით ტაძრისკენ გახსნილი პატრონიკეთი მეორე სართულზე. მთელი შენობა ჩაწერილია სწორკუთხედში, დამხმარე სადგომთა შევრილებით გრძივ ფასადებზე. გუმბათს ჰქონდა რვაწახნაგა ყელი გადასვლა რომელზეც ხორციელდებო-



მცხეთა. ჯვარი აღმოსავლეთის ფასადი.

და ცენტრალური კვადრატის კუთხური ტრომპების მეშვეობით. ტაძრის შიგა სივრცე განსაკუთრებით მსუბუქია და თავისუფალი. მაღალსა და გახსნილ აფსიდს მოპირდაპირე მხრიდან შეესატყვისება ღია პატრონიკე. კედლების მკვეთრი და მკაცრი წყობა, ოსტატურად გამოყვანილი თაღები და მათი დახვეწილი პროპორციები, განათების კარგად გააზრებული სისტემა, მოწმობენ მშენებელთა დიდ ოსტატობასა და გემოვნებას. ტაძრის ინტერიერში არაა მორთულობის ელემენტები. ყველაფერი გათვალისწინებულია კედლების წყობის ხარისხზე, მხოლოდ აფსიდის კონქში მოთავსებული იყო დიდი სამფიგურიანი მოზაიკური კომპოზიცია.

ტაძრის გარეგანი ფორმები აქაც პასუხობენ შიგა განაწილებას. აღმოსავლეთის ფასადზე გამოიყოფა ორი ღრმა სამკუთხა ფორმის ნიში გაერთიანებული თაღედით და ბრტყელი ნიშით მათ შორის. ნიშები მოთავსებულია მრგვალი აფსიდისა და კუთხური ოთახების ზღვარზე, ისინი ასახავენ შიგა სტრუქტურას და აქვთ კონსტრუქციული მნიშვნელობა - აცილებენ კედლის სიბრტყეს მასის მკვდარ უბანს. ამ კონსტრუქციულმა ხერხმა და მისმა მხატვრულადაც გამოყენებამ შემდგომში მიიღო საყოველთაო გავრცელება. დასავლეთის ფასადი ხასიათდება მარტივი მონუმენტურობითა და კარ-სარკმლების ღიობების რიტმით. მშვიდი და თავშეკავებული გვერდითი ფასადები ქმნიან გადასვლას მდიდრული აღმოსავლეთის ფასადიდან მკაცრ დასავლეთის ფასადზე. ტაძრის ფორმები გაცოცხლებულია მსუბუქი და მოხდენილი ორნამენტული დეკორით, რომელიც ნაკარნახევია ხეზე ჭრის მოტივებით და ნახმარია დიდი ტაქტით, მხოლოდ ძირითადი ფორმების გამოსავლენად. საფიქრებელია, რომ აღმოსავლეთის ფასადის ნიშებში შემორჩენილ შეწყვილებულ ნახევარსვეტებზე გათვალისწინებული იქნებოდა მცირე ქანდაკებები. ]



წრომი. ეკლესიის გეგმა, 626-635 წწ.

VII საუკუნის 40-იან წლებში იქმნება ტაძრის ახალი ტიპი, რომელიც წარმოადგენს ადრე აგებულ გუმბათოვან ნაგებობათა არქიტექტურული თემების თავისებურ გადამუშავებას. სამწუხაროდ, ამ ეტაპიდან შემოგვრჩა მხოლოდ ნანგრევები ან ძლიერ გადაკეთებული ძეგლები. ამ ჯგუფის ყველაზე ადრინდელი ძეგლია საქართველოს ისტორიულ პროვინციაში - ტაოში VII საუკუნეში აგებული იშხანის ტაძარი. უკვე IX საუკუნეში, არაბთა შემოსევის შემდეგ იგი აღადგინა გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბამ. 1032 წელს იგი ისე გადააკეთეს, რომ პირვანდელი ტაძრიდან შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ორიგინალური თაღედი ნაირ-ნაირი სვეტისთავებით. უკეთ არის შემორჩენილი ბანას ტაძარი ამავე პროვინციაში. იგი წარ-



წრომი. საერთო ხედი.

ადგენს დიდი ზომის ტეტრაკონქს, რომ-
ის აფსიდებს შორის მოთავსებულია გუმ-
თქვეშა ბურჯები გადაქცეულნი სამსართუ-
იან პატრონიკეებად. ოთხივე აფსიდის ქვე-
ა ნაწილი წარმოადგენს ღია თაღედებს,
ს გამოც საჭირო შეიქნა ტეტრაკონქის
გვლივ წრიული გარშემოსავლელის მოწყ-
ა. მას დაეკისრა გუმბათის დატვირთვის
ჭილიც. გუმბათი, რომლის ყელის დია-
ტრი 8 მეტრია, ხურავს ჯვრის ცენტრალურ
დრატს. გვერდითი ნაწილების სიმაღლე
-ჯერ აღემატება სიგანეს, რაც აძლიერებს
ნდიოზულობის შთაბეჭდილებას. ტაძარში
ათლის ძირითად წყაროს წარმოადგენს
მბათი, რომლის სარკმლები, აფსიდების
ო ნაწილებში დატანებულ სარკმლებთან
ერთად ქმნიან მაქსიმალურად განათებულ ზოლს. აფსიდების ქვედა ნაწილი ნაკლებადაა განათებული გარშემოსავლელიდან, ხოლო პატრონიკეები ნათდებოდა ტაძრის შიგნიდან. ამგვარად იქმნებოდა სინათლის სასიამოვნო გრადაცია. ტაძარი მდიდრულად ყოფილა გაფორმებული. აფსიდების თაღედების მრგვალი სვეტები მთავრდება ნაირნაირი სვეტისთავებით, ასევე პატრონიკეთა მალებში მოთავსებულია მოხდენილი სვეტები ფაქიზი სვეტისთავებით.

ტაძრის გარეგანი სახე თავისებურია და ტლანქი, მის ქვედა ნაწილს შეადგენს თაღებით შემკული წრიული გარშემოსავლელი. შემდეგ აღიმართებოდა ყრუ კედელი შექმნილი ტეტრაკონქისა და კუთხური ოთახებით.



სამწევრისი. საერთო ხედი,

მთელ ამ კომპოზიციას აგვირგვინებს გუმბათი. შენობის გრანდიოზული მასშტაბი (დიამეტრი 38 მ. სიმაღლე - 30 მ.) ცხადია, ართულებდა კონტრუქტიულ გადაწყვეტას. მართლაც ამ ტიპის ყველა ძეგლი საქართველოში და სომხეთშიც უდღეური აღმოჩნდა. იშხანი, ისევე როგორც სომხეთში აგებული ზვარტნოცი (VII ს. 50-იანი წლები) და გაგიკის ტაძარი ანისში (1001-1010 წწ.) მალე დაინგრა. ბანა კონსტრუქტიულად უფრო სრულყოფილი აღმოჩნდა. გაძლიერებული გუმბათქვეშა ბურჯები და გარშემოსავლელი მას სიმტკიცეს ანიჭებდა. ბანა უვნებლად მდგარა XIX საუკუნემდე, როდესაც დაინგრა საომარ მოქმედებების შედეგად.

ქართული ხუროთმოძღვრების აღმავლობა, ბუნებრივია, უნდა გამოვლენილიყო აგრეთვე მცირე ზომის და ნაკლებად მნიშვნელოვან ძეგლებშიაც. ასეთია მაგალითად სამწევრისის პატარა ეკლესია ქარელის მახლობლად. ეკლესია დგას დაბალი მთის თხემზე, მაგრამ ადგილის კარგი შერჩევის წყალობით, შესანიშნავად ჩანს დიდი მანძილიდან, მისი დახვეწილი სილუეტი მკვეთრად იხატება მტკვრის გაშლილი ხეობის მშვიდ პეიზაჟში. გეგმით ეკლესია წარმოადგენს მარტივ ჯვარს, რომლის სამი მკლავი სწორკუთხოვანია და საკურთხევლისა კი აფსიდით მთავრდება. ცენტრალური კვადრატი გვირგვინდება გუმბათით, რომლის ყელის რვაკუთხედზე გადასვლა განხორციელებულია მაღლა აზიდული კონუსური ტრომპებით. შიგა სივრცე უხვადაა განათებული და შემოსილია სუფთად თლილი ქვის კვადრებით. ფასადები ხასიათდებიან უნაკლო წყობით და დახვეწილი ფორმებით. დეკორატიული მორთულობა თავშეკავებულია, მხოლოდ სარკმლებია ხაზგასმული ხვეული თავსართებით, კედლები და გუმბათის ყელი კი თავდება თაღებიანი ლავგარდნით. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სამწევრისში არც ერთი ფორმა არაა არსებიათად ახალი, იგი თავისი პროპორციებით, იშვიათი მოხდენილობით და მაღალი შესრულებით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამავე ტიპისაა სოფელ ვაზისუბნის გა-



გურჯაანი. ყველაწმინდა ს· რთო ხედი.

ნაპირას დავითიანის უბანში მდებარე პატარა ეკლესია, მხოლოდ მისი მარტივი ჯვრის ფორმა გარედან რვაწახნაგაა. ცენტრალური სივრცე გადახურულია შეკრული კამარით. თაღები და კამარა ოდნავ შეისრული ფორმისაა, რაც მას თავისებურ იერს ანიჭებს. კედლებიც კახეთის ჩვეულებისამებრ ქვაყორითაა ნაშენი და მხოლოდ კუთხეებშია ნახმარი შირიმის კვადრები. სამწევრისის მსგავსად დავითიანის ეკლესიაც გამოირჩევა დახვეწილი პროპორციებითა და სასიამოვნო ფორმებით.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში არაბთა ხალიფას შესუსტების შედეგად დაიწყო ეროვნული კულტურის აღზევება. კვლავ იწყება დიდი ეკლესიების მშენებლობა. VIII-IX საუკუნეები ითვლება ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალ ხანად. ახალ გადაწყვეტათა ძიებაში იქმნება სხვადასხვა მნიშვნელობისა და სიძლიერის ნაწარმოებები, სადაც სრულიად ახალ ფორმებთან ერთად თავს იჩენს უკვე ცნობილი მოტივებიც. ასე სამშვილდის სიონში (750- 777 წწ.), რომელიც ახლო დგას წრომთან არა მარტო კომპოზიციით, არამედ დეტალებშიც, უფრო დინამიკური ფასადები და შიგა სივრცე ავლენენ ახალ მისწრაფებებსა და ძიებებს. აქაც როგორც წრომში, ჯვრის მკლავები მოთავსებულია სწორკუთხედში, რომლის ოთხივე კუთხეში გამოყოფილია სწორკუთხედის ფარგლებს გარეთ გამოსული ცალკე სადგომები. მაგრამ წრომის მოზრდილი ეკვდერების ნაცვლად

სამშვილდეში საკურთხევლის გვერდებზე შექმნილია უკვე ოთხი შეწყვილებული სადგომი პატარა აფსიდებით. ამ სადგომებში ჯვარისებრი და ვარსკვლავისებრი გადახურვები შესრულებულია მაღალი ოსტატობით. აღმოსავლეთის ფასადი, წრომის მსგავსად, ღრმა სამკუთხა ნიშებითაა დამუშავებული, მაგრამ აქ შუა მაღალი ნიშების გარდა, შექმნილია დამატებითი უფრო დაბალი ნიშები მცირე სამყოფელთა საზღვარზე და ამით მიღწეულია უფრო რბილი გადასვლა. აღმოსავლეთის ფასადის სარკმლები მორთულია მოხდენილი ორნამენტული თავსართებით (სამწუხაროდ, სხვა ფასადები არაა შემორჩენილი).

VIII საუკუნეშია აგებული გურჯაანის მახლობლად ორგუმბათიანი ბაზილიკა. ეკლესიის შიგა სივრცე გაყოფილია ნავებად ბოძების ორი წყვილით. შუა მაღალი ნავი მთავრდება ნალისებრივი აფსიდითა და სამი მალისაგან შედგება. აქედან პირველსა და მესამეზე ტრომპების მეშვეობით ამოყვანილია რვაწახნაგა გუმბათები. შუა ნავის სამ მხარეზე ორსართულიანი გარშემოსავლელია მოწყობილი, ხოლო ზედა სართულში მოთავსებულია პატრონიკე. კედლები აგებულია რიყის ქვის წესიერი რიგებით, კუთხეები კი შირიმის თლილი კვადრებისაა. რაც შეეხება თაღებს, კამარებს და საყრდენ ბოძებს ისინი ბრტყელი აგურისაა. უკეთ შემონახულ აღმოსავლეთის ფასადზე შუა ნაწილი მოჩარჩოებული ყოფილა დიდი თაღებით და დეკორატიული ჯვრით. გვერდითი ნავების არეები შემკულია თაღებით ორ სართულად. გურჯაანის ბაზილიკა გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელი ძეგლია, რომელშიც ახალი კომპოზიციის ძიებამ მოგვცა სრულიად ორიგინალური შედეგი.



გურჯაანი. ყველაწმინდა, გეგმა, აღმოსავლეთის ფასადი, განაკვეთი VIII-IX სს.



არმაზი. ეკლესიის გეგმა, 864 წ.



გურჯაანი, ინტერიერი.

VIII და IX სს. მიჯნას მიეკუთვნება ვაჩნაძიანის ყველაწმინდა. კომპოზიციურად რთული შენობის საფუძველს შეადგენს წაგრ-ელებული ფორმის დიდი დარბაზი გუმ-ათით ცენტრალურ ნაწილში. გუმბათი ყრდნობა გრძივი კედლების შვერილებს. აკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს გა-ოყოფილია მასთან დაკავშირებული ტრიკონ-ის სახის სადიაკვნო და სამკვეთლო. ამ ადგომების დასავლეთით კვლავ დამოუკიდე-ელი აფსიდებია გაერთიანებული გარშემო-ავლელით. ამ უკანასკნელის ჩრდილოეთ ხარეზე იმყოფება კიბე, მეორე სართულზე თავსებულ პატრონიკეზე ასასვლელად. ვაჩნაძიანში პირველად ქართულ არქიტექტურაში, გადასვლა კვადრატიდან გუმბათის წრეზე განხორციელებულია არა ტრომპების, არამედ აფრების საშუალებით. თუმცა აქაც ტრომპები გამოყენებულია ტრიკონქებსა და ექსედრებში. სამეკლესიანი ბაზილიკის სქემა აქ გარდაიქმნა რთულ და დასრულებულ კომპოზიციად, რომელსაც სიდიადესთან ერთად ფაქიზი პროპორციები ახასიათებს. რიყის ქვითა და აგურით აგებულ შენობაში კუთხეები, ლავგარდანები, წირთხლები და გუმბათის ყელი ამოყვანილია შირიმის კვადრებით. აღმოსავლეთის ფასადი რთულია, დინამიკური და მკაცრი. წინა პერიოდის ძეგლებთან შედარებით ტაძარი უფრო მოხდენილია და ზემოთკენ აზიდული. რაც მთავარია, ვაჩნაძიანის ხუროთმოძღვარი ახლებურად უდგება შიგა სივრცეს და ახლებურად წყვეტს კიდევაც მას.

როგორც ვხედავთ ამ ძეგლებში ჩანს წინა პერიოდის მიღწევათა ათვისება. ზოგიერთი ძეგლისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის საწინააღმდეგო პრინციპებიც. წირქოლის ეკლესიაში კუთხურ ტრომპებზე დაყრდნობილ გუმბათს არა აქვს ყელი და იგი გადახურულია ორქანობიანი სახურავით. სოფელ არმაზის ეკლესიაში, რომელიც აგებულია 864 წელს, გუმბათქვეშა კვადრატი შექმნილია თაღებით სვეტებზე და არა ბურჯებზე. გუმბათს აქაც არა აქვს ყელი. ამ საკითხის ახსნა მეტად რთულია და ეგებ დაკავშირებულია ქართულ წარმართულ ტაძრების ტრადიციებთან.

ადრინდელი შუა საუკუნეების საცხოვრებელი სახლები არაა შემორჩენილი და მსჯელობა შეიძლება მხოლოდ გადარჩენილი საძირკვ-

ლების საფუძველზე. ჩანს, რომ საცხოვრებელი სახლები ერთსართულიანი ყოფილა და შედგებოდა ერთი ან რამოდენიმე ოთახისაგან. ყველა ოთახი სწორკუთხა ფორმისაა. ოთახების გადახურვა ჩვეულებრივად ჰორიზონტალურია, ხის კოჭებზე დაყრდნობილი და ბანური, მიწის სახურავით. გამონაკლისია ალბათ, "დარბაზული" სახლები, რომლებიც აგრეთვე უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში.

საერო ხუროთმოძღვრების გადარჩენილი ნიმუშების სიმცირის მიუხედავად, მაინც გვაქვს ფეოდალთა და ეპისკოპოსთა სასახლეებიც. ყველაზე ძველია მათ შორის ვახტანგ გორგასლის სასახლე უჯარმაში (ალბათ ჰერემშიც). იგი მდებარეობს შიდაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში და ჩართულია გალავანში. სასახლე ორსართულიანია, თითოეულ სართულზე სამი ოთახით, ამათგან ორი მცირე ზომისაა და ერთიც დიდი. ოთახები ნათდებოდა მაღალი და განიერ სარკმლებით. მეორე სართულზე შემორჩენილია კარები, რომელიც გადიოდა დაკიდულ აივანზე. შენობის ქვეშ მოთავსებულია სარდაფი, სადაც ქვის კიბე ჩადიოდა. აქაც ოთახები დაკავშირებულია ერთმანეთთან და გადახურულია შირიმის კამარებით. ეს სასახლე მიეკთვნება V საუკუნის ბოლო პერიოდს.

VIII-IX სს. მიეკუთვნება კახეთის სასახლეები, კერძოდ ეპისკოპოსების სასახლეები ნეკრესსა და ჰერემში და ფეოდალთა სასახლეები ვაჩნაძიანსა და ვანთაში ეს ყველა შენობა დაახლოებით ერთი ტიპისაა. ეს ორსართულიანი შენობებია, სადაც ქვედა სართულში მოთავსებულია დამხმარე და სამეურნეო დანიშნულების ოთახები, ხოლო ზედა სართულში საცხოვრებელი ოთახები



წირქოლი. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი, VIII ს.

და დარბაზები. როგორც წესი, ქვედა სართული გაცილებით დაბალია. მეორე სართულის გრძივ ფასადზე გაჭრილია მაღალი და განიერი თაღოვანი სარკმლები. აქედან, ჩვეულებრივად, იშლება ფართო ხედი ალაზნის ველზე. დარბაზების დამახასიათებელი ელემენტია დიდი ზომის ბუხარი. კედლები აგებულია ყორექვით და შიგნით შელესილია. გადახურვა ბრტყელია - კოჭოვანი, სახურავი ხისა და ორქანობიანი. თეთრი წყაროს მახლობლად ხშირ ტყეში მდებარეობს სასახლის ნანგრევი- ნადარბაზევი. სასახლის ტერიტორია შემოფარგლულია გალავნით და ჰქონდა საზეიმო შესასვლელი. თვით სასახლე



მცხეთა. ჯვარი, სამხრეთის შესასვლელის რელიეფი.

წარმოადგენს დიდ სწორკუთხედს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ეკვრის მეორე უფრო მცირე სადგომი. დარბაზს ჰქონდა სამი შესასვლელი: აღმოსავლეთის კედლის ცენტრში, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეს. მეოთხე კი აკავშირებდა დარბაზს მცირე სადგომთან. ყველა შესასვლელი თაღოვანია. დარბაზი ნათდებოდა ექვსი სარკმლით, რომლებიც შესასვლელების გვერდებზეა განაწილებული. საფიქრებელია, რომ დარბაზი დიდი სიმაღლისა უნდა ყოფილიყო. დღეს მისი კედლები შემორჩენილია 5-6 მეტრის სიმაღლეზე. კედლები ამოყვანილია ბაზალტის მსხვილი კვადრებით, რომელთა ზედაპირი გულდასმითაა დამუშავებული. დარბაზის შიგნით დაცულია ოთხი მძლავრი ბურჯის ბაზისები. როგორც ჩანს, გადახურვა ყოფილა ბრტყელი, ორქანობიანი კრამიტით დახურული სახურავით. მიუხედავად სისადავისა შენობა დიადი და მონუმენტურია. იგი აგებულია IX-X სს. მიჯნაზე. ეტყობა სასახლე გამოიყენებოდა თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციად.

ქართული ხუროთმოძღვრების დამოუკიდებელი შემოქმედება მთელი ძალით გამოვლინდა ძირითადად ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ძეგლებში. გუმბათოვანი ტაძრის თემა წამყვანი ხდება ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე. ამ ტიპის შენობებში ამოსავალია მის ცენტრში მდებარე გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატის ირგვლივ განაწილებული სადგომები სრულიად დამოუკიდებელნი თავისი მხატვრული ფორმის მხრივ, ამავე დროს ექვემდებარებიან როგორც ძირითადს, ისე ერთმანეთს მათი მნიშვნელობის მიხედვით და ამგვარად, იქმნება ჰარმონიული და დასრულებული კომპოზიცია. ფასადები მშვიდია და რამდენადმე სტა-

ტიკური. შენობათა გაფორმება ყოველთვის თავშეკავებულია. შენობათა ტექტონიკური არსი თავს იჩენს დახვეწილ კონსტრუქციებში, ფორმების მკვეთრსა და მსუბუქ პროფილებში. კედლების წყობა შედგენილია თბილი ფერის ქვით, უნაკლო შესრულების წყალობით თავისთავად წარმოადგენს მხატვრულ ნაწარმოებს და მორთულობის გარეშეც სათანადო შთაბეჭდილებას ახდენს.

ქრისტიანობა, ბუნებრივია მოითხოვდა ახალი მსოფლმხედველობის შესატყვისი მხატვრული სახეების შექმნას და ამისათვის ხელთ არსებული მხატვრული საშუალებების ახლებურ გააზრებას. ამ პერიოდში ვითარდება რელიეფური ქანდაკება, რომელიც მთლიანად დაკავშირებულია არქიტექტურასთან (მრგვალი ქანდაკება შუა საუკუნეებში საქართველოში არ არსებობდა, მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგობის გამო). სიუჟეტების მხრივ ქართული რელიეფური ქანდაკება უახლოვდება აღმოსავლეთის ქვეყნების ტრადიციებს და ადგილობრივ ხალხურ რწმენასთან აღმოცენებულ სახეებს. ბოლნისის სიონში ცხოველთა რელიეფური გამოსახულებანი მოთავსებულია სვეტისთავებზე. ზოგიერთი მოტივი შეთვისებულია ადრეული ქრისტიანული ხელოვნებიდან (ფარშევანგები ჯვრის კიდეზე. ირმები კორტნიან ბალახს, ჩიტი გვირგვინით ნისკარტში). ზოგიერთი სიუჟეტი, როგორც მაგალითად ჰერალდიკური პეიზაჟი პირისპირ მჯდომი ორი ფრთოსანი ლომით, მათ შორის გაქცეული შველით. გავრცელებულია სასანურ ირანში. განსაკუთრებით საყურადღებოა გამოსახულება ხარის თავისა, რომელსაც რქებს შუა ჯვარი აქვს. აქ უძველესი, წარმართული მოტივი ახალმა სარწმუნოებამ თავისი სიმბოლიკით შეითვისა. მცხეთის ჯვარსა და ატენის სიონში რელიეფური ქანაკება ეკვე ფასადეზეა გამოყენებული, ფასადების დეკორატიული გაფორმების ამოცანის შესაბამისად. ჯვარზე რელიეფები წარმოადგენენ ორგანულ მთლიანობას ფასადების კომპოზიციაში, ამასთანავე ინარჩუნებენ შინაარსობლივ და მხატვრულ მნიშვნელობას. სამხრეთის ფასადის კარის ტიმპანზე მოთავსებული ,,ჯვრის ამაღლების,, რელიეფი ადრექრისტიანული ხელოვნებისათვის გავრცელებული თემაა, მაგრამ აქ ანგელოზები რომელთაც უკავიათ მედალიონი, მოთავსებული არიან არა ჰორიზონტულად, არამედ დიაგონალურად თაღის ხაზის შესაბამისად. მათი მოქნილი მოძრაობა ტოვებს ჰაერში ლივლივობის შთაბეჭდილებას. აქაც და ქტიტორების გამოსახულებაში ბევრი რამ რეალისტურია, მაგრამ მოცულობის გადმოცემა არ სცილდება ბრტყელ რელიეფს. როგორც ჩანს, ნაკვთების პლასტიკური გადმოცემა არ შეადგენდა ამ დროის ამოცანას.



ატენის სიონი. რელიეფი დასავლეთის ფასადზე, VII ს.



მარტვილი. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის რელიეფები, VII ს.



წილკანი. ღვთისმშობლის ხატი, მინანქრები IX ს.

ატენის სიონის ფასადებზე შეთავსებულია ვადასხვა კატეგორიის რელიეფები. ჩრდი- ოეთის შესასვლელის ტიმპანის კომპოზი- ია ირმების გამოსახულებით, ასევე როგორც დირობის სცენები დასავლეთის ფასადზე მოირჩევიან ფორმების მოხდენილობით, ზების მოქნილობითა და სიფაქიზით. VII უკუნის ეს რელიეფები მკვეთრად განსხ- ვდე… ნ აღმოსავლეთის ფასადის ზემო წილში მოთავსებულ რელიეფებისაგან. ეს ვთები თავისი მასიური, მძიმე ფორმებით, რაობით, აშკარად მიგვითითებენ X საუკუ- ნე - ტაძრის აღდგენის პერიოდზე.

საყურადღებოა ქვემო ბოლნისის სამეკ- სიაბი ბაზილიკის რელიეფები ,,ამაღლება ქრისტესი,, და ,,ღვთისმშობლის დიდება,, შესრულებული დაბალ რელიეფში, ხაზოვან-გრაფიკულ დამუშავებით.

ადრეული შუა საუკუნეების ქანდაკებაზე ჩვენს წარმოდგენას ავსებს პლასტიკური ხე-ლოვნების კიდევ ერთი კატეგორიის ძეგლები- ქვაჯვარები და სტილები, რომლებიც იდგმე-ბოდა ღია ცის ქვეშ V საუკუნიდან ვიდრე განვითარებული ფეოდალიზმის დრომდე. ეს ოთხკუთხა სვეტები კვარცხლბეკებზე, შემკუ-ლია ჩუქურთმებით და სიუჟეტური რელიეფ-ებით.

ასეთი სტელების ნიმუშებად დავასახელებთ ხანდისის, გარეჯის, კაჩაგანის სტელებს და სხვა. ამ რელიეფებს ახასიათებთ სიმეტრიული

ჯგუფები, ფრონტალურ ფიგურათა სიბრტყობრივი და დაბალი რელიეფი, სიუჟეტული კომპოზიციების ორნამენტულ-დეკორატიული გადმოცემით.

ადრინდელი პერიოდიდან შემორჩენილია მონუმენტური ფერწერის მხოლოდ მცირეოდენი ძეგლი, თანაც არა კედლის მხატვრობისა, არამედ მოზაიკური სახის. პირველყოვლისა შევეხებით გურიის სოფელ შუხუთში აღმოჩენილი აბანოს მოზაიკურ იატაკს. აბანო რომაული ტიპისაა ერთ რიგში განლაგებული სათავსოებით. მოზაიკური იატაკი ამშვენებდა აპოდიტერიუმს /გასახდელს/, რომლის მცირე ზომები მიგვინიშნებს, რომ აბანო კერძო პირს ეკუთვნოდა. მოზაიკისათვის გამოყენებულია ბუნებრივი ქვები და კერამიკა. იატაკი მთლიანად დაფარულია გეომეტრიული ორნამენტით ჩარჩოს გარეშე. დეკორი წარმოადგენს კვადრატებისა და რვარომბა ვარსკვლავების გეომეტრიულ ნახატს. შუხუთში ასეთი ძირითადი რგოლის რაოდენობა მცირეა და ნაკვთებიც მასშტაბურად დიდია გამოყოფილ არესთან შედარებით /2,0 X 3,5 მ/ კვადრატების შემავსებელი დეკორი წარმოადგენს ფერადოვან ხაზებს და შესრულებულია ხერხით, რომელსაც ცისარტყელას სტილს უწოდებენ. ეს ხერხი თავს იჩენს II საუკუნის ბოლოს და ადრე შუასაუკუნეებზე ვრცელდება. შუხუთის მოზაიკა დათარიღებულია IV საუკუნის მეორე ნახევრით.

ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკური იატაკი. იატაკი აღმოჩნდა სამნავიანი შვერილ აფსიდიანი ბაზილიკაში. როგორც გაირკვა, მოზაიკა არ ეკუთვნოდა ამ ტაძარს, არამედ უფრო ძველს. რომელზედაც აგებული იყო ტაძარი. მოზაიკის ნაწილი განადგურებუ-



ოპიზა. აშოტ კუროპალატი ტაძრის მოდელით, რელიეფი, IX ს.



ბიჭვინთა. ეკლესიის მოზაიკური იატაკი სანათლავში, VI ს.

ია. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით
ტაკი დაყოფილი ყოფილა სხვადასხვა ზო-
ს სექტორებად, რომელთაც ჰქონდა საკუ-
ირი ჩარჩო ან ჩუქურთმიანი ბორდიური.
კურხევლის ცენტში ტრაპეციის ფორმის
ალლებული ბაქანზე გამოსახულია მედ-
იონი ქრისტე პანტოკრატორის მონო-
ამით. კუთხეებში მას ერთვის ბერძნული
ანის პირველი და ბოლო ასოები - ალფა
ომეგა, რაც შეესატყვისება ცნობილ ფრა-
ა - ,,მე ვარ ალფა და ომეგა ... იტყვის
;ალი,,. პანოს კუთხებში გამოსახულია
ხბები ბროწეულის ტოტებზე. ფრინველე-
ჰორწმუნეთა სულის აღმნიშვნელია, ხოლო
ოწეულის ნაყოფი, ქრისტიანულ რელი-
აში ზიარების პურის მცნების გამოხატ-
ებაა. მთელი კომპოზიცია მოჩარჩოებუ-
ლია ფართო აკანთული არშიით, რომლის შუა ხვეულში ჩართულია ბერძნული ქტიტორული წარწერა - ,,სალოცველად ორელისა და ყოვლისა სახლისა მისისა,,. წარწერის ორსავე მხარის აკანთის ფოთლებში მოთავსებულია ფრინველები /მტრედები/, ბროწეულის ყვავილები და ნაყოფი, ძროხისა და ხბოს გამოსახულება, რაც სხვაგან არ გვხვდება და შეიძლება ადგილობრივი ძველი ტრადიციების გამოძახილი იყოს.

საკურთხევლის აღმოსავლეთის კედელთან მოთავსებულია მეორე მნიშვნელოვანი კომპოზიცია - შადრევანი ირმებით, ან სიცოცხლის შადრევანი. პანო მოჩარჩოებულია ტალღისებრი ორნამენტის ზოლით. ცენტრში გამოსახულია მაღალი კენაფის ტიპის ჭურჭელი, რომლის შუაგულიდან გამოზრდილია

ფიჭვის გირჩი. საიდანაც ორივე მხარეს წყლის ნაკადი გადმოდის. შადრევნის ორივე მხარეს გამოსახულია წყლისკენ მიმართული ირმები და ფრინველები. მარჯვნივ ფურირემია შვლით, მარცხნივ ხარ-ირემი, რომლის ზურგთან მოზრდილი ფრინველია. თავისუფალი არე ყველგან შევსებულია ფრინველებითა და აყვავებული ტოტებით. ამასთანავე ყველა სილუეტი დაკავშირებულია ერთმანეთთან, უპასუხებენ მოხაზულობას. ყველა ნაკვთი სიბრტყეზეა განრთხმული და დამთვალიერებლის მზერას ითვალისწინებს. ამ კომპოზიციაში მკვლევარნი ხედავენ ნათლისღებისა ან ზიარების მცნებას, ან ღვთის სამყოფს - სამოთხეს, რაც გაამართლებდა აქ ფრინველების, თევზების, მცენარეების არსებობას. ყველაზე უკეთ შემორჩენილია მოზაიკური იატაკი ტაძრის ნართექსში, სადაც ადრე სანათლავი ყოფილა. ამ უკანასკნელის მთელი ფართობი მოჩარჩოებული ყოფილა ფართო მოზაიკური ზოლით. მისი არე დაყოფილია სექტორებდა, სადაც მოთავსებულია ფრინველები, თევზები, ბატკანი და გეომეტრიული ნაკვთები. სანათლავის სამხრეთ ნაწილში მოთავსებულია მოზრდილი პანო. აქ ორი, წაგრძელებული ოქტოგონის გადაჯვარედინებით იქმნება ხალიჩისებური ორნამენტი. გადაჯვარედინების ცენტრებში ჩაწერილია ჯვარი, ხოლო გვერდებზე წრიულ არეებში - პატარა ჩიტი ან თევზებია. პანოს გეომეტრიული ნახატი და თოკისებრი წნული, მომრგვალებული ლილვი შესრულებულია ცისარტყელას სტილით. მეორე, გვერდით მდებარე კომპოზიცია კვლავ "სიცოცხლის შადრევანს" წარმოადგენს - ელინისტური კანფარის მსგავსი ლარნაკის სახით. ლარნაკს აქვს მაღალი, ქვემოთ გაფართოებული ფეხი, რომელზეც მოთავსებულია წყლით სავსე ემბაზი. აქედან აღმართულია წითელი ფერის ღერო დაგვირგვინებული ფიჭვის გირჩით. შადრევნიდან უხვად გადმოდის წყალი, რომელსაც ეწაფებიან ლარნაკის კიდეზე შემომჯდარი მტრედები. შადრევნის ფეხის ორსავე მხარეს დგანან დიდი ფრინველები (ფარშევანგები). თვით ლარნაკის კორპუსზე გამოსახულია ადამიანის ნაკვთები ორანტას პოზაში, ზედა ზოლი კი შემკულია წითელი ბირთვებით. ამგვარად გამოსახულია ოქროს კანთაროსი რელიეფებით და მოჭედილი ძვირფასი ქვებით და ოქროს გირჩით, რასაც მოწმობს მისი ყვითელი ფერი თეთრი ათინათით. ყვითელი ფერისაა თვით ლარნაკიც და თეთრი ელვარება ავლენს მის მრგვალ ფორმას. საერთოდ ფერადოვანი გამა აქ მდიდარია და მოხდენილი. წყალი ლურჯია, ფრინველების ნაკვთები ყვითელ და ვარდისფერ ნაზ ტონებშია შესრულებული. მათი ფეხები და ნისკარტები კაშკაშა წითელი ფერისაა. მთლიანად ნახატი ოსტატურია, თავისუფალი და დაკავშირებული ძველ ელინისტურ ტრადიციებთან. ბიჭვინთის მოზაიკა შესრულებული უნდა იყოს VI საუკუნის დასაწყისში გამოცდილი და ნიჭიერი ოსტატების მიერ. უცილობლად მნიშვნელოვანია, რომ აქ ვლინდება ელინისტური ტრადიციები, აღმოსავლეთ ქრისტიანული (ანტიოქია) და ადგილობრივი ტრადიციების შერწყმა.

საქართველოში მოზაიკის გავრცელებას მოწმობს უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი იატაკების ფრაგმენტები ბიჭვინთაში, შუხუთში, ძალისაში, აგრეთვე მოზაიკური იატ-

აკი ქართულ ტაძარში ბირ–ელ კუტში პალესტინაში - VI საუკუნის ასომთავრული წარწერით.

ამ პერიოდიდან შემოგვრჩა ერთადერთი კედლის მოზაიკაც. ეს მოზაიკა VII საუკუნისაა და ამკობდა წრომის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის კონქს. აქ იყო წარმოდგენილი მაცხოვარი ძოწეულის სამოსელში. მისი მარჯვენა ხელი კურთხევის ნიშნად ზევითაა აპყრობილი, ხოლო მარცხენაში გრაგნილია ძველი ქართული დამწერლობით. მაცხოვარი დგას კვარცხლბეკზე, ორივე მხრიდან აქეთ მიისწრაფვიან მოციქულები თეთრ სამოსელში. კომპოზიცია იყო მოჩარჩოებული მცენარეული ორნამენტის ფართო ბორდიურით. მოციქულთა ცოცხალი, სწრაფი მოძრაობა მიგვითითებს წრომის მოზაიკის კავშირზე ძველი ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებთან.

როგორც ჩანს, მოზაიკასთან ერთად უკვე VII საუკუნეში საქართველოში ფრესკული ფერწერაც უნდა ყოფილიყო. ატენის კედლის მხატვრობის ქვეშ აღმოჩნდა პირვანდელი დეკორი. ამ ფრაგმენტების მიხედვით კედლები და კამარები დაფარული იყო ნალესობის თხელი ფენით, რომელიც შემდეგ იყო



ბიჭვინთა. ეკლესიის მოზაიკური იატაკის ფრაგმენტი, VI ს.



ხანდისი. სტელა, VI ს. მეორე ნახევარი.

დამუშავებული მოყავისფრო-წითელი ფერის წყობის ხასიათის იმიტაციით. ფერწერით იყო გამოყოფილი აგრეთვე გუმბათში მყოფი დიდი რელიეფური ჯვარი.

თელოვანის ეკლესიის (VIII-IX ს.ს.) საკურთხეველში შემორჩენილია ფერწერის ფრაგმენტები, სადაც ვლინდება მაცხოვრის თავის გამოსახულება მედალიონში და ოთხი მოციქულის ნაკვთები. ადამიანთა პროპორციები, თავისა და ხელების გაზვიადებული ზომები აძლიერებენ მოძრაობის ექსპრესიულობას. სახეების, თმებისა და სამოსელის ნახატი ხაზოვანია და სიბრტყითი.

არმაზის 864 წლის ეკლესიის კანკელზე გამოსახულია სამი წმინდანი, ჯვრები და დეკორატიული მოტივები. წმინდანების სახეები დაბალი შუბლითა და ფართოდ გახსნილი თვალებით უახლოვდება ძველ ქრისტიანულ ხელოვნებას, ფერწერა აქაც სიბრტყითია და ხაზოვანი.

გარეჯის კლდეში გამოკვეთილ წმ.დოდოს ეკლესიის საკურთხეველში მოთავსებულია ფრესკული ფერწერა - ტახტზე მჯდომარე ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენით და გადაშლილი წიგნით მარცხენა ხელში. ეს კომპოზიცია მოთავსებულია ოვალური ფორმის მედალიონში - "დიდება", რომელიც მოჩარჩოებულია თეთრი, ცისფერი და წითელი ზოლებით. გვერდებზე, ქრისტეს ნაკვთის ქვემოთ მოთავსებული არიან მთავარანგელოზები. ქრისტესა და მთავარანგელოზთა შორის ერთ მხარეს გამოსახულ[illegible]ტეელნი (ტეტრამორფი), მეორე [illegible]რეს - ქერაბინი - ექვსფრედი ანგელოზი. სატრიუმფო კამარის კეხში გვერდებზე მოთავსებულია მზისა და მთვარის სიმბოლური გამოსახულებანი. წმ.დოდოს ფერწერაში საყურადღებოა მუქი ცისფერი ფონის შეთავსება ნაკვთების სამოსელის თეთრ, ცისფერ და წითელ ტონებთან. შეიმჩნევა სახის წაგრძელებული ნაკვთები. სწორი წარბები, დაახლოებული თვალები და ძალიან წვრილი თითები ხელებზე. აქაც ჩანს ადრეული ქრისტიანული ხელოვნების ტრადიციების სიახლოვე.

როგორც ვხედავთ, გარდამავალი პერიოდის (VIII-IX სს.) ფერწერა ჩანს მხოლოდ ეკლესიათა საკურთხევლის აფსიდში. ანტიკური ფერწერის მხატვრული ტრადიციები მივიწყებულია, ნახატი კარგავს მოქნილობას, ხდება კუთხოვანი, სიბრტყითი და ხაზოვანი. სამოსელის ნახატი პირობითია, ექსპრესიის მისაღწევად იზრდება თავის და ხელის მტევნები. აქ იგივე მოვლენებია, რაც ქანდაკებაში.

განვითარების იგივე მოვლენები შეიმჩნევა ლითონის პლასტიკაში. მარტვილის ტრიპტიქონის (VIII-IX სს) გამოსახულებანი ქრისტეს ცხოვრების ციკლიდან, ჯერ კიდევ ავლენენ სხვადასხვა მხატვრულ ტენდენციებს, მაგრამ "ფერისცვალების" ხატი ზარზმიდან (886 წ.) შესრულებულია სიბრტყით-დეკორატიულ მანერაში, ხასიათდება ხაზოვანი რიტმით და ნაკვთების ექსპრე[illegible]ლობით.

IX საუკუნის დამლევისათვის საქართველოში აღმოცენებული ფეოდალური სამთავროები გაიზარდნენ და გაშენდნენ. მრავალფეროვანი მეურნეობის გაფართოება ითხოვდა გაცვლა- გამოცვლისა და აღებ-მიცემობის აუცილებლობას, ხოლო მრავალი სამთავროს არსებობა საკუთარი საზღვრებითა და საბაჟოებით ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ამ საფუძველზე წარმოიშვა მოთხოვნილება ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა, რომელიც დაამყარებდა შინაგან წესრიგს, ბოლოს მოუღებდა დაქსაქსულობას და დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრებისაგან. გაერთიანებისათვის ხანგრძლივი და მტკივნეული ბრძოლა დააგვირგვინა ბრწყინვალე პოლიტიკურმა მოღვაწემ და მხედართმთავარმა დავით აღმაშენებელმა. 1122 წელს მან გაათავისუფლა თბილისი, სადაც ქუთაისიდან გადმოიტანა დედაქალაქი, შეზღუდა ფეოდალების უფლებები და გააერთიანა საქართველოს ყველა პროვინციები ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ.

დავითისა და მისი მემკვიდრეების გიორგი III და თამარის მეფობის ხანა (XII საუკუნე და XIII საუკუნის დასაწყისი) სწორედ ის პერიოდია, როდესაც საქართველომ მიაღწია არნახულ პოლიტიკურ ძლიერებას, ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას. საქართველო აფართოებს თავის საზღვრებს, იერთებს და მფარველობს დასუსტებულ მეზობელ სამთავრო-სახელმწიფოებს და ხდება წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო.

ეკონომიურად მოღონიერებულ საქართველოში მოღვაწეობენ პოეტები - რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი, ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, ოქრო-მჭანდაკებლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები, ხუროთმოძღვარი არსუკისძე და მრავალი ბრწყინვალე შენობის და მონუმენტური ფერწერის შემქმნელი უცნობი ოსტატები.

განვითარებული ფეოდალიზმის სახელმწიფო ემყარებოდა შესაფერისად განვითარებულ სოფლის მეურნეობას მრავალფეროვანი დარგებით (მეცხოველეობა, ხვნა-თესვა, მეხილეობა, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა) ირიგაციული მიწათმოქმედებით. ხელოსნობის განვითარებასთან ერთად იზრდება ვაჭრობა ქვეყნის შიგნით და მის გარეთაც. ყოველივე ამან განსაზღვრა საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებაც, არსებული ქალაქების განვითარება და ახალი ქალაქების შექმნა.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედში საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას წინ ეღობება ჯერ ხვარაზმელთა და შემდეგ მონღოლთა შემოსევა. მონღოლებმა მოახერხეს საქართველოს ხანგრძლივი დროით დაპყრობა. შექმნილმა მდგომარეობამ დააქვეითა და გააღატაკა მანამდე ძლიერი ქვეყანა. განსაკუთრებით მძიმეა გლეხობის მდგომარეობა, წესდება არა მარტო ახალი გადასახადები (საბალახე, დამღა, საიამე, სალაშქრო ბეგარა), არამედ სავალდებულო ხდება მონღოლთა საომარ ლაშქრობებში მონაწილეობის მიღებაც. დაწინაურებულ მეურნეობას ცვლის მონღოლთა მომთაბარე მესაქონლეობა. მკვიდრი მოსახლეობა ტოვებს ბარის ნაყოფიერ მიწებს და მთებში იხიზნება.

XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალეს აქტიური პოლიტიკის შედეგად საქართველო იშორებს მონღოლთა უღელს. ქვეყანა კვლავ დგება ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის გზაზე. მაგრამ ეს აღმავლობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. საუკუნის ბოლოს ქვეყანა კვლავ დასცა თემურლენგის ურდოების შემოსევამ, ქართველი ხალხის წინააღმდეგო-

ბით განრისხებულმა მტარვალმა დაანგრია ეკლესიები, სასახლეები და სოფლები, გადათხარა ვენახები და ბაღები, მოსპო და გადაასახლა მოსახლეობა. ასეთი განადგურების შემდეგ XV საუკუნის მეორე ნახევარში ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს აღსადგენად მიღებული ზომები უშედეგო აღმოჩნდა. საქართველო კვლავ სამთავროებად დანაწილდა.

**ნაგებობათა ძირითადი სახეები.** განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში დიდი ყურადღება ექცეოდა ქალაქების კეთილმოწყობას. შეკეთდა ძველი გზები, გაყვანილ იქნა ახალი, ქვით მოკირწყლული გზები, წყალსადენები (სხალტბა-შიომღვიმის, დმანისის, ვარძიის, გეგუთის, ნადარბაზევის), მდინარეებზე აიგო ხიდები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში შენდებოდა არა მარტო მეფისა და ფეოდალთა სასახლეები და ციხე-სიმაგრეები, არამედ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებიც. ისტორიკოსთა ცნობებით დავით აღმაშენებელმა ააგო კეთილმოწყობილი საავადმყოფოები, ქსენონები და ქარვასლები. გელათსა და იყალთოში აშენდა შენობები ახლად დაარსებული აკადემიებისათვის. საკულტო შენობები გარკვეულად ასახავენ ქვეყნის ისტორიულ ვითარებას. X საუკუნიდან შემორჩენილი ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლები ძირითადად აგებულია მსხვილ ფეოდალთა დაკვეთით. შემდგომში XI-XII საუკუნეებში ტაძრები იგება სამეფო ხელისუფლების თაოსნობით XIII საუკუნეში კვლავ მატულობს ფეოდალთა მშენებლობა, მაგრამ ტაძრების სიდიდე მნიშვნელოვნად მცირდება. პერიოდის დასასრულს მთელი ყურადღება მიმართულია არა მხატვრული შემოქმედების განვითარებაზე, არამედ ქვეყნის შენარჩუნებასა და მტრის შემოსევების შედეგად დანგრეულ შენობათა აღდგენაზე.

**სამშენებლო ტექნიკა.** სამშენებლო ტექნიკისა და მასალების მოხმარების მხრივ ამ პერიოდში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ტრომპების აფრებით შეცვლას. პირველად აფრები ნიჟარისბრივაა გაფორმებული, შემდეგ კი სრულიად გლუვი სამკუთხედების სახეს ღებულობენ. მონუმენტურ ტაძართა უმრავლესობა ისევ თლილი ქვით იგება, მაგრამ ამ შენობათა გვერდით, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, ჩნდება მთლიანად აგურით ნაგები ეკლესიებიც (ყინცვისი, ტიმოთესუბანი). ამ პერიოდში ეკლესიების შიგა კედლები გულდასმით აღარ მუშავდება, რადგან გათვალისწინებულია მათი მოხატვა. კედლების ქვის პერანგი შედგება გათლილი და ერთმანეთთან კარგად მორგებული კვადრებისაგან ან ფილებისაგან. წყობის რიგების სიმაღლე თითქმის თანაბარია, მაგრამ კვადრების სიგანე იცვლება. ამასთანავე ფართო და ვიწრო ქვების მონაცვლეობა აღარ ექვემდებარება რაიმე რიტმს. ზოგიერთი კვადრი გამოდის რიგის ხაზიდან და შეჭრილია მეზობელ ქვაში (რაც ქვის ეკონომიკური, რაციონალური გამოყენებითაა ნაკარნახევი). ასეთი თავისებური წყობა ქმნის განსაკუთრებულ მეტყველ სიბრტყეს, აცოცხლებს მას და ანიჭებს თითოეულ ძეგლს ინდივიდუალობას.

არ მომხდარა ცვლილებები კონსტრუქციულ ხერხების მხრივაც. თაღი, კამარა, გუმბათი წარმოადგენენ გადახურვის ძირითად კონსტრუქციას. აღსანიშნავა ნალისებრი თაღების შეცვლა ნახევარწრიული თაღით. ჯვარული კამარა, რომელიც ამ პერიოდის დასაწყისში ჯერ კიდევ გვხვდება შედარებით მეორეხარისხოვან ადგილებში, თანდათანობით სრულიად ქრება. სამშენებლო ხერხებს

შორის აღსანიშნავია აგრეთვე მონუმენტურ ნაგებობებში კვადრებს დაკავშირება რკინის გამირებით (სვეტიცხოველი) და კედლის სისქეში გრძივ, ხის სამაგრი ძელების დატანება. როგორც ჩანს, ამ პერიოდის მშენებლები გარკვეულ ანტისეისმურ ღონისძიებებსაც ატარებდნენ. ამის მაჩვენებელია ზოგიერთი შენობის (ხახული, ჩანგლო) კედლის წყობის ზემო ნაწილში, კამარათა მაქსიმალური გაბჯენის ადგილას შექმნილი სარტყელი, ქვების კბილანებიანი დაკავშირებით.

ეს ეპოქა გვამცნობს თავის ხუროთმოძღვართა სახელებს. თუმცა ძეგლზე უმეტესად იხსენიება მისი დამფინანსებელი - ქტიტორი და არა შემოქმედი - ხუროთმოძღვარი. ბედნიერი შემთხვევით შემორჩენილია სახელები სვეტიცხოვლის მშენებლის - არსუკისძისა, კუმურდოსი - საკოცარის. საფარის წმ. საბას ტაძრისა - ფარეზასძის, გუდარეხის ეკლესიისა - ჰიჰაფორისძის და აგრეთვე მრავალი კალატოზისა.

მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ხუროთმოძღვრის მდგომარეობა სახარბიელო მაინც არ ყოფილა. ხუროთმოძღვარი არსებითად წარმოადგენდა პირველ კალატოზს. სამშენებლო სამუშაოთა სირთულე კი მოითხოვდა, რომ მისი ცხოვრება მშენებლობას დამორჩილებოდა. დიდი შენობებისათვის ხუროთმოძღვარი უთუოდ ასრულებდა პროექტს ან მოდელს (ან ორივეს ერთად). სამშენებლო სამუშაოები ხორციელდებოდა ხუროთა დაქირავებული ჯგუფის, საამქროს მიერ, ოსტატ-კალატოზის ხელმძღვანელობით. კალატოზი (ან დიდი შენობის დროს კალატოზთუხუცესი) ხუროთმოძღვრის თანაშემწეს წარმოადგენდა. ამას გარდა ყოფილა ზედამდგომელი მშენებლობის განმხორციელებელი და საქმის მოქმედთა ანუ მუშათა ხელმძღვანელი.

ტაძრების მშენებლობა საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა.ასე, მაგალითად ოშკის ტაძარი შენდებოდა ათ წელიწადს, სვეტიცხოველი შენდებოდა 19 წელიწადს, ასევე 19 წელიწადს გრძელდებოდა სამშვილდის სიონის მშენებლობა. ოშკის ტაძარზე დაცული უნიკალური წარწერა გვაწვდის საყურადღებო ცნობებს შენობის აგების შესახებ: ყოველწლიური ხარჯები კალატოზებზე და მოქმედებზე და ქვიშის მზიდავ ჯორებზე შეადგენდა 20000 დრაჰმას (აბაზი), 5000 ფისოს ღვინოს (4266 გრ. - სულ 213 კგ.) 50 ლიტრა რკინას, 250 გრივ ხორბალს. აქ მუშაობდა 70 კალატოზი, ხურო და მჭედელი, 30 ხარი ზიდავდა ქვას, 30 ჯორი და აზავერი სპონდიოს (წყლის ტუფი) გრიგოლწმინდიდან. სხვა აზავერი ყოფილა 60, და სულ ერი და მოქმედი 80. როგორც ჩანს, მშენებლობა ძლიერ ინტენსიურად მიმდინარეობდა და მასზე გაწეული ხარჯებიც დიდი ყოფილა.

**ქალაქთმშენებლობა.** განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ხელოსნობის და ვაჭრობის ზრდასთან ერთად ვითარდებოდა საქალაქო ცხოვრებაც. იმდროინდელ ქალაქთა შორის ცნობილია: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, დმანისი, სამშვილდე, მანგლისი, ახალქალაქი, ახალციხე, თელავი, არტანუჯი, ხუნანი, ხორბუჯი, ქინვალი.

სამეფო ხელისუფლება დიდად ზრუნავდა ქალაქებზე, მაგრამ XII საუკუნის დასასრულისათვის და განსაკუთრებით მონღოლთა მფლობელობის ხანაში სამეფო ხელისუფლებასთან დიდგვარიანთა ბრძოლის შედეგად, ზოგი ქალაქი დიდებულთა ხელში გადავიდა, ისე რომ ქალაქები ან სამეფოა ან

სპატრონო, ე.ი. რომელიმე დიდებულის ხელში იმყოფება.

ქალაქი ჩვეულებრივად დედაციხისა და საკუთრივ ქალაქისაგან შედგებოდა. ქალაქს იცავდა საბრძოლო გალავანი, ამას გარდა იყო შიდაციხე სადაც იმყოფებოდა მფლობელის (მეფისა თუ დიდებულის) სასახლე, კარის ეკლესია, მეციხოვნეთა საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობები. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა ქალაქის ზონაში ან ციხის კედლებს გარეთაც (ამ მხრივ თვალსაჩინოა სამშვილდე ან დმანისი). ქალაქს რამდენიმე კარები ჰქონდა. ქალაქში იყო ეკლესიები ხოლო დიდ ქალაქში საეპისკოპოსო საყდრები, ფეოდალთა და ეპისკოპოსთა სასახლეები, სასამართლოები, საჰურჰლეები, ხაზინა, ზარაფხანა. ქალაქში იყო მოედნები, ბაზრები, სახელოსნო რიგები დუქნებით, ქარვასლები. მდინარეებზე იყო ხიდები და წისქვილები, იყო სამეფო და საზოგადო დანიშნულების აბანოები (ამ დროს თბილისში ყოფილა 65 აბანო გოგირდოვანი თბილი წყლებით).

ნაქალაქარი დმანისი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მისგან ასიოდე კილომეტრის დაშორებით. იგი გაშენებულია მდ. ფინეზაურისა და მაშავრის შესართავთან, მაღალ კონცხზე. ქალაქის აღმავლობას განსაკუთრებით ხელი უნდა შეეწყო მის ხელსაყრელ მდებარეობას საქარავნო-სავაჭრო გზაზე. კედლებით გამტკიცებული ქალაქი 13 ჰექტარის ფართობით. მის სამხრეთით, კედლების გარეთ მდ. ფინეზაურის ნაპირებზე გაშლილი იყო გარეუბანი. საკუთრივ ქალაქში იყო ზღუდით გამოყოფილი შიდაციხე, შესასვლელით მხოლოდ ქალაქის მხრიდან. სამხრეთიდან ქალაქს ადგება ძველი გზა, რომელიც ჰიშკრის გავლით უკვე ქუჩის სახით გრძელდება ქალაქში. ქალაქის ქუჩების სიგანეა 2,5 მეტრიდან 4,7 მეტრამდე. მსხვილი, ერთმანეთთან მორგებული ქვები შეადგენდნენ ქუჩის მკვრივ ქვაფენილს.

შიდაციხის ქვემოთ იმყოფება ქალაქის მთავარი ტაძარი - VII საუკუნეში აგებული დმანისის სიონი. განსაკუთრებით გამოიყოფა მისი მდიდრულად მორთული XIII საუკუნის პირველ მეოთხედში მიშენებული კარიბჭე. სიონისაგან განსხვავებით, რომელიც აგებულია მომწვანო ფერის ტუფის ფილებით, დმანისის ყველა საცხოვრებელი შენობა აგებულია ადგილობრივი ბაზალტისაგან. აგური გამოყენებულია ბუხრებისა და თახჩების გამოსაყვანად. შენობები არაა გულდასმით ნაგები. ქვა არაა [illegible] ლილი და რიგების ჰორიზონტალობაც არაა დაცული. შიგნიდან შენობები შელესილია, მდიდარ სახლებში კი მოპირკეთებულიც. შენობათა იატაკში ჩაფლულია ქვევრები, ხორბლის შესანახი ორმოები და თიხის თონეები. გარდა ამისა, გამოვლენილია მარნები, ბეღლები და დუქნები. ქალაქიდან მდინარემდე ჩადიოდა კარგად შენიღბული გვირაბი. სამოქალაქო ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ციხის აბანო. ამას გარდა საზოგადო აბანო არსებობდა გარეუბანში.

დმანისის მდებარეობა, თავდაცვითი სისტემა, შიდაციხისა და გარეუბნის გამოყოფა, ვიწრო ქუჩები და სხვა ნიშნები, გვიხატავენ ტიპიურ ქართულ პროვინციულ ქალაქს. დმანისის აყვავების ხანაში (XI-XIII სს.) ქალაქში ეწეოდნენ მეღვინეობას, სელის ზეთისა და ქსოვილების წარმოებას, ამზადებდნენ კერამიკულ მოჭიქულ ჭურჭელს და სხვა. XIII საუკუნეში დმანისში არსებობდა ზარაფხანა და ფულიც იჭრებოდა.

თეთრი წყაროს მახლობლად მდინარეების ჭივჭავასა და ხრამის შესართავთან მდებარეობს ნაქალაქარი სამშვილდე. აქაც ქალაქისათვის შერჩეულია ბუნებრივად ბრწყინვალედ დაცული ადგილი. ქალაქს უკავია კონცხი, ორივე მხარეს კი კლდოვანი შვეული ხრამებია, ხოლო მესამე მხარე გალავნით იყო დაცული. ქალაქი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. დასავლეთის მხარე ქალაქის კედლებს გარეთ იმყოფებოდა. ეს გარეუბანია, სადაც შემორჩენილია საცხოვრებელი სახლების ნანგრევები, ბაღ-ბოსტნების საკარმიდამო ნაკვეთები... დგას დარბაზული ეკლესია აგებული X საუკუნეში და აღდგენილი 1672 წელს.

მდ.ჭივჭავაზე ხიდია, საიდანაც კლდეში ნაკვეთ საურმე გზას მივყავართ ქალაქის შესასვლელთან. აქედან დიაგონალურად მიემართება მთავარი ქუჩა განშტოებებით. ამ ნაწილში, როგორც ჩანს, ცხოვრობდნენ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, მხედართმთავრები და მოხელეები. აქ შემორჩენილია ორსართულიანი ქვის სახლები და სასახლეები. აქვეა სამი დარბაზული ეკლესია.

ქალაქის აღმოსავლეთის ნაწილი გამოყოფილია მძლავრი გალავნით. გალავნის ძველი ფენები მიეკუთვნება IX-X საუკუნეებს, ძირითადი ნაწილი XIV-XVI სს. ხოლო დიდი მრგვალი ბურჯები 1747 წელსაა აგებული. გალავნის მახლობლად ჩანს ორი სასახლისა და აბანოს ნანგრევები. ციხის აღმოსავლეთით სამი ეკლესიაა - X ს. ბაზილიკა, XII ს. დარბაზული ეკლესია და ოდესღაც ბრწყინვალე სამშვილდის სიონის VIIIს. კონცხის კიდეზე მოთავსებულია ორი უზარმაზარი რეზერვუარი სასმელი წყლის მარაგისათვის.

XI-XIII სს. ქალაქი გაითხარა რუსთავში. აქაც გამოყოფილია საკუთრივ ქალაქი და შიდაციხე. გამოვლენილია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი-მარნები, ხორბლის შესანახი ბეღლები, პურის საცხობები და სხვ. სახლები აშენებულია ყორექვით თიხის ხსნარზე. სახლების უმეტესობა ბრტყელსახურავიანია და იშვიათად კრამიტით დახურული. გათხრების მასალების მიხედვით რუსთავი იყო მიწათმოქმედების, ხელოსნების და ვაჭრების ქალაქი. აქ აწარმოებდნენ კერამიკას და მინას, მორთულობის საგნებს და ლითონის იარაღს. ქალაქმა სამჯერ განიცადა შემოსევა და ამასთან დაკავშირებით დანგრევა და ხანძარი: XI საუკუნეში ქალაქის თურქსელჩუკების დაპყრობამდე, 1115 წ. ქალაქის დავით აღმაშენებლის მიერ გათავისუფლებამდე და როდესაც ქალაქი გაძარცვეს მონღოლების შემოსევის პერიოდში.

**საკულტო შენობები.** ამ პერიოდში ძირითადად საკულტო ნაგებობას წარმოადგენს გუმბათოვანი ტაძარი. განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისში სამნავიან და სამეკლესიან ბაზილიკებს ჯერ კიდევ აშენებენ, მაგრამ მათი ფორმები მოწმობენ ამ თემის უარყოფას. X-XI სს. გვხვდება ჯვარული ტიპის გეგმები (ტბეთი), ტრიკონქები (დორთქილისა), ტეტრაკონქები (კვეტერა), მრავალაფსიდიანი, ვარსკვლავისებური კომპოზიციები (ბოჭორმა) და სხვ. მრავალაფსიდიანი ტაძრები გვხვდება სხვადასხვა პროვინციებში (კახეთში, იმერეთში და ტაოკლარჯეთში). კვეტერას X საუკუნის ეკლესია გეგმაში წარმოადგენს ჯვარს ოთხი აფსიდით, რომელთა შორის მოთავსებულია ოთხი ნიში. ეკლესიის ცენტრალური კვადრატი დაგვირგვინებულია გუმბათით, ექვსი სარკმლით მის ყელზე. აფსიდების მკლავების ყოველ კუთხეში გაკეთებულია სამი ნახევარსვეტის კონა.



კაცხი ეკლესია, X-XI სს. მიჯნა.

გადასვლა კვადრატიდან გუმბათზე განხორციელებულია თაღების სისტემით. ეკლესიის კომპოზიცია მოცულობაში ძალიან საინტერესოა - მსუბუქი, მოხდენილი და ხალისიანი. ოსტატი ცდილობდა შეექმნა ლამაზი, დეკორატიული ნაწარმოები, ამასთანავე ყოველგვარ ორნამენტული მორთულობის გარეშე. კედლები შიგნით და გარეთაც შემოსილია გათლილი შირიმის ფილებით. ფასადებზე ყოველ აფსიდის შვერილს აქვს ხუთი წახნაგი, რომლებიც მოჩარჩოებულია კუთხეებში ნახევარსვეტების კონებით, მათზე დაყრდნობილი თაღებით. ასეთია თაღები ამკობენ აგრეთვე შესასვლელებს, ხოლო სარკმლები მოჩარჩოებულია ლილვებით, რომლებიც ცოკოლთან ბირთვებით მთავრდება. გუმბათის ყელი დანაწევრებულია თორმეტი თაღით. სახურავი კრამიტისაა, თანაც ჰიქური-ფირუზისფერი. საერთოდ კვეტერა ძლიან მოხდენილი და მონდომებით აშენებული ეკლესიაა.

ამავე ჯგუფს ეკუთვნის ბოჭორმის X საუკუნის ეკლესია, ყველა აფსიდის წინ ჩასმულია ბემები. გარეთა რვაწახნაგა დამუშავებულია ექვსი ნიშით. აგრეთვე ტაოს კარის X საუკუნის ეკლესია, რომელიც განსხვავდება რვა კონქედის სხივების სწორკუთხოვანი ფორმებით. გადასვლა რვაკუთხედიდან გუმბათის წრეზე ქმნის დაკიდულ თაღების ორ მწკრივს, ხოლო თექვსმეტწახნაგოვანი ფასადი დამუშავებულია რვა სამკუთხა ნიშნით.

ამ ძეგლებს უახლოვდება X და XI სს. მიჯნაზე აგებული კაცხის ეკლესია. მიუხედავად საერთო მსგავსებისა, წინა ნიმუშებთან შედარებით კაცხში უფრო განვითარებული და საზეიმო კომპოზიციაა. უჩვეულოდ ფართო და ნათელი შიგა სივრცე და განსაკუთრებით მოძრავი, დაძაბული მასები, ამჟღავნებენ მისწრაფებას დეკორატიულობისაკ-



კვეტერა. ეკლესიის საერთო ხედი, X ს.

ეა. გუმბათის ყელი, ტაძრის კორპუსი და მდიდრულად მორთული გარშემოსავლელი შეადგენენ სამ კონცენტრიულ საფეხურს. ყოველი ეს საფეხური დაგვირგვინებულია საკუთარი ფრონტონით, ისე რომ იქმნება ტეხილი კარნიზების სამმაგი რიტმი.

ცენტრალურ-გუმბათოვანი კომპოზიციიდან წაგრძელებული სწორკუთხოვანი მოხაზულობის ტაძარზე გადასვლის საყურადღებო ეტაპს წარმოადგენს კუმურდოს ტაძარი აგებული 964 წელს ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ. გუმბათქვეშა წრიდან გამოდის ექვსი მკლავი, რომელთაგან ხუთი მთავრდება ნახევარწრიული აფსიდით: ორი მათგანი შეწყვილებულად განლაგებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეებზე, ერთი აღმოსავლეთით. საკურთხევლის ორივე მხარეს მოთავსებულია ორსართულიანი ვიწრო სადგომები. დასავლეთის სწორკუთხა და წაგრძელებულ მკლავში ბოძების ორ-ორი წყვილით გამოყოფილია გარშემოსავლელი და პატრონიკე მის ზემოთ. ცენტრალურ ნაწილში აფსიდების კედლების დამთავრების მიჯნაზე, მოთავსებულია ექვსი წახნაგოვანი ბურჯი, რომლებსაც ეყრდნობა ოდნავ შეისრული ვამბჯენი თაღები. ბურჯებს ზემოთ გამოიყოფა ბრტყელი აფრები, რომელთაგან აღმოსავლეთის ორი აფრა შემკულია ბაგრატ III დედის გურანდუხტისა და მისი ძმის აფხაზთა მეფის ლეონის რელიეფებით.

გარეგანი მასების კომპოზიცია გვირგვინდება გუმბათით. აღმოსავლეთის ფასადზე ორი, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე კი თითო სამკუთხოვანი ღრმა ნიშები აღნიშნავენ აფსიდების საზღვარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შენობის ბრწყინვალე შესრულება. ტაძარი აგებულია ვარდისფერი ქვით, რომელიც არაჩვეულებრივად ზუსტადაა გათლილი. ტაძრის ფორმათა სიმკაცრეს უპასუხებს თავშეკავებული მორთულობაც. სარკმლების ჩუქურთმოვანი საპირეები და ლავგარდნის სახეები შესრულებულია დაბალი რელიეფით და ფაქიზი გრაფიკული ნახატით. XI ს. შუა წლებში დასავლეთის მკლავს სამი მხრიდან მიუშენეს თაღებით შემკული და მდიდრულად მოჩუქურთმებული გალერეა.



ბოჭორმა. ეკლესიის გეგმა. X ს.

X საუკუნიდან შემორჩენილ ძეგლთა შორის აღსანიშნავია თორთუმის ხეობაში (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია) მდებარე ოშკის დიდი ტაძარი, აგებული 958-966 წწ. ტაო-



ოშკი. საერთო ხედი. 960 წ.

კლარჯეთის მმართველთა ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის დაკვეთით. ტაძარზე შემორჩენილი წარწერა მოგვითხრობს, რომ მშენებლობას ხელმძღვანელობდა მონასტრის ერთ-ერთი ძმათაგანი, ცნობილი მთარგმნელი გრიგოლ ოშკელი.

ტაძარი წარმოადგენს რთულ ტრიკონქს დასავლეთის წაგრძელებული მკლავით და ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით ცენტრში. ჯვრის ყველა მკლავი გარდა დასავლეთისა მთავრდება აფსიდით, რომლის გვერდებზე ორსართულად განაწილებულია დამხმარე ოთახები. დასავლეთის მკლავის ჩრდილო ნაწილში იმყოფება გრძე- სადგომი, რომლის ქვედა სართული ეკვდერს წარმოადგენს და ზედა კი პატრონიკეს. სამხრეთის მხარეს ტაძარი მდიდრულადაა გაფორმებული სვეტებიანი ღია სტოათი. მისი ოთხივე სექტორის გადახურვისათვის გამოყენებულია ვარსკვლავისებრი, მოჩუქურთმებული კამარები. მორთულია შიგა სივრცის სხვა ელემენტებიც. გუმბათქვეშა ბურჯებს აქვთ შემკული ბაზისები და იმპოსტები. ჩუქურთმებით დამუშავებულია გუმბათქვეშა აფრებიც. მორთულობას უპასუხებს უხვი განათებაც - მის გუმბათში 12 სარკმელია და სამი სარკმელი თითოეულ აფსიდში.

შენობის გარე მასებში დაცულია შიგა დანაწევრება. საყურადღებოა ფასადების

დამუშავების დეკორატიული სისტემა. ორი ღრმა სამკუთხა ნიში ჩართულია სხვადასხვა სიმაღლის თაღების საერთო სქემაში. ნაპირებიდან ცენტრისაკენ თაღების თანდათანობითი ამაღლება ქმნის მოძრაობის ძლიერ მეტყველსა და მზარდ რიტმს. შენობის ლავგარდნები და პილასტრების სვეტისთავები შემკულია ჩუქურთმებით. სარკმლები მორთულია ჩუქურთმოვანი თავსართებით. მორთულობაში ჩართულია ცხოველების გამოსახულებანი და ნაკვთიანი რელიეფები. ფასადების მრავალფეროვან და მშვენივრად შესრულებულ მორთულობაში დამატებითი აქცენტი შეაქვს სარკმლების თავზე და ნიშების ზედა ნაწილში მოთავსებულ მარაოსებრ პოლიქრომულ სამკაულებს. განსაკუთრებით საყურადღებოა სამხრეთის ფასადი, რომელსაც ცხოველხატულ იერს ანიჭებს გალერეას ტეხილი ლავგარდანი და მასების ასიმეტრიული განაწილება.

ტაძარი თავისი ზომებით ბევრად აღემატება მანამდე აგებულ ძეგლებს (სიგრძე 38.5 მ, სიგანე - 36 მ, სიმაღლე - 40 მ.). იგი არაჩვეულებრივად დიადსა და საზეიმო შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი აშკარად განსხვავდება ადრინდელ ტაძრებისაგან უფრო მაღალი კედლებით, გუმბათის ყელით, მეტად დაქანებული სახურავებითა და გუმბათის კარვისებური საბურავით.

ამავე თორთუმის ხეობაში X საუკუნეში აგებულიაა მეორე მნიშვნელოვანი ძეგლი - ხახულის ტაძარი. ოშკისაგან განსხვავებით მისი მკლავები, გარდა აღმოსავლეთისა, სწორკუთხოვანი ფორმისაა და გარედანაც სწორკუთხოვანი კედლებითაა შემოფარგლული. ტაძარი შემოსილია სხვადასხვა ფერის ქვით, მდიდრულადაა მოჩუქურთმებული და



ოშკი. გეგმა. 960 წ.

დახურულია მოჭიქული კრამიტით.

ორიგინალურ ძეგლს წარმოადგენს მთიან რაჭაში 1014 წელს აგებული ნიკორწმინდის ტაძარი. თავისი გეგმით იგი უახლოვდება კუმურდოს, თუმცა აქ აფსიდები ვარსკვლავისებრივაა განაწილებული გუმბათქვეშა სივრცის მიმართ. აღმოსავლეთის აფსიდის გვერდებზე მოთავსებულია სამკვეთლო და სადიაკვნო, ხოლო დასავლეთის მკლავის გვერდებზე ეკვდერებია. მშვენივრად გააზრებული შიგა სივრცე უხვად არის განათებული გუმბათის ყელზე არსებული 12 სარკმლიდან. კედლები დაფარულია ფრესკული ფერწერით. სამხრეთისა და დასავლეთის შესასვლელების წინ ტაძარს ახლავს მდიდრულად მორთული კარიბჭეები.

საერთოდ, ცალკე უნდა აღინიშნოს ტაძრის გარე გაფორმების სიმდიდრე. ნიკორწმინდის მორთულობა წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც მოიცავს ტაძრის ყველა ნაწილს. გაფორმების ძირითად გამაერთიანებელ მოტივს შეადგენენ ორმაგ ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი თაღები. ორნამენტული მორთულობა მდიდარია და მრავალფეროვანი. ყველა კარი და სარკმელი შემკულია სხვა-



კუმურდო. ტაძარი, ხუროთმოძღვარი საკოცარი, 964 წ.

დასხვა ჩუქურთმოვანი საპირეებით და თავსართებით. ყველა ფასადზე თაღების ზემოთ მოთავსებულია ნაკვთიანი რელიეფებისაგან შედგენილი კომპოზიციები. განსაკუთრებითაა მორთული გუმბათის ყელი, რომლის არა მარტო სარკმლების საპირეები, არამედ თვით დეკორატიული თაღების ლილვები, რთული ლავგარდანი და სარკმლების ქვემოთ დატოვებული არე მთლიანად ხალიჩისებრ დაფარულია ჩუქურთმებით და რელიეფური ნაკვთებით.

X საუკუნის მანძილზე შემუშავებული შენობის ტიპი - წაგრძელებული ფორმის ტაძარი, თავისუფლად მდგარ ბურჯებზე აზიდული გუმბათით და შედარებით დაბალი სადგომებით ჯვრის მკლავებს შორის - საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოს უდიდესი საკრებულო ტაძრების აგებით. ქრონოლოგიურად ერთმანეთის მომდევნო ქუთაისის, მცხეთის და ალავერდის ტაძრები თავისი აბსოლუტური სიდიდით, კომპოზიციის მხატვრული ხარისხისა და შესრულების ღირსებით ასახავენ დაწინაურებული სახელმწიფოს მისწრაფებებს და მოასწავებენ ქართული არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპს.

ქუთაისის ტაძარი აგებულია ბაგრატ III მიერ 1003 წელს. იგი ოშკის ტაძრის მსგავსად წარმოადგენს რთულ ტრიკონქს, მაგრამ კიდევ უფრო სრულყოფილია და საზეიმო. აცილებულია პატარა სადგომები ჩრდილოეთისა დ



სამთავისი ეკლესიის გეგმა, 1030 წ.

ასამხრეთის აფსიდების გვერდებზე. საგრძნობლად გაფართოებულია სამნავიანი დასავლეთის მკლავი და მის გვერდებზე შექმნილია ტაძართან ორმაგი თაღებით დაკავშირებული პატრონიკე, რომელზედაც ასასვლელი იყო. იგივე ორმაგი თაღების მოტივი მეორდება საკურთხევლის მიმდებარე ოთახების მეორე სართულშიაც.

შიდა სივრცით ნაკარნახევი ფასადები გამსჭვალულია მორთულობის ერთიანი სისტემით და გაერთიანებულია ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი თაღებით. აღმოსავლეთის ფასადი გაფორმების მხრივ წარმოადგენს თაღების ერთიან, გაბმულ მოტივს, რომელშიაც ჩართულია ორი სამკუთხოვანი ფორმის ნიში. შენობის დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელებს, ამავე საუკუნის მეორე მეოთხედში მიუშენეს მდიდრულად მოჩუქურთმებული დიდი კარიბჭეები. საერთოდ ტაძრის მრავალფეროვან მორთულობაში, რომელსაც შეადგენს მცენარეული და გეომეტრიული მოტივების ჩუქურთმები, ამასთანავე სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებანი, გამოიყოფა ქრონოლოგიურად ახლო მყოფი, მაგრამ სტილისტიკურად განსხვავებული ფენა. შენობის პირვანდელი ნაწილების მორთულობა თავშეკავებულია და შესრულებულია დაბალ რელიეფში, გრაფიკულ მანერაში.

რაც შეეხება გვიანდელი კარიბჭეების მორთულობას, იგი უფრო რელიეფურია, კაშკაშა და მწიფე.

ტაძარი უვნებლად მდგარა XVII საუკუნემდე და მორთული ყოფილა კედლის მხატვრობითა და ჭედური ხატებით. 1691 წელს კი ააფეთქეს საომარი ოპერაციების დროს ახალციხელმა თურქებმა.

მცხეთის სვეტიცხოველი აგებულია 1010-1029 წლებში ხუროთმოძღვარ არსუკისძის მიერ მცხეთის შუაგულში, სადაც IV საუკუნის პირველ ნახევარში აშენდა უძველესი ქართული ეკლესია (გათხრების შედეგად ტაძრის იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ამ ჯარგვალური შენობის ნარჩენები). V საუკუნის მეორე



სამთავისი აღმოსავლეთის ფასადი.



მცხეთა. სვეტიცხოველი, ტაძრის საერთო ხედი.
ხუროთმოძღვარი არსუკიძე, 1010-1029 წწ.

ნახევარში ვახტანგ გორგასლის დროს. პირვანდელი ხის შენობის ნაცვლად აგებულ იქნა დიდი ზომის ბაზილიკა, რომლის ცალკეული ნაწილები და ბურჯები ჩართული იყო დღეს არსებულ ტაძარში. ბაზილიკამ იარსება XI საუკუნემდე, როდესაც ქვეყნის საერთო აღმავლობამ საშუალება მისცა მელქისედეკ კათალიკოსს აეშენებინა მის ნაცვლად დიდებული საკრებულო ტაძარი.

გეგმაში ტაძარი წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედს გუმბათით ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე. აღმოსავლეთის მხარეს გამოყოფილია ღრმა საკურთხეველი, რომლის ორივე მხარეს მოთავსებულია სადიაკვნო და სამკვეთლო. დასავლეთის მკლავის ზემოთ, სამ მხარეს მდებარეობდა პატრონიკე. აქედან შემორჩენილია მხოლოდ შუა ნაწილი. ასევე შეცვლილია საყრდენი ბურჯების განაწილებაც. ბურჯების ოთხი წყვილიდან ამჟამად არსებობს მხოლოდ სამი. ტაძრის დიდი შიგა სივრცე განათებული გუმბათიდან



სვეტიცხოველი,
ტაძრის გეგმა.



ქუთაისი. ბაგრატის ტაძარი, სამხრეთის ფასადი. 1003 წ.

16 სარკმლით, ქმნის გრანდიოზულობისა და ზეიმურობის ხასიათს.

გარე მასების კომპოზიციაში გაბატონებულია მაღალი გუმბათი. ძირითადი მოცულობანი - ჯვრის მკლავები, დაკავშირებულია მათ შორის მდებარე უფრო დაბალ მასებთან სახურავთა ქანობების ცხოველხატული კომბინაციით. ფასადების სტრუქტურა ითვალისწინებს შიგა სივრცის განაწილებას. თითოეული მათგანი გააზრებულია როგორც დასრულებული მთლიანი, მაგრამ ამავე დროს მათში გათვალისწინებულია სხვა ფასადების დამუშავებაც. გრძივ ფასადებზე დეკორატიული თაღედების გარდა მძლავრ აქცენტს ქმნიან მსხვილი და ღრმა თაღები. ყველა ფასადი შემოსილია რბილი, ყვითელი და მომწვანო ფერის კვადრებით. აქა-იქ არქიტექტურის მთავარი ელემენტები ხაზგასმულია ღვინისფერი და მწვანე ქვების პოლიქრომიული ნახატით.

აღმოსავლეთის ფასადის მორთულობის საფუძველს წარმოადგენს შეკრული თაღების სისტემა, მასში ჩართული მაღალი სამკუთხა ნიშებით. ეს მოტივი გამდიდრებულია შუა, მაღალი თაღის არეს მორთულობით, სადაც მარაოსებრივ გაშლილი სხივების ბოლოებში გამობმულ წრიულ ბალთებზე მოთავსებულია მელქისედეკ კათალიკოსის სამშენებლო წარწერა. რამდენადმე შეუსაბამოა ფასადის მორთულობაში გვიანი შეკეთების დროინდე-



ალავერდის ტაძრის საერთო ხედი, XI ს.



ბოქვი. ეკლესიის გეგმა.

ლი ზედა სამი სარკმლის მოჩარჩოება. გვერდითი ფასადები მიუხედავად ცალკეული ელემენტების ასიმეტრიულობისა და სხვადასხვაობის, ხასიათდებიან საერთო სიმეტრიით და წონასწორობით. მორთულობაში შესამჩნევია შემდგომი გადაკეთების კვალი. თუმცა სარკმლების საპირეები, ნახევარწრიული სათაურები და ნაკვთიანი რელიეფები ძირითადად XI საუკუნისაა. XIV საუკუნის ბოლოს ტაძარი დაანგრიეს თემურლენგის ურდოებმა, მაგრამ XV საუკუნის პირველ მესამედში საფუძვლიანად შეაკეთეს.

ალავერდის ტაძარი აგებულია კახეთში XI საუკუნის პირველ ნახევარში. გეგმაში იგი ოშკისა და ქუთაისის ტაძრების მსგავსად წარმოადგენს ტრ იკონქს, მაგრამ აფსიდები აქ ჩაწერილია გარე კედლების სწორკუთხედში. ტაძრის ცენტრში ოთხ ბურჯზე აღმართულია მაღალი გუმბათი. ძირითად ტრიკონქს

სამი მხრიდან მიშენებული ჰქონდა გარსშემოსავლელი აფსიდური დაბოლოებით. ტაძარი კახეთის ყველა ტაძრების მსგავსად, აგებულია ყორე ქვით და შემოსილია შირიმის ფილებით. მისი შიგა სივრცე ხასიათდება დახვეწილი, ატყორცნილი პროპორციებით და უცილობლად ყველაზე გრანდიოზულია მთელ ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ტაძარი თითქმის მოკლებულია მორთულობას. მისი მაღალი კედლები გაფორმებულია მხოლოდ სვეტების კონებისაგან შედგენილი თაღედით. აღმოსავლეთის ფასადზე თაღების სისტემა გაძლიერებულია ახალი ელემენტებით - შუა მაღალი თაღის გვერდებზე გამობმულია ორმაგი ლილვებისაგან შედგენილი რთული ვარდულები.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე თემა სამივე ტაძარში დამუშავებულია სრულიად განსხვავებულად, ამა თუ იმ კუთხის ტრადიციების შესაბამისად. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ადგილობრივი ნიშნები და ხასიათი ფასადურ დამუშავებაში. ზემოთ აზიდული პროპორციები და მორთულობის სიმცირე და სიმკაცრე კახეთის ტაძარში, საერთო დეკორატიულობა და მორთულობის სიფაქიზე იმერეთში და სრული სიმშვიდე და დიდი პროპორციები ქართლის ტაძარში.

განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ აფხაზეთის ძეგლები, რომლებიც მიუხედავად განვითარების საერთო ხაზისა, ამავე დროს ხასიათდებიან თავისებური ნიშნებით, შესაძლოა ბიზანტიის არქიტექტურასთან სიახლოვის შედეგადაც.

მოქვის ტაძარი აგებული აფხაზთა მეფის ლეონ III მიერ 957-967 წლებში, წარმოადგენს წაგრძელებული ფორმის ხუთნავიან გუმბათოვან შენობას. ტაძრის სამი ძირითადი ნავი აღმოსავლეთით შვერილი აფსიდებით მთავრდება. ამასთან შუა მრავალწახნაგოვანია. დასავლეთის ნართექსი დაკავშირებულია გარშემოსავლელთან, რომლის აღმოსავლეთის ნაწილში მოწყობილია სამკვეთლო და სადიაკვნო, ხოლო ზემოთ პატრონიკე. მკაცრი და მშვიდი შიგა სივრცე უხვად არის



მოქვი. საერთო ხედი, X ს.



ბიჭვინთა. ეკლესიის საერთო ხედი, X ს.



გეგუთი. ციხე-დარბაზის ნანგრევები, XII ს.



იყალთო. აკადემიის შენობა საერთო ხედი.

განათებული. თლილი ქვით შემოსილი ფასადების ძირითად მხატვრულ ელემენტს წარმოადგენს სარკმელთა რიტმული განაწილება და გუმბათი მრავალწახნაგა ყელითა და დაბალი საბურავით.

მეორე ძეგლს - ლიხნის ტაძარს, აქვს ნავების შესაბამისი სამი შვერილი აფსიდი და დაბალი გუმბათი. ტაძრის გარე ფორმები მკაცრია, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო. შენობის კედლები შემოსილია თბილი ტონის ქვის თლილი კვადრებით.

მესამე ტაძარი აგებული X და XI სს. მიჯნაზე ბიჭვინთაშია. ეს ძალიან დიდი ტაძარი წარმოადგენს სამნავიან წაგრძელებული ფორმის შენობას სამი შვერილი აფსიდით აღმოსავლეთის მხარეს. დასავლეთის მხარეს აქვს ნართექსი პატრონიკეთი ზემო სართულში. გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის კედლების შვერილებსა და ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს. ტაძრის კედლები აგებულია მქისედ დამუშავებული თლილი ქვის ჰორიზონტული რიგებით, რომლებშიაც მონაცვლეობით დატანებულია ბრტყელი აგურის ზოლები. გვიანდელი გადაკეთების შედეგად, აქ ასევე როგორც მოქვში დაზიანებულია კედლის მხატვრობა.

XI საუკუნეში დიდებულ ტაძრებთან ერთად იგება შედარებით მცირე შენობებიც, რომელთა ხუროთმოძღვართა წინაშე აღარ იდგა ახალი სივრცითი ფორმების გადაწყვეტის ამოცანა. მათ ჩვეული გამომუშავებული ფორმების გამოყენებისას ძირითადი ყურადღება მიაქციეს შენობის გარეგან გაფორმებასა და მორთულობას.

ასეთ შენობათა ნიმუშს წარმოადგენს სამთავისის ტაძარი აგებული 1030 წელს. ტაძ
გეგმა გამარტივებულია და დამოკლებ
წესიერი სწორკუთხედი გრძივი ღერ

რთულებით გაყოფილია სამ თანაბარ ნაწილად. შუა ნაწილს შეადგენს ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯი მათზე აღმართული გუმბათით. ტაძრის გარეგანი მასები ლაკონურია და მეტყველი. მაღალ, მოხდენილ გუმბათს ესაზღვრება ასევე მაღალი ორქანობიანი სახურავით დახურული მკლავები. სწორკუთხედის კუთხეები დადაბლებულია და ერთქანობიანი სახურავებით გამოჰყოფენ შენობის ძირითად ღერძს. ფასადები გაერთიანებულია დეკორატიული თაღების საერთო მოტივით. თუ ეს თაღები ადრე არქიტექტონიკური იყო, ახლა თაღების სისტემა დეკორატიულ სახეს ღებულობს. ნახევარსვეტები დავიწროვდა და ლილვებად იქცა. აღმოსავლეთის ფასადზე საკურთხევლის მდიდრულად მოჩუქურთმებული სარკმლის ზემოთ მოთავსებულია დიდი ზომის ჯვარი, ხოლო სარკმლის ქვეშ, ასევე მოჩუქურთმებული ორი დეკორატიული რომბი. ყველა ეს ელემენტი დაკავშირებულია ლილვებით, რომლებიც უვლიან მათ ირგვლივ და ქმნიან ხვეულებსა და ჯვრებს. ამგვარად იქმნება ძლიერ პლასტიკური, დინამიური სურათი. აღმოსავლეთის ფასადის სამკუთხა ნიშებიც მდიდრულადაა გაფორმებული აჟურული, დაკიდული ფესტონებით, რომლებიც ძლიერ ეფექტურია დაჩრდილული ნიშების ფონზე კარ-სარკმლების საპირეები შემკულია განსაცვიფრებელი ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმებით. სამთავისის ტაძარი თავისი სრულყოფილი პროპორციებით, დეკორატიული ჩანაფიქრის ბრწყინვალე განხორციელებით, წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უფაქიზეს ნაწარმოებს. მისი დახვეწილი კომპოზიცია გახდა სანიმუშო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

ინდივიდუალური თვისებებით ხასიათდება XI საუკუნის პირველი ნახევრის კიდევ ერთი ძეგლი - სამთავროს ტაძარი მცხეთაში. ტაძრის გეგმა არ განსხვავდება ამ პერიოდის სხვა ძეგლებისაგან. გუმბათი ეყრდნობა ორ თავისუფლად მდგომ ბურჯსა და საკურთხევლის აფსიდის კედლების შვერილებს. უხვად განათებული, მაღალი თავისუფალი შიგა სივრცე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. აღმოსავლეთის ფასადზე წარმოდგენილია უწყვეტი თაღედის ტრადიციული სქემა. სამაგიეროდ მოულოდნელია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადების გაფორმება. სამხრეთის ფასადზე ჯვრის მკლავის ცენტრში მოთავსებული ორმაგი სარკმელი მოჩარჩოებულია დიდი თაღით. თავისუფალი არე სარკმლებსა და თაღის ლილვს შორის შევსებულია დიდი მოჩუქურთმებული ვარდულითა და ორი, სოლისებრი მცირე ვარდულით. მთავარი თაღის ორსავე მხარეს უფრო დაბალი და ვიწრო თაღების არეები დანაწევრებულია ვიწრო ნიშებით. მთელი ეს კომპოზიცია აგებულია რბილი, მზის განათებაზე გათვალისწინებულ ფორმებში და შუქ-ჩრდილის უნაზეს ნიუანსებზე. ჩრდილოეთის ფასადის სათანადო არე იძლევა სრულიად სხვა გადაწყვეტის ნიმუშს. აქ ხუროთმოძღვარი ნაცვლად შუქ-ჩრდილის ეფექტისა ხმარობს ხაზების მოძრაობის ეფექტს. ორმაგი სარკმელი აქაც მოთავსებულია თაღოვან ჩარჩოში, მოჩარჩოების ლილვი სწრაფად ეშვება ქვემოთ და შემდეგ მახვილი კუთხით გადადის გვერ-



ნიკორწმინდა. ეკლესიის გეგმა.



ნიკორწმინდა. საერთო ხედი, 1010-1014 წწ.

დით რკალში, რის შემდეგ მშვიდად ამთავრებს ნახატს. სამთავროს ტაძრის ამ კომპოზიციათა განხილვა გვიჩვენებს ამ ეპოქის ქართველი ხუროთმოძღვრების შემოქმედებით უნარს.

XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ იყო შექმნილი გელათის დიდებული მონასტერი. ანსამბლის ცენტრში დგას ღვთისმშობლის მთავარი ტაძარი აგებული 1106-1125 წლებში. იგი განსხვავდება ამ პერიოდის სხვა ძეგლებისაგან და სამი აფსიდის შვერილით აღმოსავლეთის მხარეს უახლოვდება აფხაზეთის ტაძრებს. მძლავრი გუმბათი ეყრდნობა ოთხ ბურჯს. ტაძრის ვრცელი შიგა სივრცე უხვად არის განათებული. მისი კედლები დაფარულია სხვადასხვა დროის ფერწერით, საკურთხევლის კონქში კი მოთავსებულია გამოთქმული მოზაიკური კომპოზიცია. ტაძარი შემოსილია მშვენივრად გათლილი ქვის მსხვილი ფილებით. სამაგიეროდ ტაძრის განზრახული ორნამენტული მორთულობა არ ყოფილა განხორციელებული და ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ორიოდე ვარდული და ზოგიერთ ნაწილებში ჩანს მინიშნებული მორთულობის ადგილი.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება იკორთის გუმბათოვანი ეკლესია აგებული 1172 წელს, მკაცრი, კარგი პროპორციების შემცველი ეკლესია საორბისში, სარკმელთა საინტერესო საპირეებით.

XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის გუმბათოვან ძეგლებს აერთიანებს გეგმისა და შიდა სივრცის საერთო გადაწყვეტა. გეგმის მხრივ თავს იჩენს კვადრატისკენ მიახლოების ტენდენცია. იცვლება შენობათა პროპორციები და



გელათის ანსამბლის საერთო ხედი. XII ს. ფოტოსურათი.



ხერთვისის ციხე. საერთო ხედი.

განსაკუთრებით ფასადთა მორთულობის კომპოზიციური ხერხები.

ამ ჯგუფის ძეგლებს შორის აღსანიშნავია XII საუკუნის მეორე ნახევარში აგებული ბეთანიის ტაძარი. გეგმაში იგი უახლოვდება სამთავისის ტაძარს, მაგრამ აქ მასშტაბი შემცირებულია. ძირითადი ჯვრის მკლავები ცოტათი ამაღლებულია კუთხურ ნაწილებთან შედარებით, სამაგიეროდ გუმბათის საფუძველი აწეულია და თვით გუმბათიც მნიშვნელოვნად წაგრძელებულია. ფასადების დეკორატიულ მორთულობაში შემორჩენილია ტრადიციული ნიშები აღმოსავლეთის ფასადზე, მაგრამ გამაერთიანებელი თაღედის სისტემა უარყოფილია. მთავარი ყურადღება ექცევა ფასადებზე სარკმელთა განაწილებას და ორნამენტული აქცენტების შექმნას. აღმოსავლეთის ფასადზე ნიშები გაერთიანებული ცენტრალური სარკმლის თავსართით და გვერდითი, მდიდრულად მოჩუქურთმებული სარკმლები ქმნიან ერთიან კომპოზიციას. ამავე დროს ისახება მეორე, ვერტიკალური დეკორატიული ღერძი შედგენილი ცენტრალური სარკმლით, მის ზემოთ მდებარე დეკორატიული ჯვრითა და ბოლოს, პატარა მრგვალი სარკმლის მედალიონით. ტაძრის ყველა სარკმლის საპირეები მრავალფეროვნად და ოსტატურადაა მოჩუქურთმებული. შიგნით ტაძარი მშვენივრად იყო მოხატული.

კარიბჭეზე დაცული წარწერის მიხედვით ფიტარეთის ტაძარი აგებულია ლაშა გიორგის მეფობის ხანაში (1213-1222 წწ.). ტაძრის გეგმა ძალიან კომპაქტურია და თითქმის უახლოვდება კვადრატს. გუმბათი ეყრდნობა ოთხ დაბალ ბურჯს, რომელთაგან აღმოსავლეთის წყვილი შერწყმულია საკურთხევლის კედლებთან. ტაძრის შიგა სივრცე გარემასებთან შედარებით დაბალი და ინტიმურიცაა. დროის მოთხოვნის შესაბამისად ხუროთმოძღვრის წინაშე აღარა დგას მაღალი და ვრცელი ინტერიერის შექმნის, არამედ, პირიქით, მყუდრო და ინტიმური ხასიათის გადმოცემა. ამას ხელს უწყობს კედლების მთლიანი ფრესკული მხატვრობით დაფარვა და ერთადერთი თაღოვანი კარიბჭე სამხრეთის მხრიდან. გარედან შენობა ფაქიზი და მსუბუქი პროპორციებისაა. ყველა ფასადი სხვადასხვაგვარადაა გადაწყვეტილი, და დიდი მონდომებით მორთული. შენობის კედლები შემოსილია ვარდისფერი კვადრებით, მორთულობის ელემენტები კი შესრულებულია ყვითელ ქვაში. მაღალი და მოხდენილი, მთლიანად მოჩუქურთმებული გუმბათის ყელი ასევე ოქროსფერი ქვისაა, მისი ზედა და ქვედა ზოლები და ლავგარდანი კი - ვარდისფერი. ამას გარდა ლავგარდანის ქვემოთ გაშლილი ფრიზი შედგენილია იისფერი, ცისფერი, ყვითელი ფერის კვადრების მონაცვლეობით. ფასადებზე დიდი გემოვნებითაა განაწილებული მორთულობის აქცენტები.



აწყურის ციხე. საერთო ხედი.



გელათი . მთავარი ტაძრის საკურთხევლის კონქა , XII ს

აღმოსავლეთის ფასადზე ტრადიციული სამკუთხა ნიშები და საკურთხევლის სარკმელი გაერთიანებულია დიდი თავსართით. განაპირა გლუვი კედლები გაცოცხლებულია მცირე სარკმლების მოჩუქურთმებული საპირეებით. ვერტიკალზე მორთულობა იქმნება სარკმლის თავსართზე დაყრდნობილი დეკორატიული ჯვრით, რომლის კვარცხლბეკზე ორსავე მხარეს, მოთავსებულია ლომების ნაკვთები.

ფიტარეთის მორთულობა დამახასიათებელია ამ პერიოდის ტაძრებისათვის. ხუროთმოძღვარი არაჩვეულებრივი გაბედულობით და მოხდენილობით აერთიანებს ერთ საპირეში ჩუქურთმის სხვადასხვა მოტივს, შეჰყავს მასში ცხოველების, ფრინველების და ადამიანის ნაკვთები, ქმნის განსაცვიფრებელ ხლართებსა და წნულებს. გემოვნება იგრძნობა ფერადოვან ეფექტების განაწილებაშიც. ფერი გამოიყენება არა კონტრასტების, არამედ რბილი ტონალობის, გადასვლების აქვარელური სურათის შესაქმნელად.

ტაძართა ამ ჯგუფს მიეკუთვნება გუმბათოვანი ეკლესიები სოფელ მეტეხში, კაბენში, ქვათახევში, წუღრუღაშენში, ხუჯაბში და სხვ. ყოველ მათგანში ვლინდება ინდივიდუალური ნიშნები, იცვლება მორთულობის კომპოზიცია, თვით ჩუქურთმისადმი მიდგომა. გაფორმებისადმი ასეთი მიდგომა ჩანს დარბაზულ ეკლესიებშიც. ბევრ მათგანს ახასიათებს მდიდარი მორთულობა და ჩანაფიქრის ორიგინალობა (ეკლესია კაბენში 1196 წელი, არქიტექტორ ჰიპაფორისძის მიერ XIII ს. აგებული ეკლესია გუდარეხში).

ქვით ნაგებ ტაძრებთან ერთად გვხვდება მთლიანად აგურით აშენებული შენობებიც. ასეთებია ქარელის რაიონში ძამის ხეობის ულამაზეს ადგილას მდებარე ყინცვისის ტაძარი და ბორჯომის ხეობაში მდებარე ტიმოთესუბანი, აგებული XII და XIII სს. მიჯნაზე. ამ შენობათა ფორმები არსებითად არ განსხვავდებიან ამავე პერიოდის ქვის გუმბათოვანი ეკლესიებისაგან. მათთვის დამახასიათებელია მკაცრი პროპორციები, თამამი კონსტრუქციები, შეისრული ფორმის თაღების გამოყენება. ტიმოთესუბნის ეკლესია, თუ არ ჩავთვლით ქვის ლავგარდნებსა და ზღუდარებს, მთლიანად აგურითაა აგებული. გუმბათის ყელის გამოსაყვანად ნახმარია ლეკალური აგური, გუმბათისა და ფრონტონების მორთულობაში კი მრგვალი ლურჯად მოჭიქული ფილები. ტაძარი მოკლებულია მორთულობას, მაგრამ წითელი აგურის შერწყმა ქვის თეთრ ლავგარდანებთან და ფირუზისფერ მოჭიქულ კრამიტთან ქმნის ცხოველხატულსა და სასიამოვნო სურათს.

ყინცვისის ტაძარი მოხდენილი, ატყორცნილი პროპორციებისაა. კედლების აგურის წყობა აქაც შერწყმულია ქვის თეთრ ლავგარდნებთან. განსაკუთრებით გან[illegible]ულია ყინცვისის ტაძარი თავისი ბრწყინვალე კედლის მხატვრობით, სადაც დაცულია გიორგი III, თამარ მეფის, ლაშა გიორგისა და ანტონ ჰყონდიდელის მწიგნობართუხუცესის პორტრეტები.

XIII საუკუნის ოციანი წლებიდან, როდესაც საქართველომ განიცადა მონღოლთა შემოსევა, მშენებლობა არ შეწყვეტილა, მაგრამ მისი მასშტაბი, ცხადია სულ სხვა გახდა. ამ დროსაა აგებული გუდარეხის მონასტრის სამრეკლო 1278 წლისა, ყვითელი და ღვინისფერი ქვების მკვეთრი კონტრასტით ფასადებზე, 1333 წელს აგებული დარბაზული ეკლესია ბორჯომის მახლობლად სოფელ დაბაში მდიდარი, მაგრამ უკვე ორნამენტის მშრალი ნახატით, სოფელ აბელიას ეკლესია აგებული ორი დავითის მეფობის ხანას (1250-1259 წწ.), თბილისის მეტეხის ტაძარი აგებული მეფე დემეტრეს II დროს - 1272–1289 წწ.

მაგრამ ქვეყნის შედარებით მოშორებულ პროვინციებში, განსაკუთრებით ავტონომ ურ სამთავროდ გამოყოფილ სამცხეში, " აძლებელი ხდება არა მარტო ძლიერი მიწ



სამთავრო, სამხრეთის ფასადის ფრაგმენტი, XI ს.

ვრის (XIII ს. დასასრულს) დროს დანგრეული შენობების აღდგენა, არამედ ისეთი მსხვილი ანსამბლების აშენება, როგორიცაა საფარისა და ზარზმის მონასტრები.

საფარის მონასტერი მდებარეობს ქალაქ ახალციხის მახლობლად. მრავალ ნაგებობათა შორის (აქ მარტო 12 ეკლესიაა) პირველყოვლისა გამოიყოფა წმ. საბას ტაძარი აგებული XIII საუკუნის ბოლოს ბექა მანდატურთ უხუცესის დაკვეთით ხუროთმოძღვარ ფარეზაისძის მიერ. ტაძარი გეგმაში წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხკუთხედს გუმბათით ორი თავისუფლად მდგომი ბურჯითა და პატრონიკეებით დასავლეთის მკლავის გვერდებზე. ტაძარს აქვს სამი შესასვლელი, რომელთაგან დასავლეთისას ახლავს სამმალიანი კარიბჭე. ტაძრის შიგა სივრცე მშვიდია და გაწონასწორებული, მაგრამ სარკმელთა სიმცირის გამო ოდნავ ბნელი. ტაძრის გარეგან მასებში თავს იჩენს პროპორციულობის ახალი სისტემა - გუმბათის ყელი უფრო დაბალია ვიდრე საუკუნის დასაწყისში და თვით შენობაც უფრო მასიურია და დამჯდარი. ფასადების კომპოზიცია არაა შეთანხმებული ერთმანეთთან და ირღვევა მხატვრული მთლიანობა. საყურადღებოა აღმოსავლეთის ფასადზე აფსიდის ნაწილის გამოყოფა სწორკუთხა შვერილის სახით. ტაძარი აგებულია მოწითალო ფერის მსხვილი და კარგად გათლილი ქვებით. შიშველი, დიდი სიბრტყეების მხატვრული მნიშვნელობაც ემყარება სწორედ კედლის სუფთა და ზუსტ წყობას. თუმცა მორთულობას მაინც ენიჭება გარკვეული როლი. ლავგარდნები არაა მოჩუქურთმებული, ნაკლებად ინტენსიურია გუმბათის ყელის მორთულობა, თვით ჩუქურთმებიც დაწვრილმანებულია და მშრალი. მიუხედავად ამისა, საფარა თავისი მკაცრი, მშვიდი ფორმებით უცილობლად, მხატვრული ნაწარმოებია.

სამცხის ამავე პერიოდის მეორე მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს ზარზმის ტაძარი ადიგენის რაიონში. დიდი გუმბათოვანი ტაძარი გეგმაში უახლოვდება კვადრატს. გუმბათი აქაც ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობა. საფარაში გამოვლენილი ტენდენციები შიდა სივრცისა და ფასადების დამუშავების მხრივ, აქ შემდგომ განვითარებას ჰპოვებს. შიდა სივრცე აქაც მშვიდია და საკმაოდ ჩაბნელებული. ნაცრისფერი და მოწითალო კვადრებით შემოსილი კედლები ქმნიან დიდ თავისუფალ არეებს. მორთულობის ჩვეული ხერხების ნაცვლად ნახმარია მხოლოდ დიდი პროფილირებული ჯვარი, დაკავშირებული საკურთხევლის სარკმლის საპირესთან. მორთულობის ელემენტებს

აქაც სიმშრალე და გეომეტრიზმი ახასიათებს, მაგრამ ყველა ამ ნიშნის გამახვილების შედეგად ტაძრის მხატვრული სახე უფრო მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძრის გვერდზე აგებულია ამავე დროისა და ხასიათის სამრეკლო.

ამგვარად, XIII და XIV საუკუნეთა მიჯნაზე შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებები წინა ეტაპთან შედარებით. იცვლება საერთო პროპორციები, მცირდება დინამიკა და ცხოველხატულობა. ფასადებიც ნაკლებად ირთვება და მორთულობაში ჩნდება ახალი ხერხი - კედელში შეჭრილი, ჩაზნექილი პროფილები. ჩუქურთმოვან მოტივებში შეიმჩნევა სიმშრალე და ჭკნობა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ უცხოელთა ბატონობის მძიმე პერიოდშიც ქართული ხუროთმოძღვრება განაგრძობს განვითარებას და ინარჩუნებს თავის ეროვნულ სახეს.

განსაკუთრებული ადგილი ქართულ ხელოვნებაში უკავია კლდეში ნაკვეთ კომპლექსებს, ქალაქებსა და მონასტრებს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარეჯისა და ვარძიის ანსამბლებს. გარეჯის გრანდიოზული კომპლექსი მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით 60 კილომეტრის დაშორებით გარეჯის უდაბნოში. მონასტრების 15 ჯგუფი გაშლილია უდაბნოს ტერიტორიაზე 25 კილომეტრის მანძილზე. მონასტრების დაარსება დაკავშირებუია ერთერთ "ცამეტი ასურელი მამების"- დავითის სახელთან, რომელიც VI საუკუნეში დასახლდა გარეჯის უდაბნოში. ეს პირველი მონასტერია რომელსაც შემდგომში ლავრა ეწოდა ან დავით-გარეჯი. რამდენადმე მოგვიანებით, მაგრამ ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეში, მისმა მოწაფეებმა ლუკიანემ და დოდომ დაარსეს კიდევ ორი მონასტერი - ნათლისმცემელი და დოდოსრქა. მეუდაბნოეთა მოძრაობა მოითხოვდა მკაცრ ასკეტიზმს, რაც აისახა კიდევაც კლდეში ნაკვეთ გარეჯის პირველი მონასტრების არქიტექტურ[illegible]ა.

ახალი საფეხური გარეჯის მონასტრების განვითარებაში დაკავშირებულია ილარიონ ქართველის სახელთან. მან 837 წელს გააფართოვა ლავრა გადააკეთა და შეამკო "ფერისცვალების" ეკლესია და შექმნა ახალი ეკლესიები, სატრაპეზოები, სენაკები. იქმნება ახალი მონასტრებიც.

განსაკუთრებულ აყვავებას აღწევს სამონასტრო კომპლექსი XI-XII საუკუნეებში. ამ დროს ფართოვდება და შენდება ძველი მონასტრები. ლავრაში ეწყობა ტერასული ეზო, კედლებში გაჭრილია წყალმიმღებები და რეზერვუარები. ყოველ მონასტერში გამოიყოფა სატრაპეზოები, "ფერისცვალების" ტიპის მთავარი ტაძრები. იქმნება ახალი მონასტრებიც - უდაბნო, ბერთუბანი, ჩიჩხიტური. ახალი ქვაბულები უკვე დიდად განსხვავდებიან თავისი დამუშავების ხარისხითა და სიმდიდრით. ამ პერიოდს მიეკუთვნება უდაბნოსა და ბერთუბნის ეკლესიების და სატრაპეზოების ბრწყინვალე ფრესკული ფერწერა.

მონასტრები ეხლა არა მარტო რელიგიური ცენტრებია, არამედ საწარმოო-სამეურნეო ორგანიზაციები, სამეცნიერო და სულიერი კულტურის კერები. მონღოლების (1265წ.), თემურლენგის (XIV ს. ბოლო წლები), შაჰ-აბასის (1616 და 1617 წწ.) შემოსევების შედეგად მონასტრებმა დ[illegible] უბედურება განიცადეს. დაიწყო სამონასტრო ცხოვრების ჩაქრობა. მცირე აღორძინება გარეჯის ცხოვრებაში შეიმჩნევა XVII და XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს მეფეები ყველა ღონეს ხმარობენ რათა აღადგინონ გარეჯის მონასტრები, რაც ნაწილობრივ აღწევს მიზანს, როდესაც ყველა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა ო.მაჭუტაძე. მან მიაღწია მონასტრისათვის დაკარგული მიწების დაბრუნებას,ააშენა თავდაცვითი ნაგებობა-



ვარძია. კლდეში ნაკვეთი მღვიმეების კომპლექსი, XII ს.

ნი და მრავალი სხვ. მაგრამ XVII საუკუნეში მონასტრები მაინც ცარიელდება და XIX საუკუნისათვის ბერები შემორჩა მხოლოდ ნათლისმცემელს.

კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი ვარძია მდებარეობს ასპინძისაგან 25 კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარცხენა ნაპირას. ვარძიის მშენებლობა დაკავშირებულია მეფე გ[illegible]რგი III (1156-1184 წლები) და თამარ მეფის სახელებთან, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოქვაბულები აქ გაცილებით ადრეც უნდა ყოფილიყო. გამოქვაბულები, რომელთა რიცხვი 600-ს აღემატება, გაშლილია 900 მეტრის მანძილზე და განლაგებული არიან რამდენიმე იარუსად, ზოგჯერ შვიდამდე. ქვაბულები დაჯგუფებულია კომპლექსებად, რომლებიც შედგება გადასასვლელებით დაკავშირებული ოთახებისაგან. გამოქვაბულთა უმეტეს ნაწილს აქვს კამაროვანი ჭერი, რაც ხელს უწყობს თანაბარ დატვირთვას. ანსამბლში აღსანიშნავია: მთავარი ტაძარი, რომელიც გამოიყოფა თავისი თაღებით. შესასვლელი დასავლეთის მხრიდან ავლენს შიგა სივრცის ხალვათობას, თავისუფლებას. დიდი დარბაზი კამაროვანი გადახურვით, დანაწევრებულია პილასტრებით და კედლის სვეტების ორი წყვილით. ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთის თაღის ქვეშ გამოსახულნი არიან თამარ მეფე და მისი მამა გიორგი III ვედრების პოზაში. ეს ფერწერა შესრულებულია 1184 და 1186 წლებს შორის. ეკლესიის გარდა არის სამრეკლო,



გარეჯი. უდაბნოს სატრაპეზოს მხატვრობა.

რომელიც თავის დროზე მონასტრის საზეიმო შესასვლელის როლს ასრულებდა. სატრაპეზო, მარანი, სათათბირო დარბაზი, მრავალრიცხოვანი სენაკები, სამეურნეო და დამხმარე ოთახები.

საცხოვრებელი ოთახი, ჩვეულებრივად, წარმოადგენს კამაროვან ქვაბულს, დაკავშირებულს მის წინ მდებარე დერეფანთან. შესასვლელის ორივე მხარეს გამოკვეთილია სარკმელები. დერეფანი აკავშირებდა მეზობელ საცხოვრებელ ჯგუფებს. ზოგიერთ საცხოვრებელ ოთახს ახლავს მცირე საკუჭნაო. მას გარდა, კედლებში გამოკვეთილია სხვადასხვა ზომის ნიშები, იატაკში კი კერა. სამეურნეო სათავსოებში გამოკვეთილია ბუდეები ღვინის ქვევრებისათვის და პურის საცხობ თონეებისათვის. საცხოვრებელი და განსაკუთრებით საზეიმო ოთახები დამუშავებულია გულდასმით. მათ აქვთ გლუვი ზედაპირი და ზოგჯერ მორთულობის ელემენტებიც პროფილების სახით. სამეურნეო ქვაბულები გამოკვეთილია გაცილებით დაუდევრად. მონასტერი იყო მომარაგებული წყლით საგანგებოდ გაყვანილი წყალსადენით. მას გარდა ეკლესიასთან იყო წყაროც.

ვარძიის მდებარეობა, ქვაბულების დაკავშირება ვიწრო დერეფნებით - და ფარული გასასვლელებით, წყალსადენის სისტემა და სასაწყობო სათავსოები გვიჩვენებენ, რომ ვარძია იყო მომზადებული როგორც თავშესაფარი მტერთან ხანგრძლივი ბრძოლებისა და ალყის შემორტყმის შემთხვევისათვის. ვარძია იყო თამარ მეფის რეზიდენცია და ამიტომ მის იერ მორთული და დასაჩუქრებული.

1552 წელს მონასტერი გაძარცვა ირანის შაჰმა თამაზმა.

საქართველოს მუდამ უხდებოდა თავდაცვა სხვადასხვა მხრიდან მოძალებული მტრისაგან. ეს გარემოება იძულებულს ხდიდა ქვეყნის მესვეურებს გამუდმებით ეზრუნათ საკუთარი ტერიტორიის თავდაცვაზე. განსახილველ პერიოდში მოქმედ ციხეებს შორის აღსანიშნავია: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, თმოგვის, ხერთვისის, აწყურის, ოქროსციხე და სხვ.

თმოგვის ციხეს მტკვრის მარცხენა მხარეს, მაღალ მთაზე დიდი ტერიტორია ეკავა. იგი დარაჯობდა სამხრეთიდან მომავალ მთავარ გზას ხეობის ვიწრო გასასვლელში. ციხე განლაგებული იყო მთის ქედზე და ტერასებზე მის ფერდობზე. ციხეში გამოყოფილი იყო ქვედა და შიდაციხე. ციხიდან უშუალოდ მაკავშირებელი დახურული გვირაბი ჩადიოდა მტკვარზე. მრავალი ომგადახდილი თმოგვი ნანგრევებად აქცია საშინელმა მიწისძვრამ.

ამავე მაგისტრალზე მდებარეობს ხერთვისის ციხე. არტაანისა და ჯავახეთის მტკვრის შესართავთან აღმართულ ციცაბო კლდეზე დღესაც ამაყად დგას მრავალი ბრძოლების მაუწყებელი ციხის ნანგრევი. ციხისკარზე დაცული წარწერის მიხედვით, ერთ-ერთი კოშკი და გალავანი აღუდგენიათ 1354 და 1356 წლებს შორის. მაგრამ ციხე უფრო ადრინდელი პერიოდისაა. ხერთვისის ციხე გვიანფეოდალურ ხანაშიაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. 1624 წელს აქ მყოფ ყიზილბაშებს მუსრი გაავლო გიორგი სააკაძემ. 1771 წელს კი ერეკლე II წაართვა იგი ოსმალებს.

ამავე დროს ეკუთვნის კლდეკარის ციხე. იგი დარაჯობდა კლდეში გამოკვეთილ ორ გასასვლელს (ერთი სიგრძით 70 მეტრია, მეორე კი - 20 მ.) ამ გზით უკავშირდებოდა წალკა საჯავახოს და შიდა ქართლს. ყველა ციხე აგებულია სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას. ამავე დროს ისინი შესანიშნავად არიან შეხამებული რელიეფთან და ყოველმხრივ იყენებენ მას.

**საცხოვრებელი სახლები.** დმანისში, რუსთავში, მცხეთაში, ქვემო ქართლის



იკორთა. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი. 1152 წ.

სოფლებში გათხრებით გამოვლენილი საცხოვრებელი სახლები არსებითად არ განსხვავდებიან წინა პერიოდისაგან კედლებისათვის გამოყენებული სამშენებლო მასალით. სახლები ერთი ან რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა. ოთახები სწორკუთხა ფორმისაა და სხვადასხვა ზომის. გვხვდება ორსართულიანი სახლებიც (სამშვილდე, დმანისი). გუდარეხის მონასტერში შემორჩენილი ორსართულიანი სახლი აგებულია თლილი ქვით და აქვს მოჩუქურთმებული ლავგარდანი და სარკმლის საპირეები. მაგრამ ეს სახლი, შესაძლოა, ეპისკოპოსისა ან სამეფო ყოფილიყო. მცხეთის გათხრებით გამოვლენილია "დარბაზის" ტიპის საცხოვრებელი სახლები გვირგვინით. სახლს ემიჯნება ორი-სამი სამეურნეო შენობა (მარანი, ბოსელი). ქვემო ქართლში შეძლებული მიწათმოქმედის სახლი წარმოადგენდა სადგომს ფართობით 56 კვ.მ. გადახურული გვირგვინით და ცენტრალური კერათი მის ქვეშ. საცხოვრებელი ოთახის გვერდით იმყოფებოდა სამეურნეო ნაგებობანი: ბოსელი 66 კვ.მ. მარანი - 18 კვ.მ. დარბაზის წინ მოწყობილი იყო დერეფანი გადახურვით ხის ბოძებზე. კედლები ამოყვანილია ოდნავ დამუშავებული ადგილობრივი ქვით. წყობაში არაა დაცული რიგების ზუსტი ჰორიზონტულობა, თუმცა გარე წყობა უფრო გულდასმითაა შესრულებული ვიდრე შიგა კედლებისა. გვხვდება თევზიფხური წყობაც რიყის ქვისაგან (რუსთავი) ან ბაზალტის მსხვილი ბლოკებისაგან (ქვემო ქართლი). დმანისში სახლები შელესილია და ზოგჯერ მოპირკეთებულიც მოჭიქული აგურით. სახლის კედლებში ეწყობოდა სხვადასხვა თახჩები.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანამაც ნაკლებად შემოგვინახა საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები. იშვიათობას წარმოადგენს ქუთაისის მახლობლად მდებარე გეგუთის ციხე-დარბაზი. ეს სასახლე ემსახურებოდა გიორგი III (1156-1184 წწ.). გეგმაში სასახლე უახლოვდება კვადრატს (37X37 მ.). ცენტრ-



ნიკორწმინდა. ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის რელიეფი

'ში გამოიყოფა ჯვარისებრი ფორმის საზეიმო დარბაზი, რომელშიაც საგანგებო შესასვლელის - ვესტიბულის გავლით ხვდებოდნენ. შუა კვადრატული დარბაზი გადახურულია 14 მეტრის დიამეტრის გუმბათით, რომელზედაც გუმბათქვეშა კვადრატიდან გადასვლა განხორციელებულია კუთხეებში მდებარე დიდი ტრომპების საშუალებით. როგორც ჩანს, გუმბათის ცენტრში ყოფილა სასინათლო ხვრელიც. დარბაზს ოთხი მხრიდან ეკვრის შეისრული კამარებით დახურული სადგომები. დარბაზის ირგვლივ განლაგებულია სხვა საცხოვრებელი და დამხმარე ოთახები (საწოლი, სალარო, სამზარეულო). სამიოდე მეტრის სიმაღლის თლილი ქვის კვადრებით ნაწყობ ცოკოლზე შემდგარი შენობა აგებულია აგურისაგან. სასახლის კედლები შიგნით მოპირკეთებული ყოფილა და ზემო ნაწილებში, ალბათ, ნაძერწითა და ფერწერით მორთული. სასახლე ნანგრევებშიაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. გუმბათის სიმაღლე იატაკიდან 20 მეტრს აღწევს. ერთი ოთახი ზომით 10მ X9 მ. აღჭურვილია ბუხრით (2მ X1,9 მ). სასახლე ემსახურებოდა გიორგი III და თამარ მეფეს, მაგრამ აგებული უნდა იყოს XI საუკუნეზე ადრე. XVIII ს. სასახლე ძლიერ დაზიანდა იმერეთის მეფის სოლომონის დროს, ხოლო XIX ს. 30-იან წლებში ქვის კარიერად იქცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

კვეტერის ციხის შიგნით შემორჩენილია სასახლის ნანგრევი. სასახლე ორსართულიანია, მის ქვედა უფრო დაბალსა და ნაკლებად განათებულ სართულს სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ზედა სართული წარმოადგენს მთლიან დარბაზს, რომელსაც ვიწრო მხარეს ორ-ორი დიდი თაღოვანი სარკმელი აქვს დატანებული, ხოლო გრძელ სამხრეთის ფასადზე მდებარეობს ოთხი იატაკიდან დაწყებული თაღოვანი სარკმელი. ამ დარბაზიდან ჩრდილოეთის მხარეს ბაქანზე გადის კარი. სასახლეს ჰქონია ორი ბუხარი და მიშენებული ქვის გარე კიბე. სასახლე XI ს. მიეკუთვნება.

საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აკადემიების შენობები გელათსა და იყალთოში.

გელათში აკადემიის შენობა მდებარეობს მონასტრის ანსამბლის დასავლეთის ნაწილში. იგი წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის ერთსართულიან შენობას სიგრძით 25 მ. სიგანით - 10,40 მ. დასავლეთის კედელში გაჭრილია ცხრა მაღალი და ფართო თაღოვანი სარკმელი, რომელთაც შეესატყვისება ასევე მაღალი და ღრმა ნიშები მოპირდაპირე კედელზე. კედლების გასწვრივ მოწყობილია ქვის ფართო მერხები მსმენელთათვის და ცენტრში, უფრო მაღალი, დეკორატიული თაღებით შემკული კათედრა ხელმძღვანელისათვის. დარბაზის სახურავი ორკალთიანი ყოფილა. დასავლეთის მხრიდან დარბაზს ახლავს თლილი ქვით ნაგები კარიბჭე მაღალი და ფართო თაღით. აქედან ქვის კიბით ამოდიოდნენ მეორე სართულზე, სადაც მოწყობილია დარბაზში შესასვლელი კარი და აგრეთვე დამხმარე ოთახები და ღია ვერანდა. აღმოსავლეთის მხრიდან მოგვიანებით შენობას მიუშენეს მონასტერთან დამაკავშირებელი, სამი მხრით თაღებით გახსნილი კარიბჭე.

ამავე დანიშნულების მეორე შენობა მდებარეობს იყალთოს მონასტერში. იგი წარმოადგენს გრძელ ორსართულიან შენობას, რომლის ქვედა სართულის ორი ოთახი სამეურნეო დანიშნულებისაა, ზემო სართულში კი დიდი დარბაზია შეკრებებისათვის. ზემო სართულის აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებულია ორი დიდი, შეისრული ფორმის კამარა, შეერთებული მათ შორის მდებარე რვაწახნა-



ბესლეთის ხიდი. XI-XII სს.

გა სვეტით. დასავლეთის მხარეს სიმეტრიულად მოთავსებულია თაღები და ვიწრო, კიბეზე გასასვლელი კარი. ჩრდილოეთის კედელზე უნდა ყოფილიყო ფართო თაღოვანი სარკმლები. იყალთოს აკადემიის შენობა აშენებულია ფლეთილი ქვით და შიგნით შელესილი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს მონასტრებში კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ბერების სასადილო, რომელსაც სატრაპეზო ან საოსტიგნე ეწოდებოდა. ადრინდელი სატრაპეზოები (IX-X სს.) წარმოადგენენ დიდ, წაგრძელებულ დარბაზს გადახურულს საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი კამარით.

ოპიზის მონასტრის დიდი სატრაპეზო ბოძების ორი წყვილით გაყოფილია სამ ნავად. შატბერდის სატრაპეზო ორი ნავისაგან შედგება და უფრო მცირე ზომისაა, ხოლო ოთხთა ეკლესიის სატრაპეზო ცალნავიანია, გადახურული სამ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი კამარით. ოშკის სატრაპეზოში დიდი ზომის სწორკუთხოვანი ფორმის დარბაზია გაყოფილი სამ ნაწილად ექვს ბურჯზე დაყრდნობილი ხუთი თაღით. შენობას ემხრობა კვადრატული ნაგებობა, რომელიც გადახურულია გუმბათით ტრომპებზე. ვარაუდობენ, რომ აქ მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა - სკრიპტორიუმი ე.ი. სახელოსნო სადაც ხდებოდა ხელნაწერთა გადაწერა.

XI და XII სს. მიჯნაზე აგებული აგარის მონასტრის სატრაპეზო წარმოადგენს გრძელ ოთხკუთხა სადგომს, რომელსაც ეკვრის უფრო მცირე შენობა. მთავარი დარბაზი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით. გრძივი კედლები დამუშავებულია ხუთი თაღით, რომელთაგან ზოგიერთი სვეტზეა დაყრდნო-

ბილი, ზოგი კი კრონშტეინებზე. ფასადები მარტივადაა დამუშავებული. მთავარი ფასადი შუაზე გაჭრილი კარით და კოპებით შემკული სარკმლით მის ზემოთ, ეკლესიის იერს ატარებს.

სამღერეთის მონასტრის XIII საუკუნის სატრაპეზო ორსართულიანია. პირველ სართულში მოწყობილია მარანი, მეორეზე საკუთრივ სატრაპეზოა შესასვლელებით დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან და განათებულია ხუთი თაღოვანი სარკმლით. აღმოსავლეთის კედელში მოთავსებულია ორი ნახევარწრიული ნიში, ამათგან ცენტრალურში არის დაკიდული ქვის ტრაპეზი. სატრაპეზო აგებულია კარგად გათლილი, მომწვანო ფერის კვადრატით.

ამგვარად სატრაპეზოებში გამოყენებულია ამავე პერიოდის საკულტო არქიტექტურისათვის ჩვეული ფორმები. სატრაპეზოების განვითარება საკულტო ხუროთმოძღვრების განვითარებას მიჰყვება, მაგრამ მათი დანიშნულება შენობას ეკლესიისაგან განსხვავებულ თავისებურ იერს ანიჭებს. სადგომთა ფორმა, მარტივი და უპრეტენზიო გაფორმება აახლოებს სატრაპეზოებს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებთან. შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველი სახისა და დანიშნულების შენობისათვის დამოუკიდებელი ამოცანები წყდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საერო და საკულტო არქიტექტურას ზოგჯერ საერთო ფორმები ახასიათებს, თითოეულს საკუთარი ტრადიციები ასაზრდოებდა.

ქვეყანაში ხელოსნურ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად, გამოცოცხლდა ვაჭრობა და აღებმიცემობა. იწყება სავაჭრო გზების გაყვანა და მათზე საქარავნო სასტუმროების (ფუნდუკები) მშენებლობა. თბილისიდან მესხეთ-ჯავახეთისაკენ მიმავალ გზაზე ფარავნის ტბასთან



ფარავანი. ქარვასლა, გეგმა და განაკვეთი.

შემორჩენილია XII საუკუნის ერთ-ერთი ქარვასლა. იგი წარმოადგენდა ოთხკუთხა ფორმის სამ ნაწილადგაყოფილ დიდ შენობას. შუა ნაწილი წარმოადგენს შესასვლელთან დაკავშირებულ დერეფანს, ხოლო გვერდებზე ოთხი მეტრის სიგანის და სიმაღლის თაღებით გამოყოფილია ცალკე საყუდები - ხუთ-ხუთი თვალი ყოველ მხარეზე. ყოველ საყუდში მოთავსებულია კედლის ბუხარი. კედლები აგებულია მქისედ თლილი ქვის კვადრებით ან აგურით.

წყალს საქართველოში განსაკუთრებული ზრუნვით ეპყრობოდნენ, ამიტომ წყაროს თავზე ნაგებობის აგებასაც დიდი ტრადიცია ჰქონდა. ამჟამადაც შემორჩენილია ძველი წყაროები, რომელთა მკვეთრი, მარტივი, მაგრამ დახვეწილი ფორმები ეპოქის არქიტექტურის იერს ატარებენ. ამ პერიოდის შესანიშნავი წყაროები გვაქვს ზარზმაში და ოლთისში.

განსახილველი ეპოქის წყალსადენე სხალტბა-შიომღვიმის, ნადარბაზევის, დმა სის, ვარძიის, გეგუთისა და სხვ. გვიჩვენე



მახუნცეთის ხიდი მდ. აჭარის წყალზე, XI-XII სს.

ივორც განსაკუთრებულ ზრუნვას წყლის ყვანაზე, ისევე ამ დარგში ტექნიკის მაღალ ონეს.

მრავალ მდინარეზე დღემდე შემორჩე-ულია ძველი ხიდები, ამასთან უმრავლესობა ესაც მოქმედებაში. სოხუმის მახლობლად ინარე ბესლეთზე გაშენებული ხიდის კამა- აგებულია კირქვის ფილებით და შემო-ულია ქვის დიდი ბლოკებით, სიმაღლით 0,85 20 მ. თითოეულ ბლოკზე გამოკვეთილია ოთული ასომთავრული ასოები, რომლებიც I საუკუნის წარწერას შეადგენენ. თაღის ი აღწევს 13,5 მ., ხოლო სიმაღლე 11,20 მ. არის სიგანეა - სავალი ნაწილი 4,7 მ. ხიდის ი ეყრდნობა ორ მძლავრ რვა მეტრის ანის ბურჯს. ამავე პერიოდს მიეკუთვნება თაღიანი ხიდები აჭარის წყალზე ფურ-ტიოსთან, სადაც მალი 17.5 მეტრს აღწევს, ხიდი დონდალოსთან 20 მეტრიანი მალით, ხიდი მდინარე ჩოლაბურზე საკარასთან და მშვენიერი ხიდი მდინარე თეძამზე რკონის მონასტრის მახლობლად.

როგორც ვხედავთ, XI საუკუნის დამდე-გისათვის ქართული ხუროთმოძღვრების გან-ვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა მკვეთრად ვლინდება მხატვრულ ამოცანებისადმი ახალ მიდგომაში, როდესაც ძირითადი ყურადღება ექცევა შენობის გარეგან გაფორმებას.

დიდი ტაძრების მონუმენტურობა და სიდიადე ძირითადად ემყარება მათ სიმაღლეს და საერთო ზომებს. ფასადების არქიტექტუ-რა ახლაც ითვალისწინებს შიგა სივრცის

დანაწევრების სისტემას, მაგრამ შენობათა პროპორციები საგრძნობლად იცვლება ზემოთქმულ აზიდულობის მხრივ. დასავლეთისა და სამხრეთის მხარეებზე ჩნდება კარიბჭეები ან სტოები, რომლებიც ქმნიან გარე მასების გამამდიდრებელ საფეხურებს.

მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა გუმბათოვანი ტაძრის ძირითადი სახე, წაგრძელებული ოთხკუთხედის სახით, რომლის ძირითად მოცულობას ქმნის გუმბათით დაგვირგვინებული ჯვრის მაღალი მკლავები, მთავარ პრობლემად იქცა შენობის გარე გაფორმება, რომელიც წინა პერიოდისაგან განსხვავებით, წარმოადგენს უკვე ნაგებობის სრულფასოვან კომპონენტს.

შენობათა ფასადების მორთულობის ძირითად მოტივს წარმოადგენს გაბმული თაღედი, კარ-სარკმლები შემკულია ფართო მოჩუქურთმებული საპირეებითა და თავსართებით. ფასადის ცენტრში ჩნდება დიდი ჯვრები, ვარდულები, დეკორატიული რომბები. ლავგარდნები შეიმკო ჩუქურთმებით. განსაკუთრებით მორთულია გუმბათის ყელი, რომელიც ხშირად მთლიან ორნამენტულ არედ იქცევა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მორთულობის მთელი ეს მრავალფეროვანი ელემენტები უშუალოდ დაკავშირებულია გარკვეულ არქიტექტურულ ფორმებთან და სავსებით არქიტექტონიკურია. ამ პერიოდის ჩუქურთმა გასაოცრად მდიდარია. იგი ყოველთვის მასშტაბურია და სათანადოდ შერჩეული შენობის ადგილისა და ფორმის მიხედვით. X და XI საუკუნეების დასაწყისში ჩუქურთმა დაბალი რელიეფისაა და გრაფიკული ხასიათის. მაგრამ უკვე XI საუკუნის მეორე მეოთხედიდან ფორმები ხდება უფრო პლასტიკური, ჩუქურთმების ჭრა ღრმავდება, ძლიერდება შუქ-ჩრდილის თამაში. XII ს. ბოლოს და XIII ს. ფასადების გაფორმების



საფარა. წმ. საბას ტაძარი, საერთო ხედი, XIII ს. დასასრული

კომპოზიციები კიდევ უფრო იცვლება ცხოველხატულობის მხრივ. მორთულობის ელემენტები დამოუკიდებლად არსებობენ კედლების სიბრტყეებზე, ქმნიან კონტრასტულ დეკორატიულ ლაქებს. ამას გარდა მიმართავენ პოლიქრომიას, ფერადი ქვების ეფექტებს (ბეთანია, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, გუდარეხი). XIII ს. ბოლოსა და XIV ს. დასაწყისში მეორდება ადრე შექმნილი კომპოზიციები, მაგრამ გარეგანი მასები უფრო მშვიდია და ტექტონიკური. მოჩუქურთმებაში შეიმჩნევა გარკვეული დაწვრილმანება, ჭკნობა და უსიცოცხლობა.

VIII-IX სს. გამოსახულებებში ვლინდება პლასტიკის ხერხების უარყოფა და ნახატის ქვაში უბრალო გამოჭრა, ნაკვთების სქემატური, ზოგადი გადმოცემით. ოპიზის რელიეფში, ეკლესიის მშენებლის აშოტ კუროპალატის გამოსახულებით, სახეზეა პლასტიკის უგულვებელყოფა და ამ დროისათვის დამახასიათებელი ექსპრესია - თავისა და ხელის მტევნების გადიდება შინაარსის აქცენტირების მიზნით.

საკუთრივ ქანდაკების ამოცანები თანდათან წამოიწევა მხოლოდ X ს. მეორე ნახევრიდან. იწყება პლასტიკური მეტყველების ძიება. უკვე ოშკის ტაძრის რელიეფებში დაძლეულია ნაკვთების შებოჭილობა. ისინი გამოსახულია თავისუფალ პოზებში, ნაკვთები პროპორციულია. ფასადების დამუშავების გააზრებულ სისტემის სურათს წარმოადგენს ნიკორწმინდის ტაძრის ფასადური რელიეფები. ფასადების ცენტრში, ზემოთ მოთავსებული კომპოზიციები (ქრისტე ტახტზე, მეორედ მოსვლა, ფერისცვალება), ასევე როგორც შესასვლელების ტიმპანებში მოთავსებული რელიეფები ჩართული არიან ფასადების საერთო გაფორმებაში და აძლიერებენ მის შინაარსის აქცენტებს. თუ ტიმპანების რელიეფებში უკვე სახეზეა XI ს. დამახასიათებელი მოძრაობის თავისუფლება, სიცოცხლე, პოზების მრავალფეროვნება და მოქნილი ნახატი, სამაგიეროდ მთავარ რელიეფებში თავებისა და მოძრაობის ექსპრესიული მეტყველება, ნახატის ორნამენტული ხასიათი, აკავშირებს მათ წინა პერიოდის ხელოვნებასთან.

ფასადური ქანდაკების შემდგომი განვითარება ჩანს XI საუკუნის რიგ ძეგლებზე (ახაშენი, კაცხი, სამთავისი, სვეტიცხოველი). XI საუკუნის პირველი ნახევრის კანკელების ფილების რელიეფებზე (საფარა, ურთხვი, შიომღვიმე) პლასტიკური ხერხების დაუფლება ვლინდება პოზებისა და მოძრაობების დიფერენციაციაში, ნაკვთების სხვადასხვა პლანზე მოთავსებაში, სახეების მოდელირებაში. მაგალითად საფარის კანკელის რელიეფზე ღვთისმშობლის ნაკვთში "ხარებიდან" ლირიკულობა და მოხდენილობა, სინაზე მიღწეულია მოქნილი კონტურისა და სამოსელის ნაოჭების რითმული დინების წყალობით.

როგორც ვხედავთ XI საუკუნისათვის ფასადური რელიეფური ქანდაკება აყვავების პროცესშია. მაგრამ ამავე XI საუკუნეში ქანდაკების განვითარება შეწყვეტილია (საფიქრებელია ეკლესიის უარყოფითი დამოკიდებულების გამო ადამიანის ნაკვთის გამოსახვისადმი). ქანდაკება არსებითად ისპობა. მართალია შემდგომშიც გვხვდება ეკლესიის ფასადებზე ნაკვთიანი გამოსახულებები, მაგრამ მათ უმნიშვნელო როლი ეკისრებათ და მხოლოდ ორნამენტულ მორთულობაში არიან ჩართულნი (ფიტარეთი, წუღრუღაშენი).

X საუკუნის დასასრულისათვის ბიზანტიაში გამოიკვეთა ტაძრების მოხატვის ახალი სისტემა, რომელიც გულისხმობდა არა მარტო ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებებს, არამედ მთელი ციკლების განვითარებას ლიტურგიული თანამიმდევრობით. საქარ-



გარეჯი. ბერთუბნის ეკლესიის საკურთხევლის მხატვრობა XIII ს.

თველომ შეითვისა ეს სისტემა, რამაც დიდი მნიშვნელობა იქონია მონუმენტური ფერწერის შემდგომი განვითარებისათვის. თუმცა გუმბათისა და საკურთხევლის მოხატულობაში ქართველი მხატვრები ძველი ტრადიციების შესაბამისად, ათავსებენ "ქრისტეს დიდებას" ან სატრიუმფო ჯვარს და მხოლოდ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ტაძრებში - ღვთისმშობელს ყრმითურთ. ფერწერის კომპოზიცია მონუმენტურია. ამასთან, დაცულია რეგისტრების ჰორიზონტალობა, ხაზგასმული ორნამენტული ბორდიურებით. ფერადოვან აქცენტების განაწილებაში მშვიდი და ცხადი რიტმია. იცვლება ადამიანის ნაკვთების გამოსახულებაც, რომლის პროპორციები ანატომიურად უფრო სწორია, მოძრაობა თავისუფალი და ბუნებრივი, ქრება მკვეთრი და ექსპრესიული მოძრაობა, ჟესტები. ამასთან ერთად, ქართულმა კედლის მხატვრობამ შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი მკაცრი ფერადოვანი გამა, თავშეკავებულობა შუქჩრდილით ფორმის მოდელირებაში და წერის ხაზოვანი მანერა. ამ პერიოდში იქმნება სკოლები და მიმართულებანი, რომელთაც სტილისტიკური ერთიანობის მიუხედავად ახასიათებთ ნახატისა და კოლორიტის თავისებურებანი. ერთი ასეთი სკოლა ყოფილა ტაო-კლარჯეთის მონასტრებთან და მისი მოხატული უნდა იყოს: ოთხთა ეკლესია, ოშკის ტაძარი, იშხანი, ხახული, ტბეთი. ტაო-კლარჯეთის ტაძართა კედლის მხატვრობა საზეიმოა და მონუმენტური. განსაკუთრებით ეს ეხება საკურთხევ-



სვეტიცხოველი. აღმოსავლეთის ფასადის რელიეფი, ანგელოზი და ხარის თავი.

ლის მოხატულობას, სადაც ერთმანეთის ზე-
ოთ რიგებად განაწილებულია მოციქულები
ა წმინდანები. ამ სკოლისათვის დამახასი-
თებელია ნაკვთების წაგრძელებული პრო-
ორციები, სამოსელის დენადი ნაოჭების
აქიზი ნახატი. მთლიანად ფერწერა ხასიათ-
ება რბილი კოლორიტით, სადაც ჭარბობენ
ბილი, მოყავისფრო-წითელი, ნაცრისფერი,
ისფერი და ოქროსფერი ტონები. ოშკის
კურთხევლის აფსიდის მოხატულობის საერ-
ო საზეიმო ხასიათი, მოციქულთა ღირსებით
სავსე ნაკვთები, სამოსელის ნაოჭების მკაცრი
ხატი, თავშეკავებული მოძრაობა საუკეთე-
ა მაგალითია ამ სკოლის მაღალი მიღწევები-
ა.

მეორე ფერწერული სკოლა დაკავშირე-ბულია გარეჯის მონასტრებთან. იხატება კლდეში ნაკვეთი ტაძრები, მცირე ეკლესიები და სატრაპეზოები - ბერთუბანში, ქოლაგირ-ში, წამებულში, უდაბნოსა და ნათლისმცემელ-ში. გარეჯის ფერწერაში დიდი ადგილი ეთმო-ბა ქტიტორთა გამოსახულებებს (გიორგი II, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, გიორგი ლაშა, დემეტრე თავდადე-ბული და სხვ), რომელთა ზომები სჭარბობს წმინდანთა გამოსახულებებს. მეორე თავისე-ბურებაა, რომ ტრადიციული სიუჟეტების გარდა აქ გვაქვს მონასტრების დამაარსებლის წმინდა დავითის ცხოვრების ამსახველი სცენე-ბი, ბუნებისა და ცხოველებისადმი სიყვა-რულის თხრობით. მთლიანად გარეჯის კედ-ლის მხატვრობას დიდებული და საზეიმო ელფერი ჰქონდა, ამასთანავე იგი ემოციურია და შესანიშნავად გადმოგვცემს განწყობილე-ბას (მეტყველი სახეები, ემოციურად შეგრ-ძნებული პეიზაჟი და სხვ.). ყველაზე მნიშ-ვნელოვანია ალბათ ბერთუბნის ფერწერა. მთავარი ტაძრის მხატვრობის ოსტატი ხატ-ავს ფართოდ, თავისუფლად, დიდ სიბრტყეე-ბზე, იგი შემოქმედებითად ამუშავებს ტრადი-ციულ სიუჟეტებს და ქმნის ახალ კომპოზიციებს. სატრაპეზოს მხატვრის მან-ერა თითქოს უფრო დახვეწილია, ნახატი ფაქიზი და მოხდენილი. საღვთო ტრაპეზის თემაზე შესრულებული კომპოზიციები ("საი-დუმლო სერობა", "სამება" და სასწაულები) განლაგებულია გამყოფი ზოლების გარეშე. აქ გაძლიერებულია დეკორატიული მხარე და ეპიჭება თითქოს, საერო ელფერი. ფერწერის ფერადოვანი გამა აგებული მოწითალო-ყავ-ისფერის, იისფერის, მწვანეს, ლურჯის და ნაცრისფერი ტონების უფაქიზეს შერჩევაზე დახვეწილია და მეტყველი.

საკუთარი ფერწერული სკოლა ვითარდე-ბა სვანეთში. სვანეთის ფერწერის თავისებუ-



წულრულაშენი. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი, 1213-1222 წწ.

რებანი დაკავშირებულია ადგილობრივ წყობასთან და ტრადიციებთან. ეს გამოიხატება თუნდაც იმ უპირატესობაში, რომელიც ენიჭება ამა თუ იმ თემას. მაგალითისათვის, აქ არ ვხვდება საკურთხევლის კონქში ღვთისმშობლის გამოსახულება და პირიქით ძალიან ავრცელებულია "წმინდა მხედრების" - წმ. იორგისა და წმ. თევდორეს გამოსახულებაი. აღსანიშნავია სამი ტაძრის მოხატულობა ესრულებული სამეფო კარის მხატვარ ევდორეს მიერ - მთავარანგელოზების ეკლეა იფრარში (1096 წ.), კვირიკესა და ივლიას ეკლესია კალაში (1112 წ) და წმინდა ორგის ეკლესია ნაკიფარში (1130 წ.). სამივე აძარში საკურთხევლის კონქში წარმოდგელია "ვედრების" კომპოზიცია. ქრისტეს რჯვნივ ვედრების პოზაშია გამოსახული ვთისმშობელი, მარცხნივ იოანე ნათლისმცემეი, ქვემოთ კი სამივე ტაძარში მღვდელმთავრეა გამოსახული. ტაძრის თაღზე და კედლების და რეგისტრზე განლაგებულია "ათორმე- დღესასწაული". გარდა ამისა ყველგან მოსახულია წმინდა მხედრები - წმ. გიორგი წმ. თევდორე. მხატვარ თევდორეს ძლიერი, ღვიანი ეგებ ოდნავ უხეში ნახატი. ამავე ოის ხასიათდება პლასტიკური მეტყველეა, ხოლო სახეები დიდი მეტყველებით. რო არქაულად გამოიყურება მაცხვარი- ეკლესიის ფერწერა (1140 წ.) შესრულელი მიქელ მაღლაკელის მიერ. ნახატს აქ ია თევდორესათვის ჩვეული პლასტიკური ყველება, მაგრამ დინამიურობისა და ორატიულობის ტენდენცია უფრო ძლიე. სვანეთის ფერწერასთან ახლოს დგას ს რაჭის სოფელ ზემო -კრიხის ეკლესიის წერა (XI ს. შუა წლები), მდიდარი და ე დროს რბილი (მოწითალო-ყავისფერ ებში) კოლორიტით.

ქართველოს გაერთიანების შემდეგ წამყროლი პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში კვლავ უბრუნდება ქვეყნის შიგა რაიონებს და მათ ცენტრებს დასავლეთში - ქუთაისსა და გელათს.

დედაქალაქური სკოლის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ატენის სიონის XI საუკუნის მეორე ნახევრის კედლის მხატვრობა. მხატვარი აქ ითვალისწინებს ტაძრის შიგა დანაწევრებას და ოთხივე მკლავში ათავსებს დამოუკიდებელ, დასრულებულ ციკლს. ყოველი რეგისტრი იწყება ნაკვთით, რომლის მოძრაობა მიმართულია ცენტრისაკენ და მთავრდება შემობრუნებული ნაკვთით, რომელიც მიუთითებს მაყურებელს შემდეგ რეგისტრზე. ამით გამოვლენილია თითოეული არქიტექტურული ფორმების დამოუკიდებლობა და საკუთრივ მხატვრული კომპოზიციაც მეტ სიცხადესა და სიმშვიდეს იძენს. ატენის კედლის მხატვრობის ეს ტექტონიკურობა, საერთო მონუმენტურობა, ფორმის მოდელირება, ენერგიული, ზომიერად დენადი ნახატი, ნაკვთების სწორი პროპორციები, პერსონაჟების ინდივიდუალური და მეტყველი სახეები დახვეწილი ფერადოვანი გამა, აგებული ცისფერი და ღია მწვანე ფერთა შეხამებაზე, შეიძლება ჩავთვალოთ ამ პერიოდის ფერწერის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

XII საუკუნის კედლის მხატვრობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გელათის მოზაიკას შესრულებულს 1125-1130 წლებში. საკურთხევლის აფსიდის კონქში ოქროსფერ ფონზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმითურთ. მის ორსავე მხარეს მთავარანგელოზებია - მიქელი და გაბრიელი ძვირფას სამოსელში. მათ ფრთები ფართოდ გაუშლიათ და ხელში კი სფეროები და ლაბარუმები უჭირავთ. მოზაიკის მასალად გამოყენებულია ძალზე მცირე ზომის (5-8 კვ. მმ.) სმალტის და ადგილობრივი ქვის კუბურები. ნახატის კეთილშობილება, ნაკვთების მოხდენილი, თავისუფა-

ლი მოძრაობა, სახეების დახვეწილი ინდივიდულობა და განსაკუთრებით, მდიდარი კოლორიტის სინატიფე, რბილი აკვარელური გადასვლებით, აყენებს გელათის მოზაიკას ამ პერიოდის საუკეთესო ქმნილებათა რიგში. ცხადია, მოზაიკა თავისი მხატვრული პრინციპებით მიეკუთვნება ბიზანტიურ ხელოვნებას, ამასთანავე ზოგიერთი სტილისტიკური ნიშნებით იგი განსხვავდება მისგან და უკავშირდება ქართული ხელოვნების ტრადიციებს. მკვლევართა აზრით, გელათის მოზაიკის შემქმნელი იყო ბიზანტიაში განსწავლული ქართველი ოსტატი.

მთავარი ტაძრის დანარჩენი ნაწილები მოხატული იყო ფრესკით. იგი უახლოვდება თავისი მონუმენტურობით, ნაკვთების მოხდენილობით, სახეების შთაგონებითა და ნათელი კოლორიტით ატენის სიონის ფერწერას, მაგრამ აქ კოლორიტი უფრო ცივია და ნახატი, პირიქით რბილი. ეს ფრესკები განახლებულია XVI საუკუნეში.



ატენის სიონი. სამხრეთის მკლავის მოხატულობა, იოსების სიზმარი. XI-ს.

ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების შემდეგი ეტაპი მოდის პერიოდზე XII ს. მეორე ნახევრიდან XIII ს. პირველ ნახევრამდე. ამ პერიოდის თავისებურებანი ვლინდება თამარ მეფის დროინდელ კედლის მხატვრობაში: ვარძიაში (1184-1186 წწ.), ბეთანიაში (XII ს) ყინცვისში, ტიმოთესუბანში (XIII ს. დასაწყისი) და ბერთუბანში (XIII ს. დასაწყისი). საგულისხმოა, რომ აქედან ოთხ ტაძარში - ვარძიაში, ბეთანიაში, ყინცვისში და ბერთუბანში შემორჩენილია თამარ მეფის პორტრეტები. განსხვავებულია ამ ტაძრების მოხატულობის კოლორიტი - ვარძიასა და ბეთანიაში ლურჯი, მოყავისფრო-წითელი და ნაცრისფერი ტონები გაერთიანებულია მონაცრისფრო-ლურჯ ტონით, სულ სხვა ტონალობაშია შესრულებული ყინცვისის ფერწერა, რომელსაც განსაზღვრავს ინტენსიური ცისფერი ფონი, ამასთან ლამაზად შერწყმულია მწვანე, ოქროსფერ, წითელ და თეთრ ტონებთან. კოლორიტის სილამაზით გამოირჩევა ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა. აქ მოლურჯო-ცისფერი ლაჟვარდი შეთავსებულია თეთრსა და ვარდისფერთან, რაც კლდეების მოყავისფრო ტონის ფონზე, მეტად შთამბეჭდავია და ფერადოვანი.

კომპოზიცია ამ პერიოდში ხდება უფრო მდიდარი, დინამიური და დეკორატიულიც. ჩნდება მრავალფიგურიანი კომპოზიციები არქიტექტურული ან მთიანი ფონით. სახეების მოდელირება რბილია და ხშირად შთამაგონებელი, როგორც მაგალითად წმინდა



უბისი, საიდუმლო სერობა, XI ს.

არძაში, ან წმინდა გიორგი ყინცვისში,
ანსაკუთრებით კი ყინცვისის ანგელოზი სცენა-
ვან "მენელსაცხებლე დედანი". ანგელოზის
ავის ნაზი დახრილობა, ხელების მომხიბლა-
ი, ქალური მოძრაობა, სამოსელის ხაზების
უსიკალური რიტმი, ატყორცნილი ფრთების
ავისუფალი ნახატი, ყველა ხაზების გან-
აკუთრებული ნარნარი, მღერადი ბუნება და
ოლორიტი შეეფერება ნამდვილად სამეფო
კოლის მხატვრობას.

შუა საუკუნეების ქართული ფერწერის
ავისებურებათა გამოვლენისათვის აუცი-
ებელია გავითვალისწინოთ დაზგური მხა-
ვრობა, კერძოდ XI-XII სს. ფერწერული
ატები, რომელთა რიცხვი ზემო სვანეთის
კლესიებში ასამდე აღწევს (სამწუხაროდ
იდი ნაწილი უკვე განადგურებულია). მეს-
იის მუზეუმში და ლაგურკაში ინახება მთა-
არანგელოზების - მიქელისა და გაბრიელის
ატები, გამორჩეული თავისი მოხდენილი,
მკვეთრი ნახატითა და რბილი ემოციურობით.
ნახატის გეომეტრიული სიმკაცრით ისინი
მოგვაგონებენ ატენის ფერწერას, თუმცა მთა-
ვარანგელოზთა ნაკვთები უფრო ნაზია და
მსუბუქი. ამ ხატებისაგან განსხვავდებიან
ადგილობრივი წარმოშობის ხატები, რომ-
ლებშიაც ვლინდება ზემო სვანეთის კედლის
მხატვრობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა ემო-
ციურობა, მკვეთრი ნახატი და მოყავისფრო,
ნაცრისფერი და ყვითელი ელფერის კოლორ-
იტი. მიუხედავად შესრულების უფრო დაბა-
ლი დონისა, მათ ახასიათებთ დიდი მხატვრუ-
ლი მეტყველება. ამ მხრივ საყურადღებოა
იოანე ნათლისმცემლის ხატი (მესტიის მუზეუმ-
ში), ხატი ორი მებრძოლის გამოსახულებით,
იფრარის მთავარანგელოზის ხატი, მაცხოვრის
ხატი (სოფ. ხე, ეკლესია წმ. ბარბალ) და სხვა.

ქართულ სახელოსნოებში და ქართულ
მონასტრებში, მათ შორის საქართველოს
საზღვრებს გარეთ - სირიაში, პალესტინაში,
ათონში იქმნება ხელნაწერები ხშირად შემკუ-
ლი მინიატურებით. ჩვენამდე მოღწეული IX-

X სს. ხელნაწერების მორთულობა შემოიფარგლება თავსართებისა და ასოების გამოყოფით. 897 წლის ადიშის ოთხთავი შეიცავს გამჭვლელ ფურცლებს ჯვრის გამოსახულებით. ჯრუჭის კოდექსში, რომელიც მორთულია 940 წელს, მინიატურები წარმოდგენილია ღვთისმშობლის გამოსახულებით ყრმა იესოთი და "სასწაულებრივ განკურნებათა" სამი სცენით.

X საუკუნიდან შეიმჩნევა ხელნაწერთა დეკორატიული გაფორმების აღმავლობა. თავები აღინიშნება თავსართებითა და ბოლოსართებით, საგანგებოდ მორთულია მთავრული ასოები. ასეთ, მდიდრულად გაფორმებულ ხელნაწერს წარმოადგენს მიქელ მოდრეკილის საეკლესიო საგალობლები.

XI საუკუნეში ხელნაწერები კვლავ მდიდრდება დეკორატიული მორთულობით. თუმცა მახარობელთა ტიპები ახლო მსგავსებას იჩენენ ბიზანტიურ მინიატურებთან. საერთოდ ხელნაწერთა დეკორატიულ გაფორმებაში ჩანს ბიზანტიური ფერწერული სკოლის მიღწევებისადმი მიბაძვა.

XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის ეპოქაში დიდი ყურადღება ექცევა კულტურის კერების შექმნას, მთარგმნელთა და გადამწერთა მომზადებას. იზრდება მოთხოვნილება წიგნებზე. ამ პერიოდში შექმნილი ოთხთავები მოწმობენ კალიგრაფიისა და ილუმინირების ხელოვნების სრულ დაუფლებას. XII ს. მეორე ნახევრისა და XIII ს. დასაწყისის ჯრუჭისა და გელათის ოთხთავები აღწევენ მინიატურული მხატვრობის განვითარების მწვერვალს. პირველში 334 მინიატურაა, ხოლო მეორეში - 259. ჯრუჭის სახარების მინიატურებში ნაკვთები მოცემულია მოძრაობაში და თავისუფლადაა განლაგებული. მთავარი პერსონაჟები გამოყოფილია, ხაზოვანი დინამიკა შეესატყვისება ემოციებს, ქე[illegible]ა და მოქმედების ხასიათს. აღსანიშნავია, რომ აქ უკვე ვლინდება სივრცისა და მოცულობის პრობლემა. სივრცითობა მიღწეულია პლანების მონაცვლეობით, ადამიანთა ნაკვთების და მოქმედების ატრიბუტების გადაკვეთითა და სხვ. გელათის ხელნაწერში შეიმჩნევა ორიენტაცია ანტიკურ ფერწერულ ტრადიციაზე, მისი სიბრტყიობაზე გადამუშავებით.

ერთადერთი საერო ხასიათის ხელნაწერი წარმოდგენილია ასტრონომიული ტრაქტატით 1188 წლისა. ტრაქტატი დასურათებულია ზოდიაკის ნიშნების გამოხატულებებით, შესრულებულია გრაფიკულ მანერაში, მოქნილი მეტყველი, ხაზოვანი ნახატი ოდნავ შეწითლებულია. აღსანიშნავია, რომ ამ მინიატურების შთაგონებას წარმოადგენს ისლამის მინიატურები.

ქართული კულტურის საერთო აღმავლობას შეეფარდება ოქრომჭედლობის ხელოვნების განვითარებაც. X-XI სს. მიჯნაზე ჩანს ახალ ამოცანებისადმი სწრაფვა, რაც პლასტიკურ ფორმათა ძიებაში გამოიხატება ეს ახალი მიმართულება ჩანს მთელ რიგ ამ დროის ძეგლზე. ოსტატ ასათის მიერ შესრულებულ დავით კუროპალატის საწინამძღვრო ჯვარში (966 და 1001 წწ. შორის), ჩანს მისწრაფება ნაკვთების მოდელ[illegible]ებისა და თუმცა მოცულობითი ფორმები უკვე კარგადაა მოდელირებული, მაინც შეიმჩნევა ქრისტეს ნაკვთების დისპროპორცია. პლასტიკური ძიებანი ვლინდება აგრეთვე ბაგრატ III და მისი დედის გურანდუხტის მიერ 999 წელს ბედიის ტაძრისადმი შეწირულ ოქროს ბარძიმში, საღოლაშენის ლორფინებსა და წმ. გიორგის ხატში საკაოდან. აქვე აღსანიშნავია, რომ სამოსის დამუშავებაში ამ ძეგლებში, კერძოდ ბედიის ბარძიმში, ჩანს ხაზოვნობი



წმ. მამა, ვერცხლის ჭედური რელიეფი გელათიდან XI ს.

ნახატის ხასიათი. საწინამძღვრო ჯვრები, ცალკ... ლი ფირფიტები აღჭურვილია ორნამენტული მოჩარჩოებით. ისინი ამკობენ მაცხოვრის ჭედურ ხატს ცაგერიდან, ლაკლაკისძეთა მიერ შეწირულ ხატს ზარზმიდან, წმ. ...იორგის ხატს ჯუმათიდან. ცაგერის ...ვთისმშობლის ხატს (XI ს.) და სხვ. XI ...უკუნის საყურადღებო ნაწარმოებს წარ...დგენს გელათის ტონდა წმინდა მამას გამოსახულებით. აქ ლომისა და მასზე შემჯდარი ადამიანის ნაკვთები გამოიყოფა ფონიდან მაღალი რელიეფით და მრგვალ ქანდაკებას უახლოვდება. მამას სახის მოდელირებაც ამჟღავნებს ოსტატის პლასტიკურ შეგრძნებას. XI ს. დასასრულიდან ქართულ ოქრომჭედლობაში გარკვეული შეფერხება იწყება. პლასტიკის განვითარების მაგივრად, უპირატესობა ეძლევა დეკორატიულ ამოცანების

გადაწყვეტას, ჭარბად გამოიყენება ფერადოვანი აქცენტები პატიოსანი ქვებისა და მინანქრების შემწეობით.

ახალი მხატვრული მიდგომა ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიხატება ხახულის დიდ კარედში (XII ს. პირველი მეოთხედი). ხატი XII საუკუნეში ხახულის მონასტრიდან გელათში გადმოუტანიათ, მეფე დემეტრე I ოქროში მოუჭედვინებია ტრიპტიქონი. ხატის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია ტიხროვანი მინანქრით შესრულებული ღვთისმშობლის სახე და ხელები. კარედის მთელი სიბრტყე დაფარულია მცენარეული ორნამენტით და მხატვრულ აქცენტებად განაწილებულია, ფერადოვან ლაქებად ტიხრული მინანქრები და პატიოსანი თვლები, რაც ამ ისედაც მდიდარ და საზეიმო ხატს კიდევ უფრო მეტ ელფერს მატებს. XII საუკუნის მეორე ნახევარში ბეშქენ ოპიზარის მიერ შესრულებულ ბერთის სახარების ჭედურ ყდაზე და ბექა ოპიზარის მიერ შექმნილ წყაროსთავის სახარებისა და ანჩისხატის კარედის მოჭედილობაში ჩანს სკულპტურული ნაკვთების პლასტიკურ ფორმათა გადმოცემის მაღალი დონე. განსაკუთრებული მოხდენილობა და დახვეწილი გემოვნება ჩანს დეკორაციულ სისტემაში ვაზის ფოთლებისა და ლერწების ვარიაციებით შექმნილ ჩუქურთმებში (ანჩისხატის კარედი).

XIII საუკუნის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მდგომარეობამ, ბუნებრივია, შეზღუდა ოქრომჭედლობის განვითარება. ამ ეპოქის ცალკეული ნაწარმოებები, მხოლოდ იმეორებენ წინა პერიოდის მიღწევებს, თანაც სახეზეა ნაკვთების პლასტიკურ ფორმათა და დეკორის სიმშრალე (დავით ნარინის მიერ შეწირული მაცხოვრის ხატის შეჭედილობა).

შუა საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული იყო ტიხროვანი მინანქარი. როგორც აღინიშნა ხახულის ხატი მორთული იყო მრავალი მინანქრით, რომელთაგან უძველესები მიეკუთვნება VI-VIII სს. XII საუკუნეს განეკუთვნება გელათის მონასტრის სამი ტიხროვანი მინანქრიანი ფირფიტები - "მირქმა უფლისა", "ლაზარეს აღდგინება" და "სულიწმიდის მოფენა". ეს სიუჟეტური, მრავალფიგურიანი კომპოზიციები არქიტექტურული ფონით, მაჩვენებელია ქართული მინანქრის ხელოვნების მაღალი დონისა.

ქვაზე ჩუქურთმის ჭრის მაღალ ოსტატობასთან ერთად, X-XI საუკუნეებში ვითარდება ხეზე ჭრის ხელოვნებაც. ხეზე ჭრის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდა სვანეთის ეკლესიების მდიდრულად მორთული კარები (ჩუკული, ჯახუნდერი, ფხოტრერი და სხვ.). ყველა ეს კარები მორთულია მოხდენილი ჩუქურთმებით, რომლებშიაც მარჯვედ ჩართულია ადამიანის ნაკვთები.

XVI საუკუნის დამდეგისათვის მონღოლ-
ია და შემდეგ თემურ-ლენგის შემოსევების
ემდეგ დაუძლურებულმა, პოლიტიკურად
ა ეკონომიკურად დასუსტებულმა
აქართველომ ვერ მოასწრო ჭრილობების
ოშუშება, როდესაც კვლავ მძიმე საგარეო-
პოლიტიკურ პირობებში მოექცა. უკვე XV
აუკუნეში საქართველოს სამხრეთ-დასავ-
ლეთით გაუმეზობლდა თურქ-ოსმალთა აგრე-
იული სახელმწიფო. მან გადაკეტა დასავლე-
ის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები და
აქართველო გამოთიშა ევროპულ კულტუ-
ულ ქვეყნებს. XVI საუკუნეში საქართველოს
ღმოსავლეთით დაწინაურდა სეფიანთა ირა-
ი, რომელიც მხოლოდ საქართველოს დარ-
ევასა და დაპყრობაზე ფიქრობდა.

მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური
ვლილებები მოხდა ქვეყნის შიგნითაც.
აქართველო დაიშალა სამეფოებად - ქართ-
ის, კახეთის, იმერეთის და სამთავროებად -
ამცხე-საათაბაგო, ოდიში, აფხაზეთი, გურია.
ამთავროების სისტემამ თავისი კარჩაკეტილი
ეურნეობით, უარყოფითად მოქმედებდა
ულტურის განვითარებაზეც. ირანსა და
ურქეთს შორის 1555 წ. დადებული ზავის
ხედვით მათ საქართველო გაინაწილეს. მა-
რამ XVII -XVIII საუკუნეებში საქართვე-
ო კვლავ წარმოადგენს ამ ორ სახელმწიფო-
ა ინტერესების დაპირისპირების საგანს,
ალკე სამეფოები და სამთავროები განიცდი-
ნ ხან დაცემას, ხან აღმავლობას ეკონომიკურსა
ა კულტურულ ცხოვრებაში. თუ XVI ს.
ა დაცემა დამახასიათებელია დასავლეთ
აქართველოსათვის, სადაც მოსახლეობა
რჯერ შემცირდა, აღმოსავლეთ საქართველო-
ი, კერძოდ კახეთში შეიმჩნევა მოსახლეობის
ზრდა და ეკონომიკის აღმავლობა. სამ
ეროდ XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მ
აღმოსავლეთ საქართველოს დარბევის,
სახლეობის დატყვევებისა და ირანში გა
სახლების შემდეგ, შეიმჩნევა გამოცოცხლ
დასავლეთ საქართველოში. ქვეყნის დან
ევრება ხელს უშლის საქართველოს ბრძოლ
დამოუკიდებლობისათვის. გამუდმებუ
ომების ვითარებაში საქართველო უშე
გოდ მიმართავდა დახმარებისათვის ევრ
ულ სახელმწიფოებს. შემდეგ იწყება დიპლ
მატიური ურთიერთობანი საქართველოსა
მოსკოვის რუსეთს შორის, რის შედეგად I
წელს რუსეთსა და საქართველოს შორ
იდება "მეგობრობითი პირობა", ხოლო შ
დეგ ამას მოჰყვა რუსეთთან შეერთებაც.

პოლიტიკური და ეკონომიკური დ
ვეითების, მუდმივი ომებისა და ფეოდალ
ქიშპობათა პერიოდში ქართველმა ხალ
შესძლო შემოენახა თავისი ეროვნული კ
ტურა. დროდადრო იქმნებოდა ლიტ
ტურისა და ხელოვნების ღირსშესანიშ
ნაწარმოებები. თუ ფეოდალურ წრეებში
იჩენს ირანის კულტურის გავლენა, მთ
ნად ქართველი ხალხი და დიდგვაროვ
პროგრესული ნაწილი (ვახტანგ VI
ტონიშვილები არჩილი და ვახუშტი, სუ
საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილ
სხვანი) მტკიცედ იცავდა ეროვნულ
ტურას და შეუპოვრად იბრძოდა უარ
გავლენებს სულიერ სფეროში.

**ნაგებობათა სახეები.** ბუნებრივი
პოლიტიკური და ეკონომიური დაქვ
პირობებში ზრუნვის საგანს შეადგენ
ხუროთმოძღვრების შემდგომი განვი
არამედ კულტურის ძეგლების და

გან გადარჩენა და აღდგენა. მხოლოდ XVI ს. და განსაკუთრებით XVII ს. შეიმჩნევა მშენებლობის ერთგვარი გამოცოცხლება. საკულტო შენობებთან ერთად იგება სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, საცხოვრებელი შენობები, აბანოები, ქარვასლები, ხიდები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ირანისა და თურქეთის გამუდმებული თარეშის პირობებშიაც ყველა სოფელში შენდება მცირე ზომის, უბრალო ეკლესიები, რითაც ქართველი ხალხი ავლენს თავის სიმტკიცეს რწმენისადმი და პროტესტს დამპყრობელთა წინააღმდეგ.

**სამშენებლო ტექნიკა.** გვიანფეოდალურ ხანაში იხმარება უკვე გამოცდილი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები. ნაგებობათა უმრავლესობა იგება რიყისქვით და ქვაყორითა თანაც ხშირად ულაზათოდ. ჩნდება შერეული წყობა ქვაყორისა და აგურისაგან. საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, ძირითადად, იხმარება რიყისქვა კირის დუღაბზე. რიყისქვა დაწყობილია კედელში დახრილად, ამასთანავე მომდევნო რიგი ლაგდება იმავე ქანობით, მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით. ზოგიერთ შემთხვევაში, რიყისქვის წყობაში ნიველირების მიზნით დატანებულია ბრტყელი აგურის ფენებიც. განსაკუთრებით ვითარდება აგურის წყობა კახეთში და ქართლში, სადაც იგი თანდათანობით ცვლის თლილ ქვას. ამან გამოიწვია ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ქვის მოჩუქურთმების დაცემა. არქიტექტურული ფორმების გამოსაყვანად ხმარებაში შემოდის მრუდთარგი (ლეკალური) აგური. იხმარება შორენკეცებიც - მინარით მოჭიქული აგურები. ნახევარწრიული თაღების გვერდით ჩნდება ირანული ტიპის ისრული თაღები. თუმცა აგურის შენობებთან ერთად გრძელდება ტრადიციული ქვის ნაგებობათა მშენებლობაც (ანანურის ეკლესია 1689 წ., ტბისის ეკლესია 1683 წ., თბილისის სიონის მოპირკეთება 1710 წ., ბა[illegible] ეკლესია 1753 ლარგვისი 1758 წ.). ყველა ეს შენობა აგებულია ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციების შესაბამისად, მაგრამ მათი მხატვრული დონე რამდენადმე დაბალია წინა პერიოდის შენობებთან შედარებით.

**ქალაქთმშენებლობა.** ქალაქები ვითარდებიან შიდაციხის გარშემო და იქმნება სტიქიური ზრდის ტიპიური სურათი. ქალაქის სახეს ქმნიდა ციხე ციტადელით ბორცვის თავზე. თბილისის ციხეს ჰქონდა ორმაგი ზღუდე: შიდაციხე და თვით ციხე. XVIII ს. თბილისში თავდაცვითი კედლები ქალაქსა და ციხეს შორის მოანგრიეს. ქალაქში არსებობდა სხვა გამაგრებული ადგილებიც, მაგალითად მეტეხის ციხე. ციხის კედლების სიმაღლე აღწევდა 8-10 მ. ქალაქის ზღუდეს კი იცავდა 70 კოშკი. თელავისათვის დამახასიათებელია სამი - ცალკე მდგომი ციხის არსებობა. თავისებურია სიღნაღის თავდაცვითი სისტემა. ა ქ ხუთი კილომეტრის სიგრძის კედლებით შემოზღუდულია დიდი ტერიტორია ქალაქისა და მეზობელი მოსახლეობის დასაცავად. ქალაქისაკენ მიმავალი გზები დაკავშირებული იყო ქალაქის კართან. თბილისში იყო ექვსი ასეთი კარი, სიღნაღში - რვა, ახალციხეში - ოთხი. ყველა კარს ჰქონია საკუთარი სახელი (თბილისში - კოჯრისა, დიღმისა, მოედნისა, ქვემო ანუ წყლის კარი, განჯისკარი და აბანოს კარი). შებინდებისას კარები იკეტებოდა და მასთან იმყოფებოდა საგუშაგო.

ქალაქი იყოფოდა უბნებად. ციხის უბანში ცხოვრობდა ქალაქის არისტოკრატია, ხოლო რაბათში მოსახლეობის დაბალი ფენები. რაბათი თავის მხრივ შედგებოდა უბნებისაგან (კვარტალები), რომელთა სახელწოდება ასახავდა მოსახლეობის საქმიანობას ("მჭედლების უბანი", "ზარაფხანას უბანი", "სამღებროს



გრემი, ანსამბლის საერთო ხედი, XVI ს.

უბანი", და სხვ.). ადრე უბანთა სახელწოდება მიგვითითებდა ტომობრივ-სარწმუნოებრივ განსხვავებაზე ("ურიანთ უბანი", "მოგვთა" სპარსთა უბანი, "ქართველთა უბანი"). უბანში იყო ქუჩები, სადაც განლაგებული იყო ხელოსანთა რიგები, ქარვასლები. ქუჩები იყო ვიწრო და მოუწყობელი, თუმცა მოკირწყლული. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ჩვეულებრივად, მოთავსებული იყო ბაზარი. ქალაქებს ჰქონიათ სხვადასხვა დანიშნულების მოედნებიც. XVII-XVIII სს. თბილისში აღნიშნულია "ბატონის მოედანი", "ციხის მოედანი" (ანუ თათრის მოედანი). ზოგ მოედანზე მოსახლეობა თავს იყრიდა სასაუბროდ, ამის გამო მათ "სალაყბო" ეწოდებოდა. თბილისში იყო აგრეთვე გასართობებისათვის განკუთვნილი მოედანი - "ყაბახი", სადაც ეწყობოდა ცხენოსანთა შეჯიბრება და სხვა თამაშები. ქალაქის ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ქარვასლები, რომლებშიც ერთდროულად ეწყობოდა საქონლის საწყობები, ვაჭრების საცხოვრებელი ოთახები (სასტუმრო), სავაჭრო და საწარმოო დაწესებულებანი. პატარა ქალაქებში ქარვასლები არ ყოფილა, მაგრამ სავაჭრო შენობები და სახელოსნოები დამახასიათებელია ყველა ქალაქისათვის, ასევე როგორც საზოგადოებრივი აბანოები. თბილისში ამ დროისათვის "აბანოების უბანი" ყოფილა, სადაც ბუნებრივად ცხელ წყალზე, ექვსი აბანო იყო გამართული.

საცხოვრებელი სახლები ასახავდნენ ქალაქის სოციალურ დანაწილებას. ფეოდალური არისტოკრატიის დიდი და ლამაზი სახლების გვერდით, ყოფილა ვაჭრებისა და ხელოსნების რამდენიმე ოთახისაგან შემდგარი სახლებიც. შენობები შენდებოდა არქიტექტურის წესების დაცვით, ამიტომ მსხვილ ქალაქებში არსებობდა "სარაიდერის" (არქიტექტორის) თანამდებობა, რომელსაც ევალებოდა სასახლეების, ეკლესიების, ქარვასლების

ხიდების მშენებლობის მეთვალყურეობა. მოქალაქეთა ქვის და აგურის სახლები შენდებოდა წესების დაცვის გარეშე, ხოლო ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობდა მიწურებში და ქოხებში. ქალაქის სახის შესახებ წარმოდგენას გვიქმნიან თბილისის იმდროინდელი ჩანახატები: შარდენის (1671 წ.), ტურნეფორის (1701 წ.) და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილი თბილისის საკმაოდ ზუსტი გეგმა.

გვიანფეოდალური პერიოდიდან შემორჩენილია ბევრი საკულტო, საერო და თავდაცვითი ნაგებობა. მხატვრული თვალსაზრისით ისინი გაცილებით დაბალ დონეზე დგანან ვიდრე წინა პერიოდის ძეგლები. გვიანი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ძეგლია ანანურის ციხე-დარბაზი, სამხედრო გზაზე, თბილისიდან 66 კმ. დაშორებით. წარსულში ანანური წარმოადგენდა არაგვის ერისთავთა ფეოდალური გვარის დასაყრდენს და განიცადა მრავალი შემოსევა. ციხე შედგება ორი ნაწილისაგან: ქვედა ციხე ბორცვის კალთებზე და შიდაციხე ბორცვის ამაღლებულ ადგილას. ანანურის ძირითადი ნაგებობები მიეკუთვნება XVII ს. ციტადელი შემოზღუდულია მაღალი გალავნით და ხუთი მრავალსართულიანი კოშკით. მთავარი (დასავლეთის) კოშკი შვიდსართულიანია. ანსამბლის ცენტრში შემორჩენილია ხუთსართულიანი ყველაზე ძველი კოშკი, დამახასიათებელი პირამიდული საბურავით. მასზე თითქმის მიმდგარია ღვთისმშობლის მთავარი ტაძარი) (1689 წ.). აღმოსავლეთით იმყოფება ცალნავიანი ეკლესია - "მკურნალი" რომელზედაც 1689 წ. დააშენეს სამრეკლო. მესამე, უფრო მოკრძალებული ეკლესია - "ღვთაება" მდებარეობს ეზოს დასავლეთის მხარეს. გეგმითა და გარეგანი მასებით მთავარი ეკლესია



ანანური. ანსამბლის საერთო ხედი, XVII ს.



ნინოწმინდა. სამრეკლო XVI ს., წინა პლანზე VI ს. ეკლესია.

არ განსხვავდება წინა პერიოდის ტრადიციულ გუმბათოვან ეკლესიებისაგან. ეკლესიის კედლები შემოსილია კარგად გათლილი კვადრებით და შემკულია დიდი მოჩუქურთმებული ჯვრებით. მოჩარჩოებული კარ-სარკმლებით და მცენარეებისა და ცხოველების სტილიზებული გამოსახულებებით. (ვაზი, გველეშაპები, ლომები, ირმები). ჩუქურთმები შესრულებულია გულდასმით და ვირტუოზული ტექნიკით, მაგრამ ტრადიციულ ოსტატობაში იგრძნობა შემოქმედებითი დაქვეითება-დეკორატიული მორთულობა ერთფეროვანია, სქემატური და პრეტენზიული. აქ ჩვენს წინაშეა გვიანფეოდალური ხუროთმოძღვრების ტიპიური ნიმუში, სადაც შიგა სივრცისა და გარეგანი მასების გადაწყვეტა მისდევს დადგენილ ტრადიციებს, ხოლო მორთულობაში მხატვრის ოსტატობას ცვ-

ლის ხელოსნის ნამუშევარი. ეს ჩანს
ძეგლებშიაც, ასე თბილისის სიონის გუმბ
მორთულობაში (1710 წ.) შეიმჩნევა სიმშრ
და უსიცოცხლობა, ტბისის ეკლესიაში (
წ.) კედლების მშვენიერი წყობა შეთავს
ლია მორთულობის ელემენტების და ფორ
სიმშრალესთან.

ნაქალაქარ გრემის ეკლესია და სხვა
ბობანი აგებულია აგურისაგან. კახეთის
ფოს ყოფილ დედაქალაქში (XVI ს.) ამ
რამოდენიმე ეკლესიის, ქულბაქების - სავ
რიგების, ქარვასლის, აბანოს და სხვა ნა-
ბათა ნანგრევებია. ამაღლებულ ბორ
აგებულია "მთავარანგელოზის" ეკლესია
წ.), კახეთის მეფის ლევანის მიერ. ეს ბ
ზემოთ აზიდული პროპორციების ტ
და ციხე-კოშკების ნანგრევებით, შორ
არაჩვეულებრივად ცხოველხატული

არი ცენტრალურ-გუმბათოვანია, მაღალი გუმბათი შეისრული საბჯენი თაღებით ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის შვერილებს და დასავლეთის ორ ცილინდრული ფორმის ბურჯს. შიგა სივრცე ვიწროა და მაღალი. ეკლესია აგებულია კვადრატული აგურით. მისი ფასადები დანაწევრებულია სამ არედ, რომელთაგან შუა გვერდისებზე უფრო მაღალია. შეისრული თაღებით დასრულებული სიბრტყეების მორთულობას შეადგენს დიდი ჯვრები, შეისრული დაკიდული თაღები და კუთხით ჩადგმული აგურის ზოლებით შექმნილი ლავგარდნები. მაღალი, რვაწახნაგა გუმბათის ყელის თითოეულ წახნაგზე მოთავსებულია ვიწრო სარკმელი. გრემში, ისევე როგორც სხვა ამ პერიოდის ძეგლში, თვალსაჩინოა ძველი ტრადიციული კომპოზიცია, შეთავსებული აღმოსავლურ მორთულობასთან.

ნინოწმინდის ძველი ტაძრის გალავანში აგებული სამრეკლო წარმოადგენს XVI ს. დამახასიათებელ ძეგლს. ოთხსართულიანი კოშკის ქვედა სამ სართულში იმყოფება საცხოვრებელი სადგომები შეისრული სარკმლებით, ნიშებითა და ბუხრებით. პირველი სართულის სადგომი გადახურულია გუმბათოვანი კამარით, მეორე სართულის რვაწახნაგა ოთახი დახურულია შეკრული კამარით, ხოლო მესამე სართულისა - ტრომპებზე დაყრდნობილი კამარით. მეოთხე სართულზე მოთავსებულია მრუდთარგი აგურით გამოყვანილი რვათაღიანი ფანჩატური, პირამიდული სახურავით. კოშკის კედლებში მოწყობილია სართულების დამაკავშირებელი კიბე. სამრეკლოსათვის დამახასიათებელია ზემოთ აზიდული პროპორციები. ფასადები გულდასმითაა დამუშავებული მარტივი გეომეტრიული ნაკვთებით, რომელიც მიღებულია აგურის წყობის სიბრტყეების კომბინაციით. ფასადების ცეტრში და ნაპირებზე, მოთავსებულია დეკორატიული რომბების ზოლები. მეორე და მესამე სართულის არეები შემკულია შეისრულ ნიშებში ჩასმული ჯვრებით. ქვედა სართულში კი, მცირე ნიშები მოთავსებულია ორ რეგისტრად. დეკორატიული ელემენტების განაწილება ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას და რიტმს. კოშკისებრი სამრეკლოს შექმნა, მასში მოთავსებული საცხოვრებელი სადგომით, ბუნებრივია, გამუდმებული შემოსევების ეპოქისათვის. მოსახლეობა თავს აფარებდა არა მარტო ციხე/სიმაგრეებს, არამედ ეკლესიების გალავნებში, სადაც სამრეკლო ხშირად, საბრძოლო კოშკის დანიშნულებასაც ასრულებდა.



თბილისი. ანჩისხატის სარეკლო, 1675 წ.

ძველი თბილისის ტერიტორიაზე, ანჩისხატის ტაძრის სიახლოვეს დგას 1675 წელს აგებული სამრეკლო. საყურადღებოა სამრეკლოს მარჯვე დაკავშირება რელიეფთან და გარემოსთან. იგი აგებულია ქუჩის პირას, როგორც შესასვლელი და დამაკავშირებელი ქუჩისა, მასზე ოთხი მეტრით დაბლა მდებარე ეკლესიის ეზოსთან. თვით სამრეკლოს კუთხით დაყენება და მასზე მოთავსებული ფანჩატურის გადაწევა მარჯვნივ, ითვალისწინებდა მის აღქმას ვიწრო ქუჩიდან და ეკლესიის წინ შექმნილი პატარა მოედნიდან.

სამრეკლო წარმოადგენს კუბურ მასას, რომლის ცენტრში გასასვლელის შეისრული თაღის გვერდებზე ორ სართულად განლაგებულია დეკორატიული ნიშები, მათ ზემოთ კი, კონტრასტული ყვითელი ქვის ფილა სამშენებლო წარწერით. დამაგვირგვინებელი ფანჩატურის ქვის სვეტები ორიგინალური სვეტისთავებით და ლავგარდნით, ისევე როგორც გასასვლელის თაღის არე, ასახავენ ამ პერიოდში გავრცელებულ ირანულ ფორმებსა და მოტივებს.

**საერო ნაგებობანი.** ქალაქური სახლები ძირითადად ორსართულიანია. ხელოსნურვაჭართა წარმომადგენლების სახლებში აუცილებელია: დარბაზი, საცხოვრებელი ოთახები, მარანი, თორნე და სარდაფი. სახლის საერთო ფართობი აღწევდა 150 კვ.მ., ხოლო დარბაზისა - 70-80 კვ.მ. ხელოსანთა დუქნებიც ორსართულიან სახლებში იყო განლაგებული, სადაც პირველ სართულში მოთავსებული იყო დუქანი ან სახელოსნო, ხოლო მეორე ეთმობოდა საცხოვრებელს. ასეთი სახლები გავრცელებულია თბილისში და გორში. სახლებს ჰქონია დაკიდული აივნები. სახურავი იყო ბრტყელი და ზაფხულში საძინებლად გამოიყენებოდა. ნაკლები იყო კრამიტით დახურული ორქანობიანი სახურავები. მრავალ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, თელავში, ზუგდიდში, გრემში არსებობდა ფეოდალთა სასახლეები. შემორჩენილია სასახლეთა ნანგრევები ძალისაში, ახალგორში, წირქოლში, მძორეთში, კოდის-წყაროში, ალვანში, ფარცხისში, ტბისში და სხვ. მტრის შემოსევებისა და ფეოდალების შინაბრძოლების შედეგად ეს სასახლეები იმდენადაა შელახული, რომ ძნელია წარმოდგენა ვახუშტი ბატონიშვილის აღწერისა, რომ - "შეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი მშვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა", რომელიც შემუსრეს ოსმალთ.

გვიანფეოდალური პერიოდის ნიმუშს წარმოადგენს მდ. ფრონეს ხეობაში სოფ. ძალისას განაპირას მდებარე სასახლე. იგი მთლიან კომპლექსს შეადგენდა მაღალ კოშკთან, რომელსაც უკავშირდებოდა პირველი სართულის კარით. თვით სასახლე ერთსართულიანი ყოფილა. მასში გარკვეულად ჩანს საზეიმო დარბაზი, საცხოვრებელი ოთახები და ტერასა. როგორც ჩანს, სასახლეს ჰქონია კამაროვანი გადახურვა და გულდასმით იყო მორთული. ხუთსართულიანი კოშკის ქვედა სართული მარანს ეჭირა, სამი სართული საცხოვრებლად იყო განკუთვნილი, ზედა - მეხუთე სართული სამმხრივ ღიადია და სათვალთვალოს წარმოადგენდა. კომპლექსი აგებულია XVII საუკუნეში.

შედარებით კარგადაა დაცული სასახლე ნინოწმინდის ტაძრის ეზოში. იგი აგებულია 1774-1777 წლებში ნინოწმინდელი ეპისკოპოსის საბა ტუსისშვილის მიერ. სასახლე ორსართულიანია, ქვითკირით ნაგები, ჰორიზონტული გადახურვით და კრამიტის სახურავით. ორივე სართულზე სამ-სამი ანფილადურად განთავსებული ოთახია, შუაში გამოყოფილი დიდი დარბაზითა და მცირე ოთახებით გვერდებზე. მეორე სართულის დიდი ოთახი შეწეულია და ქმნის ღრმა

აივანს. შენობის გარეგანი სახე სადაა, მსუბუქი და სასიამოვნო პროპორციებისა. ოთახების გაფორმება ხასიათდება გემოვნებით და მხატვრული მიზანდასახულობით. კედლები დანაწევრებულია ნიშებით და ხის გამჭვირვალე მოჩუქურთმებული კარებიანი თახჩებით. ნიშებს, ოთახებს გარს უვლის მსუბუქი ლავგარდანი, დასასრულ გაფორმებას ამთავრებს ხის პლაფონები.

როგორც ჩანს, უფრო დიდი და მდიდრული იქნებოდა სამეფო სასახლეები. აღწერის მიხედვით XVII ს. შუა წლებში თბილისში აგებული როსტომის სასახლე შეიცავდა 32 დიდსა და პატარა დარბაზს და იყო უხვად მორთული.

ამ პერიოდიდან შემორჩენილია რამდენიმე მოზრდილი აბანოს ნანგრევი: გრემში, ალავერდში, ქვემო ჭალაში, მძორეთში, სამშვილდეში, ხერთვისში, ახალგორში, თბილისში (როსტომის აბანო). ქვემო ჭალის აბანო ამილახვართა რეზიდენციაშია. აბანო შედგება ექვსი სადგომისაგან, აქედან აღსანიშნავია მრავალწახნაგა ფორმის ვესტიბული. იგი ტალანით უკავშირდება ძირითად საბანაო ნაწილს, სადაც მოწყობილია მდიდრულად პროფილირებული აბაზანები. სააბაზანოს ორივე მხარეს მოთავსებულია ორ-ორი ოთახი - გასახდელები და დასასვენებელი. აბანოს ეკვრის წყლის გასათბობი სადგომი. შიგნით კედლები შელესილია და მდიდრულად ყოფილა მოხატული. ყოველი სადგომი დახურულია დამოუკიდებელი გუმბათით. აბანო აგებულია ანდუყაფარ ამილახვარის მიერ XVII საუკუნის ოციან წლებში.

ამ პერიოდიდან შემორჩენილი ხიდებიდან, პირველყოფლისა ყურადღებას იპყრობს „წითელი ხიდი" მდ. ხრამზე. ხიდი აგებულია XVII საუკუნის შუა ხანებში როსტომ მეფის დროს. ხიდის საერთო სიგრძე აღწევს 153 მეტრს. იგი ოთხმალიანია, ისრული ფორმის თაღები გამოყვანილია ბრტყელი აგურით, ხოლო ბურჯები მოპირკეთებულია თლილი ქვით. ხიდის სიგანეა 4.3 მ. თაღები მდინარის დონიდან აღმართულია 12-14 მეტრით. ხიდი გვერდებიდან შუაგულისაკენ თანდათანობით მაღლდება და მთავარი თაღის თავზე გარდატყდება, რის გამო მას "გატეხილი ხიდიც" ეწოდება. ხიდის სანაპირო ბურჯებში მოწყობილია ბუხრიანი დიდი ოთახები, რომლებიც ქარვასლის ფუნქციას ასრულებდნენ, ამას გარდა არის მომცრო ოთახი - სადარაჯოსათვის ან მებაჟისათვის. ამავე პერიოდს მიეკუთვნება: ხიდი მდ.ვერეზე თბილისში, ყაურმის ხიდი მდ.თაფარავანზე, ხიდი მდ.ჭიშურაზე აგებული 1667 წ. გენათელი ეპისკოპოსის გედეონ ლორთქიფანიძის მიერ, მდ.მაშავერაზე, და სხვ.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ მოითხოვა არსებული თავდაცვითი ნაგებობების რეკონსტრუქცია. (სათოფურები, საზარბაზნეები, გასასვლელი "ბილიკები" და სხვ). XVII ს. საფუძვლიანად იყო გამაგრებული თბილისის ციხე-ნარიყალა. ძველი გორის ციხე ატარებს ორი უკანასკნელი განახლების ნიშნებს - XVII ს. პირველ ნახევარში როსტომ მეფის დროინდელი განახლებაა, ხოლო 1774 წ. ციხის რეკონსტრუქცია ჩატარებულია ერეკლე II მიერ.

მტკვრის ნაპირას, მაღალი მთის წვერზე აგებული ქსნის ციხე დარაჯობდა მტკვრის ხეობას. ციხე აგებულია ბაგრატ მუხრანბატონის მიერ 1511-1513 წწ. 1746 წელს იგი გააფართოვა და განაახლა კონსტანტინე მუხრანბატონმა. ძველი კედლების და კოშკების შემოყოლებით შენდება, ახლად დამატებული სამი სათოფურიანი კოშკი. ციხეში ახლა ოთხი საბრძოლო - საცხოვრებელი კოშკია, სადაც ქვედა სართულებში მოთავსებულია მარანი და წყლისშესანახი რეზერვუარები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ამ-



სვანეთი. სოფელი უშგული.

ბროლაურის მახლობლად, მაღალ კლდეზე მდებარე რაჭის ერისთავთა კვარას ციხე. იგი გარშემორტყმულია მაღალი კედლებითა და ბურჯებით, ერთადერთი ვიწრო შესასვლელი საგანგებოდაა გამაგრებული ცილინდრული ფორმის კოშკით.

XVIII ს. საქართველოში დაიწყო ციხე-სიმაგრეების მშენებლობა ვაკე ადგილებშიც. ასეთი ციხის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ერეკლე II მეუღლის დარეჯან დედოფლის მიერ თბილის-ბოლნისის გზაზე 1788-1798 წლებში აგებული ქოლაგირის ციხე. იგი გეგმაში კვადრატულია (136X136 მ.) კუთხეებში დგას თითქმის მთლიანად ციხის კონტურს გარეთ გატანილი ოთხსართულიანი მრგვალი კოშკები. ამათ გარდა კედლებში ჩართულია თაბიები-მცირე. ნახევარწრიული კოშკები. ციხეს ორი შესასვლელი აქვს, მთავარი ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის ცენტრში და მეორე მის პირდაპირ. კედელ-კოშკები აშენებულია დაუმუშავებელი შერჩეული ქვით და გარედან შებათქაშებულია. სალოდეებისა და მორთულობისათვის გამოყენებულია აგური. ეს ციხე უკანასკნელია საქართველოში აშენებულ ციხეთა შორის.

მრავლადაა შემორჩენილი აგრეთვე საბრძოლო და სადაზვერვო კოშკები. კოშკები ოთხკუთხა ან ცილინდრული ფორმისაა და ხშირად შვიდ სართულამდე აღწევს. პირველი ქვედა სართული ყრუა, ხოლო შესასვლელი მდებარეობს 4-6 მეტრის სიმაღლეზე. უკანასკნელი ზემო სართული მთავრდება ბანით საბრძოლო ელემენტებით. მტრის შემოსევისას ბანზე ანთებდნენ კოცონს, რასაც იმეორებდა მომდევნო კოშკი. ასეთი სისტემა ხელს უწყობდა ქვეყნის მობილიზაციას. ამ

პერიოდის კოშკების ნიმუშებია: კოშკები ქვემოჭალაში, მძოვრეთში, გომისჯვარში, სასხორში, კისისხევში, ხეითში, მარტყოფში, ვაშლოვანში და სხვ.

განსაკუთრებული ადგილი ქართულ არქიტექტურაში უკავია სვანეთის კოშკებსა და საცხოვრებელ სახლებს. სვანური კოშკები, რომელთა წარმოშობას აკავშირებენ გვაროვნული წყობის თავისებურებასთან, ძირითადად მიეკუთვნებიან გვიანფეოდალურ პერიოდს, მაგრამ მათი ნაწილი აგებულია X-XIV სს. ეკლესიებთან ერთდროულად. ჩვეულებრივად ასეთი კოშკი დგას საცხოვრებელი სახლის მახლობლად და დაკავშირებულია მასთან ხის ან ქვის გადასასვლელით. კოშკები აგებულია ფიქალით, ან ოდნავ დამუშავებული ქვით და შებათქაშებულია. კოშკი გეგმაში კვადრატული ფორმისაა და სიმაღლეში 20-25 მეტრს აღწევენ. ყველაზე გავრცელებულია ოთხი ან ხუთსართულიანი კოშკი. მისი ქვედა სართული 5-7მ. სიმაღლეზე ყრუა, შემდეგ იწყება სართულები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან მისადგმელი ხის კიბით. ზედა, დამაგვირგვინებელი სართულის თითოეულ კედელში მოწყობილია სალოდეები, რომლებიც დაცულია თაღოვანი ფორმის შვერილებით. კოშკების სადა, ლაკონური ფორმა არაჩვეულებრივად მეტყველია. კოშკებს ემიჯნება ქვის ორსართულიანი სახლი (მაჩუბი). მის ქვედა სართულში, რომლის ფართობი 100 კვ.მ. აღწევს, სვანები ატარებენ ზამთარს. აქვე იმყოფებოდა საქონელი, გამოყოფილი მოჩუქურთმებული ტიხარით. სახლის ცენტრში კერას ზემოთ, ეკიდა ჯაჭვზე დიდი ქვაბი. სახლის ინტერიერი მორთულია ჩუქურთმიანი ტიხრებით, ასევე დამუშავებული სკამებით, ზანდუკებით, სკივრებით. სვანური სოფელი ზემოთ ატყორცნილი კოშკებით, კავკასიონის მარადი თოვლით დაფარული მწვერვალების ფონზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავისებურია საცხოვრებელი სახლები და კოშკები საქართველოს სხვა მთიან რაიონებში: ხევსურეთში, თუშეთში, ხევში. სოფელი შატილი მდებარეობს ხევსურეთში, კლდოვან კონცხზე ორი მთის მდინარეს (არღუნი და შატილის წყალი) შორის. კლდე მჭიდროდაა გაშენებული ციხე-სახლებით, რომლებიც ერთობლივ ქმნიან თავდაცვით სისტემას. სახლები მიდგმულია ერთმანეთზე და თანაც საფეხურებად, ისე, რომ ქვედა სახლის ბანი, წარმოადგენს ტერასას ზემო სახლისათვის, სამხუთსართულიანი სახლები დაკავშირებულია გადასასვლელებით. სოფელი შატილი თავისი კომპაქტურობით, არაჩვეულებრივი სილუეტით და შინაგანი დინამიკით, თითქოს თეატრალურ დეკორაციას გვაგონებს.

მიუხედავად იმისა, რომ ირანი და თურქეთი სამი საუკუნის მანძილზე ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაემორჩილებინათ საქართველო და თავის ყაიდაზე შეეცვალათ მისი ყოფა და კულტურა, ქართული ხუროთმოძღვრება მტკიცედ იცავდა თავის ეროვნულ ტრადიციებს. გუმბათოვანი ტაძრები გეგმითა და საერთო ფორმებით უკავშირდებიან ჯერ კიდევ XI ს. ჩამოყალიბებულ ტრადიციებს. გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა არქიტექტურულ ფორმებსა და მოტივებში. თლილი ქვის ნაცვლად უპირატესობა ენიჭება აგურის წყობას, რომელიც შენობათა მორთულობაში ცვლის ტრადიციულ ჩუქურთმას ქვაზე. იქმნება მარტივი გეომეტრიული ნაკვთები, ჩნდება სტალაქტიტები, ნახევარწრიულ თაღს ზოგან, ცვლის შეისრული თაღი. განსაკუთრებით უცხოა საქართველოსათვის სასახლეების მორთულობის სიჭრელე, კედლებისა და ჭერის მოხატულობისა და ნაძერწის ბრჭყვიალა ფერები. მიუხედავად



სვანეთი. მაჩუბის ინტერიერი, გ. ლეჟავასა და [illegible] ნახატი

ამის· სადებისა და ინტერიერის კომპოზიციაში გამოყენებულ მორთულობას აგურისაგან, უმეტეს შემთხვევაში, ახასიათებს ეროვნული, ქართული იერი, რომელიც თავს იჩენს დეკორატიულ სქემაში, პროპორციებსა და საერთო გადაწყვეტაში.

ამავე დროს, შენობათა ერთი ნაწილისათვის იხმარება თლილი ქვა, სამოსელი და ტრადიციული ჩუქურთმაც, თუმცა ეს ძეგლები აღარ წარმოადგენენ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. შესრულების მაღალ ოსტატობასთან ერთად მორთულობა ხასიათდება სიმშრალით, სქემატიურობითა და დაწვრილმანებით. თვალსაჩინოა, რომ ქართველმა ხალხმა ამ სამი საუკუნის მანძილზე, არამც თუ დაითრგუნა თავი გარედან მოზღვავებული უცხო ფორმებით, არამედ მტკიცედ დაიცვა თავისი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა.

XIII საუკუნის დამლევიდან ქართულ კედლის მხატვრობაში თავს იჩენს ბიზანტიური პალეოლოგთა სტილისათვის დამახას ბელი იკონოგრაფიული და სტილისტი რიგის ნიშნები. ყველაზე ადრეული ძ სადაც შეიმჩნევა ეს მიმართულება არის  თის ტაძრის სამხრეთის ეკვდერის ფერ რომელიც მიეკუთვნება XIII ს. 90-იან წ აქ ქტიტორების პორტრეტები შესრუ ლია პირვანდელ (XII ს.) ფერწერ. იმეორებს ძველ კომპოზიციურ სქემას. ძველი ფერწერის სადა, ფრონტალ კვთები შეიცვალა უკვე გაცილებ ნამიკური ნაკვთებით. მათი პროპ წაგრძელებულია, ნახატი უფრო ხოლო ფორმათა ცხოველსახულ ფერწერის რბილი კოლორიტიც რთული, კონტრასტული ფერებით სიათშია შესრულებული იოანე ნათ ლის ცხოვრების ამსახველი ციკლი დადიანის ოჯახის ქტიტორული პ ბი ხობის ტაძარში (XIII და XIV



ხევსურეთი. ძველი შატილი, საერთო ხედი.



ახალი შუამთა. ეკლესია, XVI ს.

აქ ნაკვთები მოთავსებულია პერსპექტიული შემცირებებით გადმოცემულ არქიტექტურულ ონზე, რაც ქმნის სიღრმისა და სივრცის იაბეჭდილებას. პალეოლოგთა სტილი ჩანს აგრეთვე ლიხნისა და მარტვილის IV ს. შუა წლების კედლის მხატვრობაში.

უბისის ტაძრის კედლის მხატვრობის დიდი ნაწილი შესრულებულია მხატვარ დამიანეს მიერ XIV საუკუნეში. კარგად შენახულ "საიდუმლო სერობაში" ყურადღებას იპყრობს არქიტექტურის სივრცითი გადმოცემა და ადამიანთა ნაკვთების თავისუფალი განაწილება. კომპოზიციის კიდეებზე მოთავსებული ფიგურები ნაჩვენებია ერთი პროფილში, ხოლო მეორე ზურგით. ფერწერის კოლორიტი თავშეკავებულია, მაგრამ ნაკვთების გადმოცემაში ჩანს თავისუფალი, გაბედული მონასმი. სახეები, სამოსელი და განსაკუთრებით თმა და წვერ-ულვაში გადმოცემულია მოკლე, ენერგიული მონასმებით. უბისის ფერწერასთან ახლო დგას სორის (რაჭა) ეკლესიის კედლის მხატვრობა. თუმცა აქ ფერწერა უფრო გლუვია, რბილი და შუქჩრდილებით ნაკლებად კონტრასტული.

წალენჯიხის ტაძრის კედლის მხატვრობის წარწერის მიხედვით - XIV საუკუნის ბოლოს ვამეყ დადიანმა კონსტანტინოპოლიდან მოიწვია მხატვარი კირ მანუელ ეუგენიკოსი. წალენჯიხის მხატვრობას ეტყობა დახვეწილობა და შესრულების მაღალი ოსტატობა. მაგრამ ფერწერა მაინც მშრალია და აკადემიური. ყურადღებას იპყრობენ ეკლესიის დასავლეთის კარის ორსავე მხარეს მოთავსებული მთავარანგელოზები - მიქელი ხმლით ხელში და გაბრიელი გრაგნილით. დამახასიათებელია მათი სახეების შეწითლებული ლოყები, მწვანე ფერის ინტენსიური ჩრდილები და ნაკვთების მოძრაობათა მანიერულობა.

ქართული მონუმენტური ფერწერის ცალკე ჯგუფათ წარმოგვიდგება სამცხე-საათაბაგოს ძეგლები - საფარა, ზარზმა, ჭულე. საფარის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობა (XIII ს. 80-იანი წლები) რთული და მრავალფეროვანია. კედლის მხატვრობის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ფაქიზი, დახვეწილი ფერწერა, რომელიც ენათესავება წინა პერიოდის (ბეთანია, ვარძია) ფერწერას. ასეთ ფრესკებს მიეკუთვნება დასავლეთის კედლის მოხატულობა და ქტიტორთა პორტრეტები. ფრესკების მეორე ჯგუფისათვის დამახასიათებელია სიბრტყიობა, ფუნჯის ფართო მონასმი, წაგრძელებული სახეები შეწითლებული ლოყებით, ათინათების გარეშე. ასეა შესრულებული საკურთხევლის აფსიდისა და გუმბათის ფერწერა და წმინდა მხედრების ნაკვთები. ასევე შესამჩნევია ადამიანთა სულიერი მდგომარეობის ფაქიზი გადმოცემა. ამის მაგალითია თუნდაც "ჯვარცმის" კომპოზიციის ნაკვთები. სამხრეთის კედელზე გამოსახულია ქტიტორები: სარგის I (ათაბაგი საბა) ეკლესიის მოდელით ხელში, ბექა I მანდატურთუხუცესი, სარგის II სამცხის სპასალარი და ყვარყვარე.

ზარზმის ფერწერა (XIII და XIV სს. მიჯნა) ჩვეულებრივად თავშეკავებული და მშვიდი ფერწერისაგან განსხვავდება ნაკვთების მკვეთრი მოძრაობით, დინამიკითა და ემოციურობით. ამის თვალსაჩინო სურათს წარმოადგენენ ისეთი სიუჟეტები, როგორც "ქრისტეს დაბადება", "ღვთისმშობლის დაბადება", "იუდას მთხვევა", "ღვთისმშობლის წყლით მხილება" და სხვ. დიდი ადგილი ეთმობა ზარზმის ტაძარში ქტიტორთა პორტრეტებს, რომელთა შორის ვხედავთ სამცხე-საათაბაგოს მფლობელებს: ბექა I, მის შვილებს სარგის II და ყვარყვარეს. ჯგუფის თავშია

ბექას მამა სარგის I - სამცხის პირველი მფლობელი.

XV ს. დასაწყისში გრძელდება წინა პერიოდის ტრადიციები და კედლის მხატვრობა პალეოლოგთა სტილის მატარებელია. ამას ვაჩვენებს ნაბახტევის კედლის მხატვრობა (XV ს. 20-ნი წლები) და ალავერდის განახლებული ფერწერა (XV და XVI სს. მიჯნა).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სვანეთის სოფლების ლაშთხვერისა და უშგულის ეკლესიების ფერწერა. ეს არის ერთადერთი მაგალითი ეკლესიების გარე კედლების მოხატულობისა. ჩრდილოეთის ფასადებზე გამოსახულია საგმირო ეპოსის "ამირან-დარეჯანიანის" სიუჟეტები - ამირანის ბრძოლა დევებთან და ვეშაპთან. ფერწერა შესრულებულია სიბრტყით, ხაზოვან მანერაში.

XVI საუკუნეში მიმდინარეობს მტრის ხელით დაზიანებული კედლის მხატვრობის განახლება. თავიდან მოიხატა გელათის მთავარი ტაძარი და წმინდა გიორგის ეკლესია, მცირე ეკლესიები - ტაბაკინი, გეგუთი და სხვ. საუკუნის მეორე ნახევარში მოიხატა სამთავრო, ნეკრესი, გრემი, ახალი შუამთა, ალვანი და ნაწილობრივ ალავერდი. ამ მრავალრიცხოვან მოხატულობათა შორის, ნაწილი შესრულებულია კვალიფიციური ოსტატების მიერ, რომლებიც აგრძელებენ პალეოლოგთა სტილის ტრადიციებს, ზოგიერთ შემთხვევაში უფრო გამოკვეთილია ხალხური ხელოვნების ნიშნები - სიბრტყითი და გრაფიკული მანერით. მონუმენტური ფერწერის ბევრი ძეგლი შეიქმნა XVII საუკუნეშიც: ხობის ეკლესიის ცენტრალური ნავი, ხონის ეკლესია, გელათის ტაძრის ჩრდილოეთის ეკვდერი და დასავლეთის მკლავი, წალენჯიხა, მარტვილი, ერკეთი, შემოქმედი, ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი, სამთავისი, თბილისის ანჩისხატი. ამ პერიოდის ძეგლებში ჩანს ფერწერის მხატვრული დონის დაქვეითება. ნახატი ხდება პირობითი და უსწორო, კომპოზიცია დაწვრილმანებული და დეკორატიული.



სვანეთი. ლაშთხვერის ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადის მოხატულობა.

ამ პერიოდის ფერწერის ნიმუშია მცხეთის სვეტიცხოვლის „სვეტის" მოხატულობა. წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველი პატარა კომპოზიციები შესრულებულია 1673-1688 წწ. მხატვარ გრიგოლ გულჯავარასშვილის მიერ. ვითარდება ამ პერიოდში საერო პორტრეტებიც, სადაც სქემატურობასა და სიბრტყითობასთან ერთად თავს იჩენს ირანული ხელოვნების გავლენაც. (მეფე ალექსანდრეს და მისი მეუღლის პორტრეტები გელათში, დედოფალ მარიამის პორტრეტი სვეტიცხოველში და ფეოდალთა პორტრეტები ხობში და მარტვილში.).

XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნეში თანდათან ინერგება ქაღალდი, რომელმაც შეცვალა პერგამენტი. შეიმჩნევა ხელნაწერთა მინიატურების გამარტივება და ოსტატობის გარკვეული დაქვეითებაც. 1300 წელს შექმნილ "მოქვის ოთხთავში" ბიზანტიური ხასიათის მდიდრულსა და საზეიმო ხელნაწერში ჩნდება მცირე დეტალები, რომლებიც ამცირებენ მის მთლიანობას, ფეხს იკიდებს დეკორატიული ელემენტების ასიმეტრიულობა, ახალი მოტივები, როგორც წარწერიანი მედალიონები, ფრინველების გამოსახულებანი და სხვ. XV ს. ყველაზე საყურადღებო ნიმუშია "ჯრუჭის დავითნი" მორთული 1443-1445 წლებში. ხელნაწერში 132 მინიატურაა, რომელთა თემატიკა ფართო დიაპაზონისაა - ხატების სახისა, სახარების ციკლი და ბატალური სცენები. ჯრუჭის მინიატურები ბიზანტიური რიგისაა და ახასიათებთ სიმშრალე და სქემატურობაც. როგორც ვხედავთ, მკვიდრდება ის ნიშნები, რომლებიც ჩაისახა წინა პერიოდის მინიატურებში.

XVI-XVII სს. განვითარდა საერო ლიტერატურის ილუსტრაციებიც. მინიატურების ერთი ნაწილი დაკავშირებულია ადგილობრივ ხალხურ ტრადიციებთან. ასეთია "ვეფხის ტყაოსნის" ხელნაწერის მინიატურები შექმნილი მამუკა თავქარაშვილის მიერ 1646 წ. მათ შორის არის შოთა რუსთაველის ერთერთი უძველესი პორტრეტიც. მინიატურების კომპოზიცია პირობითია, ფერადოვანი აქცენტები ანიჭებენ კომპოზიციას მდგრადობას, სახეებიც უახლოვდება ქართულ ფრესკულ ფერწერის გამოსახულებებს.

მეორე ჯგუფის მინიატურებში მექანიკურად გამოყენებულია ირანული მინიატურების ტრადიციული ხერხები.

მესამე ჯგუფს შეადგენენ მინიატურები სადაც ირანის მინიატურების გავლენასთან ერთად ასახულია ტრადიციული ქართული მინიატურების ნიშნები. აქ სახეზეა უფრო მშვიდი და რბილი კოლორიტი, დამახასიათებელი ნახატი და ეროვნული ტიპებიც. ასეთებია "როსტომიანის" 104 ილუსტრაცია, "ზილიხანიანის" მინიატურები. "ქალილა და დამანას" ხელნაწერში, რომელიც შექმნილია XVII საუკუნის 30-იან წლებში. მინიატურების ერთი ნაწილი ასახავს იმ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც საქართველომდე აღწევენ დასავლეთ ევროპიდან.

XVII ს. რელიგიური ხელნაწერები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთის გავლენებმა ვერ შეცვალეს ადგილობრივი მხატვრული ტრადიციები. ცნობილია რომ ქართველი მინიატურისტები მუშაობდნენ საქართველოს გარეთაც. ასე, ირანის შაჰის კარზე XVI ს. ცნობილი იყო ქართველი მხატვარი სიაუში, ხოლო XVII ს. მხატვარი ჯაბადარი.

XVII ს. ბოლოს მინიატურული ფერწერა დაეცა, რასაც პირველყოვლისა, ხელი შეუწყო წიგნის ბეჭდვის განვითარებამ.

XIV საუკუნის ოქრომჭედლობის ნაწარმოებებში ჩანს წინა პერიოდთან შედარებით

გარკვეული დაქვეითება - სიმშრალე და უმეტყველობა. ისპობა ზღვარი გამოსახულებისა და მოჩარჩოებას შორის, ცალკეული დეტალები და თვით ნაკვთებიც გამოდიან არეს ფარგლებიდან და გადადიან მოჩარჩოებაზე. XV საუკუნიდან თითქოს იწყება ერთგვარი გამოცოცხლება. XVI ს. დასაწყისში მოღვაწეობდა ოსტატი მამნე, რომლის შესრულებულია საკურთხევლის წინამდებარე ჯვრები სადგერიდან და ბარაკონიდან. აქ ყველა კომპოზიციები მწყობრად განლაგებულია გლუვ არეზე. განსაკუთრებული ოსტატობა ჩანს მრავალფიგურიან კომპოზიციებში "წმ. გიორგის ცხოვრების" ციკლიდან.

XVI ს. ვითარდება აგრეთვე ახალი ტექნიკური და მხატვრული ხერხები, ფეხს იკიდებს ხატების შემკობა მინანქრებით და პატიოსანი თვლებით. განსაკუთრებით კახეთისათვის დამახასიათებელია ხატის ფონის დამუშავება მცენარეული ორნამენტით ზედ დაბნეული ლალისა და ფირუზის წვრილი მარცვლებით (ახალი შუამთის "ღვთისმშობლისა" და "მაცხოვრის" ხატები, აწყურის ხატი "ღვთისმშობელი ყრმით", ჩხოროწყუს ოქროს თასი) ხშირია ხატებზე ქტიტორთა ფიგურების გამოსახვა (შემოქმედის და ზუგდიდის ხატები). XVII-XVIII სს. მეორდება ძველი მოტივები, მაგრამ ნაკვთები უკვე ულაზათო პროპორციებისაა, ნახატი დარღვეულია და პლასტიკურობაც დაბალია. მაგალითად კორცხელის ხატი ოდიშის მთავრის ლევან დადიანისა და მისი მეუღლის ნესტან-დარეჯანის მუხლმოდრეკილი ფიგურებით.

XVIII საუკუნის დამლევს ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. ერეკლე II ცდილობდა ირანისა და თურქეთის შემოსევების მოგერიებას და რეაქციული თავადების წინააღმდეგობის დაძლევას, მაგრამ მისი ძალები არ იყო საკმარისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მეფე იძულებული გახდა სამი მეტოქიდან ერთ-ერთი აერჩია. საქართველოს დაუძინებელ მტრებთან ირანთან და ოსმალეთთან კავშირს, მან რუსეთის მფარველობა აირჩია, რაც დაგვირგვინდა 1783 წლის ხელშეკრულებით რუსეთსა და საქართველოს შორის.

რუსეთთან შეერთების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ცარიზმის კოლონიალური ჩაგვრის უღელქვეშ მოექცა, შეწყდა გამუდმებული თავდასხმები და ომები, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. XIX საუკუნის შუა წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულმა ლიტერატურამ, მუსიკამ, ფერწერამ, თეატრმა. იწყება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. საუკუნის ბოლოს დაიწყო რევოლუციური მოძრაობა, რომელიც დამთავრდა მონარქიის დამხობით და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით.

ახალი სოციალური და ეკონომიკური პირობები განსაზღვრავენ არსებით ცვლილებებს არქიტექტურის განვითარებაში. საქართველოს დედაქალაქი თბილისი-წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნების ქალაქი - გახდა ირანთან და ინდოეთთან რუსეთის ვაჭრობის ძირითადი ბაზა. რკინიგზის გაყვანამ და მრეწველობის განვითარებამ აქცია თბილისი ბურჟუაზიულ ქალაქად. ტრადიციული სტიქიური განაშენიანების ნაცვლად თბილისში და სხვა ქალაქებში ცენტრალური კვარტალები შენდება პროექტების საფუძველზე. ექცევა ყურადღება ქალაქების კეთილმოწყობასაც. ახალი სოციალური პირობების შედეგად ისპობა ქართული არქიტექტურის ისეთი თემები, როგორც ფეოდალთა ციხეები და დარბაზები. სამაგიეროდ ჩნდება ახალი თემები - ადმინისტრაციული შენობები, საკრებულო დაწესებულებები, გიმნაზიები. ქალაქებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არისტოკრატიის, მოხელეების, გამდიდრებული ბურჟუაზიის კერძო სახლებს. XIX ს. მეორე ნახევარში თვალსაჩინოდ იზრდება თბილისი, ვითარდებიან ბათუმი, გორი, ქუთაისი ფოთი, ახალციხე და სხვა ქალაქები. შენდება ახალი ტიპის შენობები: თეატრები, ბანკები უნივერსალური მაღაზიები, სასტუმროები სამრეწველო ნაგებობები. ქალაქში წამყვანი ადგილი ეთმობა მრავალსართულიანსა და მრავალბინიან საშემოსავლო სახლებს. მაგრამ ქალაქის აქიტექტურა თანდათანობით ჰკარგავს კავშირს ეროვნულ ტრადიციებთან წყდება ის ხაზი, რომელიც გასდევდა ქართულ ხუროთმოძღვრებას განვითარების მთელ მანძილზე. სოფლის არქიტექტურაში ეს გადატეხა ნაკლებად იგრძნობა. თუმცა, აქაც ქრება საცხოვრებელი სახლის ისეთი ტრადიციული სახეობანი, როგორიც იყო დარბაზი,



თბილისი. მეფის ნაცვალის სასახლე, 1865-1869 წწ.

XIX ს. დასაბამიდან მატულობს აგურის მშენებლობა. იზრდება აგურის ქარხნების რიცხვი. ბრტყელი ქართული აგურის ნაცვლად მზადდება სტანდარტული რუსული აგური. დიდი ოფიციალური შენობები და საცხოვრებელი სახლები შენდება რუსი და ადგილობრივი ინჟინრებისა და არქიტექტორების პროექტებით: აბესალომოვის, ა. ზალცმანის, ი. ივანოვის, ო. სიმონსონის, კტატიშჩევის, ა. შიშკოვიჩის, დ. სკუდიერისა და სხვ.

XIX ს. მეორე ნახევარში შენდება რკინისა და თუჯის დამუშავების ქარხნები. მეტალურგიის განვითარება ხელს უწყობდა ახალი სამშენებლო ტექნიკის დანერგვას. ლითონი ფართოდ გამოიყენება დიდმალიან ნაგებობებისათვის (ხიდები, სადგურები, ქარხნული შენობები), აგრეთვე თუჯისა და და ნაჭედი მოაჯირებისათვის.

XIX ს. დასაწყისში არა მარტო მცირე ქალაქები, არამედ თბილისიც წარმოადგენდნენ ტიპიურ ფეოდალურ ქალაქებს. მათ განვითარებას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ მოსახლეობას, ლეკიანობის გამო, ეშინოდა თავდაცვითი კედლების გარეთ დასახლება. XIX ს. დასაწყისში მოსახლეობა ითვისებს თბილისის ახალ ტერიტორიებს, ძირითადად მტკვრის დინების მიმართულებით გარეუბნის ტერიტორიაზე. თანდათანობით იხატება ქალაქის ახალი ცენტრი, მთავარი მოედნით, სადაც შენდება სამხედრო შტაბისა და სასულიერო სემინარიის შენობები. მდ. მტკვარზე ხიდების აშენებასთან ერთად იწყება ქალაქის განვითარება მდინარის მარცხენა ნაპირას. ქალაქი იერთებს უახლოეს სოფლებს კუკიასა და ჩუღურეთს. განაშენიანების მოწესრიგების მიზნით იქმნება თბილისის გენერალური გეგმა პირველი ასეთი გეგმა შედგე



თბილისი. საცხოვრებელი სახლი გუდიაშვილის მოედანზე, XIX ს.

ნილი იყო კაპიტან ჩუიკოს მიერ, ჯერ კიდევ 1800 წელს. 1809 წელს ჩნდება ბანოვის გეგმა. 1827 წელს გენერალ-გუბერნატორის სიპიაგინის მითითებით შედგენილი იყო თბილისის გეგმა, რომელზედაც ინჟინერ-პოდპორუჩიკმა ლაზარევმა დაიტანა კვარტალები, ხოლო არქიტექტორმა ბარაშკინმა მონიშნა ცალკეული ქუჩები და მოედნები. მაგრამ ქალაქის მშენებლობა ძალიან ნელა მიმდინარეობდა. 30-ან წლებში ვაჭრობისა და წარმოების განვითარებასთან ერთად სურათი იცვლება, სწრაფად იზრდება ქალაქის მოსახლეობა. 1831 წ. პასკევიჩის განკარგულებით შედგენილია ქალაქ თბილისის გენერალური გეგმა. 1836 წელს კოლეჟსკი ასესორი ტოვარნიცკი ადგენს ქალაქის ახალ გეგმას, კვარტალების, ქუჩებისა და მოედნების აღნიშვნით. დასახულია ქალაქის მთავარი მაგისტრალი - გოლოვინის პროსპექტი ამჟამად რუსთაველის პროსპექტი, რომელიც მოსკოვის კარიბჭეს (საგუშაგოს) აღწევდა. პროსპექტზე შენდება საცხოვრებელი სახლები და ორსავე მხარეს ირგვება ხეები. იჭრება ახალი ქუჩები - სალალაკის, მუხრანის და სხვ.

მთავარ, ერევნის მოედანზე 1847–1851 წლებში შენდება ქალაქის მაშინ ყველაზე ღირშესანიშნავი შენობები-ქარვასლა და თეატრი. 1846-1848 წწ. აღრიცხვის მიხედვით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაყვანილია 16 გრძივი და ამდენივე განივი ქუჩა; აშენდა ორი სამსართულიანი, 30 ორსართულიანი და 158 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. 1848-1853 წწ. აშენდა ახალი კუკიის ხიდი (არქიტექტორი დ. სკუდიერი) და მცირე ხიდი (არქ. რაიხი) ალექსანდრეს მოედნის ადგილას გაშენდა ქალაქის პირველი საზოგადოებრივი პარკი (პარკისა და პავილიონების პროექტების ავტორი-ო. სიმონსონი).



თბილისი. საცხოვრებელი სახლი გომის ქუჩაზე. XIX ს.

ამგვარად თბილისი პირველად შენდება გენერალური გეგმის საფუძველზე. ქუჩები ხდება უფრო განიერი, მოედნები ღებულობენ გარკვეულ კონფიგურაციას, ახალი კვარტალების განაშენიანებისათვის იცავენ წითელ ხაზს. ჩნდება სამშენებლო კანონმდებლობაც, რომელიც გულისხმობს მიწის გამოყოფას, შენობათა პროექტების შედგენა-დამტკიცებას. ქალაქის მშენებლობის მოწესრიგების მიზნით იქმნება ქალაქ თბილისის უკეთესი მოწყობის კომიტეტი /1827 წ/. თბილისის გუბერნიის სამშენებლო კომისია /1835 წ./. საქართველოს ქალაქების მოწყობის კომიტეტი /1836 / თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის განაშენიანება ხდება მისი რთული და მხატვრული თვალსაზრისით მეტად მარჯვე რელიეფის გათვალისწინების გარეშე. არსებითად ქალაქის ტერიტორიას დაადეს რეგულარული გეგმარების სქემა პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩების ქსელით. ასეთმა გეგმარებამ დასტოვა გამოუსწორებელი კვალი თბილისის განაშენიანებაში.

XIX ს. მეორე ნახევარში ქალაქი უფრო სწრაფად ვითარდება. იგი მიემართება მტკვრის გაყოლებით ზემოთ და აღწევს ვარაზის ხევს. კიდევ უფრო შესამჩნევია ქალაქის ზრდა მტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც ყალიბდება ქალაქის მეორე მაგისტრალი — მიხეილის პროსპექტი/ ამჟამად დავით აღმაშენებლის პროსპექტი/, მიმდებარე პარალელური და განივი ქუჩებით.

ამგვარად, XIX ს. მეორე ნახევარში დადგინდა ქალაქის განვითარების ძირითადი მიმართულებანი. მისი მთავარი მაგისტრალები მდინარის გასწვრივ, გოლოვინის პროსპექტი და ერევნის მოედანი გამოყოფილია, როგორც ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი. აქ შენდება ადმინისტრაციული შენობები, თეატრები, მუზეუმები, მდიდრული მაღაზიები, ბანკები და სხვ. მსხვილი ბურჟუაზია, არისტოკრატია და მოხელეები სახლდებიან სალალაკში მეორე მაგისტრალის მიმდებარე უბნებში. ძველი ქალაქი /კალა, ხარფუხი/ რჩება წვრილ ხელოსნებსა და ვაჭრებს. აქვეა წვრილ ვაჭართა ებრაული კვარტალი.

რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით, ქალაქის ორ გარეუბანში დიდუბეში /ჩრდილო-დასავლეთით/ და ნავთლუღში/სამხრეთ-აღმოსავლეთით/ შენდება მსხვილი სამრეწველო ობიექტები. რკინიგზის გასწვრივ სახლდებიან მუშები და აღმოცენდა ქალაქის მუშათა რაიონი-ნაძალადევი. ქალაქის განვითარებამ მდინარის ორივე ნაპირას, მოითხოვა ახალი ხიდების მშენებლობა. 80-ან წლებში შენდება ვერის ხიდი, მოგვიანებით მუხრანის ხიდი /ავტორი ინჟინერი ე. პატონი/ 1883წ. თბილისში გაყვანილია საქალაქო რკინიგზა /კონკა/, ხოლო 1904წ. ელექტროტრამვაი. 1905 წ. გაიხსნა ფუნიკულერის ხაზი/ინჟინერი ლ. ბლაში/, რომელმაც დააკავშირა ქალაქი მთაწმინდის პლატოს.

**საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები.** უკვე XIX ს. დასაწყისში თბილისში ოფიციალური ადმინისტრაციული შენობები შენდება რუსული გვიანი კლასიციზმის სტილში: მთავარსარდლის, შემდგომში მეფისნაცვლის შენობა აგებულია 1807 წ. და საფუძვლიანად გადაკეთებულია 60—ან წლებში /არქ. სიმონსონის მიერ/, არმიის შტაბის შენობა /1824-1827 წწ/, სასულიერო სემინარიის შენობა/1838 წ/, სიონის ტაძრის სამრეკლო /1812 წ/. თბილისის, ქუთაისის, გორის, დუშეთის, თელავის საცხოვრებელი სახლებიც ასახავენ კლასიციზმის კომპოზიციურ ხერხებსა და ფორმებს. ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებები და გაბატონებული გემოვნება ხელს უწყობდნენ ახალი ფორმების დანერგვას, მაგრამ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები და საუკუნოვანი ხუროთმოძღვრული ტრადიციები აგრეთვე იჩენენ თავს არქიტექტურაში. ამის შემდეგ შეიქმნა თავისებური ქალაქური სახლები, რომელთაც "თბილისური სახლები" ეწოდება. საცხოვრებელი სახლის გეგმა, მისი რელიეფთან შეხამება, საერთო კომპოზიცია, ღია კიბეები და ფასადის ძირითადი ელემენტი—ფართო, ღია აივანი, თაღებით ან არქიტრავულად დახურული მოხდენილი სვეტებით — დაკავშირებულია საქართველოს არქიტექტურულ ტრადიციებთან და ძლიერ სცილდებიან კლასიკური არქიტექტურის ნორმებს. კლასიკური არქიტექტურის ფორმები და დეტალები — სვეტების ბაზები და კაპიტელები, კბილანები და პროფილები — შერწყმულია აივნის ხის რიკულებთან, აჟურულ ჭრასთან, თაღების ჩუქურთმებთან, რაც ანიჭებს სახლებს ორიგინალურ, განუმეორებელ სახეს.

30-იან — 40-ან წლების საცხოვრებელი სახლების თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ შემორჩენილი სახლები ლ. გუდიაშვილის მოედანზე და ბარათაშვილის ქუჩაზე



სოფელი კორტა საცხოვრებელი სახლის გეგმა, ფასადი.



სოფელი ხაიი. საცხოვრებელი სახლის ინტერიერი, კედელი ბუხრით.



თბილისი. სახაზინო თეატრი (ამჟამად ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი) არქიტექტორი ვ.შრეტერი, 1880-1896 წწ.

პირველისათვის დამახასიათებელია სახლის მთლიანი გახსნა ქუჩისაკენ. ქუჩაზე გამოდის ღია აივნები, ფასადები და პატარა კურდონერი. კლასიციზმის ხერხები ჩანს ფასადების გადაწყვეტაში, შენობის საერთო საფუძველში, რაც პროფესიული ოსტატის ავტორობაზე მიგვანიშნებს. ქვის სვეტების შეცვლა ხის სვეტებით ქმნის უფრო მსუბუქ პროპორციებს. სახლის მარჯვენა მხარეს, კლასიკური ფორმის სვეტები შეხამებულია აივნების ხის ჩუქურთმებთან და ფერადი მინით შემინულ გალერეასთან. მარცხნივ, ხის დიდ აივანზე კლასიკური ბაზები, კაპიტელები და კონსოლები შერწყმულია მოაჯირის არაჩვეულებრივად მსუბუქ, მდიდრულ ორნამენტაციასთან და თაღების მორთულობასთან. შეიქმნა კლასიციზმისათვის უცხო კომპოზიცია შესრულებული დახვეწილი გემოვნებით, ორგანული და ადგილობრივი პირობების შესატყვისი. მეორე სახლში ქვედა სართულის სვეტების არქიტრავულ გადახურვაზე მოწყობილია თაღოვანი აივანი კლასიკური სვეტისთავებით, ხოლო მანსარდაში სამნაწილიანი თაღებია. ეს მრავალფეროვნება და გაბედული შერწყმა როდი არღვევენ შენობის ორიგინალობას. ეს თბილისისათვის დამახასიათებელი სახლებიაქუჩის მხარეს გახსნილი ფასადებითა და ეზოთი, საჩვენებლად გამოფენილი ცხოვრებით..

XIX ს. პირველი ნახევრის სხვა ქალაქების სახლებში, ადგილობრივი და კლასიკური მოტივების შერწყმა ღებულობს თავისებურ ინტერპრეტაციას; ადგილობრივი პირობების შესაბამისად. თელავისათვის დამახასიათებელია აგურის სახლები აგურისვე მრგვალი და შელესილი სვეტებით პირველ სართულზე და კონტრასტული ფაქიზი ხის სვეტები და რიკულები მეორე სართულზე. დასავლეთ საქართველოში /ქუთაისი, საჩხერე/ გავრცელებულია ქვის სვეტნარი, რომლის კლასიკური ხასიათი ვერ ახშობს ადგილობრივი საცხოვრებელი სახლის საერთო სახეს.

მემამულეთა სახლები რამდენადმე იმეორებენ ქალაქის საცხოვრებელ სახლებს. ქსნის ერისთავების სასახლე შემორჩენილია ახალგორში. სასახლეს გარს აკრავს სწორკუთხა ქვითკირის გალავანი ოთხი სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოშკით. სამხრეთ-აღმოსავლეთის შვიდსართულიანი, ოთხკუთხა კოშკში საყურადღებოა ორქანობიანი სახურავი და ღია შვერილი აივანი ფასადის ზემო ნაწილში. მეორე ოთხკუთხა კოშკი სასახლეს ჩრდილოეთიდან აკრავს. მასში საინტერესოა ტრომპებზე დაყრდნობილი გუმბათოვანი გადახურვა. თავდაპირველი სასახლე აგებული ყოფილა XVII ს. ამ ერთსართულიან შენობაში



თბილისი. რუსთაველის სახელობის თეატრი. არქ. კ. ტატიშჩევი და ი. შიმკოვიჩი, 1901 წ.

გაიწმინდა ხუთი ოთახი მრავალი საინტერესო ელემენტებით — აქ მრავალი ნიშები და თახჩებია, ხოლო ოთახები დახურულია თაღოვანი კამარებით. XIX ს. დასაწყისში ახალი მოთხოვნილების შესაბამისად, ძველ სასახლეს დააშენეს მეორე სართული ანფილადურად განლაგებული ოთახების ორი მწკრივით. მთავარი ფასადის გადაწყვეტაში თავს იჩენს ეპოქის შესატყვისი მაღალი, მასიური კოლონადა, რომელზედაც რთულ, აჟურულ კრონშტეინების მეშვეობით. დაყრდნობილია ხის მსუბუქი, აჟურული აივანი.

საქართველოს სოფლების საცხოვრებელი სახლები საკმაოდ მრავალფეროვანია, ბუნებრივი პირობების, ყოფითი და სოციალურ თავისებურებათა შესაბამისად. ქვეყნის აღმოსავლეთისა და სამხრეთის რაიონებში შემორჩა უძველესი საცხოვრებელი სახლი დარბაზი. დასავლეთ საქართველოში ბუნებრივმა პირობებმა /მაღალი ტენიანობა, ნალექები/ განაპირობეს ერთსართულიანი ხის სახლის შექმნა, რომელიც აწეულია ნიადაგის დონიდან ქვის ბურჯებით. წინა ფასადზე, მთელ სიგრძეზე სახლს გაჰყვება დახურული აივანი ხის სვეტებითა და მოაჯირით. გეგმაში ასეთი სახლი ჩვეულებრივად შედგება სამი ოთახისაგან, სდაც ერთი წარმოადგენს დიდი ზომის დარბაზს. ოთახებს შორის გამოიყენება მოძრავი ტიხრები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მეზობელი ოთახების გაერთიანება. ინტერიერში გავრცელებულია ბუხრების მხატვრული დამუშავება და კედლების მორთვა ხის მოჩუქურთმებული პანელებით. ნიშებით და კედლის კარადებით. გლეხის სახლი დგას ნაკვეთის სიღრმეში. სახლის უკან, სამეურნეო ეზოში განაწილებულია ზაფხულის სამზარეულო, სასიმინდე-ნალია, მარანი და ბეღელი. სახლის წინ კი დატოვებულია სუფთა ეზო-ბალახით დაფარული მდელო ერთი ან რამოდენიმე საჩრდილობელი ხეებით.

რელიეფის მარჯვე გამოყენება, ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებული გეგმარება, შენობის თავისუფალი ორიენტაცია, აუცილებელი იზოლაციის და განიავების უზრუნველყოფა, სახლის მჭიდრო კავშირი აივნით გამწვანებულ ეზოსთან, ფასადების და მთელი სახლის სისადავე და მეტყველება მიღწეული არქიტექტურული ხერხების მინიმალური საშუალებებით, ყველა ელემენტის პროპორციულობა და მასშტაბურობა, აივნების ტიპები, საცხოვრებელი ნაწილის გეგმარება, ფართობის ეკონომიკური გამოყენებით ყოველივე ეს მოწმობს "ოდა სახლის" შემქმნელ



თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა. არქიტექტორი ს. კლდიაშვილი. 1900-1906 წწ.



თბილისი. სათავადაზნაურო ბანკის შენობა (ამჟამად სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა). არქიტექტორი ა. კალგინი, მხატვარი ჰ. გრინევსკი, 1913-1916 წწ.

ხალხური ოსტატების უნარს დააკმაყოფილონ როგორც ეკონომიკური, ასევე ესთეტიკური მოთხოვნილებანი.

თუ XIX ს. პირველ ნახევარში საქალაქო სახლები ინარჩუნებენ თავის ტრადიციულ ეროვნულ საწყისებს, საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის არქიტექტურა ჰკარგავს ეროვნულ იერს. შენდება საშემოსავლო სახლები, რომლებიც უპასუხებენ ვაჭრებისა და მოხელეების გემოვნებას. არქიტექტურაში ვრცელდება ეკლექტიზმი რენესანსის და კლასიციზმის მოტივებით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის არქიტექტურული ფორმები. ამის მაგალითია თბილისში აგებული შენობები: სახაზინო თეატრი (ამჟამად ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, არქიტექტორი ვ. შრეტერი, 1800-1896 წწ.), ქალაქის საბჭოს შენობა, (არქიტექტორი პ. შტერნი, 1883 წ). გაფორმებული ფსევდომავრიტანულ სტილში, მძიმე და უხეში სამხედრო ტაძარი, არქიტექტორი დ. გრიმი, 1897 წ, აგებული რუსულ-ბიზანტიურ სტილში, ქალთა გიმნაზიის შენობა, ინჟინერი როტინოვი, 1903 წ. ფსევდო გოთურ სტილში, არტისტულ საზოგადოების შენობა /ამჟამად რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი/ არქიტექტორები კ. ტატიშჩევი და ა. შიმკოვიჩი, 1901წ. მორთული ბაროკალური ელემენტებით. ამ ეგზოტიკურ გატაცებას ჰქონდა ეპიზოდური ხასიათი ხოლო ძირითადად მიმართულებას წარმოადგენდა — რენესანსულ-ბაროკალური ეკლექტიზმი კლასიკური ორდერების, პროფილების და მორთულობის გამოყენებით. შენობების დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ფუნქციონალური გეგმარება, კარგი პროპორციები და შესრულების მაღალი დონე. ასეთებია კავკასიის მუზეუმი და სასტუმრო "ორიანტი". არქიტექტორი ა.ზალცმანი, 70-იანი წლები, სასამართლოს შენობა, არქიტექტორი ა.შიმკოვიჩი, 1894 წ. მუსიკალური სასწავლებლის შენობა (ამჟამად სახელმწიფო კონსერვატორია) არქიტექტორი ა.შიმკოვიჩი, 1904 წ.

XX ს. დასაწყისში საქართველოში შემოაღწია მოდერნმა. ეს ახალი სტილი, რომელიც მცირე ხნით საკმაოდ პოპულარული ხდება, მიზნად ისახავდა თავი დაეღწია ეკლექტიზმისათვის და მიეღწია მეტყველებას ახალი მხატვრული ხერხების შემწეობით, მაგრამ მან ვერ წამოაყენა მტკიცე თეორიული პრინციპები და თვით გადაიზარდა დეკორატიულ სტილად. ამ მიმართულების ნიმუშებს წარმოადგენენ: სახალხო სახლი (ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) 1902-1909 წწ. ბანკის შენობა სალალაკის ქუჩაზე, 1910 წ. შემოსავლიანი სახლი რუსთაველის პროსპექტზე, არქიტექტორი ნ.ობოლონსკი, კინოთეატრი "აპოლო" და სხვ.

თავისი მხატვრული დონით მრავალ უმნიშვნელო შენობათა შორის, გამოიყოფა საქართველოს გიმნაზია (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) აგებული 1900-1906 წწ. არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის პროექტით, პირველი ქართველი არქიტექტორის, რომელმაც მიიღო ევროპული აკადემიური განათლება. შენობაში არაფერია ორიგინალური - ეს არის კლასიკურ ფორმებში გადაწყვეტილი ტრადიციული სახე სასწავლო დაწესებულებებისა. მაგრამ მისი გეგმარება, კომპოზიციის სისადავე და სიცხადე, მშვიდი, გაწონასწორებული ფასადები იმპოზანტური პროპორციებით, მორთულობის თავშეკავებულობა უპირატესობას ანიჭებენ მას ქალაქის თანამედროვე განაშენიანებაშიაც.

უცილობლად პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა აგრეთვე სასტუმრო "მაჟესტიკის"

შენობა (ამჟამად სასტუმრო თბილისი) არქიტექტორი გ.ტერ-მიქელოვი, 1914 წ.

XX ს. დასაწყისში აგრეთვე შეიმჩნევა ეროვნული ქართული არქიტექტურის ფორმებისა და მოტივების აღორძინების ცდები. საუფლისწულო მამულის შენობაში (ამჟამად პირველი ღვინის ქარხანა) არქიტექტორმა ა.ოზეროვმა 1896 წ. გამოიყენა საეკლესიო ხუროთმოძღვრების მოტივები. 1904-1910 წწ. თბილისში შენდება ქაშუეთის ეკლესია (არქიტექტორი ლ.ბილფელდი), რომელიც წარმოადგენს ცნობილი სამთავისის ტაძრის პირს. მიუხედავათ სამშენებლო და მოპირკეთების სამუშაოთა მაღალი ხარისხისა, სახეზეა ფორმათა სიმშრალე, გარდუვალი ძველი ნიმუშების მექანიკური განმეორების დროს.

გაცილებით ორიგინალურ და მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს სათავადაზნაურო ბანკის შენობა (ამჟამად სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა) 1913-1916 წწ. შენობის ავტორებმა არქიტექტორმა ა.კალგინმა და მხატვარმა ჰ.გრინევსკიმ, რომელთა წინაშე დასმული იყო ამოცანა შეექმნათ ქართული საზოგადოებრივი შენობა, არ გაყვნენ ძველი ნიმუშების მექანიკური გადმოღების გზას, რასაც მოწმობს შენობის თავისუფალი კომპოზიცია, ასიმეტრიული გადაწყვეტა, გალერეებისა და ტერასების მდებარეობა, დიდი დარბაზები ასეთივე დიდი სარკმლებით, დასასრულ, გარეგანი ფორმების დაქვემდებარება შენობის ფუნქციისადმი. ამავე დროს, მკვეთრი პროპორციები, შენობის ტექტონიკა, ფასადების საზეიმო ხასიათი და მდიდარი, არაჩვეულებრივათ მრავალფეროვანი დეკორატიული მორთულობა, მოწმობენ ორგანულ შინაგან კავშირს ქართულ ტრადიციულ ხუროთმოძღვრებასთან. ცხადია ასეთი შენობა ვერ ჩაითვლება ქართული ხუროთმოძღვრების ორგანული განვითარების ნაწარმოებად. იგი მაინც წარმოადგენს ცალკეული ფორმებისა და მოტივების სტილიზაციას. მაგრამ ისტორიული ქართული ხუროთმოძღვრების კარგი ცოდნა, ავტორების გემოვნება ანიჭებენ ამ შენობას მეტყველებას, მიმზიდველობას და ღირებულებას, ვინაიდან ძველი საქართველოს ძეგლების ფორმებმა და მოტივებმა მიიღეს აქ ახალი ჟღერადობა.

ეს ცდები მოწმობენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და საზოგადოების მისწრაფებას ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებისა.

რუსეთთან შეერთების დროისათვის ძველი ეროვნული ფერწერის ნიადაგი თითქმის მოიშალა. მან დაჰკარგა ის მნიშვნელობაც, რომელიც მას ენიჭებოდა გასულ საუკუნეებში. საუკუნის დასაწყისში საზოგადოებას კვლავ გაუჩნდა კულტურული და მხატვრული მოთხოვნილებები, შემოიჭრა გარედან რეალისტური ხელოვნება. ეს პროცესი ბუნებრივიც იყო და სწრაფიც, ვინაიდან საქართველო, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო დაკავშირებული დასავლეთის, ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთან, XVI-XVIII სს. მას იძულებით იყო მოწყვეტილი.

მართალია ამ პერიოდში საქართველო განიცდიდა ეროვნულ შევიწროვებას, ინტენსიურად და მიზანდასახულად მიმდინარეობდა ქვეყნის რუსიფიკაცია, იკრძალება ქართული ენა. მაგრამ ქართული კულტურა როდი ჩაკვდა, იგი ეგუება შეცვლილ პირობებს და შემოქმედებითი ცხოვრება კვლავ გრძელდება.

1814 წ. დეკანოზ დიმიტრი მესხიშვილის თაოსნობით მოიხატა ანჩისხატის ტაძარი. კედლის მხატვრობა შესრულებულია ადგილობრივი ოსტატების მიერ, მაგრამ იმეორებს დასავლური ქვეყნების შაბლონს. საფიქრებელია, რომ მხატვრებმა გამოიყენეს იტალიის მისიონერების მიერ შემოტანილი ნიმუშები. ახალი დინების ამსახველი მეორე ძეგლია

ბოდბეს ეკლესია, რომელიც მოიხატა მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილის დაკვეთით 1823 წ. თუმცა ბოდბის მხატვრობა ენათესავება ანჩისხატისას, მაგრამ იგრძნობა უკვე რუსული რელიგიური ფერწერის გავლენა. იგი ჩანს როგორც ცალკეულ ციკლების იკონოგრაფიაში, ასევე სიუჟეტების გააზრებაში. ნაკვთების მოცულობითი გადმოცემით, პერსპექტივის კანონების გამოყენებით იგი არსებითად განსხვავდება ქართული ფერწერის ტრადიციებისაგან. ქართველმა ოსტატებმა მალე აითვისეს სიახლენი, დაიწყეს ახალი ტექნიკური ხერხების გამოყენება - ნალესობაზე უშუალოდ ზეთის საღებავებით მუშაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ოსტატები ცდილობენ გააიზრონ ახალი მიმართულება და დააკავშირონ იგი საკუთარ ნიადაგს. ბოდბეში ამის მაჩვენებელია ქართველ წმინდანთა ცხოვრების შეყვანა. ტაძრის სამხრეთის ნაწილში, სადაც წმ. ნინოა დამარხული, კედლებზე მოთხრობილია მისი მოღვაწეობა, ჩრდილოეთის ნავის კედელზე კი გამოსახულია ქართველი წმინდა მხედრები. ანჩისხატის ეკლესიაშიც ვლინდება მაცხოვრის ხელთუქმნელი სახის, ანტონ მარტყოფელის მიერ გავრცელებული ქართული ვერსია. მაგრამ ახალმა მხატვრულმა მიმართულებამ, მიუხედავად გარკვეული ცდებისა დააკავშირონ იგი ტრადიციულ ფრესკულ ფერწერასთან, განვითარება ჰპოვა მხოლოდ პორტრეტულ ფერწერაში. ეგებ ამის მიზეზია ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალობის დაკარგვაც. დასაწყისში პორტრეტების დამკვეთებად გვევლინება სამეფო კარის დიდგვაროვანნი ვახტანგ VI ამალიდან, რომელიც დარჩა რუსეთში და შემდეგ ერეკლე II მემკვიდრენი. ყველაზე ადრინდელია ვახტანგ VI პორტრეტი. მეფე გამოსახულია რუსეთის მეფეთა სამოსელში და შესრულებულია რუსეთის ფერწერის ტრადიციებში.

XVIII ს. დასარულისა და XIX ს. დასაწყისის პორტრეტებში ჩანს, რომ ქართველი მხატვრები დგანან რეალიზმის პოზიციებზე. ამ მხრივ დამახასიათებელია გარსევან ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის პორტრეტები. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს საზეიმო, პარადულ პორტრეტებთან. მათ აცვიათ ქართული საზეიმო სამოსელი, სახეების გამომეტყველება მშვიდია, დინჯი, დამაჯერებლადაა გადმოცემული ქართველი ადამიანის ტიპაჟი, რაც მიგვანიშნებს, რომ ორივე პორტრეტი შესრულებულია ერთი და იგივე ქართველი ოსტატის მიერ. ახლო დგანან ამ პორტრეტებთან ერეკლე II მეუღლის დარეჯანისა და მისი ასულის თეკლეს პორტრეტები, საფიქრებელია შესრულებული კარის მხატვრის ნიკოლოზ აფხაზის მიერ. დედოფალ დარეჯანის პორტრეტში აღსანიშნავია ქართული სამოსელი, კარგად მოდელირებული სახე, საზეიმო პორტრეტისათვის აუცილებელ გარეგან სიმშვიდესთან ერთად მაინც ჩანს შინაგანი სიმკვირცხლე. ასეთივე ცოცხალი გამომეტყველება აქვს თეკლესაც. ეს პორტრეტი ნაკლები ოსტატობითაა შესრულებული ვიდრე პირველი.

საზეიმო, პირობით პორტრეტებიდან ქართველი მხატვრები თანდათანობით გადადიან სხვა ამოცანების გადაწყვეტაზე. კერძოდ ადამიანის ინდივიდუალური ნიშნების და სახის ფსიქოლოგიურ გახსნაზე. ასეთ პორტრეტების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს 1829 წ. შესრულებული ქსნის ერისთავის თორნიკეს ასულის ნინო ერისთავის პორტრეტი. ახალგაზრდა ქალი დგას პირობითად გადმოცემულ ქართლის პეიზაჟის ფონზე. მისი სხეულის სამ-მეოთხედზე შემობრუნება, ყვავილი მარცხენა ხელში, თითქოს გამოძახილია წინა პერიოდების კავშირი ირანის ხელოვნებასთან. მას აცვია გრძელი ქართული კაბა, რომლის გულისპირი და კალთები მოქარგულია თვალ-მარგალიტით, თეთრი კაბის

ზემოდან ჩაცმული აქვს წითელი ქათიბი, თავზე ახურავს ასეთივე წითელი ქუდი, საიდანაც ეშვება გამჭვირვალე ლეჩაქი. პორტრეტზე აღბეჭდილია ნამდვილი ქართველი ქალი, ქართული სახე დიდი შავი თვალებითა და წარბებით, სახის ლამაზი ოვალით და გაორებული ნიკაპით. სახე არაა დამუშავებული შუქ-ჩრდილით, იგი სიბრტყითია და აშკარად დაკავშირებული ძველი ქართული ხელოვნების ტრადიციებთანაც. უფრო გვიანაა შესრულებული (1866 წ.) ნიკოლოზ მუხრანბატონის ოჯახური - ჯგუფური პორტრეტი. სურათის ცენტრში დგანან ნიკოლოზ ბაგრატიონი მეუღლით, მათ ორსავე მხარეს ფრონტალურ მწკრივში დგანან ოჯახის წევრები. ჯგუფური პორტრეტი შესრულებულია სიბრტყით მანერაში, თუმცა სახეები ფაქიზად და გულდასმითაა გამოყვანილი მოწვეული ქართველი მხატვრის მიერ. ამავე რიგისაა სალომე ანდრონიკაშვილის მოხდენილი და სასიამოვნო პორტრეტი.

როგორც ვხედავთ, XIX ს. 30-ან წლებში თბილისში ყალიბდება ფერწერის საკუთარი სკოლა. ამ სკოლის ერთადერთი ჟანრი პორტრეტულია, მაგრამ წრე ფართოვდება, არისტოკრატიის გვერდით ვხედავთ მოხელეებს, მოქალაქეებს - ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. ამ პერიოდის პორტრეტებისათვის დამახასიათებელია სტატიკური კომპოზიცია, სხეულის სიბრტყითი გადმოცემა და ამავე დროს სახის პლასტიკის დამუშავება, მსგავსება და დამაჯერებლობა. განსაკუთრებით გულდასმითაა გადმოცემული აქსესუარები. სურათების კოლორიტი თავშეკავებულია და ძუნწი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო ღრმა ტონების ჰარმონიული შეხამების წყალობით.

როგორც აღინიშნა, პორტრეტების ამ გალერეას ქმნიან სხვადასხვა მხატვრები. მათ შორის გამოქმულია თბილისში მცხოვრებ სომეხ მხატვართა ოჯახის წარმომადგენელი აკოპ ოვნათანიანი. მის მიერ შესრულებულია მელიქიშვილის, მიზანდარის, მოხუცი მოხელის პორტრეტები.

ოქრომჭედლობა XIX ს. განიცდის დაკნინებას, მცირდება ეკლესიის მატერიალური სახსრები და ბუნებრივია ხატების დაკვეთაც. მიუხედავათ ევროპული დეკორატიული ფორმებისა და იკონოგრაფიული სახეების შემოღწევას, ქართული ოქრომჭედლობა, ძირითადად ინარჩუნებს ტრადიციულ ეროვნულ ხასიათს. XIX ს. პირველ ნახევარში მოღვაწეობენ ოქრომჭედლები პ.მეუნარგია, თ.კედია, ვ.ძაძამიძე. დასავლეთის სკოლის წარმომადგენელს (სოფ. ცაიშიდან) პეპუ მეუნარგიას ეკუთვნის ვერცხლით ნაჭედი მაცხოვრის ხატი მარტვილიდან, მცირე ზომის ხატი წმ. გიორგის გამოსახულებით. შესაძლოა ჭედური ხატები წალენჯიხიდან, ცაიშიდან და ნასპერიდან. მაცხოვრის ნაკვთი მარტვილის ხატზე (1839 წ.) ოდნავ მძიმეა, თავიც განსხვავდება ძველი ხატების გამოსახულებებისაგან. წმ. გიორგის სახე ზუგდიდის ხატზე ტრადიციულია, სახის მოდელირება, თმების, სამოსელის, შარავანდედის გადმოცემა მიგვანიშნებს ძველ ნიმუშებზე. როგორც ჩანს, ოსტატმა უკვე აითვისა რეალისტური ხელოვნების ხერხები, რომლებიც შეთავსებულია ძველ ტრადიციებთან.

80-ან წლებში ასპარეზზე გამოდის ქართველ მხატვართა ახალი თაობა, რომელმაც მიიღო აკადემიური განათლება რუსეთში ან ევროპაში. ეს არის ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების ხანა. ი.ჭავჭავაძე, ა.წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ი.გოგებაშვილი აყენებენ სოციალურ საკითხებს და ეროვნულ განმანთავისუფლებელ იდეას. აქტიურდება ქართული პრესა, ყალიბდება ქართული თეატრი და მუსიკა. უფრო მოგვიანებით ეს პროცესი იწყება ფერწერაშიც. მხატვრებმა გადალ-

ახეს ტრადიციული ფორმა და შიშვნელოვნად გაზარდეს იდეური მხარე. მათ შემოქმედებაში პორტრეტების გარდა ჩნდება სხვა ჟანრებიც: საყოფაცხოვრებო, ისტორიული პეიზაჟი, ნატურმორტი, არსებითად ყველაფერი რაც ახასიათებს ევროპულ რეალისტურ, დემოკრატიულ ხელოვნებას. ამ მხატვართა შორის აღსანიშნავია: გ.მაისურაძე, რ.გველესიანი, ა.ბერიძე, დ.გურამიშვილი, გ.გაბაშვილი, ა.მრევლიშვილი.

გიორგი მაისურაძე თავად ა.ჭავჭავაძის ყოფილი ყმა, იყო პირველი მათგანი. გ.მაისურაძის მიერ შესრულებული პორტრეტები, როგორიცაა ბატონიშვილ ბაგრატის შვილის ალექსანდრეს პორტრეტი (1839 წ.), ი.ჭიჭინაძის პორტრეტი (1853 წ.), ნ.აბულაძის პორტრეტი, სავსებით რეალისტურია, კარგადაა გადმოცემული სახის გამომეტყველება, ფერადოვანი გამა მდიდარია და თბილი, ფუნჯის მონასმი გაბედულია და თავისუფალი.

რომანოზ გველესიანი გარდაიცვალა 25 წლის ასაკში და მისმა ნიჭმა ვერ მოასწრო გაფურჩქვნა. მის ნამუშევართა შორის აღსანიშნავია კახელი დოქით, მხატვრების ა.ბერიძის და გ.გაბაშვილის პორტრეტები. ამას გარდა მას ეკუთვნის ძველი თბილისის და კახეთის კარგად შესრულებული ჩანახატები.

ალექსანდრე ბერიძის პორტრეტებში: მოღიმარე მოხუცი, კაცი წითელი ქუდით, უცნობი, ქალი, სალამურზე დამკვრელი ბიჭი, გოგონა წინდის ქსოვისას გვიჩვენებენ ოსტატის მისწრაფებას გადმოსცეს პერსონაჟის ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

გიგო გაბაშვილი არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მხატვარია. მისი დიაპაზონი ძალიან ფართოა. მან შექმნა მრავალი პორტრეტი (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა). დიდი ადგილი ეთმობა მის შემოქმედებაში ხევსურეთის თემას: მთვრალი ხევსური, მძინარე ხევსური, ხევსურების ნადიმი სადაც შერწყმულია პორტრეტული და ყოფითი ჟანრები. სურათების დიდი სერია ეძღვნება ხევსურების ბრძოლას თავისუფლებისა და თავისთავადობისათვის, ასე[illegible]: არხოტის დაცვა, ხევსური წითელში, ძ[illegible]ლი, ალავერდობა, ხევსურები შ[illegible] წინ და სხვა. საინტერესოა ძველი თბილისის ტიპაჟიც: სამი მოქალაქე, ყასაბი, ხალიანი მამაკაცი, თავადის პორტრეტი, სამი გენერალი. ამ ნაწარმოებებში ყურადღებას იპყრობს სახეების განზოგადოება, ტიპიზაცია და მახვილი თვალით დანახული ხასიათი.

საკმაოდ დიდი ციკლია მიძღვნილი შუა აზიისადმი: ბაზარი სამარყანდში, დივან-ბეგის აუზი ბუხარაში მულა, ქურთი და მრავალი სხვა. გ. გაბაშვილი ავტორია მრავალი პეიზაჟისა და ნატურმორტის. მას უცილობლად ახასიათებს მაღალი პროფესიონალიზმი, მდიდარი კოლორიტი, კარგი კომპოზიცია, იგი ბრწყინვალედ გადმოგვცემს არქიტექტურას, პეიზაჟს, მაგრამ აქ ნაკლებად ჩანს ფსიქოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა, სულიერი ღელვა, შინაგანი კონფლიქტები.

ალექსანდრე მრევლიშვილი პირიქით, ძირითად ყურადღებას უთმობს სოციალურ თემატიკას. იგი თანაგრძნობით ასახავს უბრალო ხალხის ცხოვრებას, გვიჩვენებს არსებულ სოციალურ უსამართლობას. ა. მრევლიშვილის ტილოები არაა ეფექტური და არც მაღალი მხატვრული ოსტატობით გამოირჩევიან. "სოფლის კანცელარიაში", "დაბალი ღობე" ასახავენ გლეხის ოჯახის დარბევას ხელისუფლების მიერ. ა. მრევლიშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია რუსულმა ფერწერამ, კერძოდ "პერედვიჟნიკებმა".

მძიმე, გაჭირვებული ცხოვრება განვლო თვითნასწავლმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა. იგი არ იცნობდა ანატომიას, არ

შეეძლო ნაკვთების სწორი აგება, მისი პერსონაჟები ულაზათოა, გულუბრყვილო და მოუქნელი, მაგრამ ყოველივე ეს გავიწყდება მისი უჩვეულო უშუალობის, სიმართლის, მეტყველების და რაღაც სიწმინდის, ხალასი გრძნობის წინაშე. სხვა პრიმიტივისტ მხატვართაგან განსხვავებით ნ. ფიროსმანაშვილი ანზოგადოებს, ავლენს ყველაზე დამახასიათებელს, ყველაზე ტიპურს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი სურათები: "მეეზოვე", "უშვილო მილიონერი და ღარიბი ბავშვებით", "მუშა ტიკით", "მედუქნე" და სხვა. დიდი სიყვარულით, ექსპრესიითა და გრძნობით დახატულია ცხოველები, განსაკურებით მას უყვარს ირმები, შველი, დათვი ბელებით, არწივი. მხატვარს ეკუთვნის ნატურმორტების სერია. ეს სადა უპრეტენზიო კომპოზიციები სადაც დაწყობილია სუფრის ჩვეულებრივი ატრიბუტები - დოქი ღვინით, თევზი, მწვანილი, შოთი პურები გადმოცემულია გასაოცარი წონასწორობით, დამაჯერებლობით და სიმართლით.

საუკუნის ბოლოს დაიწყო საქართველოში წიგნის გრაფიკაც. გრიგოლ ტატიშვილმა გააფორმა ი. გოგებაშვილის, "დედა ენა" და "ბუნების კარი". მანვე დაამუშავა ქართული ანბანის მთავრული ასოები და ჩუქურთმების ალბომი.

იმ დროს, როდესაც ქართულ ფერწერას ჰქონდა დიდი ტრადიციები, ქანდაკება ახალ სიტყვას წარმოადგენდა და ეს პირველი სიტყვა თქვა იაკობ ნიკოლაძემ. პირველმა ქართველმა მოქანდაკემ, რომელმაც შექმნა მოქანდაკეთა სკოლა და აღზარდა მრავალი ოსტატი. მის ადრეულ ნამუშევართა შორის აღსანიშნავია "ჩრდილოეთის ქალიშვილი", "სალომეა" , "ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი მთაწმინდაზე" და პორტრეტები.

XIX ს. განვითარდა იუველირული ნაკეთობათა წარმოება. სამაჯურები, დიადემები, სამკერდე ჯვრები, ყელსაბამები შემკული გრეხილით, მინანქრითა და პატიოსანი ქვებით/ უპირატესად ფირუზით/ შესრულებულია მაღალი ოსტატობით.

ვითარდება ვერცხლის ჭურჭლის დამზადებაც. საღვინე სასმისები ყარყარა კულა, აზარფეშა, ფიალა, შემკულია მცენარეული ორნამენტით, ყვავილებით და ფანტასტიკურ, სტილიზებულ ცხოველთა გამოსახულებით. ცნობილია ამ დარგის ოსტატები: კვეზერელი, მ. და დ. მამულაშვილები, ლ. გიუაშვილი, გრეხილის ოსტატები ძაძამიძე, მ. ახვლედიანი, თ. და ა. ასათიანები და სხვ.

კვლავ განვითარდა ტრადიციული ნაქარგობა. განსაკუთრებით საყურადღებოა გარდამოხსნები საეკლესიო მსახურებისათვის. ქალთა და მამაკაცთა სამოსელის ნაწილები-მანდილები, ლეჩაქები, თავსაკრავები, მამაკაცთა ყაბალახები, პერანგები, სარტყლები, ქისები. ქარგვა სრულდებოდა აბრეშუმის, ვერცხლის და მოოქროვილი ძაფით. მორთულობის სახეები, ძირითადში მცენარეულია-სტილიზებული ყვავილები. გამოყენებითი ხელოვნების ეს დარგი XIX ს. ბოლოს განდევნა ქარხნულმა წარმოებამ.

ყოფითი კერამიკასთან ერთად ვითარდება დეკორატიული ჭურჭელიც ღვინისათვის - სტილიზებულ ფრინველთა ან ცხოველთა სახით, რთული მარნები და სხვა. გვხვდება ფერადი ჰიქურიც (მაიოლიკის ტიპისა).

XIX საუკუნის მანძილზე ქართული ხელოვნება ასახავს იგივე მოვლენებს, რომლებიც შეიმჩნევა ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იგი მიჰყვება მსოფლიო ხელოვნების განვითარების ძირითად ხაზს და ამასთანავე, მუდამ ეყრდნობა ეროვნული ტრადიციების დაუშრეტელ წყაროს.

შრომები საერთო საკითხებზე

შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1961.

ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. 1974.

ნ. სევეროვი, გ. ჩუბინაშვილი. ქართული არქიტექტურის გზები. თბ. 1936.

ი. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბ.1955.

გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1936.

ი. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის. მატერიალური კულტურის ისტორიისათვის ტ I, თბ. 1946.

Амиранашвили Ш. История грузинского искусства. М. 1963.

Амиранашвили Ш. история грузинской монументальной живописи, 1957.

Беридзе В. Архитектура Грузии, М, 1948.

Джанберидзе Н, Цицишвили И. Архитектура Грузии, М.1976.

Северов Н. Памятники грузинского зодчества, М. 1947.

Чубинашвили Г. Грузинское чеканное искусство, Т. 1959.

W. Beridze, E. Neubauer. Die Baukunstldes Mittelalter in Georgien. Berlin, 1980

R. Meplsaschwili, W.Zinzadse, Die Kunsltdes alten Georgien. Leipzig, 1977.

R. Meplsaschwili, W.Zinzadse, Georgien Wehrbauten und Kirchen. Leipzig, 1986

პირველყოფილი საზოგადოების ხელოვნება

გ. გობეჯიშვილი. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ. 1952

ი. კიკვიძე. ადრე ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი ხიზანაანთგორა. თბ. 1972

ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბ. 1938

დ. მუსხელიშვილი. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ. 1978

საქართველოს არქეოლოგია. თბ. 1959

საქართველოს არქეოოლოგია ტ. I. ქვის ხანა, თბ. 1991

ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ. 1963

ტ. ჩუბინიშვილი. უძველესი კულტურა მტკვრისა და არაგვის შუა მდინარეთში, თბ 1965

ა. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, ტ.I არქეოლოგიური გათხრები წარმოებული 1954–1961 წლებში, ნასოფლარი ქვაცხელები, თბ.1962

Джавахишвили А. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа У-III тыс. до н.э. тб. 1973.

Джапаридзе О, Джавахишвили А. Культура древнего

земледельческого населения на территории Грузии, Тб. 1971.

Иващенко М. Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тб 1935.

Куфтин Б. Археологические раскопки в Триалети, т.I, Тб. 1941

Куфтин Б. Материалы по археологии Колхиды, т.I, 1949, т.II, 1950.

Кушнарева К. Чубинишвили Т, Древние культуры Южного Кавказа, Л. 1970.

Мещанинов И. Циклопические сооружения Закавказья, Известия ГАИМК, т. XIII, вып. 4-7, М. 1932.

Пиотровский Б. Археология Закавказья, Л. 1945.

Ростомов И. Ахалкалакский уезд в археологическом отношении. Т.898.

Урушадзе Н. Бронзовая летопись древний Грузии, Т, 1984.

Цицишвили И. Истоки грузинского зодчества, Тб. 1955.

Цинцадзе В. К изучению архитектуры городов-крепостей древней Грузии, Труды Тбилиской Академии художеств, Тб. 1987.

ადრეკლასობრივი საზოგადოების პერიოდის ხელოვნება

ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, არქეოლოგიის კვლევის შედეგები, ტ.I, თბ. 1955

ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ. 1963

ა. ბოხოჩაძე. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში, თბ. 1981

ი. გაგოშიძე, სამადლო, თბ. 1979

ი. გაგოშიძე. წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე, საქ. სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ. 1978

ვანი. არქეოლოგიური გათხრები, ტ.I, 1972, ტ.II, 1976, ტ. III, 1977, ტ.IV, 1979 თბ.

გ. ლეჟავა. ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ. 1979

გ. ლომთათიძე. ი. ციციშვილი. ახალაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში საქ. მეც. აკ. მოამბე, 10, 1951

თ. სანიკიძე. უფლისციხე, თბ. 1962

გ. ყიფიანი, საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა. კაპიტელები, თ. 1987

გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის სატაძრო ხუროთმოძღვრება და ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ვენეზისი, რეფერატი სადოქტორო დისერ. 1992

ი. ციციშვილი, ძველ საქართველოში ხმარებულ სივრძის საზომთა შესახებ, საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ IX, 5, 1948

დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე - ქალაქი კლდეში, თბ.1989

დ. ხახუტაშვილი, უფლისციხე, ტ.I თბ. 1964

მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ. 1972

მ. ხიდაშვილი. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ. 1982.

Леквинадзе В. О древнейших оборонительных сооружениях Археополиса-Нокалакеви, Советская археология, № 3, 1959.

Леквинадзе В.Материалы по

монументальному строительству в Лазике, Вестник гос. музея Грузии, т. XXII, 1961.

Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии, Тб. 1976.

Мелитаури К. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. I, 1969, т. II, 1972, Тб.

Цицишвили И. Гробница у станции Мцхета, КСИИК, № 54, Л. 1954.

Чубинашвили Н. Уплисцихе, Тб. 1961.

ფეოდალური ეპოქის ხელოვნება

ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აფხაზეთი, თბ. 1956

ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბ. 1968

ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, საინგილო, თბ. 1979

ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII-XVI სს. თბ. 1955

ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ. 1967

ვ. ბერიძე, XVI-XVIIIსს. ქართული ხუროთმოძღვრება, თბ. 1983

ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, მეტეხის ტაძარი თბილისში, თბ. 1969

გ. აბრამიშვილი, ხახულის ხატი, თბ. 1979

გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, 1972

შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბ. 1972

შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, თბ. 1937

შ. ამირანაშვილი, მხატვარი დამიანე, თბ. 1974

ნ. ანდღულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ 1976

ც. გაბაშვილი, პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბ. 1955

გ. გაფრინდაშვილი, ვარძია, თბ. 1987

ი. გომელაური, ერთაწმინდის ტაძრის არქიტექტურა, თბ. 1976

ი. გომელაური, მღვიმევი, თბ. 1982

მ. ღვალი, არქიტექტურული ძეგლი მანგლისში, თბ. 1974

ვ. დოლიძე, გარბანი, ქართული ხუროთმოძღვრების IX-X სს. ძეგლი ხევში, 1958

თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, ალბომი, თ. 1984

პ. ზაქარაია, წუღრუღაშენი, თბ. 1952

პ. ზაქარაია, ანანურის არქიტექტურული კომპლექსი, თბ. 1953

პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ. 1965

პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ. 1962

პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ.I 1975, ტ. II, 1978, ტ. III, 1981, თბ.

პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ. 1988

პ. ზაქარაია, ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ. 1975

პ. ზაქარაია, ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება, თბ. 1990

პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოჯი ნოქალაქევი, თბ. 1984.

ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმსა და სვანეთში, პ. 1937

ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში, პარიზი, 1937.

ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიუ

მოგზაურობა რაჭაში, თბ. 1963

ნ. კვეზერელი-კოპაძე, საქართველოს ძველი ხიდები, თბ. 1972

გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. 1977

ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ. 1973

კ. მელითაური, ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბ. 1961

კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, 1955

ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, ტ. III, 1938

ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ. 1941

რ. მეფისაშვილი, დ. თუმანიშვილი, ბანას ტაძარი, თბ. 1989

ნოქალაქევი - არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები, ტ.I, 1973-1977, 1981, ტ.II, 1978-1982 წწ. 1987, თბ.

ლ. რჩეულიშვილი, თელავი, თბ. 1963

ლ. რჩეულიშვილი, თიღვა, შირვანის დედოფლის თამარის მშენებლობა, თ. 1960

თ. სანიკიძე, გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ. 1975

გ. სოხაშვილი, სამთავისი, თ. 1973

ლ. სუმბაძე, ქართული ხით ხუროთმოძღვრება, თბ. 1985

ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ. 1985

რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სიონი, თბ. 1970

შ. რუსთაველის ეპოქის მიტერალური კულტურა. კრებული. თ. 1938

ო. ფირალიშვილი, ყინწვის მოხატულობა, თბ. 1979

ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების იტორიის შრომები, ტI. 1942, ტII 1948, ტ. III, 1950, ტ.IV, 1955, ტ.V, 1959, ტ.VI, 1969, ტ.VII, 1971, ტ IX, 1987, ტ.X, 1991

რ. ყენია, ვ. სილოგავა, უშგული, თ. 1986

თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბ. 1960

ვ. ცინცაძე, ბაგრატის ტაძარი, თბ. 1964

ი. ციციშვილი, უჯარმა, თბ. 1982

ი. ციციშვილი, პ. ზაქარაია, ნადარბაზევი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ I, თბ. 1955

ძეგლის მეგობარი, კრებული, 1964 და შემდგომი წლები, თბ.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ.5, თბ. 1990

ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტI, 1968, ტ.II 1970

ლ. ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები, თბ. 1980

ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი, თბ. 1975

ი. ჭიჭინაძე, სორის მოხატულობა, თბ. 1985

ი. ხუსკივაძე, ქართული საერო მინიატურა XVI-XVIII სს, თბ. 1976

ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის სამჭედლო სახელოსნო, თბ. 1974

ლ. ხუსკივაძე. ბექა ოპიზარი, თბ. 1976

ლ. ხუსკივაძე, მინანქარი, თბ. 1976

ვ. ჯობაძე, ოშკის ტაძარი, თბ. 1991.

Аладашвили Н. Монументальная

скульптура Грузии, М. 1997

Аладашвили Н, Алибегашвили Г, Вольская А, Росписи художника Тевдоре в верхней Сванетии, Т. 1966

Аладашвили Н, Алибегашвили Г, Вольская А. Живописная школа Сванети, Тб. 1983

Алибегашвили Г, Четыре портрета царицы Тамары, Тб. 1957

Алибегашвили Г, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI--нач. XIII вв. Тб. 1973

Алибегашвили Г, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб. 1979

Беридзе В. Грузинская архитектура с древнейших времен до начала XX века, Тб. 1967

Беридзе В. Некоторые аспекты Грузинской купольной архитектуры, со второй половины X в. до конца XIIIв. Тб. 1976

Беридзе В. Против искажения истории грузинского искусства, Тб. 1949

Беридзе В. место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб. 1981

Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства, Тб. 1875

Вольская А. Росписи средневековых трапезных Грузии. Тб. 1974

Джанберидзе Н. Памятники архитектуры Грузии, М. 1973

Джандиери М. Лежава Г. Архитектура горных районов Грузии, М. 1940

Джандиери М. Лежава Г. Народная башенная архитектура, М. 1976

Джандиери М. Древнее башенное общинное жилище, ВДИ, 2, М. 1981

Джанберидзе Н. Мачабели К. Тбилиси - Мцхета, М. 1981

Долидзе В. Шмерлинг Р. Военно - Грузинская дорога, М. 1940

Закарая П. Древние крепости Грузии, Тб. 1969

Закарая П. Памятники восточной Грузии, М. 1983

Иосебидзе Дж. Роспись Ачи - грузинская стенная живопись памятник конца XIII в. Тб. 1990

Иоселиани П. Города существующие и существовавшие в Грузии, Т. 1844

Иоселиани П. Описание древностей города Тифлиса, Т. 1866

Калашников М. Центрально - купольные памятники Цроми и Атени, альбом обмеров, Тб. 1927

Кондаков Н. Древняя архитектура Грузии, М. 1876

Квезерели - Копадзе Н. Древний Мцхетский мост, Т. 1947

Квезерели - Копадзе Н. Гатехили хиди, Т. 1956

Картлийские дарбази. 4 альбома с рисунками и обмерными чертежами Н. Северова и И. Шарлеманя, 1926-1927 гг.

Менисашвили Р. Архитектурный ансамбль Гелати, Тб. 1966

Менисашвили Р. Вирсаладзе Т. Гелати, архитектура, мозаика, фрески, Тб. 1982

Менисашвили Р. Цинцадзе В. Архитектура народной части исторической провинции Грузии Шида-Картли, Тб. 1975

Павлинов М. Христианские памятники, МАК, т.IV, М. 1893

Привалова Е. Павниси, Тб. 1979

Привалова Е. Роспись Тимотесубани, Тб. 1980

Мамаивашвили И. Роспись Табакини. Тб. 1991

Северов Н. Чубинашви-ли Г. Памятники грузинской архитектуры Кумурдо и Никорцминда, М. 1947

Северов Н. Чубинашви-ли Г. Мцхета, М, 1964

Сумбадзе Л. Грузинские дарбази, Тб. 1960

Сумбадзе Л. Архитектура грузинского народного жилища дарбази, Тб. 1984

Рчеулишвили Л. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии. Т. 1988

Такайшвили Е. Археологические экскурсии, разыскания и заметки, т. I-V Тб. 1905-1915

Такайшвили Е. Археологическая в южные провинции Грузии, Тб. 1952

Такайшвили Е. Христианские памятники, МАК, т. X, М. 1909

Уварова И. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, Мак, т. УII, М. 1904

Хаханов А. Церетели Г. Садзаглов -Ивернели, Христианские памятники, МАК, т. УII, М. 1898

Чубинашвили Г. Болнисский сион, Тб. 1940

Чубинашвили Г. Памятники типа Джвари, Тб. 1948

Чубинашвили Г. Архитектура Кахетии, т. 1-2, Тб. 1959

Чубинашвили Г. Пещерные монастыри Давид-Гареджи. Т. 1948

Чубинашвили Г.Цроми, М. 1969

Чубинашвили Г. Вопросы истории искусств, т. I, Тб. 1970

Чубинашвили Н. Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб. 1958

Чубинашвили Н. Самшвилдский Сион, Тб. 1969

Чубинашвили. Хандиси, Тб. 1972

Чубинашвили Н. Цeровани, Тб. 1976

Шевякова Т. Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб. 1983

Шервашидзе Л. Средневековая монументальная живопись Абхазии Т. 1980

Шмерлинг Р. Малые Формы в архитектуре средневековой Грузии, 1962

Ш м е р л и н г Р. Художественное оформление грузинских рукописей, 1979

Ш м е р л и н г Р. Грузинский архитектурный орнамент, Тб. 1954

Р о б а к и д з е А. Сванети, Тб. 1984

Х у с к и в а д з е Л. Грузинские эмали, Тб. 1981

Ч х и к в а д з е М . Архитектура Джвари, М. 1940

A m i r a n a c h v i l i G. des Emaux de Georgie. Paris, 1962

A m i r a n a c h v i l i S. Kunst stshatze Georgiens. Prague, 1971

A l i b e g a s v i l i G, Beridze V, Volskaja A, Xuskivadze, L. I Tesori della Georgia, Milano, 1984

T. S a n i k i d z e, G. A b r a m i s h v i l i Orfevrerie Georgia. Geneve, 1979.

XIX საუკუნის ხელოვნება

ვ. ბ ე რ ი ძ ე. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, თბ. ტ.I, 1960, ტ. II, 196[illegible]

ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი , ალბომი, მხატვარი შემდგენელი ვ.გაბელია. თბ. 1986

К в и р к в е л и я Т. Архитектура Тбилиси, Тб. 1982

К у з н е ц о в Э. Нико Пиросмани Л. 1984

Ц и н ц а д з е В. Тбилиси архитектура старого города и жилые дома первой половины XIX столетия Тб. 1958